კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

გიორგი ვოლსკი

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების სოციალურ -პოლიტიკური განზომილებები და მათი პრევენციის მექანიზმები (ევროკავშირის ქვეყნების და საქართველოს შედარებითი ანალიზი)

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 0141, საქართველო

2021

საავტორო უფლება © 2021 წელი, „გიორგი ვოლსკი“

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით **გიორგი ვოლსკის** მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: **„ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების სოციალურ -პოლიტიკური განზომილებები და მათი პრევენციის მექანიზმები (ევროკავშირის ქვეყნების და საქართველოს შედარებითი ანალიზი)**“ და ვაძლევთ რეკომენდაციას, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

„----„ .....2021 წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,

თამარ კიკნაძე ----------

რეცენზენტი: სოფიო მიდელაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

რეცენზენტი: ზაზა ცოტნიაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი,

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

2021 წელი

ავტორი: გიორგი ვოლსკი

თემის დასახელება: **„ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების სოციალურ - პოლიტიკური განზომილებები და მათი პრევენციის მექანიზმები (ევროკავშირის ქვეყნების და საქართველოს შედარებითი ანალიზი)“**

ფაკულტეტი: სოციალურ მეცნიერებათა

აკადემიური ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: „-------„ ---------- 2021 წელი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს.

_____

_____

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

მადლიერების გვერდი

საკვალიფიკაციო ნაშრომი ვერ განხორციელდებოდა, რომ არა პროფესორების, მკვლევარების, სპეციალისტების, ცნობილი ანალიტიკოსების დახმარება და მხარდაჭერა. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ თამარ კიკნაძეს, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის სადოქტორო ნაშრომის შექმნაში, დისერტაციის მომზადების პროცესში. მუდმივი თანადგომისთვის მადლობას ვუხდი დოქტორანტურის სამსახურის უფროსს, პროფესორ ნინო მინდიაშვილს. დახმარებისთვის, ასევე, მადლობას ვუხდი პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორს პროფესორ ქეთევან შოშიაშვილს .

ჩემთვის შეუძებელი იქნებოდა დოქტორანტურაში სწავლა, რომ არა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერის, ბატონი ვახტანგ წივწივაძის განსაკუთრებული მხარდაჭერა და თანადგომა. მადლიერება მინდა გამოვხატო რექტორის, ბატონ კახაბერ კორძაიას მიმართ აკადემიური, მომთხოვნი და ამავე დროს, თბილი გარემოს შექმნისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ადმინისტრაციისა და უნივერსიტეტში მოღვაწე პროფესორების მხრიდან პატივისცემითი დამოკიდებულება, რასაც მთელი სწავლის პერიოდში ვგრძნობდი და რაც ძალიან დიდ სტიმული იყო ჩემთვის. ამის გამოც უაღრესად მადლიერი ვარ.

მადლობას ვუხდი ჩემს პროფესორ-მასწავლებლებს: თამარ კიკნაძეს, ვახტანგ მაისაიას, ნინო მინდიაშვილს, რუსუდან დალაქიშვილს, ვალერი მოდებაძეს

ასევე უდიდეს მადლობას ვუხდი დისერტაციის ოფიციალურ რეცენზენტებს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ სოფიო მიდელაშვილს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორ ზაზა ცოტნიაშვილს, ექსპერტებს, პროფესორებს: ვაჟა შუბითიძეს, ვაჟა გურგენიძეს ნაშრომის გულდასმით გაცნობის, შეფასებისა და საგულისხმო, კვალიფიციური შენიშვნებისა თუ რჩევებისთვის.

ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომი ეხება თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის - ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების სოციალურ -პოლიტიკური განზომილებების და მათი პრევენციის მექანიზმების კვლევას და წარმოადგენს ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოში არსებული მოცემულობის შედარებითი ანალიზს.

სადისერტაციო კვლევის პრობლემატიკა ითვალისწინებს აგრეთვე თანამედროვე კონფლიქტების კვლევის ძირითადი თეორიული მიდგომების და კონცეფციების ანალიზს, საკითხის სამეცნიერო დამუშავებას და ამ კონფლიქტების პრევენციის და გადაჭრის გზების ძიებას, აგრეთვე თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციების შეთავაზებას.

შერჩეული საკვლევი თემის მიზნები და ამოცანები ეთნოპოლიტიკური კონჰფლიქტების პრევენციის ჭრილში მოიაზრება და მიზნად ისახავს:

- ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების არსის და მიზეზების, მათი კვლევის მეთოდოლოიის განსზაღვრას და ტიპოლოგიის ჩამოყალიბებას
- გლობალურ დონეზე მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის თავისებურებების წარმოჩენის ფონზე კონფლიქტების პრევენციისა გადაჭრის შესაძლებლობების სავარაუდო ანალიზის წარმოჩენას;
- კონფლიქტების პრევენციისა და დარეგულირების პოლიტიკის საერთაშორისო გამოცდილების შესწავლას და კონფლიქტების გადაჭრის პროცესში პოლიტიკური კულტურისა და პოლიტიკური სოციალიზაციის როლის გამოკვთას

- ევროკავშირის ქვეყნებში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების კვლევისა და პრევენციის მექანიზმების შესწავლას და გაანალიზებას

- საქართველოში არსებული ეთმოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების, მათი განვითარების და შედეგების ანალიზს,
- ევროკავშირის ქვეყნების ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების პრვენციის პოლიტიკის შესავლისა და კვლევის შედეგად, ისეთი რეკომენდაციების წარმოდგენას, რომელიც ეფექტიანი იქნება საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირებისთვის

კვლევის საგანს წარმოადგენს ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები და მათი პრევენციის მექანიზმები

კვლევის ობიექტია ევროკავშირის წევრი ქვეყნების კონფლიქტების პრევენციისა და დარეგულირების პოლიტიკა, აგრეთვე საქართველოში არსებული ეთმოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები და მათი განვითარების თავისებურებები

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, 9 ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისგან, რომელიც გადმოცემული A4 ფორმატის 199 გვერდზე.

შესავალში გადმოცემულია დისერტაციის საკვლევი თემის აქტუალობა, თემის დამუშავების მდგომარეობა, ჰიპოტეზა, საკვლევი კითხვები, მეთოდოლოგია და თეორიული ჩარჩო, თემის მიზნების და ამოცანები, კვლევის საგანი და კვლევის ობიექტი, თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდები, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა და მისი სტრუქტურა.

დასკვნაში მოცემულია კვლევის ზოგადი შედეგები და რეკომენდაციები.

Annotation

The dissertation deals with the study of one of the most important problems of modernity - socio-political dimensions of ethnopolitical conflicts and mechanisms for their prevention and is a comparative analysis of the data in EU countries and Georgia.

The research complication also include the analysis of the main theoretical approaches and concepts of modern conflict research, the scientific elaboration of the issue and the search for ways to prevent and resolve these conflicts, as well as to offer theoretical and practical recommendations.

The goals and objectives of the selected research topic are considered in the context of ethnopolitical conflict prevention and aim to:

- Defining the essence and causes of ethnopolitical conflicts, the methodology of their research and the formation of typology.
- Demonstrate a probabilistic analysis of conflict resolution capabilities in the light of ongoing global geopolitical changes and transformation peculiarities.
- To study the international experience of conflict prevention and settlement policy and to highlight the role of political culture and political socialization in the conflict resolution process
- Study and analysis of mechanisms for research and prevention of ethnopolitical conflicts in EU countries.
- Analice the cause of existing ethmopolitical conflicts, their development and consequences.
- As a result of the introduction and research of the ethnopolitical conflict prevention policy of the EU countries, to make recommendations that will be effective for the settlement of the conflicts in Georgia.

The **subject of research** is ethnopolitical conflicts and mechanisms for their prevention.

The object of study is the conflict prevention and settlement policy of the EU member states, as well as the causes of ethnopolitical conflicts in Georgia and the peculiarities of their development.

The paper consists of an introduction, three chapters, 9 subsections, a conclusion and a list of used literature, which is presented on 205 pages in A4 format.

The introduction outlines the relevance of the dissertation research topic, the theme of the subject development, hypothesis, research questions, methodology and theoretical framework, topic goals and objectives, research subject and research object, methods used in the topic development, theoretical and practical significance of the paper and its structure.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი ---------- 11

თავი I. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის არსი და მათი გამომწვევი მოზეზები - ---------- 32

1.2.ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ტიპოლოგია და თანმდევი ფაქტორების კლასიფიკაცია---------- 44

1.3. პოლიტიკური სოციალიზაციის და პოლიტიკური კულტურის როლი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების კვლევებში და მეთოდოლოგიური შეზღუდვები ---------- 67

თავი II. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტურობის დარეგულირების მოდელები და მათი ეფექტურობა ევროკავშირის ქვეყნებში

2.1. ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების მოგვარების მექანიზმები და შეფასების ინდექსის გამოყენება ---------- 80

2.2. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების პრევენციის პრაქტიკა თანამედროვე ევროპაში: ეფექტურობის ფაქტორები ---------- 100

2.3. განათლების სფერო, როგორც პოლიტიკური სოციალიზაციის ძირითადი წყარო და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების პრევენციის მნიშვნელოვანი ფაქტორი ----------110

თავი III. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები საქართველოში და მათი თავისებურებები

3.1 პოსტსაბჭოთა პოლიეთნიკური საზოგადოებების ეროვნული კონსოლიდაციის პრობლემები ---------- 143

3.2. კონფლიქტები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში და სახელმწიფოებრიობის მშენებლობის განსხვავებული ხედვა ---------- 151

3.3. კონფლიქტის პრევენციის მცდელობები სამშვიდობო პროცესების გამოუყენებელი შესაძლებლობები და რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის წინაპირობები ---------- 163

დასკვნა ---------- 180

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 188

შესავალი

თემის აქტუალობა. კაცობრიობამ თავისი განვითარების პერიოდში მნიშვნელოვანი ეტაპები განვლო ეთნოსიდან ერებად, ხოლო შემდეგ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებამდე. თავდაპირველად ადამიანები ინტეგრაციის სხვადასხვა ფორმებს ქმნიდნენ - ოჯახი, გვარი, თემი, ეთნოსი. ყველა ამ გაერთიანების საფუძველი გარკვეული სახის ურთიერთობები და ამ ურთიერთობების პერიოდში ჩამოყალიბებული თანაცხოვრების ჩვევები და ტრადიციები იყო. თუმცა ეს ტრადიციები და ჩვევები შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც კულტურის შემადგენელი ელემენტები. სახელმწიფოები სწორედ ეთნიკურ კულტურულ საფუძველზე წარმოიქმნა. ამასთან, ისინი სხვადასხვა ტომებს, ეთნოსებს, აერთიანებდნენ რაც, თავის მხრივ, იმპერიების შექმნის საფუძველს ქმნიდა.

პოლიეთნიკურ სახელმწიფოებში კონფლიქტის წარმოშობის მიზეზები ყოველთვის მკაცრ ლოგიკურ რეკონსტრუქციას არ ემორჩილება და ხშირად რთულად ასახსნელ ირაციონალურ შემადგენელს შეიცავს, რომელიც კონფლიქტს თავის სპეციფიკას აძლევს და მისი მარტივი მეთოდებით მოგვარება რთულია. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებში, რომლებიც ირაციონალურობის, ადამიანთა განუსაზღვრელი ქმედებების, დესტრუქციული ემოციების სიჭარბის ხარჯზე უმართავ ხასიათს იღებენ.[1]

თანამედროვე სახელმწიფოები ცდილობენ გადაჭრან ეთნიკური კონფლიქტები, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ამ ეთნიკურ ჯგუფებს თანაბარი უფლებებით არ უზრუნველყოფენ. ასეთი სახელმწიფოების მთავარი პრობლემა ისაა, რომ მათ ძირითადი ყურადღება ინტეგრაციის ადმინისტრაციულ მეთოდებზე გადააქვთ მაშინ, როდესაც დაბალია ინტეგრაციის ხარისხი, რომლის საფუძველსაც საერთო (გამაერთიანებელი)

[1] Колесова Е. Причины современных межэтнических и межконфессиональных конфликтов // Общественные науки и современность. – 1999. – № 4. – С. 117-120

ღირებულებები და კულტურა უნდა წარმოადგენდეს. ამიტომაც საბოლოოდ იმპერიები ვერ უმკლავდებიან ეთნიკურ პრობლემებს და ვერ უზრუნველყოფენ ინტეგრაციის ისეთ ფორმას, რომელიც ეთნიკურ პრობლემებს მოაგვარებდა. [2]

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნების ძირითადი ძალისხმევა მიმართულია პოლიტიკური ინსტიტუტების დემოკრატიზაციისა და ადამიანთა კეთილდღეობის უზრუნველყოფისაკენ, ბევრ ქვეყანაში ეთნო-პოლიტიკური დაპირისპირება კიდევ უფრო მწვავდება და დესტაბილიზაციის წყაროს წარმოადგენს, ამიტომაც ეთნიკური პრობლემების დარეგულირების გზების და მეთოდების ძიება და შემდგომი დახვეწა პოლიტიკური მეცნიერების უმნიშვნელოვანეს ამოცანად და აქტუალურ საკითხად რჩება.

საკვლევი თემის აქტუალობა განპირობებულია აგრეთვე იმ საფრთხით, რომელსაც დედამიწის სხვადასხვა წერტილებში (მათ შორის საქართველოში) განვითარებული ღია და ფარული ეთნო-პოლიტიკური დაძაბულობები უქმნის მსოფლიოს. 21-ე საუკუნეში ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, სამართლებრივ, შიდაპოლიტიკურ და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ამა თუ იმ ფორმით თითქმის ყველგან შეინიშნება. ბოლო რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში აქტუალიზებულ იქნა ეთნიკური, თემთაშორისი, ტომთაშორისი, ნაციონალისტური, სეპარატისტული გაყინული კონფლიქტები, სოციალური და კულტურული უმცირესობების იდენტობის წინააღმდეგობები. ამის გათვალისწინებით, ეთნო-პოლიტიკური დაპირისპირების და სეპარატიზმის კვლევები საჭიროა განხორციელდეს ცივი ომის შემდგომი შექმნილი ახალი პირობების გათვალისწინებით. თემა აქტუალურია იმის გათვალისწინებითაც, რომ

[2] ვოლსკი გ. კიკნაძე თ. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები და მათი გადაჭრის პერსპექტივები, ჟ. პოლიტილოგოსი, ტომი 1, თბ.2018

უკანასკნელ პერიოდში წარმოშობილი ეთნო-პოლიტიკური სეპარატისტული კონფლიქტები სულ უფრო ბევრ სახელმწიფოს მოიცავენ, სამხედრო შეტაკებები კი, რომლებშიც არალეგალური სამხედრო ფორმირებებია ჩართული, მსოფლიოს ბევრ რეგიონში უამრავი ლტოლვილის გაჩენის მიზეზი ხდება და ტერორიზმის წყაროს წარმოადგენს. დიდ მნიშვნელობას იძენს აგრეთვე ახალ გამოწვევებზე ადეკვატური ქმედებების განხორციელების ამოცანა, რომელიც მსოფლიოში დეცენტრალიზებული პოლიტიკური ძალადობის, აგრესიული ნაციონალიზმის, საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულების გენერირების ზრდის შედეგად წარმოშობილი ახალი ტიპის კონფლიქტების გავრცელებასთან არის დაკავშირებული. ამასთან, ამ ამოცანების გადაჭრის აქტუალობა განპირობებულია აგრეთვე უახლესი, მათ შორის მასობრივი განადგურების იარაღის, სულ უფრო ფართო გავრცელებით და პოლიტიკური კონფლიქტებში მონაწილე ახალი *არსახელმწიფოებრივი* აქტორების გაჩენით. სულ უფრო ხშირად კონფლიქტების ამა თუ იმ მხარეს წარმოადგენენ ექსტრემისტული რელიგიური მიმდინარეობები, დანაშაულებრივი დაჯგუფებები და ტრანსნაციონალური ტერორისტული ფორმირებები. უფრო მეტიც, იცვლება კონფლიქტების ხასიათი, განვითარების არეალი და ხანგრძლივობა. თანამედროვე ეთნო-პოლიტკური სეპარატისტული კონფლიქტები თანდათან ვითარდება, სახეს იცვლის და მათი საბოლოო გადაჭრა საკმაოდ რთული პრობლემაა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთ ქვეყანაში კრიზისების ძირითადი მიზეზი არასტაბილურობა, დაბალი განვითარება და სიღარიბეა, რომელიც ხელს უწყობს რელიგიური ფუნდამენტალიზმის ზრდას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ეთნო-პოლიტიკური სეპარატისტული კონფლიქტების კვლევა აქტუალური სამეცნიერო პრობლემაა, რომელსაც კონცეპტუალური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. აღნიშნული პრობლემატიკა იძლევა

საფუძველს კონფლიქტების პრევენციის და დარეგულირების ახალი სამეცნიერო მიდგომების და საშუალებების შემუშავებისა და ძიებისათვის.

სადისერტაციო კვლევის პრობლემატიკა ითვალისწინებს თანამედროვე კონფლიქტების კვლევის ძირითადი თეორიული მიდგომების და კონცეფციების ანალიზს, საკითხის სამეცნიერო დამუშავებას და ამ კონფლიქტების პრევენციის და გადაჭრის გზების ძიებას, აგრეთვე თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციების შეთავაზებას, რაც კიდევ უფრო ზრდის დისერტაციის აქტუალურობას.

თემის მიზნები და ამოცანები

ჩვენ მიერ შერჩეული საკვლევი თემის მიზნები და ამოცანები ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების პრევენციის ჭრილში მოიაზრება და მიზნად ისახავს:

- ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების არსის და მიზეზების, მათი კვლევის მეთოდოლოგიის განსზაღვრას და ტიპოლოგიის ჩამოყალიბებას
- გლობალურ დონეზე მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის თავისებურებების წარმოჩენის ფონზე კონფლიქტების პრევენციისა გადაჭრის შესაძლებლობების სავარაუდო ანალიზის წარმოჩენას;
- კონფლიქტების პრევენციისა და დარეგულირების პოლიტიკის საერთაშორისო გამოცდილების შესწავლას და კონფლიქტების გადაჭრის პროცესში პოლიტიკური კულტურისა და პოლიტიკური სოციალიზაციის როლის გამოკვთას
- ევროკავშირის ქვეყნებში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების კვლევისა და პრევენციის მექანიზმების შესწავლას და გაანალიზებას

- საქართველოში არსებული ეთმოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების, მათი განვითარების და შედეგების ანალიზს,
- ევროკავშირის ქვეყნების ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების პრევენციის პოლიტიკის შესავლისა და კვლევის შედეგად, ისეთი რეკომენდაციების წარმოდგენას, რომელიც ეფექტიანი იქნება საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირებისთვის

საკვლევი კითხვები

- რაში მდგომარეობს ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების არსი, მათი დინამიკა და რა მექანიზმეით ვადგენთ ამ კონფლიქტებში მონაწილე სუბიექტების ინტერესებს?
- რა ძირითადი პარადიგმები და მექანიზმენი არსებობს ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების პრევენციისა და დასარეგულირებლად ევროკავშირის ქვეყნებში?
- როგორ შეიძლება იქნას გამოყენებული ევროპული გამოცდილება კონფლიქტების შესწავლისა და დარეგულირების სფეროში საქართველოში არსებული კონფლიქტების დასარეგულირებლად?

ჰიპოთეზა

ყველა სოციალურ ჯგუფსა და ცალკეულ ინდივიდს გააჩნია საბაზისო მოთხოვნილებები, რომელთა შორის არის მოთხოვნილებები იდენტობის, უსაფრთხოების, ავტონომიისა და თვითრეალიზაციის შესახებ. როგორც ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, ასეთ სიტუციებში საჭიროა იმ ადამიანურ ქცევათა და სოციალურ ურთიერთობათა ღრმა ანალიზი, რომლებიც კონფლიქტში მონაწილე მხარეების საბაზისო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული. ამასთან ერთად, საჭიროა შემუშავდეს და განხორციელდეს კარგად გააზრებული, მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკური სოციალიზაციის

მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწობენ საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ამაღლებას და სამოქალაქო ნიადაგზე მის სახელმწიფოებრივ კონსოლიდაციას. თუ ვერ ხერხდება საბაზისო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება უკვე არსებული ინსტიტუტებისა და ნორმების ფარგლებში, ეს სოციალური ჯგუფები და ინდივიდები აუცილებლად დაიწყებენ თავიანთი მოთხოვნილების რეალიზაციისათვის, ახალი ფორმების ძიებას. მათი ჩახშობის ნებისმიერი მცდელობა კი სამომავლო დესტრუქციული გამოვლინებების პერსპექტივას ბადებს.

კვლევის საგანს წარმოადგენს ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები და მათი პრევენციის მექანიზმები

კვლევის ობიექტია ევროკავშირის წევრი ქვეყნების კონფლიქტების პრევენციისა და დარეგულირების პოლიტიკა, აგრეთვე საქართველოში არსებული ეთმოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები და მათი განვითარების თავისებურებები

ნაშრომის მეთოდოლოგია და თეორიული ჩარჩი

ნებისმიერ საზოგადოებაში ინდივიდები პოლიტიკური სოციალიზაციის აგენტების - ინსტიტუტების და ორგანიზაციების გავლენას განიცდიან, რომლებიც პოლიტიკური ღირებულებების ფორმირებას უზრუნველყოფენ. ამ მხრივ *საყურადრებოა გ. ალმონდის* და ს. *ვერბას* თეორია პოლიტიკური სოციალიზაციისა და პოლიტიკური კულტურის შესახებ. თუ ქვეყანაში არ არის თანხმობა პოლიტიკური თამაშის წესების შესახებ და ეს უთანხმოება დიდი ხნის განმავლობაში გრძელდება, მაშინ შეიძლება სხვადასხვა სუბკულტურები წარმოიშვას. განსაკუთრებით ეს ეხება ეთნიკურ უმცირესობებს და თემებს, რაც ეთნოპოლიტიკური ან კონფესიური დაპირისპირების მნიშვნელოვანი წყაროა. ასეთი სუბკულტურების პირობებში ადამიანებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მაგ.,

საზღვრების, რეჟიმის ხასიათის, იდეოლოგიის და ა.შ. ჩვეულებრივ სხვადასხვა სუბკულტურული ჯგუფების წარმომადგენლები სხვადასხვა პარტიებში, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებში წევრიანდებიან, სხვადასხვა გაზეთებს კითხულობენ, სხვადასხვა ტელეარხებს უყურებენ, სხვადასხვა სპორტულ კლუბებში დადიან და ა.შ. ამიტომაც მათი პოლიტიკური ცხოვრების სწავლების ფორმებიც განსხვავებულია. გაუცხოება ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის საკმაოდ მწვავეა სწორედ იმის გამო, რომ ისინი სიღრმისეულ თვითაღქმას ემყარება. შუალედურ დონეზე შეინიშნება ინდივიდების პოლიტიკური ცხოვრებისა და სახელისუფლებო ინსტიტუტებისადმი შედარებით ნაკლებად ემოციურად დატვირთული განწყობები. ნებისმიერ საზოგადოებაში ინდივიდები პოლიტიკური სოციალიზაციის აგენტების - ინსტიტუტების და ორგანიზაციების გავლენას განიცდიან, რომლებიც პოლიტიკური ღირებულებების ფორმირებას უზრუნველყოფენ. ზოგიერთი ამ ინსტიტუტებიდან და ორგანიზაციებიდან, მაგ., სამოქალაქო სწავლების გაკვეთილები სკოლაში, მთელი რიგი საგნები უნივერსიტეტებში პოლიტიკური განათლების პირდაპირი წყაროა და სპეციალურად ამ მიზნის მიღწევას ითვალისწინებს. პოლიტიკურ სოციალიზაციას და შესაბამისად, მაღალი პოლიტიკურ, სამოქალაქო კულტურის არსებობამ შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების პრევენციასა და მოგვარებაში. ამ მხრივ, ეთნიკურობის დისკურსმა და ეროვნული კონსოლიდაციის საკითხებმა პოლიტიკური მეცნიერების კვლევებში პრიორიტეტული ადგილი, შეიძლება ითქვას, რომ შედარებით დიდი ხანი არ არის, რაც დაიკავა. დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში ეთნიკურობის ცნების გამოყენება სოციალურ მეცნიერებებში მხოლოდ გასული საუკუნის 1970-იან წლებში დაიწყეს. ეთნიკური იდენტობის როლის შესწავლისადმი ინტერესი გაიზარდა პოსტკოლონიური კვლევების და დისკრიმინაციის და სოციალური უთანასწორობის დასაძლევად ეფექტური მექანიზმების ძიების კონტექსტში, როგორც დასავლური

საზოგადოების შიგნით, ისე დასავლეთსა და „მესამე სამყაროს“ შორის ურთიერთობებში. თვით პოსტკოლონიურ სამყაროში თანდათან დამკვიდრდა ისეთი ცნების მნიშვნელობა, როგორიცაა ეთნიკურობა ადამიანის თვითიდენტიფიკაციის სისტემაში, - „საკუთარი“ სამყაროს გარეთ - სხვასთან მიმართებაში თავისი მნიშვნელობის შეგრძნება. კონფლიქტოლოგთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ ეთნიკური განსხვავებების არსებობა ჯგუფებს შორის არ არის კონფლიქტის მიზეზი. როგორც რუდოლფო *სტავენჰაგენი* აღნიშნავს, ეთნიკური კონფლიქტი სიტუაციების ფართო წრეს მოიცავს და შეიძლება ითქვას, რომ იგი არც არსებობს. ეთნიკური კონფლიქტი არის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური კონფლიქტები ჯგუფებს შორის, რომლებიც ეთნიკური კატეგორიების მიხედვით იდენტიფიცირდებიან. ეს ეთნიკური მახასიათებლები ხშირად სხვა სოციალურ ინტერესებს, მაგალითად, პოლიტიკური ძალაუფლების საკითხებში მონაწილეობას ნიღბავენ. თუმცა, როდესაც ეთნიკური განმასხვავებელი შეგნებულად ან შეუგნებლად კონფლიქტურ სიტუაციაში ერთმანეთთან დაპირისპირებული ფაქტორების გასარჩევად გამოიყენება, იგი პოლიტიკური მობილიზაციის სიმბოლოდ იქცევა. ეთნიკურობა კონფლიქტის ბუნების და დინამიკის განმსაზღვრელ ფაქტორად ყალიბდება. ეთნიკური იდენტობის პროექციის შესწავლას ახალი იმპულსი შესძინა განვითარებულ ქვეყნებში მასობრივი იმიგრაციის ტალღის ზრდამ. სწორედ ამ გარემოებას უნდა უმადლოდეს 1990-იან წლების ზღურბლზე ფრანგულენოვან წყაროებში ეთნიკურობის *კონცეპტის* დამკვიდრება. მანამდე ეთნიკურობის პროექციას საფრანგეთში დამკვიდრებული პოლიტიკური კულტურის ეროვნული ტრადიციების გამო, პრაქტიკულად არავითარი ყურადღება არ ეთმობოდა. დღეს სოციალურ მეცნიერებებში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ფრედერიკ *ბარტის* მიდგომა, რომელიც ეთნიკურობას კონსტრუქტივისტულ ჩარჩოში განიხილავს და მიიჩნევს რომ ეს არის „კულტურული სხვაობის სოციალური ორგანიზაციის ფორმა“. *მულტიკულტურალიზმის*

პოლიტკორექტულ დისკურში „ეთნიკური ჯგუფის“ ცნება დიდი ხანია არ არის რაც დამკვიდრდა. მაგ., გაერთიანებულ სამეფოში შეკითხვა „ეთნიკური ჯგუფისადმი კუთვნილების“ შესახებ, პირველად 1991 წლის აღწერის დროს დაისვა, ხოლო ოცი წლის შემდეგ მორიგი აღწერისას ანკეტაში ამ შეკითხვას დაემატა შეკითხვა „ეროვნული იდენტობის“ შესახებ. მოპასუხეებს ერთდროულად შეეძლოთ აერჩიათ ეროვნული იდენტობის რამდენიმე ვარიანტი (მაგ.,ერთდროულად აერჩიათ *უელსური* და ბრიტანული იდენტობა) მაშინ, როდესაც რომელიმე ეთნიკური ჯგუფისადმი კუთვნილება მხოლოდ ერთ პასუხს ითვალისწინებდა. „ეთნიკური ჯგუფის’ ცნების ოფიციალურ სტატისტიკაში ჩართვამ გამოიწვია პოლემიკა იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებული იყო ადამიანების იდენტიფიკაცია მათთვის „გაწერილი“ ჯგუფური იდენტიფიკაციის მიხედვით. საფრანგეთსა და რიგ ევროპულ ქვეყნებში სტატისტიკური აღრიცხვა ეთნიკური მაჩვენებლების გამოყენებით დღემდე არ წარმოებს. “დადგენილი“იდენტობის პრობლემა თანამედროვე მულტიკულტურულ საზოგადოებებში ეთნოსთაშორისი ურთიერთობების დარეგულირების სახელმწიფო პოლიტიკის კრიტიკოსების ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტია. სოციალური კონსოლიდაციის უზრუნველყოფის და სამოქალაქო თანხმობის მხარდაჭერის ამოცანები გართულებულია, რადგანაც ადრე საჯარო დისკურსში სუსტად წარმოდგენილი თანამედროვე საზოგადოებების კულტურული და ცივილიზაციური განსხვავებულობა, დღეს სოციალურ-პოლიტიკური კონფლიქტურობის ძირითადი ფაქტორია. ერთი შეხედვით, ევროპაცენტრული წესრიგის მოქალაქეობის ინსტიტუტის მყარ ფუნდამენტზე აშენებულ საზოგადოებებში, დღეს კვლავ საუბრობენ ღრმა ღირებულებითი განხეთქილების დაძლევის აუცილებლობაზე, კულტურული ტრადიციების და იდენტობის თანხვედრაზე. „ახალი ნაციონალიზმის“ აღზევება ქვეყნებში, განვითარებული სამოქალაქო ინსტიტუტებით და სოციალური კეთილდღეობის შედარებით მაღალი დონით, პარტიულ-პოლიტიკური ლანდშაფტის რადიკალიზაციის

ნაყოფიერ ნიადაგად იქცა. დღეს *ეთნონაციონალურ* განწყობებზე აპელირებენ როგორც „მემარჯვენე“ ისე, ხშირ შემთხვევაში, „მემარცხენე“ ორიენტაციის ძალები. არადასავლურ საზოგადოებებში ეთნიკური ორიენტირები თვითიდენტიფიცირების მნიშვნელოვანი ელემენტია, განსაკუთრებით რელიგიური თვითგამორკვევის კონტექსტში. ეთნიკური იდენტობის საკითხი პოლიტიკური მობილიზაციის და არსებული პოლიტიკური წესრიგის დესტაბილიზაციის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ეფექტური საშუალებაა. ამავდროულად იზრდება კოსმოპოლიტი ადამიანების რიცხვი. მათთვის ეთნიკური ორიენტირებით განპირობებული საზღვრები ყოვლად მიუღებელია. გლობალიზაციის პროცესის შესახებ გამართულმა კამათმა ეთნიკური იდენტობა გლობალისტურ „უნივერსალურ“ ორიენტირებს დაუპირისპირა. თუმცა ეთნიკურობის, როგორც საზოგადოებასთან კუთვნილების მნიშვნელოვანი ორიენტირი, რომელიც სულ ახლო წარსულში სამეცნიერო პოლიტიკურ დისკურსში არქაიზაციის სიმპტომად აღიქმებოდა, დღეს განვითარებული საზოგადოებებისათვისაც კი რეალობას წარმოადგენს. გლობალიზებული, სამომხმარებლო ღირებულებების მქონე საზოგადოების ფონზე, ეთნიკური იდენტობა, მის ყოველდღიურ გამოვლინებაში, ადამიანის თვითიდენტიფიცირების საყრდენად და პასუხად იქცა. დღეს კოსმოპოლიტური და ეთნოკულტურული იდენტიფიცირება თანამედროვე განვითარების ურთიერთდაპირისპირებულ მდგენელებად იქცა. ამასთან, ეთნიკური იდენტობა პოლიტიკური მობილიზაციის და კონფლიქტურობის ესკალაციის ეფექტურ, ფაქტობრივად, ამოუწურავ რესურსს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკურობა უპირატესად განიხილება, როგორც პოლიტიკური მიზნების მისაღწევი სოციალურად კონსტრუირებული და ინსტრუმენტული საშუალება, მასში მაინც დაიწყეს სიტუაციური და დინამიკური მახასიათებლების გამოყოფა. ეს კი სხვადასხვა თვისებების მატარებელი საიდენტიფიკაციო ორიენტირების შეთავსების საშუალებას იძლევა. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია თანამედროვე

სოციალურ რეალობაში მოვძებნოთ ეთნიკური ფაქტორის შესახებ ცოდნის სხვადასხვა სფეროების და მიდგომების ელემენტების სინთეზი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია განისაზღვროს პიროვნების პოლიტიკურ ნარატივებში ჩართულობის დონე და ეთნიკურობის გამოვლენის ყოველდღიური პრაქტიკა. როგორც სოციოლოგიური კვლევები გვიჩვენებს, ასეთი „ჩართულობის“ დონე გაცილებით უფრო მაღალია *არადომინირებულ* ხალხებში და *პოლიეთნიკურ* გარემოში. სოციალურ მეცნიერებებში თანამედროვე პოლიტიკური კონფლიქტურობის განმსაზღვრელ დისკურსში *ორმდგენელიანი* მახასიათებლები გამოიყენება ეთნიკური კონოტაციით - „ეთნოპოლიტიკური“, „ეთნოსოციალური“, „*ეთნონაციონალური*“, „ეთნოკულტურული“, „*ეთნორელიგიური*“, „*ეთნოკონფესიური*“, „*ეთნოლონგვისტური*“, „*ეთნორასობრივი*“, „ეთნოლინგვისტური“ და ა.შ. ეს კი არის იმის მცდელობა, რომ ადეკვატურად იქნას წარმოდგენილი თანამედროვე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, განსხვავებული პოლიტიკური კულტურის და კეთილდღეობის საზოგადოებებში წარმოქმნილი სოციალური უთანხმოებებისა და კონფლიქტების ჰიბრიდული ბუნება. აღნიშნული კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს თანამედროვე სოციალურ რეალობაში ეთნიკური ფაქტორის სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას. ამასთანავე, პოლიტიკურ ლექსიკონში იმგვარი *ოქსიომორონების* დამკვიდრება როგორიცაა მაგ., „ეთნიკური დემოკრატია“, ამ *სითყვათშეთანხმების* აზრობრივ შეუთანხმებლობაზე მიუთითებს. თუმცა ეს არის რეალობა, ამიტომ თანამედროვე პოლიტიკაში გასათვალისწინებელია ერთი მხრივ, სხვადასხვა მონაწილეების მოტივაციები, ღირებულებები, შეხედულებები, მეორე მხრივ, პოლიტიკურ და სამეცნიერო დისკურსში ამ ღირებულებების და ინტერესების აღქმის ხასიათი. ჩვენი აზრით, ალბათ არ იქნება სწორი, რომ პოლიტიკურ დისკურსში ეთნოპოლიტიკური ურთიერთქმედების სუბიექტად აღქმული იქნას მხოლოდ ეთნიკური ჯგუფი, რომელიც არის ეთნიკური იდენტობის კატეგორიით განსაზღვრული საერთო შეხედულებების, ცხოვრების წესის

და ქცევის მოდელის მატარებელი. ეთნიკურ ჯგუფს უპირისპირდება ერი, როგორც *მაკროპოლიტიკური* თანამეგობრობა, რომელსაც მოქალაქეობის ინსტიტუტი აერთიანებს. მაგრამ ეთნიკურობა, როგორც ჯგუფური იდენტობის ორიენტირი სხვა მსგავსი ორიენტირებისაგან იმით განსხვავდება, რომ ის ყურადღების ცენტრში აყენებს ადამიანის თვითგამორკვევას და თვითიდენტიფიცირებას და არა მის „სხვების მიერ“ კატეგორიზაციას. ერიკ *ობსბაუმი* აღნიშნავდა, რომ, თუმცა ნაციონალიზმი და ერი „ზემოდან“ *კონსტრუირდება*, მათი გაგება შეუძლებელია თუ „ქვემოთ“ არ გაანალიზებ - ადამიანებს შორის ყოველდღიურ ურთიერთობებს. 2000-იანი წლების დასაწყისში ავტორიტეტული ჯგუფის მიერ ეთნიკურობის ყოველდღიური გამოვლინების შესწავლამ (რუმინეთის ტრანსილვანიის მხარის ქალაქ *კლუჟის* საზოგადოებების მაგალითზე) 4 ასეთი ფორმა გამოავლინა: ა) სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლებს შორის ღია უთანხმოება ან კონფლიქტი; *ბ*) ურთიერთობისას ეთნიკურად *მგრძობიარე* თემების გაცნობიერებულად თავიდან არიდება; *გ*)ეთნიკურობით შეფერილი ხუმრობები, ანეკდოტები და სხვ. *დ*)ადამიანის ყოველდღიური არჩევანი ინსტიტუციურად განსაზღვრულ და ეთნიკურად მარკირებულ ალტერნატივებს შორის. ამით ეთნიკური ჯგუფის პოლიტიკური სუბიექტურობა კითხვის ნიშნის ქვეშ იქნა დაყენებული. თავის დროზე „იდენტობის კონფლიქტის გადაუჭრელობის“ გამო, არგუმენტირებულ იქნა დასკვნა ეთნიკურობის პოლიტიზების ტენდენციების და ამ პროცესში პოლიტიკური ელიტების წამყვანი როლის შესახებ, რომლებიც ჯგუფურ ინტერესებს გამოხატავენ. კონფლიქტი აისახება ინსტიტუციური ცვლილებების მოთხოვნაში, მაგრამ ეთნიკური ფაქტორის გავლენა პოლიტიკური ერის კონსოლიდაციაზე არ დაიყვანება პოლიტიკურ-*ინსტიტუციონალურ* განზომილებამდე. ბრძოლა *ტეროტორიული* ავტონომიისა და ფედერალიზაციის პერსპექტივისათვის აისბერგის მხოლოდ ხილული მწვერვალია. ნაკლებად თვალსაჩინოა საკითხი დიდი და პატარა საზოგადოებების დონეზე პოლიტიკური,

ეკონომიკური და კულტურული დარეგულირების პრაქტიკის შეთავსების და სამოქალაქო იდენტობის, როგორც კონფლიქტის მოგვარების რესურსის პოტენციალის შესახებ. დიასპორების, თემების თუ რელიგიური გაერთიანებების თვითორგანიზების ხასიათი იმაზე მეტყველებს, რომ ასეთი ტიპის სტრუქტურირება უშუალოდ არ არის მიბმული თანამედროვე საზოგადოებების პოლიტიკური ორგანიზების ტრადიციულ ფორმებზე. ეროვნული სახელმწიფოებრიობის შიდა სტრუქტურები და კულტურული ერთობა, პოლიტიკური სუვერენიტეტი, მოქალაქეობის ინსტიტუტი გლობალური ბაზრის მზარდი ზეწოლის ქვეშ მნიშვნელოვან რყევებს განიცდიან. შედეგად იდენტობების კონფლიქტი კიდევ უფრო ღრმავდება და ეთნოსთაშორის დაძაბულ ემოციურ სფეროდ იქცევა. იდენტობის მრავალგანზომილებიანი კონფლიქტი *ავტოქტონურ* და განსხვავებულ ჯგუფებს, თანამედროვე პოლიტიკური ერების შემადგენლობაში მყოფ *ეთნონაციონალურ* საზოგადოებებს, ცენტრსა და რეგიონებს, სხვადასხვა ტრადიციების, რელიგიური მრწამსის, იდეური შეხედულებების და კულტურული ნორმების მატარებელ ჯგუფებს შორის ეყრდნობა სახელმწიფოებში ტერიტორიულ და ფუნქციურ გამიჯვნას. ასეთი სისტემური გამიჯვნის მექანიზმები დაწვრილებით არის განხილული სეიმურ *ლიფსეტის* და *სტეინ როკანს* კლასიკურ ნაშრომში და ნაჩვენებია, რომ სწორედ ისინი უქმნიან საფრთხეს ეროვნული სახელმწიფოების - განვითარების ერთიანი სუბიექტის საერთო ჩარჩოში სოციალური ურთიერთობების შენარჩუნების პროცესს. ამასთან, სოლიდარული ურთიერთქმედებებზე მოთხოვნა თანამედროვე საზოგადოების-ერის არსობრივი მახასიათებელია (მხედველობაში გვაქვს განვითარების გამოწვევები). თანამედროვე საზოგადოებისთვის ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები საკმაოდ სერიოზული გამოწვევაა. ისინი წარმოიქმნება ტრადიციული და ეროვნული განვითარების პოსტმოდერნული პროექტების შეჯახების ფონზე. ღირებულებით-მსოფლმხედველობრივი შეჯახების კონცეფცია განმარტავს ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის,

როგორც იდენტობის კონფლიქტის კონცეფციას და ხაზს უსვამს ამ განმარტებითი მოდელის სისტემურ-გენეტიკურ ხასიათს. როგორც *ჯ. ესტეგანმა, ლ. მეიორალმა* და *დ. რეიმ* აღნიშნეს, "შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტები მკვეთრად გამოხატულ ეთნიკურ ხასიათს იძენს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამოქალაქო კონფლიქტების ნახევარზე მეტი შეიძლება შეფასდეს, როგორც ეთნიკური ან რელიგიური. ეთნიკური კონფლიქტის კლასიფიკაციის ერთ-ერთი საფუძველია მისი, როგორც ანტისახელმწიფოებრივი აჯანყების იდენტიფიკაცია ეთნიკური ჯგუფის სახელით. *ბრუბეკერმა* და *ლეიტინმა*, შეისწავლეს მე -20 საუკუნის მეორე ნახევარში არსებული შიდაპოლიტიკური კონფლიქტების ისტორია, მივიდნენ დასკვნამდე, რომ ბიპოლარული "იდეოლოგიური ღერძი" გაქრა ძალადობრივი შეტაკებების მასშტაბური *ეთნიზაციის* ფონზე " როგორც *ჯ. ფირონმა* და *დ. ლეუტინმა* აღნიშნავენ, "ეთნიკური კონფლიქტის სრულფასოვანმა თეორიამ უნდა განმარტოს, თუ რატომ არის სერიოზული დაძაბულობის მიუხედავად, მშვიდობასა და ინტეგრაციაზე დაფუძნებული ეთნიკური ურთიერთობები უფრო ტიპური, ვიდრე ფართომასშტაბიანი ძალადობა". სოციოკულტურული ინტეგრაცია, როგორც ღირებულებების, იდენტურობის, ინსტიტუტების შენარჩუნებისა და წინ წამოწევის პროცესი, საშუალებას აძლევს ყველა სოციალურ სუბიექტს მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ ცხოვრებაში თანამოქალაქეებისა და თანასწორობის პრინციპების საფუძველზე, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოგვარების ძირითად მეთოდს წარმოადგენს რთული შემადგენლობის საზოგადოებებში: "სამოქალაქო ინტეგრაცია" (civil integration) გამორიცხავს მექანიკური კონსოლიდაციის პროცესს, რომელიც უნიფიცირებულ იდენტობას და ამ მიზნით, ასიმილაციის იძულებას და განსხვავებულობის ჩახშობის რეპრესიულ მცდელობას ემყარება. სოციოკულტურული ინტეგრაცია, როგორც სოციალური კონსტრუქცია, დამოკიდებულია სამ განსხვავებულ, მაგრამ ურთიერთდაკავშირებულ პროცესზე, რომლებიც სისტემურ მთლიანობაში ქმნიან ინტეგრაციულ სამოქალაქო იდენტობას:

1. მაკროსოციალური სოლიდარობის ხელშეწყობის მიზნით, ეთნოკულტურული იდენტობის პლურალიზმის აღიარება, სამოქალაქო იურიდიული სივრცის ფარგლებში;

2. ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური წარმომადგენლობის და კოლექტიური უფლებების უზრუნველყოფა, რათა გათვალისინებულ იქნას სხვადასხვა სოციოკულტურული ჯგუფების ინტერესები, იდენტობა და ღირებულებები მთავრობის გადაწყვეტილების მიღების და რესურსების განაწილების პროცესში;

3. ეკონომიკური და პოლიტიკური რესურსების გადანაწილება სხვადასხვა სოციალურ აქტორებს შორის, ეკონომიკური სტატუსის, ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საფუძველზე დისპროპორციისა და ფრაგმენტაციის თავიდან ასაცილებლად

სოციოკულტურული ინტეგრაციის ეს საფუძვლები და პრინციპები პოლიტიკური ერის სამოქალაქო იდენტობის მშენებლობის პროცესში ემყარება კულტურული პლურალიზმის, სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური ჩართულობის, შესაძლებლობების თანასწორობის და სოლიდარობის კონცეპტუალურ მოდელებს. როგორც ჯ.როთმანი და მ.ალბერშტეინი აღნიშნავენ, ”ინდივიდუალური თავისუფლებისა და ჯგუფური ერთგულების ცნებების კომბინაცია, როგორც ძალადობრივი ასიმილაციის კონტრ-ნარატივი, შეიძლება განვიხილოთ პლურალიზმისკენ სწრაფვად და ინდივიდუალურ და კოლექტიურ დონეზე კულტურული განსხვავებების პატივისცემად.”

იდენტობის სტატუსის ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების დინამიკაში გაანალიზებისას, ავტორები მიუთითებენ ჯგუფური იდენტობის კავშირზე ”საზოგადოების პირველყოფილ და პრემოდერნულ იდეასთან, რომელიც გვაბრუნებს დახურული კოლექტივების შესწავლოსაკენ, სადაც ინდივიდუალიზმი შესამჩნევ იდეურ როლს არ

თამაშობს. დღეს ამ საზოგადოებებს შეუძლიათ იარსებონ გლობალიზებულ სამყაროში საკუთარი კულტურის შენარჩუნებით, კოლექტიურ ღირებულებებზე დაყრდნობით; ამ კოლექტივების ფარგლებში ჯგუფური იდენტიფიკაცია შეიძლება ეხებოდეს მათ ნამდვილ ღირებულებებს, ტრადიციებს ან რელიგიურ ტექსტებს. როდესაც მედიაციის პროცესში საქმე გვაქვს ჯგუფურ შეტაკებასთან, მხოლოდ ინდივიდუალური ინტერესების გათვალისწინება ვერ ავსებს ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილ ნაპრალს. ინტერესებში არსებული წინააღმდეგობების ექსკლუზიურად შემცირების მცდელობებმა, რომელთა შეთანხმებაც შეიძლება, ან კიდევ უარესი, ჯგუფების მანიპულირების მცდელობამ შეიძლება იდენტობების კონფლიქტების გააქტიურება გამოიწვიოს".[3]

ტერმინი "იდენტობების კონფლიქტები" პირველად გვხვდება 1990-იან წლებში ჯ. ბარტონისა და ჯ. როტმანის შრომებში. ჯ. ბარტონი მიიჩნევს, რომ კოლექტიური იდენტობა პიროვნების ერთ – ერთ მთავარ მოთხოვნილებას წარმოადგენს, ხოლო ჯგუფის მიერ იდენტობის აღქმა, უსაფრთხოების ერთ – ერთ მთავარ გამოწვევად აღიქმებოდა. უფრო მეტიც, ჯ. ბარტონი ორ მნიშვნელოვან მოთხოვნილებაზე მიუთითებს: იდენტობის საჭიროებაზე და უსაფრთხოების დაცვაზე. ჯ. როტმანის აზრით, იდენტობის კონფლიქტის ყველაზე მნიშვნელოვანი ატრიბუტია მათი არარაციონალურობა, ღრმა სუბიექტურობა და უკონტროლობა.[4] იდენტობების კონფლიქტებში ეთნიკური ჯგუფების მონაწილეობის მოტივები გავლენას ახდენს მათ შედეგებზე. სავარაუდოდ, მატერიალური ინტერესების დასაკმაყოფილებლად, ადამიანები შეგნებულად თავის სიცოცხლეს რისკის ქვეშ განზრახ არ დააყენებენ. იდენტობების კონფლიქტებში მხარეთა მონაწილეობას აქვს აშკარა მსხვერპლად მიტანის

[3] Rothman J., Alberstein M. Individuals, Groups and Intergroups: Understanding the Role of Identity in Conflict and its Creative Engagement // Ohio State Journal on Dispute Resolution. 2013. N 28(3). P.631–658.

[4] Попов М.Е. Конфликты идентичностей в посттрадиционной России: общероссийский и региональный аспекты. Ставрополь: Изд-во СГУ, 2011. 321 с. (Popov M.E. Identity-Based Conflicts in the Post-Traditional Russia. Stavropol: SSU Publishing, 2011. 321 p.

და არა გარდაუვალი რისკის გაწევის სახე: კონფლიქტის მონაწილეები იდენტიფიკაციისა და ღირებულებების იდეალებისათვის მსხვერპლის მიტანის სურვილს ემოციურად აცნობიერებენ და განიცდიან. დაძაბულობის ესკალაცია ხდება მაშინ, როდესაც ეთნიკური ჯგუფი ცდილობს აღიქვას საკუთარი თავი, როგორც "გარე" ჯგუფების მხრიდან პრეტენზიების "მსხვერპლი".

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდები

უპირველეს ყოვლისა, თემის დამუშავების დროს მოხდა არსებული თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;

- შემთხვევის გარჩევა Case study- დაგვეხმარა რეალური ფაქტების უკეთ ანალიზში.
- ნაშრომის დამუშავებისას გამოყენებული მეთოდები ძირითადად ეფუძვნება თეორიული და ემპირიული კვლევის საფუძვლებს, რაც მოიცავს მეცნიერული მიდგომის ერთგვარ იარაღს - ლოგიკა, ანუ სწორად აზროვნების სისტემა, რომელსაც ფაქტობრივი დაკვირვების საფუძველზე მივყავართ სანდო დასკვნის გაკეთებამდე
- თვისებრივი კვლევის მეთოდები:
  - მონაცემთა ანალიზი;
  - შედარებითი ანალიზი

- ისტორიულ-აღწერილობითი
- კონტენტ-ანალიზი;
- ივენტ-ანალიზი.

თემის მეცნიერული სიახლე

კვლევის უნიკალურობას და სიახლეს განაპირობებს ის გარემოება, რომ იგი განხორციელდება დისციპლინათაშორისი სამეცნიერო კვლევების ფორმატში (პოლიტიკური მეცნიერების, ისტორიის, კონფლიქტოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთოების და ა.შ.). ამასთან ერთად, ყურადღება გამახვილდა იმ საკითხზე, თუ როგორ შეიცვალა გლობალური გეოპოლიტიკური გარემო და რა გავლენა იქონია ამ ცვლილებებმა ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამწვავებაზე, გამოიკვეთა და პოლიტიკური გავლენის აგენტების მეშვეობით პოლიტიკური სოციალიზაციისა და პოლიტიკური კულტურის როლი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების პრევენციისა და მათი დარეგულირების პროცესში, განხილული და შედარებულ იქნა მსოფლიოში და კერძოდ, ევროკავშირის ქვეყნები არსებული გამოცდილება კონფლიქტების კვლევის, პრევენციისა და დარეგულირების სფეროში და ამ ანალიზის საფუძვლზე გამოტანილ იქნა შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები საქართველოში არსებული აფხაზეთის და ე.წ. ოსეთის კონფლიქტის დარეგულირების პროცესში.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომის თეორიულ მნიშვნელობას განაპირობებს ის გარემოება, რომ იგი გამოადგება ამ პრობლემაზე მომუშავე ყველა მეცნიერს, პრაქტიკოს ანალიტიკოსსა და კონფლიქტოლოგს. ასევე მისი გამოყენება შესაძლებელია უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში. ამავე დროს, ნაშრომი გამოყენებული იქნება პოლიტიკის, კონფლიქტოლოგიის მიმართულებით მომუშავე სახელისუფლო

ორგანოებისა და კონფლიქტების სფეროში მოღვაწე უწყებების წარმომადგენლების მიერ. ამასთან ერთად, ნაშრომი იქნება ერთგვარი გზამკვლევი ქართული მასმედიის, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული საშუალებებში მოღვაწე ჟურნალისტებისა და ანალიტიკოსებისთვისაც, რომლებიც აშუქებენ მულტიეთნიკურ და მულტიკულტურულ მოვლენებს. ამას გარდა, კვლევის შედეგად შემუშავებული იქნება სპეციალური სახის რეკომენდაციები სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებისთვის და წარმოჩენილი იქნება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კონფლიქტის ყველა მონაწილე აქტორის როლი და ჩართულობა პოლიტიკის ყველა დონეზე კონფლიქტის მოგვარების პროცესში.

თემის დამუშავების მდგომარეობა. ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების ანალიზისას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩვენი ამოცანის კომპლექსური გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ დისციპლინათაშორისი კვლევის ბაზაზე. გამოყენებული ლიტერატურა კი შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დავყოთ:

წყაროთა პირველ ჯგუფში შედის სამეცნიერო ნაშრომები პოლიტიკის მეცნიერებაში, გეოპოლიტიკაში, კონფლიქტოლოგიაში, რეგიონმცოდნეობაში და სხვ. დისერტაციაში გამოყენებულია ეთნო-პოლიტიკური თემატიკაზე არსებული დისერტაციები და ავტორეფერატები.

განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ XX და XXI საუკუნეების კვლევებს. ამ პერიოდიდან ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები სამეცნიერო ანალიზის დამოუკიდებელ საგნად იქცა. მათ შორის აღსანიშნავია რ. დარენდორფის, მ. ბერტონის, კ. დოიჩის, ი. ზარტმანის დ.

ქემფბელის, რ. ლევაინის, რ. სეგალის, ჰ. სეტონ-უოტსონის, ს. ენლოუს, დ. ლეიკის, დ. როდშილდის, ლ. მიტჩელის, რ. ასმუსის, თ. გოლცის, თ. დე ვაალის და სხვ. შრომები, რომლებშიც ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების კვლევა ერთ-ერთ ძირითად ადგილს იკავებს.

წყაროთა მეორე ჯგუფში შედის ადგილობრივი და საერთაშორისო სააგენტოების ინფორმაციები და ინტერნეტრესურსები - წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი და საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალები და პერიოდული გამოცემების ინტერნეტვერსიები.

გარდა ამისა, დისერტაციაში გამოყენებულია სტოკჰოლმის მსოფლიო პრობლემების კვლევის საერთაშორისო უნივერსიტეტის (SIPRI) , აგრეთვე ვაშინგტონის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მონაცემები, რომლებიც ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების შესწავლით არიან დაკავებული, ატარებენ შედარებით ანალიზს და გვთავაზობენ პრევენციული ზომების გატარებას კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად. მათ მიერ მომზადებული კრებულები იძლევა საშუალებას მოპოვებულ იქნას სანდო წყაროები და გაკეთდეს არგუმენტირებული თეორიული დასკვნები.

თანამედროვე ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების ანალიზისა და მონიტორინგისთვის გამოყენებულ იქნა აგრეთვე Cascon-ის მონაცემთა ბაზა, რომელიც შემუშავებულია დასავლური კონფლიქტოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ავტორიტეტული წარმომადგენლის ლინკოლნ ბლიუმფილდის მიერ.

წყაროთა მესამე ჯგუფს შეადგენს ამ სფეროში ქართველ ავტორთა - ჯ. გახოკიძის, ს.მიდელაშვილის, დ. პიპინაშვილის, ზ. ცოტნიაშვილის, თ. კიკნაძის, ვ. მაისაიას, გ. ხოჯევანიშვილის, ი. კვესელავას, დ. შველიძის, მ. ვახტანგიშვილის, ვ. შუბითიძის, ე. გვენეტაძის, ნ. კირთაძის, თ. ნადარეიშვილის, ნ. გამისონიას, დ. პერტაიას, დ. კოკუას,. თ. მიბჩუანის, გ.

მამუკელაშვილის, ა. ბაქრაძის, ქ. ჯიჯეიშვილის, შ. მალაშხიას და სხვ. მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნარომები.

გამოყენებულ წყაროთა ბაზას შეადგენს აგრეთვე საქართველოს, ევროკავშირის და სხვა ქვეყნების ოფიციალური დოკუმენტები, კოლექტიური უსაფრთხოების კონცეფციები, გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური დოკუმენტები, მათ შორის საერთაშორისო კონფერენციების მასალები და გადაწყვეტილებები, სახელმწიფოთა მეთაურების გამოსვლების და პრეს-კონფერენციების ტექსტები (პრეს-რელიზები, გამოსვლები, განცხადებები და სხვ).

თავი I. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის არსი და მათი გამომწვევი მოზეზები

ეთნიკური კონფლიქტების საფუძველი ეთნიკურ ჯგუფებს შორის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მათი ურთიერთობების პროცესში წარმოიქმნილი პრობლემები და წინააღმდეგობებია,

ეთნიკური პრობლემების უმრავლესობა სოციო-კულტურულ ხასიათს ატარებს. მაგ. განსხვავებული ენა, რელიგია, ტრადიციები, ჩვევები, ეროვნული სიმბოლოები, ქცევითი და აზროვნებითი ნორმები, სტერეოტიპები და სხვ. განასხვავებს. ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან რომელიმე შეიძლება კონფლიქტის მიზეზი გახდეს. ამიტომაც კონფლიქტებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეთნიკური კონფლიქტი გულისხმობს დაპირისპირებას ისეთ თემებს შორის, რომლებიც ფიქრობენ, რომ ერთმანეთისაგან განსხვავებული მემკვიდრეობა აქვთ. ასეთი დაპირისპირების საგანი თემებს შორის ძალაუფლების გადანაწილებაა. იდეოლოგიური ფაქტორით გამოწვეულ სამოქალაქო ომის დროს, დაპირისპირება ერთი და იმავე თემის წარმომადგენელ ჯგუფებს შორის იმის თაობაზეა, თუ როგორ უნდა იმართებოდეს ეს თემი. უმთავრესი განსხვავება ცალკეულ ინდივიდთა ლოიალურობის ხარისხშია, რომელიც საკმაოდ ცვალებადია იდეოლოგიური კონფლიქტის დროს, მაგრამ სრულიად ხისტია ეთნიკურ ნიადაგზე გაღვივებული ომის დროს.

ეთნიკური კონფლიქტები მიეკუთვნება განსაკუთრებულად რთულ, ხანგრძლივ და ძნელად გადასაჭრელ კონფლიქტთა რიცხვს. როგორც

ისტორია ცხადყოფს, ბევრ პოლიეთნიკურ ქვეყანაში კონფლიქტები თავისი მასშტაბით, ხანგრძლიობითა და ინტენსიობით გაცილებით სჭარბობს სხვა სახის კონფლიქტებს.

ეთნიკური კონფლიქტი განიხილება, როგორც სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც გამოწვეულია ერთი მხრივ, ცალკეული ეთნიკური ჯგუფის ინტერესებისა და მიზნების, ხოლო მეორე მხრივ, ამ ეთნიკური ჯგუფის სახელმწიფოს და სხვა ეთნიკურ ჯგუფის ინტერესებთან შეუსაბამობაში.

როგორც წესი, ასეთი კონფლიქტების ინიციატორები ეთნიკური თემების ლიდერები არიან. მათი ინიციატივა და დაპირისპირებაზე ორიენტირება მხოლოდ უარყოფითად არ შეიძლება იქნას ინტერპრეტირებული და შეფასებული, ვინაიდან მათი სურვილი ეთნიკური ჯგუფის სტატუსის ან პოზიციის შეცვლის შესახებ, ზოგ შემთხვევაში, ამ ეთნიკური ჯგუფის ინტერესების რეალური შელახვის გამო, გამართლებულია.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ეთნოკონფლიქტებს ღრმა ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და პოლიტიკური საფუძვლები აქვს და თანამედროვეობის უმწვავეს გამოწვევას წარმოადგენს.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირებების წინაპირობას კონკრეტული გარე თუ შიდა პოლიტიკური ინტერესები წარმოადგენს, ხოლო ეკონომიკური, სოციალური, ისტორიული ფაქტორები, თუნდაც ადამიანური ემოციები ამ ინტერესებისათვის ნოყიერი ნიადაგია. ამდენად ჩვენ ვსაუბრობთ ეთნოპოლიტიკური კონფლიქტებზე, როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთ მთავარ პრობლემაზე.

აშკარად იგრძნობა ისეთი თეორიის არარსებობა, რომელიც ადეკვატურად ასახავდა ამ რთული ფენომენის არსს და სათანადო გზებს დასახავდა მის გადასაჭრელად.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტებისადმი ყურადღება განსაკუთრებით გაიზარდა ცივი ომის შემდეგ, რაც თავისთავად მათი რიცხვის მკვეთრი ზრდით იქნა განპირობებული. ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოების გამოუცდელმა, წინდაუხედავმა და ხშირ შემთხვევაში საკუთარი ამბიციებით შეპყრობილმა პოლიტიკურმა ლიდერება ვერ მოახერხეს შიდა პოლიტიკური დაპირისპირებების პროგნოზირება ან გადაჭარბუბულად შეაფასეს მათი აღკვეთის რესურსი, ცალკეულ შემთხვევებში კი თავად განაპირობეს ასეთი კონფლიქტები და ადვილად აღმოჩნდნენ გარე, დაინტერესებულ ძალაზე დამოკიდებულნი.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ანალიზისთვის საჭიროა დადგენილ იქნას რიგი ფაქტორები:

- თუ რა წინაპირობით იქნა წარმოშობილი კონფლიქტი. არსებობს ამის ობიექტური მიზეზი, ანუ არავის ნებაზე არ არის დამოკიდებული, თუ ამით რომელიმე გარეშე ძალაა დაინტერესებული? რას წარმოადგენს დაპირისპირების მაპროვოცირებელი ფაქტორი, ესაა უცხო სახელმწიფოს გეოპოლიტიკური ინტერესები, რომელიმე ექსტრემისტული რელიგიური მიმდინარეობის ინტერესები, ბიზნესკორპორაციის მისწრაფებები, ან იქნებ გარკვეული იდეით გაერთიანებული გავლენიანი ადამიანების ინტერესები? ბანალური ჭეშმარიტებაა, რომ პროცესის კონტროლის ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დროულად და სიღმისეულად მოხდება მისი საწყისი ფაზის შეფასება.

- შესაძლოა ეთნოკონფლიქტის წარმოშობის სხვა, შედარებით ბანალური მიზეზები არსებობს, მისი არსებობით და გაღვივებით უკვე შემდგომ

სარგებლობენ გარე ძალები, ანუ კონფლიქტი შემდგომ იძენს პოლიტიკურ ხასიათს.

- როგორია იმ მხარის ინტერესის მთავარი მახასიათებლები და მათი გატარების რესურსი, რომელიც ცდილობს კონფლიქტზე ნეგატიური კონტროლის განხორციელებას.

- როგორია იმ მხარის მთავარი მახასიათებლები, რომელიც ცდილობს კონფლიქტის პროცესის შეჩერებას და მშვიდობიანი მოლაპარაკებების სტრატეგიის განვითარებას.

- ვინ არიან როგორც პროცესებზე ნეგატიური გავლენის, ასევე პრობლემის მოგვარებაში დაინტერესებული მხარეების მოკავშირეები, რა კონკრეტული ინტერესი გააჩნიათ და რა რესურს ფლობენ მათი რეალიზაციისათვის.

- რამდენად გააჩნია მოგვარების მსურველ მთავარ მხარეს, მმართველ გუნდს, თვითკრიტიკის, შეცდომების გაანალიზების, სტრუქტურული და სტრატეგიული ცვლილებების განხორციელების უნარი და ამავე დროს, რამდენად მისაღებია მისი პოზიცია ოპონენტებისათვის და მათი მხარდამჭერი საზოგადოებისათვის.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორების ანალიზის გარეშე შეუძლებელია ძალთა ბალანსის სწორად გათვლა და პროცესების კონტროლის სტრატეგიის შემუშავება.

როგორც სამწუხარო პრაქტიკა გვიჩვენებს, პოლიტიკოსები, ექსპერტ-ანალიტიკოსების გათვლებს არ ითვალისწინებენ, იდეოლოგიური, ხშირად პოპულისტური მოსაზრებებით ან არსებული მოკლევადიანი გათვლებით ხელმძღვანელობენ.

თავის მხრივ, დაბალ დონეზეა ანალიტიკური ინსტიტუტები, სადაც უნდა კეთდებოდეს მსოფლიო გამოცდილების და მიმდინარე პროცესების ანალიზი, მოკლე და შორეული პერიოდის პროგნოზები, სადაც იქმნება აზრთა გაზიარების პლატფორმა, პოლიტიკური, სამეცნიერო დონის მასალა. ზოგადად, პოლიტიკური მეცნიერება მოწყვეტილია პრაქტიკულ სფეროს და მის სტრუქტურებს. შესაბამისი რესურსი (ანალიტიკა) სუსტია სახელისუფლო სტრუქტურებში, განსაკუთრებით საპროგნოზო მიმართულებით და მოქმედების სტრატეგია მეტწილად სპონტანური ხასიათისაა,

ფაქტია, რომ როდესაც ეთნო ჯგუფებთან დაკავშირებული ვითარება სამეცნიერო თვალსაზრისით, რაციონალური განსჯის მიღმა რჩება, იქვე ჩნდება არამართებული, მიკერძოებული გადაწყვეტილებების მიღების საშიშროება ან მნიშვნელოვანი გარემოებების იგნორირების წინაპირობა.

სწორედ ამ სახის ფაქტორებს აღმოვაჩენთ, თუ გავაანალიზებთ და შევადარებთ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, კერძოდ საქართველოში, მოლდოვაში, უკრაინაში, სომხეთში, აზებაიჯანში, რუსეთის ჩრდილოკავკასიის რეგიონში და სხვ, წარმოშობილ და განვითარებულ კონფლიქტებს.

სიტუაციური ფაქტორებიდან კრიზისის წინაპირობის წარმოშობაზე ყველაზე უფრო დიდი გავლენა აქვს მხარეთა მიერ ისტორიული და ტერიტორიული საკითხების ინტერპრეტაციას, რაც, ხელსაყრელ გარემოში, მყარ ნიადაგს უქმნის პოლემიკის კონფლიქტში გადაზრდას და მის შემდგომ ინტენსიფიკაციას. ამის შემდეგ მოდის სამეურნეო შინაარსის პარამეტრები: ძირითადი წარმოების განლაგების ხასიათი, მატერიალური შემოსავლის ბალანსი, კეთილდღეობის განაწილების სამართლიანობა, სხვადასხვა ჯგუფებს შორის მკვეთრი სტრატიფიკაცია და სხვ.

კონფლიქტური სიტუაციის დინამიკის მიხედვით ამ ფაქტორებს სხვადასხვა ინტენსიობა აქვთ. საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერებაში გავრცელებული აზრის თანახმად, ნებისმიერი მეტ-ნაკლებად მსხვილი შიდა პოლიტიკური კონფლიქტი, რომელშიც რამდენიმე მხარე მონაწილეობს, სამ ძირითად ფაზას გადის:

პირველი - ეს არის კონფლიქტის მიზეზების კრისტალიზაციის (ფორმალური) ფაზა, როდესაც მხარეები თავიანთ სოციალური ხასიათის და შემდგომ იდეოლოგიურ შეხედულებებს აყალიბებენ.

მეორე - კონფლიქტის განვითარების (გამწვავების) ფაზა, როდესაც მხარეები აშკარა დაპირისპირების ტაქტიკაზე გადადიან, არღვევენ დამკვიდრებულ ნორმებს და პრაქტიკას, კანონებს.

მესამე - კონფლიქტის რეალიზების (შეჯახების) ფაზა, როდესაც მხარეები იწყებენ ფიზიკურ/შეიარაღებულ დაპირისპირებას.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების (საქართველო, მოლდოვა, აზერბაიჯანი, ტაჯიკეთი) ტერიტორიაზე არსებული ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების დინამიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ კონფლიქტებს ხანგრძლივი ხასიათი აქვთ და ე.წ. სინუსოიდური რყევებით ხასიათდებიან. მათ არ ახასიათებთ „კლასიკური“ დასრულება, ანუ კანონზომიერი გადასვლა მშვიდობის დამყარების სტადიაში, რაც გულისხმობს მოლაპარაკებებს უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემების შესახებ და შემდგომ იმ ფორმალური პრობლემების გადაჭრის გზების შემუშავებას, რამაც მხარეები დაპირისპირების მწვავე ფაზამდე მიიყვანა.

ასეთი რეალობა, განპირობებულია არა სიტუაციური, არამედ სისტემური მიზეზებით, ისეთი ფაქტორით როგორიცაა ეთნიკური კონფლიქტის წარმოშობისა და განვითარების არეალში პოლიტიკური რეჟიმის და ეკონომიკის ტიპი. სისტემურ ფაქტორებს, სიტუაციურ ფაქტორებთან შედარებით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ, მიუხედავად

იმისა კონფლიქტის მონაწილეები აცნობიერებენ თუ არა ამას რაიმე რაციონალიზებული ფორმით.

არგენტინელი პოლიტოლოგი გ. ო'დენელი მიუთითებს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც სერიოზული სოციალური და ეკონომიკური პრობლემებია, აქვთ ავტორიტარიზმის მძიმე მემკვიდრეობა, არასტაბილურობის წყაროს წარმოადგენს პოლიტიკური რეჟიმი, რასაც იგი „დელეგატურ დემოკრატიას",[5] ჩვენ კი „პლებისციტურ დემოკრატიას" ვუწოდებთ.

ავტორიტარული რეჟიმებისაგან მემკვიდრეობით მიღებული საზოგადოების სისტემური კრიზისი ქმნის ექსტრემალურ სიტუაციას, რომელიც „დელეგატური" ტენდენციებისთვის ნაყოფიერი ნიადაგია. როგორც ჰ.ლინცი აღნიშნავს, საპრეზიდენტო რეჟიმების ინსტიტუციური წესრიგი, თავისი ორმაგი ლეგიტიმურობისა და არასტაბილურობის გამო, ხელს უწყობს დესტაბილიზაციის ტენდენციების გაღვივებას. გარდამავალი პერიოდის ინსტიტუციური სტრუქტურების შედარებითი ანალიზი კი იმას გვიჩვენებს, რომ ასეთ საზოგადოებებში პრეზიდენტს, პოლიტიკურ ელიტასა და მთლიანობაში მოსახლეობას შორის არსებულ ურთიერთობებს, ხელმძღვანელობის სტილს, კონფლიქტების გადაჭრის საშუალებებს, უცილობლად საზოგადოებაში ურთიერთობების გართულებისა და პოლარიზაციისკენ მივყავართ.[6]

პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობაში მულტიეთნიკური საზოგადოებები იყო, თუმცა ახალი სახელმწიფოს ფორმირების პროცესში აქცენტი გაკეთდა „ეთნოსი-ერის" კატეგორიაზე, რომელიც ამართლებდა პიროვნების უფლებების შეზღუდვას მონოეთნიკური ეროვნული სახელმწიფოს სასარგებლოდ.

ასეთი ტიპის სახელმწიფო შენდება ეთნონაციონალური კონცეფციის საფუძველზე, რომლის თანახმადაც სახელმწიფო იქმნება მოცემულ

[5] О'Доннелл. Делегативная демократия // Пределы власти М, 1994 Вып. 2—3. გვ. 52—70
[6] Линц Х. Опасности президентства // Пределы власти. გვ.. 3—25

ტერიტორიაზე მცხოვრები დომინანტი, ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი „ისტორიული“, კულტურული და ა.შ. ეთნოსის მიერ. სხვა ეთნიკური ჯგუფების არსებობა ფორმალურად აღიარებული იყო, მაგრამ ისინი განიხილებოდნენ, როგორც „სტუმრები“. მათ მიმართ „სახელმწიფო“ ეთნოსმა შეიძლება ტოლერანტული პოლიტიკა გაატაროს რიგი მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში.

აღნიშნული კონცეფცია, ღია თუ ფარული ფორმით, ხორციელდებოდა კანონმდებლობით, ადმინისტრირების პრაქტიკით და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა ინდივიდების ყოველდღიურ ცხოვრებას. ასეთი მიდგომის გამო ეს „არასახელმწიფოებრივი“ ეთნოსები თავის მხრივ, ცდილობდნენ საკუთარი სახელმწიფოებრივობის ლეგიტიმაცია მოეძებნათ და ამბიციური ლიდერების წინამძღოლობით სეპარატისტულ მოძრაობას უყრიდნენ საფუძველს, რომელიც გარეშე ძალის მიერ საკუთარ ინტერესებში გამოიყენებოდა და კონფლიქტურ სიტუაციას კიდევ უფრო ამძაფრებდა.

თანამედროვე მსოფლიოში დაახლოებით 3-5 ათასი ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს. 229 ეთნოსი მილიონზე მეტ ადამიანს ითვლის. ისინი 226 სახელმწიფოში არიან განსახლებული, რაც იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე სახელმწიფოების უმრავლესობა პოლიეთნიკური შემადგენლობისაა. პოლიეთნიკურობა განსაკუთრებით დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომლებიც ახლო წარსულში კოლონიებს წარმოადგენენ და დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ მთელი რიგი პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. მაგალითად, ინდოეთში რამდენიმე ასეული სხვადასხვა ეთნიკური ტიპის თემი ცხოვრობს, ინდონეზიაში - 150-მდე, ნიგერიაში ოფიციალურად დაახლოებით 200-დე ჯგუფია (არაოფიციალურად 600-ზე მეტი), კენიაში - 70-ზე მეტი და ა.შ.

ეთნიკურსა და ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებს ყველა კონტინენტზე ვხვდებით. ეთნიკური კონფლიქტების მკვლევარი ე. ჰენდერსონი ეთნიკურ კონფლიქტებს „სამყაროს ყველაზე უფრო დიდ

მკვლელს“ უწოდებს .[7] მკვლევარის მონაცემებით, ცივი ომის დამთავრების შემდეგ, 1993 - 1994 წლებში განვითარებულ 50 ეთნიკურ კონფლიქტს, 26 მილიონზე მეტმა დროებით გადაადგილებულმა პირმა თავს ქვეყნიდან გაქცევით უშველა.

არის სხვადასხვა ეთნოსების ერთ ერად ჩამოყალიბების პრეცედენტებიც - მაგ. ამერიკის შეერთებული შტატები (ე.წ. Melting Pot and Patchwork Quilt). ეთნოსების ძალისმიერი გაერთიანება კი, ადრე თუ გვიან, ასეთი გაერთიანებიდან მათი გასვლის სურვილსა და სწრაფვას აძლიერებს (ოსმალეთის, ავსტრო-უნგრეთის იმპერიები, საბჭოთა კავშირი).

ინტეგრაციის პროცესისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ენას. სწორედ ენის მეშვეობით არის დღევანდელი სამყარო ასეთი ჭრელი და მრავალფეროვანი. მსოფლიოში 2 ათასზე მეტი ცოცხალი ენაა. ყოველი ხალხი სწორედ ენის მეშვეობით ქმნის სამყაროს თავისეულ ხედვა, მათ მიერ შექმნილი სამყაროს აღქმის სურათი კი განსხვავებულია.

მაგრამ თუ ავიღებთ თანამედროვე ბელგიას, ის შედგება ფლამანდიელებისგან, რომელიც ერთ-ერთ გერმანული ენაზე ლაპარაკობენ და ვალონებისგან, რომელთათვისაც მშობლიური ენა ფრანგულია. ეს კი, მიუხედავად იმისა, რომ მათ თანაბარი უფლებები აქვთ, მთელ რიგ პრობლემებს ქმნის. თუმცა რელიგია მათი გამაერთიანებლის ფუნქციას ასრულებს - ორივე მათგანი კათოლიციზმის მიმდევარია.

ამდენად, როგორც ვხედავთ, ენასთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება რელიგიას. თუმცა ჩვენ ვიცით საპირისპირო მაგალითებიც. მაგ. სერბები და ხორვატები ერთიდაიმავე ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ იმის გამო, რომ სერბები მართლმადიდებლები არიან, ხოლო ხორვატები - კათოლიკეები, სხვადასხვა ხალხებად თვლიან თავს. სწორედ რელიგიურმა

[7] Conway W. Henderson. International Relations: Conflict and Cooperation at the Turn of the 21st Century;

ფაქტორმა განაპირობა ის, რომ ხორვატებს დასავლეთ ევროპისკენ აქვთ აღებული ორიენტაცია, ხოლო სერბებს - რუსეთზე.

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, აგრეთვე, ეროვნულ, ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს, რომელიც ამა თუ იმ ხალხებს თავიანთი არსებობის მანძილზე უყალიბდებათ. ამიტომ, როდესაც რომელიმე ერის იდენტობის კვლევაზე არის ლაპარაკი, ხშირად იკვლევენ ამ ერის მითებს, ლეგენდებს, ფოლკლორს, ზღაპრებს, ლიტერატურას, ისტორიულ ძეგლებსა და სხვ. ამ კვლევის შედეგად, შეიძლება მივიღოთ მონაცემები, რომელიც კონფლიქტის გაღვივებისა ან გადაჭრისთვის საკმაოდ საინტერესო მასალას წარმოადგენს.

აღსანიშნავია ისიც, რომ მრავალეთნიკური სახელმწიფოები ომის გარეშეც იშლებიან და ეთნიკური ნიშნით განცალკევდებიან. ოსმალეთის იმპერიის მიერ ბალკანეთზე კონტროლის დაკარგვას, მუსლიმების სამხრეთითა და აღმოსავლეთით გადაადგილება და ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში მცხოვრები სახვადასხვა ქრისტიანი ხალხის განცალკევება მოჰყვა. "აღმოსავლეთი ევროპა თორმეტმა მილიონმა გერმანელმა დატოვა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მილიონნახევარმა - 1950-1987 წლებში და ასევე მილიონნახევარმა 1989 წლის შემდეგ, რის შედეგადაც გერმანული დიასპორა, ფაქტობრივად, გაქრა. 1989 წლისთვის რუსეთის საზღვრებს მიღმა მცხოვრები 25 მილიონი რუსიდან სამი თუ ოთხი მილიონი 1992 წლის ბოლოსთვის რუსეთში დაბრუნდა. 1990-1993 წლებში ვოივოდინა 200 ათასმა უნგრელმა დატოვა და მათი ადგილი ყოფილი იუგოსლავიის სხვა რეგიონებიდან ჩასულმა 400 ათასმა დევნილმა დატოვა".[8]

თანამედროვე იდეოლოგია ერების თანასწორუფლებიანობის შესახებ, რომელსაც ჯერ კიდევ ვუდრო ვილსონმა ჩაუყარა საფუძველი და შემდეგ

[8] რობერტ არტი, რობერტ ჯერვისი, საერთაშორისო პოლიტიკა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011, გვ. 448;

გაეროს დოკუმენტებშიც აისახა,[9] პატარა ერებს არსებობის და განვითარების, აგრეთვე თავიანთი სახელმწიფოები შექმნის შესაძლებლობებს აძლევს. მეტიც, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების უმრავლესობის უმთავრესი პრობლემა ე.წ. ერთა თვითგამორკვევას უკავშირდება, რაც საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს.[10]

XIX საუკუნის ბოლოს მხოლოდ 60 სახელმწიფო არსებობდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა ფინეთი და პოლონეთი (ისინი რუსეთის შემადგენლობაში იყვნენ), ავსტრია, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია (ავსტრო-უნგრეთის იმპერიის დაშლის შემდეგ წარმოიქმნენ). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაინგრა კოლონიალური სისტემა და პოლიტიკურ რუკაზე 100-მდე აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ახალი ქვეყანა გაჩნდა.

1975 წლის ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის ჰელსინკის საბოლოო აქტში გაცხადებული იყო საზღვრების ურღვევობის შესახებ, მაგრამ გასული საუკუნის 90-იან წლებში ყველაფერი შეიცვალა. საბჭოთა კავშირი დაიშალა 15 დამოუკიდებელ სახელმწიფოდ; დამოუკიდებლობა მოიპოვეს იუგოსლავიაში შემავალმა ქვეყნებმაც, მშვიდობიანად გაიყარნენ ჩეხეთი და სლოვაკეთი, გაერთიანდა გერმანია. აფრიკაში ეთიოპიას გამოეყო ერითრია. ეს პროცესი დღესაც არ დამთავრებულა. დასავლეთმა აღიარა კოსოვოს დამოუკიდებლობა, ცენტრიდანული მცდელობებია შოტლანდიაში, ბასკეთში, კვებეკსა და სხვ.

თავისთავად, ეთნოპოლიტიკური ურთიერთობები ყოველთვის შეიცავს საფრთხეს; მითუმეტეს, თუ ამ ურთიერთობებში პოლიტიკური

[9] გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პარაგრაფი;

[10] ალექსიძე ლ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 1994, გვ. 43;

შეცდომებია დაშვებული, ასეთ შემთხვევაში ისინი შეიძლება სისხლიან, დამანგრეველ, უმართავ კონფლიქტებად გადაიქცეს.

სახელმწიფოები ცდილობენ გადაჭრან ეთნიკური კონფლიქტები, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ამ ეთნიკურ ჯგუფებს თანაბარი უფლებებით არ უზრუნველყოფენ. ასეთი სახელმწიფოების ძირითადი პრობლემა ისაა, რომ მათ ძირითადი ყურადღება ინტეგრაციის ადმინისტრაციულ მეთოდებზე გადააქვთ მაშინ, როდესაც დაბალია ინტეგრაციის ხარისხი, რომლის საფუძველსაც უნდა წარმოადგენდეს საერთო (გამაერთიანებელი) ღირებულებები და კულტურა. ამიტომაც საბოლოოდ იმპერიები ვერ უმკლავდებიან ეთნიკურ პრობლემებს და ვერ უზრუნველყოფენ ინტეგრაციის იმ სათანადო დონეს, რომელიც ეთნიკურ პრობლემებს მოაგვარებდა.

კონფლიქტების საბალოოდ აღმოფხვრა შეუძლებელია. სანამ სხვადასხვა ეთნოსები არსებობენ, კონფლიქტებიც გარდაუვალია, მაგრამ მთავარ ამოცანას წარმოადგენს წინააღმდეგობების გამოვლენა, ძალადობის არდაშვება და კონფლიქტის მოსაგვარებლად. ეფექტური მექანიზმების მოძებნა

1.2. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ტიპოლოგია და თანმდევი ფაქტორების კლასიფიკაცია

კონფლიქტურობის ტრაექტორია განისაზღვრება მოცემული კონფლიქტის დაძაბულობის ძირითადი ფაქტორების ერთობლიობით. სწორედ ამგვარი ფაქტორების იდენტიფიკაციის საფუძველზე, შეიძლება შემუშავებულ და დასაბუთებულ იქნას მიდგომა ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ტიპოლოგიისადმი. ამგვარი ტიპოლოგია არ უნდა იყოს ხისტი, ერთგანზომილებიანი და უნდა შეიცავდეს სიტუაციურ კომპონენტს.

ამასთან დაკავშირებით გვინდა მოვიყვანოთ ექსპერტთა მიერ შერჩეული 45 ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის შედეგად ფორმირებული ტიპოლოგიისა და მისი კლასიფიკაციის ვერსია.[11]

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის ტიპოლოგია ორიენტირებულია ისეთი კონფლიქტების იდენტიფიცირებასა და კლასიფიკაციაზე, რომლებსაც მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური კომპონენტი აქვთ. ეს არის კონფლიქტები, რომლის მიზანიც სახელმწიფოს ტერიტორიული ან ინსტიტუციური სტრუქტურის შეცვლა, მმართველობითი უფლებამოსილებისა და სოციალური განვითარების რესურსების.გადანაწილებაა. ამავდროულად, ისინი ასოცირდებიან ბრძოლასთან საზოგადოების პოლიტიკური უფლებების აღიარების, კოლექტიური იდენტობის საფუძვლების დადგენისა და განსაკუთრებული უფლებისა და სახელმწიფო ინსტიტუციების დონეზე მათი მხარდაჭერისათვის. ამ მოთხოვნებში მატერიალიზდება კონფლიქტის

[11] ექსპერტთა ჯგუფში შედიოდნენ სპეციალისტები კონკრეტული ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით, განზოგადებები გაკეთდა კონკრეტული შემთხვევების შესახებ მიმოხილვითი მასალების მომზადებისა და მათი დისკუსიების შემდეგ, კვლევითი პროექტის "ეთნიკური ურთიერთობებისა და ეთნო-სოციალური კონფლიქტების რეგულირება თანამედროვე მსოფლიოში: სამოქალაქო იდენტურობის პოტენციალი" ავტორთა ჯგუფის სემინარებზე: სამოქალაქო იდენტურობის პოტენციალი (შედარებითი პოლიტიკური ანალიზი) ", გარდა ამისა, განხილულ იქნა ექსპერტული ინტერვიუები, ღია წვდომაში არსებული საექსპერტო ცენტრების მასალები, კონფლიქტების პრევენციისა და ადრეული გაფრთხილების მონიტორინგის ქსელის მონაცემთა ნაკრებები EAWARN; და ეთნიკური დაძაბულობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები (Eurobarometer, Pew Research Centre, Ipsos).

ყველაზე უფრო აქტიური მხარის პრეტენზიები, რომლებიც ითხოვენ *de facto* არსებული პოლიტიკური *status quo-ს*, დარღვევას და საზოგადოების განვითარების რესურსების მათ სასარგებლოდ გადანაწილებას. კვლევის ავტორებმა ეთნოპოლიტიკური დაპირისპირების ტიპოლოგიის საფუძვლად აირჩიეს აქტიური მხარის - კონფლიქტის ინიციატორის მიზნები და მისწრაფებები. ეს არჩევანი გამოწვეული იყო იმითაც, რომ კონფლიქტების აქამდე არსებული კლასიფიკაციისგან განსხვავებით, (რომელიც განსაზღვრული იყო კონფლიქტით დაზარალებული საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროებით, კონფრონტაციის ობიექტებით, კონფლიქტის დონეებით და სუბიექტებით, ამ სუბიექტების მიზნებით, ძირითადი მოთხოვნებით, დინამიკის ხასიათით ან ლოკალიზაციის ხარისხით)- ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია კონფლიქტის მხარეების პოლიტიკური მიზნების მახასიათებლებზე და თავისებურებებზე. კვლევის მსვლელობისას გამოიკვეთა ასეთი კონფლიქტების სამი ძირითადი ტიპი, რომლებიც განისაზღვრა, აქტიური მხარის პოლიტიკური მისწრაფებების ხარისხობრივი ზრდით, შემდეგი თანმიმდევრობით: პოლიტიკურ-ადმინისტრაციული კონფლიქტი (პა), პოლიტიკურ-ინსტიტუციური კონფლიქტი (პი), პოლიტიკურ-ტერიტორიული კონფლიქტი (პტ).

პოლიტიკურ-ადმინისტრაციული კონფლიქტი ამ შემთხვევაში კონფლიქტური დაპირისპირება ემყარება სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტებს მის თემებს შორის რესურსების გადანაწილების სფეროში, მათ შორის ეთნო-ტერიტორიულის, აგრეთვე ამ თემების მონაწილეობის ხასიათს საერთო ეროვნული რესურსების მართვაში. ამავე დროს, ამ შემთხვევაში, არ არის საუბარი ტერიტორიულ პრეტენზიებზე ან არსებული პოლიტიკური წარმომადგენლობის და მთლიანად პოლიტიკური სისტემის პრინციპულ მიუღებლობაზე. უფრო მეტიც, მხარეებს შორის არსებობს შეთანხმება სახელმწიფოს კონსტიტუციურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ-ტერიტორიულ მოწყობასთან

დაკავშირებით. უმეტეს შემთხვევაში, ასეთი კონფლიქტი დამახასიათებელია გარკვეული ისტორიის მქონე სახელმწიფოებისთვის, სადაც ისტორიულად დამკვიდრებული თემის ან თემების, "უფლება ისტორიაზე " სახელმწიფო დონეზე ეჭვს არ იწვევს.(см. табл. 1). აქ კონფლიქტი განპირობებულია მოცემული სახელმწიფოს დადგენილ და ისტორიულად დაფიქსირებულ ტერიტორიაზე რამდენიმე ეთნიკური ჯგუფის ან თემის თანაცხოვრებით, მათ შორის, ვინც იდენტიფიცირებას ახდენს თანამემამულეობის პრინციპის საფუძველზე, ე.ი. როგორც არა ეთნიკური პროტონაცია. მას საფუძვლად უდევს ბრძოლა რესურსების გადანაწილების სახელმწიფო პოლიტიკაში პრეფერენციებისთვის, ინვესტიციებისა და საგადასახადო პოლიტიკის შეცვლისთვის, კულტურის, ენის, ისტორიული მეხსიერების, მიგრანტთა ინტეგრაციის, თემთა და რელიგითაშორისი ურთიერთობების მოწესრიგების პოლიტიკისთვის, ეროვნული პოლიტიკის პრიორიტეტების გადასინჯვისთვის, უმცირესობათა მხარდაჭერის სასარგებლოდ და ეთნიკური იდენტობის საფუძველზე გაერთიანებული თემების სტატუსის და განსაკუთრებული უფლებების აღიარებისათვის და სხვ.

პოლიტიკურ-ინდსტიტუციური კონფლიქტი. ამ ტიპის კონფლიქტის მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ, მართალია, მისი მხარეები არ დაობენ სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობაზე, მაგრამ კონფლიქტის აქტიური მხარე არ არის კმაყოფილი პოლიტიკური წარმომადგენლობის ხარისხით და სახელმწიფოს პოლიტიკურ-ინსტიტუციური მანქანის ფუნქციონირებით. პოლიტიკური ბრძოლის დღის წესრიგში დგება სახელმწიფოს კონსტიტუციური და სამართლებრივი სისტემის შეცვლის, ავტონომიის, ფედერალიზაციისა და "ხელისუფლებაში მონაწილეობის"(*power sharing*) სხვა ფორმების საკითხი. კონფლიქტის განვითარებამ, როდესაც ინსტიტუციური ტრანსფორმაციის პოლიტიკური და სამართლებრივი მექანიზმები არ მუშაობს, შეიძლება გამოიწვიოს მისი ტიპის შეცვლა, - პოლიტიკურ-ინსტიტუციური კონფლიქტის პოლიტიკურ-

ტერიტორიული კონფლიქტში გადაზრდა. აღსანიშნავია, რომ შერჩეულ შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში ამ ტიპის კონფლიქტი დამახასიათებელია იმ ქვეყნებისა და რეგიონებისათვის (იხ. ცხრილი 1), სადაც თანამედროვე ეროვნულ-ტერიტორიული სტრუქტურა ადგილობრივ თემებს თავს მოახვიეს, ამ ტერიტორიაზე ისტორიულად დამკვიდრებული სახელმწიფოებრიობის და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების.რეალური ხასიათის გათვალისწინების გარეშე. კერძოდ, ეს არის ქვეყნები, რომლებიც დიდი იმპერიის ნანგრევებზე გაჩნდა, მაგ., იუგოსლავიის დაშლის დროს კონფლიქტის მრავალი კერა წარმოიშვა, კვებეკი - შეიქმნა ბრიტანეთის იმპერიის დაშლის შედეგად და სხვ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ტიპის კონფლიქტი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც სახელმწიფოებრიობის საფუძველზე ჩამოყალიბებული კონსტიტუციური მოწყობა უგულებელყოფს ან არასაკმარისად ასახავსკონსტიტუციურ ჩარჩოებში წარმოქმნილი ერის ფუნდამენტურ სოციალურ და ეთნოკულტურულ უფლებებს და ამით სისტემატურად იწვევს და აძლიერებს საზოგადოებაში არსებული ეთნოსთაშორისი წინააღმდეგობების პოლიტიზებას.

პოლიტიკურ-ტერიტორიული კონფლიქტი. ეს არის ყველაზე უფრო დრამატული ხასიათის კონფლიქტი, რომლის დროსაც მხარეებს შორის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უთანხმოებები ახდენენ ტერიტორიული ცვლილებების აუცილებლობის აქტუალიზებას, თუ ამას კონფლიქტის ერთი მხარე მაინც ითხოვს. პოლიტიკური მობილიზაციის შედეგად მიღებული იმპულსები ქმნის ალტერნატიული სახელმწიფოებრიობის პროტოსტრუქტურებს (სეცესიის ან ირედენტიზმის პირობითი სცენარის ფარგლებში). ესკალაცია ასეთ დაპირისპისპირებებს საერთაშორისო ხასიათს სძენს. მეოცე საუკუნეში. ოფიციალური საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმის კონტექსტში, რომელიც აერთიანებს ეროვნულ-ტერიტორიული სახელმწიფოების საზოგადოებას, ასეთი ალტერნატივა, რომელიც ფაქტობრივად ეწინააღმდეგება არსებულ

მსოფლიო წესრიგს, ძირითადად ეთნოეროვნული კონსოლიდაციის რესურსებს უნდა დაეყრდნოს. ბოლო ათწლეულების განმავლობაში შეინიშნება ფუნდამენტური გადახრები ამ ტენდენციიდან. ეს პროცესები კი მოითხოვს სერიოზულ დამატებით კვლევას და ანალიზს: ამის დასტურია ზოგიერთი პოსტსაბჭოთა პოლიტიკურ-ტერიტორიული ხასიათის კონფლიქტი, სადაც დაპირისპირებაში რუსეთი მონაწილეობს, ასევე დასავლეთ ევროპაში შექმნილი კაზუსები, მაგალითად, შოტლანდიის ან კატალონიის ე.წ. ახალი ნაციონალიზმი სახით.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტურობის გამოვლენისათვის მრავალფეროვნება და დინამიურობაა დამახასიათებელი, მაგრამ ჩვენ იმ ძირითად მახასიათებლებს, გამოვყოფთ, რომლებიც ექსპერტების შეფასებით ყველაზე მნიშვნელოვანია. კონფლიქტის გამომწვევი ფაქტორების შერჩევისას, ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ეთნიკური თვითშეგნების ისეთ განსაკუთრებულ მგრძნობიარე სფეროებს, როგორიცაა ამ ეთნიკური ჯგუფის ენა, კულტურა, რელიგია, მისი ისტორიული მეხსიერება, ცხოვრების ტრადიციული წესი და ა.შ. სწორედ ამ სფეროებში არსებულმა სიტუაციამ შეიძლება განაპირობოს კონფლიქტის ხასიათი და დინამიკა. შეიძლება გამოვყოთ რიგი შემდეგი ფაქტორები:

- ისტორიული მეხსიერების;

- ეკონომიკური განვითარების დისპროპორცია და მკაფიოდ გამოხატული სოციალური დისბალანსი;

- კულტურულ-ლინგვისტური;

- ეთნოსთაშორისი (თემთაშორისი, კლანთაშორისი) წინააღმდეგობები;

- რელიგიური (კონფესიათაშორისი) წინააღმდეგობები;

- საგარეო პოლიტიკური

კონკრეტული შემთხვევების, განსაკუთრებით მათი დინამიკის ანალიზისას, გასათვალისწინებელია სხვა ფაქტორებიც, რომელთა მნიშვნელობას აძლიერებს ის ფაქტი, რომ ისინი ხშირად ვლინდება საერთაშორისო პოლიტიკურ დონეზე, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გლობალურ პოლიტიკურ დღის წესრიგზე.

ისტორიული მეხსიერების ფაქტორი. ამ ფაქტორის რეალიზაცია თანამედროვე ინფორმაციული ომების ეპოქაში შემთხვევითი არ არის. ისტორიული მეხსიერება ხალხის სამოქალაქო და პოლიტიკურ-იდეოლოგიური ქცევითი მოტივაციის ძირითად ელემენტად რჩება და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში პატრიოტულ განცდასთან და პიროვნების თვითიდენტიფიკაციასთან ასოცირდება. ადამიანი, როგორც დიდი სოციუმის ნაწილი და პასუხისმგებლობით აღჭურვილი ინდივიდი, მუდმივად არის ორიენტირებული საკუთარი ქვეყნის შესახებ ისტორიული შეხედულებებზე, მისი გარემოს და მთლიანად სამყაროს აღქმის სტერეოტიპებზე. ამასთან, თანამედროვე პირობებში ისტორიული მეხსიერება სულ უფრო ხშირად გვევლინება ისეთ ფაქტორად, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კონფლიქტის დინამიკას. სწორედ ეროვნული და მსოფლიო ისტორიის მიზანმიმართული რეკონსტრუქცია და საზოგადოების ისტორიული მეხსიერების პოლიტიკური მიზნით გამოყენება (მათ შორის სიმბოლური პოლიტიკის საშუალებების აქტიური გამოყენებით), ნაციონალური აღმშენებლობის ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცა. ამისათვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის ბოლო ათწლეულების ტენდენციები (განსაკუთრებით ევროპაში სოციალისტური ბლოკის დაშლის შედეგები), როდესაც იმ ხალხებმა შეიძინა სახელმწიფო სუბიექტურობა, რომელებსაც არ ქონდათ საშუალება იმპერიული მეტროპოლიების მიერ შექმნილი და გავრცელებული ისტორია ეჭვქვეშ დაეყენებინათ და მოეხდინათ მისი რევიზია. (რეჩპოსოლიტა, ავსტრო-უნგრეთი, გერმანია და რუსეთის იმპერიები). ისტორიული მეხსიერების პოლიტიზირება, განსაკუთრებით, საზოგადოების მიერ გამოცდილი

კოლექტიური ტრავმის გამოცდილების სპეკულაციური გამოყენებით, საზოგადოების ისტორიული ცნობიერებისათვის დიდ რისკებთან არის დაკავშირებული. უფრო მეტიც, ეს ფაქტორი, როგორც ჩანს, ერთ-ერთი ყველაზე უფრო კრიტიკულია სუვერენული ეროვნულ-ტერიტორიული სახელმწიფოების სისტემაზე დაფუძნებული მსოფლიო წესრიგის პერსპექტივის თვალსაზრისით, რომლის ხელშეუხებლობა და ლეგიტიმურობა ბოლო დრომდე უზრუნველყოფილი იყო გარანტი დიდი სახელმწიფოების შეთანხმებით ისტორიული მეხსიერების თაობაზე. როგორც ჩანს, ისტორიული მეხსიერების ურყევი პრინციპების საკითხებზე მანამდე არსებული კონსენსუსზე უარის თქმა, ყოფილი მსოფლიო წესრიგის კრიზისის აშკარა სიმპტომია. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის მხარეები, რომლებიც ამ საკითხზე უკომპრომისო პოზიციებზე დგანან, როგორც წესი, მკვეთრად ამაღლებენ დაპირისპირების ხარისხს და, უფრო მეტიც, მასში წამყვან გლობალურ მოთამაშეებს რთავენ. ამით ისტორიული მეხსიერების ბევრ მტკივნეულ საკითხზე მხარეებს შორის არსებული კონსენსუსი ირყევა. შედეგად, მსოფლიო რუკაზე ჩნდება ახალი დაძაბულობის წერტილები და გეოპოლიტიკური დაპირისპირების ახალი კერები.

ეკონომიკური განვითარების დისბალანსის ფაქტორი და მკაფიოდ გამოხატული სოციალური დისბალანსი. ეს ფაქტორი გამოწვეულია კონფლიქტის მხარეების ეკონომიკური ინტერესების დაპირისპირებით. მხარეთა ბრძოლა პოლიტიკურ ხასიათს ატარებს, მაგრამ ეკონომიკური ჩამორჩენილობისა და სოციალური პრობლემების ასახსნელად ისინი ეთნიკურ მოტივაციას მიმართავენ და კონფლიქტის მთავარ მიზეზად წარმოაჩენენ. ხშირად, თუმცა ასეთი ჩამორჩენა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ეთნიკური უმცირესობების მიმართ სოციალური და პოლიტიკური დისკრიმინაციის შედეგია. წარსული დისკრიმინაციის გამოძახილი კი გავლენას ახდენს ერი-სახელმწიფოს შემადგენლობაში არსებულ ეროვნულ-ტერიტორიულ ერთეულთა განვითარების დონეზე. ასეთი დისბალანსის დასაძლევად, დემოკრატიული რეჟიმი

უზრუნველყოფს პოლიტიკური რეგულირებისა და ეკონომიკური გადანაწილების მექანიზმებით ძალაუფლების ინსტიტუტების მიზანმიმართულ ძალისხმევას. (მაგალითად, ჩრდილოეთ ირლანდიის შემთხვევაში). თუ სახელმწიფოს არ აქვს საკმარისი რესურსი ამგვარი პოლიტიკის განსახორციელებლად ან ამისთვის არ არსებობს პოლიტიკური ნება, ძალები, რომლებიც აპელირებენ სოციალურ დისკრიმინაციასა და ეკონომიკურ უთანასწორობაზე, ხშირ შემთხვევაში, მოგებულები რჩებიან. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ასე თუ ისე დაფუძნებულია მოსახლეობის უმრავლესობისაგან თემების ავტოქტონურ კულტურულ განსხვავებულობაზე, (ბელგია, კანადა, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი და ა.შ.), ეკონომიკური დისბალანსი დღეს საპირისპირო შედეგს განაპირობებს: ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალი დონე ასტიმულირებს ავტონომიურ და სეპარატისტულ განწყობებს. ამ "ახალი ნაციონალიზმის" ტალღა იზრდება ქვეყნებში, სადაც სამოქალაქო საზოგადოების განვითარებული ინსტიტუტები და სოციალური კეთილდღეობის შედარებით მაღალი დონეა.

კულტურულ-ლინგვისტური ფაქტორი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ახასიათებს კონფლიქტის სოციალური გარემოს ხარისხს, მისი ესკალაციის ან შეკავების პოტენციალს. ენა და კულტურული მახასიათებლები, რომლითაც საზოგადოება თავითიდენტიფიცირებას ახდენს, სოციალური და პოლიტიკური კონსოლიდაციის ყველაზე მნიშვნელოვან რესურსებად და მობილიზაციის საშუალებებად გვევლინება. ამავე დროს, ისინი დაპირისპირებულ მხარეებს შორის კონსენსუსის და კომპრომისის შესაძლო საფუძვლად რჩებიან. ადგილობრივი თემები სიმბოლური პოლიტიკის გამოყენების საშუალებებით წყვეტენ საკუთარი სუბიექტურობის, პოლიტიკური გავლენისა და სტატუსის შენარჩუნების პრობლემას. უნდა აღინიშნოს, რომ დღეს კონფლიქტი ენისა და კულტურის პოლიტიკის

ირგვლივ ვითარდება მათი გაერთიანებისა და სტანდარტიზაციის გლობალური პოლიტიკური მეინსტრიმის ფონზე (თუმცა, ეს პრობლემა შეიძლება ითქვას, რომ მარადიულია; საკმარისია გავიხსენოთ ბიბლიური მოთხრობა ბაბილონის გოდოლის მშენებლებზე, საზოგადოების ოცნების განხორციელების მცდელობებზე, სადაც "ერთი ენა და ერთი დიალექტი" იქნებოდა). პოლიტიკური ინჟინერიის მეთოდები და პრაქტიკა ენისა და კულტურის სფეროშიც გამოიყენება. ისინიც ხდებიან მიზანმიმართული რეკონსტრუირების ობიექტები. გრძელვადიან პერსპექტივაში ამგვარმა პრაქტიკამ შეიძლება დესტრუქციული შედეგები გამოიწვიოს საზოგადოების დიალოგისას დისიდენტებთან და კულტურულად განსხვავებულ ადამიანებთან. ამავდროულად, ეფექტურად ინსტიტუციონალიზებულ დემოკრატიებში, "მცირე კულტურების" მხარდაჭერის მცდელობები ხელს უწყობს საზოგადოების პლურალიზაციას და მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ეროვნულ კულტურულ, ენობრივ და პოლიტიკურ სივრცეში ადგილობრივი თემების კონსოლიდაციისათვის. მთლიანობაში, კითხვები კულტურული მრავალფეროვნების საზღვრებსა და იდენტობის პოლიტიკის პოტენციალთან დაკავშირებით თანამედროვე მულტიკულტურულ საზოგადოებებში კვლავ ერთ-ერთ მთავარ საკითხად რჩება.

ინტერეთნიკური (ეთნო-ტომობრივი, კლანთაშორისი) წინააღმდეგობების ფაქტორი დამახასიათებელია კონფლიქტური სიტუაციების დროს, ცუდათ მოდერნიზებული თემების მონაწილეობით, რომლებიც ცუდად არიან ინტეგრირებულნი თანამედროვე პოლიტიკურ სივრცეში. კლანურ-ტომობრივი ელიტები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ამგვარი კონფლიქტების განვითარებასა და ინტენსიფიკაციაში და მათი გადაჭრის გზების შემუშავებაში. როგორც წესი, ისინი კარგად არიან ინტეგრირებული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ელიტებში, მათ ამავე დროს აქვთ თავიანთი თანამემამულეების კონტროლის სპეციფიკური (ჩვეულებრივი წესის, ტრადიციისა და პირველყოფილი კულტურის ღირებულებების)

საიმედო არსენალი. უმეტეს შემთხვევაში, ასეთი კონფლიქტი არის კონფლიქტი ტრადიციონალისტურ ცნობიერებასა და თანამედროვე სახელმწიფოებრივი წესრიგის იმპერატივებს, კულტურულ და ქცევით ნორმებს შორის, რაც დამანგრეველია ისტორიულად ჩამოყალიბებული ინსტიტუტებისა და კულტურისთვის. ამას ამძაფრებს თავს მოხვეული ეთნო-ტომობრივი და კლანური თემების ინტერესების სპეციალური წარმომადგენლობის ინსტიტუციური ფორმატების სუსტი ადაპტაცია, და მათთვის ტრადიციული დასახლების ტერიტორიებისა და თანდართული ლანდშაფტის (რომელიც ტრადიციულად ამ ეთნოსს ქმნის) შენარჩუნების აუცილებლობასთან შეგუება. ამავე დროს, კონფლიქტურობას ერთი მხრივ, ტომებსა და კლანებს და მეორეს მხრივ, ცენტრალურ მთავრობას შორის, კიდევ უფრო ართულებს უთანხმოება თვით მოკავშირეთა ტომებსა და კლანებს შორის, განსაკუთრებით სამთავრობო კრიზისების დროს. ამ ფაქტორის მნიშვნელობა სწრაფად მცირდება ქვეყანაში დემოკრატიული რეჟიმის კონსოლიდაციის შემთხვევაში. მისი აშკარა გამოვლინებები კი პირიქით მიუთითებს მნიშვნელოვან პრობლემებზე მოდერნიზაციისა და დემოკრატიის უზრუნველყოფის პროცესში. ამის მაგალითად გამოდგება ყირგიზეთის ან მაღრიბის ქვეყნების შემთხვევები.

რელიგიური (კონფესიური) წინააღმდეგობების, რელიგიური ფუნდამენტალიზმის ფაქტორს განსაკუთრებული ადგილი უკავია ეთნიკური დაძაბულობის გამომწვევ ფაქტორებს შორის. მისი მოქმედება უკავშირდება პოლიტიკურ პროცესში ისეთი რესურსების ჩართვას, რომელიც სულაც არ არის ეთნიკური ან თუნდაც ეროვნული ხასიათის. მათ მიზანს წარმოადგენს არა იმდენად ეთნოპოლიტიკური კონფლიქტურიბის გამწვავება, რამდენადაც ცივილიზაციებსა და კულტურებს შორის დაპირისპირების პოლიტიზება, ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რელიგიურ ღირებულებებზე აპელირების გზით. ამ ფაქტორის გავლენა ეთნოპოლიტიკური კონფლიქტურობის პროცესებზე შეიძლება შეფასდეს, როგორც "არაპირდაპირი". მაგრამ ეს გავლენა

საკმარისია კონფლიქტის ემოციური დონის "ცხელ" და "მწვავე" მდგომარეობამდე ასამაღლებლად. როგორც ამას ბოლო წლების პრაქტიკა მოწმობს, რელიგიური (კონფესიური) წინააღმდეგობების ფაქტორი განსაკუთრებლ სიმწვავეს იძენს იმ კონფლიქტებში, როდესაც ერთ-ერთი მხარე მუსლიმურ თემს წარმოადგენს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიური და კონფესიური წინააღმდეგობები ხშირად გვხვდება ფუნდამენტალისტური პოლიტიზირებული ჯგუფების მთელ სოციალურ გარემოსთან დაპირისპირების ფორმაში, რადგან ეს გარემო არ იღებს "ჭეშმარიტ" დოქტრინას და არ იცავს სოციალური ქცევის "სწორ" ნორმებს.

საგარეო პოლიტიკის ფაქტორი, მათ შორის სტრატეგიული არაგანახლებადი რესურსებისთვის ბრძოლის ფაქტორი. ეთნო-ეროვნული წინააღმდეგობების პოლიტიზირება დღეს ეფექტურ საშუალებაა გლობალური პოლიტიკის ძირითადი მოთამაშეების ინტერესების რელიზებისათვის და ე.წ. პერიფერიულ ქვეყნებში პროცესებზე პოლიტიკური კონტროლის ინსტრუმენტს წარმოადგენს.

ერთ-ერთი სტრატეგია მიზნად ისახავს არაკონსოლიდირებული რეჟიმების პირობებში არსებული"სოციალური სუბსტრატის" ქაოტიზაციას და საზოგადოების გარედან მართვას არაინსტიტუციონალიზებული ჩარევის გზით. თემების ეფექტური თვითორგანიზების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის სტიმულირება და იდეოლოგიისა და ღირებულების სისტემების პოპულარიზაცია, რაც ერებს და ერი-სახელმწიფოს შემადგენლობაში მცხოვრებ ეთნოორიენტირებულ თემებს ყოფს მათი დამოკიდებულებით ისეთი ღირებულებების მიმართ როგორიცაა, თავისუფლება, დემოკრატია და ა.შ. რა თქმა უნდა, არსებობს კონფლიქტები, რომლებშიც შიდაპოლიტიკური ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ბუნებრივია ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ანალიზისას, გარეშე ფაქტორის პირველ რიგში დაყენება ალბათ, არ იქნება სწორი. ამ

თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანია არა იმდენად მსოფლიო ძალაუფლების ცენტრების გეოპოლიტიკური ინტერესების, არამედ კონკრეტულ რეგიონში კონკრეტული სოციალური გარემოს და ქვეყანაში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის იმ საფუძვლების შესწავლა, რომლებშიც გარეშე ძალების გალენის რეალიზებისათვის ნაყოფიერი ნიადაგი აღმოჩნდა. საგარეო პოლიტიკის ფაქტორი, უდავოდ, ასეთი დაპირისპირებისას ძალზედ მნიშვნელოვანი კომპონენტია, მაგრამ ამავდროულად გლობალური სტრატეგიული ინტერესებით მოტივირებული საგარეო ძალისხმევის ეფექტურობა დამოკიდებულია სოციალური გარემოს პარამეტრებზე, მისი კონფლიქტურობის დონეზე, გარეშე გავლენისადმი მგრძნობელობაზე და სტიმულირების შემთხვევაში, მოსალოდნელ რეაქციაზე. ამრიგად, კონფლიქტის ბუნებისა და ხასიათის ანალიზისას მნიშვნელოვანია იმის შესწავლაც, თუ როგორ აისახება გარეშე მოთამაშეთა ინტერესები ადგილობრივი ძალების გადანაცვლებისას ან პოლიტიკური რეჟიმების რადიკალური ცვლილებისას. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ საგარეო პოლიტიკური ფაქტორის გააქტიურება ხშირად გამოწვეულია სტრატეგიული მნიშვნელობის განახლებადი რესურსების სიმცირის წინაშე მდგომი საერთაშორისო სუბიექტების ბრძოლით გლობალური დომინირებისთვის. რა თქმა უნდა პირველ რიგში საუბარია ენერგომატარებლებზე, და არა მხოლოდ. დღის წესრიგში დგას სასმელი წყლის, ნაყოფიერი ნიადაგების, ძირითადი საკვები პროდუქტების, ზოგიერთი იშვიათი, მაგრამ თანამედროვე მაღალტექნოლოგიური წარმოებისათვის კრიტიკულად აუცილებელი ლითონების და ა.შ. დეფიციტი. გლობალური მოთამაშეების სტრატეგია მკაფიოა - დომინირების მიღწევა, რათა შემდგომში სოციალურად მნიშვნელოვანი რესურსების მონოპოლური ფლობის უპირატესობები საზოგადოებასა და მის პოლიტიკურ ინსტიტუტებზე კონტროლის მექანიზმად იქცეს. პერიფერიის მყიფე რეჟიმები სოციალური ექსპერიმენტების ხელსაყრელი ობიექტია და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის ესკალაციის მექანიზმი

მიზნების მიღწევის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ეფექტური იარაღია. მაგ., ახლო აღმოსავლეთში ნახშირწყალბადის კოლოსალური მარაგების არსებობა სტიმულს წარმოადგენდა დიდი სახელმწიფოების პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული ყოფნისა ამ რეგიონში. უკრაინის სატრანზიტო სტრატეგიული პოზიცია და სახნავ-სათესი მიწების დიდი მასივი გახდა მიმზიდველი გარე მოთამაშეებისათვის.

პოლიტიკურ-ინსტიტუციური კონფლიქტისათვის, კონფლიქტურობის აქტუალიზაციის ფაქტორების უფრო თანაბარი განაწილებაა დამახასიათებელი, რაც იწვევს პოლიტიკურ-ინსტიტუციური სტრუქტურის გადასინჯვის ინიციატივებს. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ფაქტორი. მაგალითად გამოდგება ყაზახეთში არსებული ლატენტური კონფლიქტი, რომლის ”მამოძრავებელ ძალად” ამჟამად მიძინებული ეთნიკური წინააღმდეგობები (ეთნიკური, ტომობრივი და შიდაკლანური დაპირისპირების ელემენტარული კომპონენტებით) გვევლინება. ყაზახეთის, ისევე, როგორც სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების, მთავარი პრობლემა არის პოლიტიკური სისტემის ინსტიტუტების არასრულყოფილი ფორმირება, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოების ისტორიას, ტრადიციებს, ღირებულებებს, ცივილიზაციურ და სოციალურ-კულტურულ სპეციფიკას. ყაზახეთში რადიკალური ტერორისტული დაჯგუფებების არსებობის ან შეღწევის შემთხვევაში ქვეყანას ემუქრება ეთნო-ეროვნული წინააღმდეგობების პოლიტიზირება და კონფლიქტის .ლატენტური ეტაპიდან აქტიურზე გადასვლა. პირველ პლანზე გამოდის ხელისუფლების მემკვიდრეობითობის, ყაზახეთის ხვადასხვა ჯგუფების პასუხისმგებლობის საკითხი თავიანთ მოქმედებებზე, საზოგადოების სოციოლუტურული კონსოლიდირების, ასევე სამართლებრივ-კონსტიტუციურ ჩარჩოში პოლიტიკური სისტემის და მისი ინსტიტუტების რეფორმირების საკითხები.

პოლიტიკურ-ტერიტორიული კონფლიქტისთვის ყველაზე დამახასიათებელია კონფლიქტის აქტუალიზაციის ორი ძირითადი ფაქტორი: ისტორიული მეხსიერების და საგარეო პოლიტიკის ფაქტორები. ორივე მათგანი, ხშირად კომბინირებულად და გადამწყვეტად ვლინდება იმ ქვეყნებსა და რეგიონებში, სადაც სახელმწიფოთა ტერიტორიული საზღვრები ძირითადად "გეოპოლიტიკური მოსაზრებების" გამო ჩამოყალიბდა, ავტოქტონური თემების ინტერესების გათვალისწინების გარეშე. შედეგად, ახალი ტერიტორიული სახელმწიფოების მშენებლობაში ჩართულები აღმოჩნდნენ თემები, რომლებსაც კონფლიქტური თანაარსებობის ტრავმული გამოცდილება ქონდათ და რელიგიური, კონფესიური და სხვა სახის დაპირისპირების გამო, განახლებადი კოფლიქტების კერებს წარმოადგენენ, და გარეშე ჩარევისათვის უკიდურესად მოწყვლადები არიან. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის კონფლიქტის განვითარებაში, ზემოთ აღნიშნულ ორთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს კულტურულ-ენობრივი და რელიგიათაშორისი წინააღმდეგობის ფაქტორები. ამ შემთხვევაში ნაკლებად მნიშვნელოვანია ეკონომიკური და სოციალური დისბალანსის ფაქტორები. ამის კარგი მაგალითია მთიანი ყარაბაღის ცხელი კონფლიქტი, რომელიც კარგად აჩვენებს ამ სახის დაპირისპირებას რომელშიც მოქმედებს როგორც მხარეების ისტორიული მეხსიერების რესურსები, ასევე კულტურულ-ენობრივი და რელიგიური წინააღმდეგობების მთელი კომპლექსი; კონფლიქტი გამძაფრდა საგარეო პოლიტიკური ფაქტორის გავლენის შედეგად, მაგრამ ამასთანავე კონფლიქტის დარეგულირება ვერ განხორციელდებოდა რუსეთის და თურქეთის საგარეო პოლიტიკური და დიპლომატიური მონაწილეობის გარეშე, იმისათვის, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი არ გადაიზრდილიყო ფართომასშტაბიან რეგიონულ ომში.

ანალიზის შედეგების საფუძველზე დემოკრატიული პოლიტიკური ტრადიციის ქვეყნებში შეინიშნება პოლიტიკური და ინსტიტუციური კონფლიქტების დომინირება. მთავარი მიზეზი ის არის, რომ დღეს

იზრდება მოთხოვნა დეცენტრალიზაციასა და სხვადასხვა ფორმის ავტონომიური თვითმმართველობის განვითარებაზე. ასეთი მოთხოვნის არასაკმარისი ინსტიტუციური მხარდაჭერა ასტიმულირებს ადგილობრივი პოლიტიკური ელიტის სეპარატისტულ მისწრაფებებს, შედეგად შეიძლება გაჩნდეს პოლიტიკური და ტერიტორიული კონფლიქტის ახალი კერები. ამგვარი წინააღმდეგობების პრევენციისა და რეგულირების სტრატეგიას არა მხოლოდ უნდა ჰქონდეს სათანადო ინსტიტუციური მხარდაჭერა, არამედ ახალი ამოცანების შესაბამისად, მუდმივად უნდა განახლდეს. პრობლემას წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოების კულტურული არაერთგვაროვნება, რომელიც უცხოური კულტურული მიგრაციით არის გამოწვეული. ასეთი კონფრონტაციის მოწესრიგების პროცესში, ინტერესების დაახლოებისათვის მნიშვნელოვანია კონფლიქტში მონაწილე ყველა სუბიექტის "განვითარებაზე თანხმობა", რომელიც ემყარება ამ სუბიექტების პოლიტიკურ-ტერიტორიული მოთხოვნების პოლიტიკური რეფორმების დღის წესრიგში შეტანას და სამოქალაქო თვითორგანიზაციის სხვადასხვა ფორმის პოპულარიზაციას. ამ გზით, მობილიზაცია ეთნიკური იდენტობის გარშემო, შეიძლება თანდათანობით სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერისკენ გადაიხაროს.

პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ კონფლიქტებს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ზოგიერთი ღარიბი არადასავლური ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში, სადაც ეთნოკულტურული მრავალფეროვნების პირობებში უმრავლესობისა და ავტოქტონური უმცირესობების ცხოვრების დონეს შორის (ცხოვრების საერთო დაბალი დონის პირობებში) შესამჩნევი სხვაობა და სოციალურ-პოლიტიკური დისკრიმინაციის ფარული ან აშკარა პრაქტიკა არსებობს. ამგვარი "რისკის ჯგუფები", რომელთაც ამერიკელმა კონფლიქტოლოგმა ტედ გარიმ "რისკის ქვეშ მყოფი უმცირესობები" («*minorities at risk*») უწოდა,[12] იდენტობის მიზანმიმართული პოლიტიკის

[12] Gurr T.R. 1993. *Minorities at Risk: A Global View of Ethnopolitical Conflicts.* Washington: USIP Press. 448 p.

ობიექტებად იქცევიან. ელიტარული ჯგუფები ხელს უწყობენ მათ მოქმედებას უმცირესობათა სახელით და ეთნიკური იდენტობის საერთო საფუძვლებზე აპელირებენ. ამ თემების წევრების მიმართ "პოზიტიური დისკრიმინაციის" მოქმედების სტრატეგიამ, პოლიტიკურ რეგულაციებთან ერთად, რომელიც ითვალისწინებს მათ ჩართვას მმართველობაში, შეძლება დადებითი შედეგი გამოიღოს. მაგრამ, ისევე როგორც პოლიტიკურ-ინსტიტუციური დაპირისპირების შემთხვევაში, ამგვარი რეგულირების ეფექტურობა განისაზღვრება სოციალური სფეროს პოლიტიკაში მუდმივი "კორექტირების" შესაძლებლობით. ეკონომიკური რესურსების სიმცირისა და პოლიტიკური ნების არარსებობის შემთხვევაში, არის საფრთხე, რომ ასეთი კონფლიქტები პოლიტიკურ-ტერიტორიულ კონფლიქტებად გადაიქცეს.

თანამედროვე სამყაროში დაპირისპირების ეს ფორმა ყველაზე უფრო მეტი კონფლიქტის კერას წარმოშობს. ასეთი კონფლიქტები წარმოიშობა საზოგადოებებში, რომლებიც სახელმწიფო მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე იმყოფებიან, მაგრამ კონფლიქტი შეიძლება გაღვივდეს ისეთ სახელმწიფოებშიც, რომლებიც, ერთი შეხედვით, უკვე შემდგარ სახელმწიფოებად ითვლებიან.

პოლიტიკური და ტერიტორიული დაპირისპირების სიმრავლე თანამედროვე მსოფლიო წესრიგის სტრუქტურაში არსებულ პრობლემებზე და ცვლილებების აუცილებლობაზე მიუთითებს. ეთნიკური წარმომავლობის წინა პლანზე წამოწევას, მათ პოლიტიკური პროცესის ზედაპირზე გამოაქვთ ინტერესთა ჯგუფებს შორის არსებული წინააღმდეგობები, როდესაც კონფლიქტის აქტიური მხარე ცდილობს გადაიხედოს სახელმწიფოებრიობის არსებული ფორმები. ეჭვქვეშ დგება ერი-სახელმწიფოს ფორმა, როგორც "ჩარჩო", რომელიც სამოქალაქო ერში აერთიანებს სხვადასხვა კულტურასა და იდენტობას. პრობლემის გადასაჭრელად სამშვიდობო პროექტებში ჩართული უნდა იყოს იმ

საზოგადოებების სურვილი, რომლებიც აფიქსირებენ "სხვებისგან" განსხვავებულ იდენტობას და გათვალისწინებულ იქნას მათი უფლებები. აღნიშნული უნდა გამყარდეს სახელმწიფოს მშენებლობის პროექტების განხორციელებით. ამ კონტექსტში, არ არის აუცილებელი შენარჩუნებულ იქნას სახელმწიფოებრიობის უკვე ჩამოყალიბებული ფორმა, მაგრამ სასურველია დაპირისპირებულ პოლიტიკურ ინტერესთა კოორდინაციის მშვიდობიან ჩარჩოში მოქცევის მცდლობა. (ამის კარგი დასტურია ჩეხოსლოვაკიის დაშლის და იუგოსლავიის დაშლის საპირისპირო მაგალითი).

პოლიტიკური სუბიექტები, რომლებიც პირდაპირ იყენებენ პოლიტიზირებული ეთნიკურობის პოტენციალს, ხშირად არ შემოიფარგლებიან გარკვეული გადაწყვეტილებების ლობირებით. ისინი სახელმწიფოს ინსტიტუციური გარდაქმნის (ფედერალიზაციის / დევოლუციის ან ერთობლივი მართვის, ხელისუფლების განაწილების და ა.შ.), ხოლო კონფლიქტის რადიკალიზების შემთხვევაში, გამოყოფის ან ირედეტიზმის პროექტების ინიცირებას ახდენენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეთნიკური ნიშნის მიზანმიმართული პოლიტიზირება, როგორც წესი, ეს არის პროლოგი კონფლიქტის აქტიური მხარის პრეტენზიების - პოლიტიკური სუბიექტად აღიარების პროცესში. ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ელიტარული კოალიციის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს შესაბამისი პოლიტიკური პროექტის განხორციელებას. ამასთან, იდენტობის პოლიტიკის ორიენტირები, რომლებიც სახელმწიფოს, როგორც კონფლიქტის მოწინააღმდეგე მხარის სახელით შეიძლება განხორციელდეს, ძალიან ფართო დიაპაზონს მოიცავს, თუმცა არ უნდა მივმართოთ უკიდურესობებს, რადგან ასეთი მიდგომები კონტრპროდუქტიულია: მაგალითისათვის, ერთ შემთხვევაში ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტურობის გაღვივება, მათ შორის, სახელმწიფოს მხრიდან სოციალური დისკრიმინაციის ან შიარაღებული ძალადობის გზით, ხოლო მეორე შემთხვევაში, სახელმწიფო სამოქალაქო-პოლიტიკურ სივრცეში

ეთნიკური განსხვავებების მნიშვნელობის უარყოფა და ეთნიკური უმცირესობების მიმართ შეღავათიანი პოლიტიკის გატარების აუცილებლობაზე უარის თქმა. ასეთი გამოვლინების მაგალითები მრავალრიცხოვანია, მათ შორის პოსტსაბჭოთა სივრცეში. სწორედ ასეთი პოლიტიკა ხშირად ხდება მწვავე შიდაპოლიტიკური და სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების გამწვავების მიზეზი, რომლებიც მოქმედ ან ლატენტურ მდგომარეობაშია.

მულტიკულტურული საზოგადოებისთვის, ”მრავალფეროვნების მართვის” კონტექსტში, აქტუალურია დღის წესრიგი იდენტობის პოლიტიკის რისკებისა და შეზღუდვების, პოლიტიკური და ადმინისტრაციული ამოცანის გადასაჭრელად, მისი ფორმირების შესაძლებლობების შესახებ. ამგვარი პოლიტიკის ეფექტურობა განისაზღვრება პოლიტიკურ პროცესში სხვადასხვა სუბიექტების „იდენტობისთვის ბრძოლაში“ ჩართულობით და კონკურენციით. სახელმწიფოს კი ხშირად უხდება ბიუროკრატიული ჯგუფის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედება და თანმიმდევრულად ამ სფეროს „დემონოპოლიზება“. არსებული დემოკრატიული ინსტიტუტების არაეფექტურობამ კი შეიძლება განაპირობოს ხელისუფლებაში რადიკალური ძალების მოსვლა და პოლიტიკური რეჟიმის ევოლუცია ავტორიტარული ტენდენციების განმტკიცების მიმართულებით. ავტორიტარული რეჟიმების ფარგლებში კი ასეთი ამოცანის გადაჭრა პოლიტიკური მმართველობის სისტემური წინააღმდეგობის გამო შეუძლებელი ხდება. მცდელობები საკითხის პოლიტიკური დღის წესრიგის მიღმა გატანის შესახებ (რესურსების პოტენციალის და შეზღუდვების შესახებ) ადრე თუ გვიან ეთნიკური დაძაბულობის ზრდას გამოიწვევს.

თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში ერის, როგორც თანამედროვე სახელმწიფოებრიობის საფუძველის გაგება, დიდწილად ეწინააღმდეგება მის "კლასიკურ" ინტერპრეტაციას. შეხედულებები ერის ან სახელმწიფოს

არსებით მახასიათებლებზე ტრადიციულად ამ სფეროში მომუშავე მკვლევარებს შორის კამათის საგანია. ალბათ ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს ერი- სახელმწიფოს თანამედროვე ინტერპრეტაციაზე, რომლის საფუძველსაც ნაციონალური და სამოქალაქო სტაბილური დემოკრატიული ინსტიტუტები წარმოადგენენ. დასავლეთ ევროპის ტრადიციის შესაბამისად, პოლიტიკური ერის სხეულში, რომელიც მოქალაქეობის ინსტიტუტის საფუძველზე ჩამოყალიბდა, გამოჩნდნენ განსხვავებული კულტურული ჯგუფები - სოციალური იდენტობისა და კულტურული პრაქტიკის მატარებლები, რაც უჩვეულოა და ზოგჯერ უმრავლესობის ნორმებთან შეუთავსებელი. მეორეს მხრივ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იზრდება ამ უმცირესობების პრეტენზიები, რომელზედაც სახელმწიფო საერთო პოლიტიკური სივრცის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად, ყოველთვის ვერ ახერხებს ადეკვატური პასუხის გაცემას. უმრავლესობა, თავის მხრივ, ხმას იმაღლებს საკუთარი კულტურული დამოკიდებულების დასაცავად, რადიკალური პოლიტიკური ძალები კი ამ უკმაყოფილებით სარგებლობენ. დღევანდელი ეთნონაციონალური ურთიერთობების ყველაზე უფრო მწვავე პრობლემების კომპლექსი წარმოიქმნება სხვადასხვა კულტურის, აღმსარებლობის, იდენტობის წარმომადგენელთა რთული ურთიერთქმედების შედეგად. ეს ურთიერთქმედება ხდება როგორც პოლიტიკურ-ინსტიტუციონალურ, ისე პიროვნულ დონეზე. თვითგამორკვევის ეთნიკური ფაქტორის დომინირება გლობალიზმის შემოტევის ფონზე კიდევ უფრო ამცირებს სახელმწიფოების საზოგადოებების კონსოლიდაციის პოტენციალს. ეთნიკურობის პოლიტიკური მობილიზაცია აუფერულებს საერთო კულტურული ორინტირებით გაერთიანებულ საზოგადოების ერთიანობას. საჯარო სფეროში სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა ეჯახება სხვა სუბიექტების ალტერნატიულ მიდგომებს. კულტურული ნორმით განსაზღვრული ჯგუფური კუთვნილება ეწინააღმდეგება ადამიანის

უფლებებისა და თავისუფლებების პრინციპებს, რომლებსაც ემყარება თანამედროვე ლიბერალური დემოკრატია. მაგრამ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლების სოციალიზაციის ინდივიდუალური სტრატეგიები, რომლებიც ევროკავშირის ოფიციალური დოკუმენტების დონეზეა შემოთავაზებულია და დღეს კულტურათშორისი დიალოგის კონტექსტში მიღებული მოდელი (”ინტერკულტურალიზმი”), შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან.

პოლიტიკა უნდა იყოს ორიენტირებული კონკრეტული ჯგუფების საჭიროებებზე, სხვადასხვა კულტურის მატარებელთა ჩართვაზე საერთო კულტურულ გარემოში (*societal culture*) და არ უნდა იქნეს აღქმული როგორც ლიბერალური დემოკრატიის აბსტრაქტული პრინციპი.[13] ამას განსაკუთრებით ხაზს უსვამენ "აქტიური მოქალაქეობის" მოდელის თეორეტიკოსები. ასეთი მოდელის ელემენტები დანერგილია დიდი ბრიტანეთის, კანადის, დანიის, ჰოლანდიის, ფინეთის და რიგ სხვა ქვეყნების განათლების სისტემაში. ”აქტიური მოქალაქეობა” გულისხმობს ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო ურთიერთქმედების პრაქტიკაში მოხალისეობრივი სოციალური ინიციატივების, საქველმოქმედო საქმიანობის, კულტურული ღონისძიებების და სოციალიზაციის სხვა ფორმების საზოგადოებრივ სივრცეში ჩართვას. ამგვარი სოციალიზაციის მექანიზმები მიზნობრივი ინიციატივებია, რომლებიც მოითხოვს არა მხოლოდ დიდ ხარჯებს (შემთხვევითი არ არის, რომ სოციალური მუშაკის პროფესია ხდება ერთ – ერთი ყველაზე მოთხოვნადი), არამედ, რაც მთავარია, მონაწილეთა მოტივაციას.

"აქტიური მოქალაქეობის" მოდელის დამკვიდრება შესაძლებელია საზოგადოების პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციის კორექტირებით, მაგალითად, ამას ითვალისწინებს "კონსტიტუციური პატრიოტიზმი" - იურგენ ჰაბერმასის ცნობილი კონცეფცია, რომელიც

[13] Kymlicka W. 1995. *Multicultural Citizenship. A Liberal Theory of Minority Rights.* Oxford: Clarendon Press. 296 p. DOI: http://dx.doi.org/10.1093/0198290918.001.0001

როგორც ინსტიტუტების, ისე პოლიტიკური იდენტობის გარდაქმნას გულისხმობს.[14] ამასთანავე, ასეთი ტრანსფორმაციის ტრაექტორიები სულაც არ არის წინასწარ განსაზღვრული. კულტურული ხარვეზების გამოსწორება საჯარო პოლიტიკის საშუალებით (სოციალიზაციის ინსტიტუტების საშუალებით და "პატარ-პატარა საქმეების" პრაქტიკით) იძლევა, მართალია, ხელშესახებ, მაგრამ შეზღუდულ შედეგებს. თუ საუბარია კონფლიქტების კულტურულ ხასიათზე, მაშინ მათი მიზეზები "არ უნდა ვეძიოთ საზოგადოების განვითარების განსხვავებული ვექტორების არსებობაში. პირველ რიგში პრობლემა მთელი საზოგადოების კულტურის ნაკლებობაში, ღირებულების შესახებ დიალოგის არასაკმარის განვითარებაში დეზორგანიზაციის საფრთხეების თავიდან აცილების გზების პოვნის არასაკმარის უნარში, კატასტროფების, სხვადასხვა პროცესების სპეციფიკური ღირებულებების სასიცოცხლო დამკვიდრების სინთეზში მდგომარეობს. [15] სინამდვილეში, საუბარია ინკლუზიური იდენტობის ფორმირებაზე, დიალოგისთვის ღია და "სხვა" გამოცდილების შესახებ, სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტების ურთიერთქმედებებში მოქალაქეთა მაქსიმალურად ფართო მონაწილეობაზე. მაგრამ მოქალაქეობა არ შემოიფარგლება მხოლოდ პოლიტიკური ან სოციალური აქტივობით (და მისი სიტყვიერად გამოხატული პოტენციალით). მისი ემოციურ შინაარსი განისაზღვრება კულტურული, მათ შორის ეთნიკური კონტექსტით. სამოქალაქო იდენტობის ფორმირება მოიცავს კულტურულ თვითიდენტიფიცირებას და აერთიანებს ეთნიკურ კომპონენტებს, რომლებიც შეიძლება გახდეს ”სხვების” მობილიზაციის წინააღმდეგ მიმართული პოზიტიური, სოლიდარული და ნეგატიური რესურსი. ასეთი ინტეგრაციის საბოლოო ვექტორი განისაზღვრება მოქალაქეთა და სამოქალაქო საზოგადოების პოზიციით. "განსაკუთრებული განცდის"

[14] Habermas J. 2001. The Post-National Constellation and the Future of Democracy. – Habermas J. *The Post-National Constellation: Political Essays (ed. by M. Pensky*). Cambridge MA: MIT Press. P. 58–112.
[15] Ахиезер А.С. 2001. Архаизация в обществе как методологическая проблема. – *Общественные науки и современность.* № 2. С. 89–100. С. 100.

წყარო, რომელმაც შეუძლია ხელი შეუწყოს სამოქალაქო თანხმობას, არის საზოგადოების წევრების ორიენტაცია სოციალურ და კულტურულ განვითარებასზე, როგორც საყოველთაოდ მნიშვნელოვან, გამაერთიანებელ ღირებულებაზე. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების შესწავლა, პროგნოზირება და მისი რეგულირების მოდელების შემუშავება ემყარება "საშუალო დონის" თეორიის შესაძლებლობებს[16], ემპირიული მასალის ფართო სპექტრის ანალიზსა და თეორიულ განზოგადებას. კვლავ აქტუალურად რჩება ისეთი თეორის შემუშავება, რომელიც გამოვლენილ ტენდენციებს სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნების სისტემური ანალიზის კონტექსტში მოერგება. მაგრამ ამ დონის განზოგადებული თეორიის შემუშავება საკმაოდ რთულია, რადგანაც მსოფლიო წესრიგის სტრუქტურაში მიმდინარე სწრაფი ცვლილებები მოითხოვს თანამედროვე განვითარების ალტერნატივების სერიოზულ გააზრებას და განხილვას. ასეთ სამეცნიერო პარადიგმაზე გადასვლა გართულებულია ეთნოპოლიტიკური კონფლიქტურობის ფენომენის სირთულით და ცვალებადობით, აგრეთვე სამეცნიერო დისკურსის წინააღმდეგობრივი ხასიათით. პოლიტიკურ-ინსტიტუციური და სამოტივაციო კომპონენტების, ღირებულებების, ინტერესების სინთეზის საჭიროება და მათი ასახვა ეთნიკურ იდენტობაში, იწვევს ისეთი ადეკვატური კატეგორიული აპარატისა და პოლიტიკური კვლევის მეთოდების შემუშავების აუცილებლობას, რომლებიც ცვალებად პოლიტიკურ რეალობას პასუხობენ. ასეთ კვლევებში სულ უფრო თვალსაჩინო ადგილი უკავია სუბიექტურ მდგენელს.

ამ პრობლემის გადასაჭრელად მნიშვნელოვანია ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის პოტენციალის შეფასების ანალიტიკური მოდელის შემუშავება. ასეთი მოდელი ეფუძნება კონფლიქტური დაპირისპირების კლასიფიკაციას, მათი რეგულირების პრაქტიკას და მათი ეფექტურობის შეფასებას. არსებული ანალიტიკური მიდგომების შედეგების მიმოხილვის,

[16] Merton R. K. 1968. *Social Theory and Social Structure*. New York: Free Press. 702 p.

საინფორმაციო მასალის, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების პრობლემების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის და ამ კვლევის პროექტის განხორციელების დროს მიღებული ექსპერტების შეფასების საფუძველზე შემუშავდა ანალიტიკური მოდელი. ის მოიცავს:

– ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის ცნების კონცეპტუალიზაციას;

- მსოფლიოს ქვეყნებსა და რეგიონებში კონფლიქტის რეპრეზენტატული მაგალითების საექსპერტო შერჩევას;

- დაპირისპირებული მხარეების გამოვლენას;

- კონფლიქტურობის ფაქტორების შეფასებას;

დაპირისპირების ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასება;

- დაპირისპირების ტიპოლოგიზაციას შემუშავებული კლასიფიკაციის შესაბამისად;

- დარეგულირენის პრაქტიკის ანალიზს და კლასიფიკაციას იდენტობის პოლიტიკის კონტექსტში;

- მათი ეფექტურობის შეფასებას არსებული მდგომარეობისა და რეგულირების პერსპექტივების შეფასებებთან კორელაციაში.

- ეთნიკური დაძაბულობის დარეგულირებისა და სამოქალაქო თანხმობის შენარჩუნების რეკომენდაციების შემუშავებას, რომლებიც მნიშვნელოვანია საქართველოს თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტისთვის.

აღნიშნული მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა მსოფლიო რუკაზე აისახოს ეთნიკური დაძაბულობის კერები, მათი დახასიათება ტიპების, ფაქტორების, მხარეების და კონფლიქტის ამჟამინდელი მდგომარეობის მიხედვით.

1.3. პოლიტიკური სოციალიზაციის და პოლიტიკური კულტურის როლი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების კვლევებში და მეთოდოლოგიური შეზღუდვები

სისტემური ცვლილებებისას საზოგადოების მხარდაჭერამ შეიძლება გაამარტივოს ქვეყნის წინაშე მდგომი პრობლემების გადაჭრა. თუ ასეთი მხარდაჭერა არ არსებობს, მათი გადაჭრა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. იმისთვის, რომ გავიგოთ ამა თუ იმ ერის ქცევის მოტივაცია მოცემულ მომენტსა და მომავალში, საჭიროა გავაანალიზით პოლიტიკაში დამკვიდრებული საზოგადოებრივი ურთიერთობები და მათი როლი პოლიტიკურ სისტემაში, ანუ რასაც პოლიტიკის მეცნიერებაში ეროვნულ პოლიტიკურ კულტურას უწოდებენ.

პოლიტიკური კულტურა რათქმა უნდა ვერ ხსნის ყველაფერს, რაც პოლიტიკაში ხდება. ერთიდაიგივე ღირებულებების და უნარ-ჩვევების მქონე ადამიანებიც კი სვადასხვა პრობლემების და შესაძლებლობების პირობებში სხვადასხვანაირად იქცევიან. ანალოგიურად ალბათ არასწორი იქნება ვოვარაუდოთ, რომ პოლიტიკური კულტურა მუდმივი მოცემულობაა. ახალმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებაბ შეიძლება შეცვალოს ინდივიდის შეხედულებები და ღირებულებები, რაც იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკური ცხოვრების გააზრებისას, პოლიტიკური კულტურა საკვანძო ელემენტს წარმოადგენს.

ერის პოლიტიკური კულტურა მოქალაქეების ორიენტაციის სამ დონეს მოიცავს: ა)მათი დამოკიდებულება პოლიტიკური სისტემისადმი, ბ)პოლიტიკური პროცესებისადმი, მათ შორის პოლიტიკური კურსის განსაზღვრისადმი და გ) პოლიტიკური კურსის რეალიზების შედეგებისადმი. სისტემური დონის ორიემტაციები ასახავს მოქალაქეების

და მათი ლიდერების შეხედულებებს პოლიტიკური სისტემის გამამყარებელი ღირებუბულებებისა და ორგანიზაციებისადმი. ახდენენ თუ არა მოქალაქეები თავიანთი თავის იდენტიფიცირებას სახელმწიოსთან, რომელშიც ცხოვრობენ და იღებენ და იზიარებენ თუ არა მართვის სისტემის საერთო ინსტიტუტებს? პოლიტიკური პროცესის დონის ორიენტაციაში იგულისხმება წარმოდგენები იმის შესახებ თუ როგორ უნდა განხორციელდეს პოლიტიკა, აგრეთვე მოქალაქეების დამოკიდებულება პოლიტიკური პროცესებისადმი. პოლიტიკური კურსის დონის ორიენტაცია ეხება იმას, თუ რას მოელის ხალხი და მისი ლოდერები ხელისუფლების მიერ განხორციელებული პოლიტიკური კურსისაგან. რა მიზნების მიღწევა სურს ხელისუფლებას და როგორ უნდა იქნას მიღწეული ეს მიზნები?

სტაბილურ პოლიტიკურ სისტემებში პოლიტიკური სტრუქტურები და პოლიტიკური კულტურა ერთმანეთს ამყარებენ. მნიშვნელოვანია აგრეთვე კავშირი პოლიტიკურ კულტურასა და ისტორიას შორის. სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ პოლიტიკასთან და სახელისუფლო და პოლიტიკურ წესებთან მიმართებაში პოლიტიკური კულტურა შეიძლება იყოს კონსენსუსური ან კონფლიქტური. კონსენსუსურ პოლიტიკურ კულტურაში მოქალაქეებს შორის არსებობს თანხმობა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმების შესახებ, ასევე საზოგადოებაში არსებული მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრის გზების თაობაზე. კონფლიქტურ პოლიტიკურ კულტურებში მოქალაქეების შეხედულებები მკვეთრად განსხვავდება, ამასთან ეს განსხვავებები ხშირად როგორც რეჟიმის ლეგიტიმურობას, ასევე მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრას ეხება.

თუ ქვეყანაში არ არის თანხმობა პოლიტიკური თამაშის წესების შესახებ და ეს უთანხმოება დიდი ხნის განმავლობაში გრძელდება, მაშინ შეიძლება სხვადსხვა სუბკულტურები წარმოიშვას. ასეთი სუბკულტურების პირობებში ადამიანებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მაგ., საზღვრების, რეჟიმის ხასიათის,

იდეოლოგიის და ა.შ. ჩვეულებრივ სხვადსხვა სუბკულტურული ჯგუფების წარმომადგენლები სხვადასხვა პარტიებში, სხვაფასხვა ინტერესთა ჯგუფებში წევვრიანდებიან, სხვადასხვა გაზეთებს კითხულობენ, სხვადასხვა ტელეარხებს უყურებენ, სხვადასხვა სპორტულ კლუბებში დადიან და ა.შ. ამიტომაც მათი პოლიტიკური ცხოვრების სწავლების ფორმებიც განსხვავებულია.

გაუცხოება ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის საკმაოდ მწვავეა სწორედ იმის გამო, რომ ისინი სიღრმისეულ თვითაღქმას ემყარება. შუალედურ დონეზე შეინიშნება ინდივიდების პოლიტიკური ცხოვრებისა და სახელისუფლებო ინსტიტუტებისადმი შედარებით ნაკლებად ემიციურად დატვირთული განწყობები. დაბოლოს, არსებობს უფრო უშუალო მსჯელობა მიმდინარე მოვლენებზე, პოლიტიკურ კურსზე, პრობლემებზე და პერსონალიებზე. ყველა ამ სამი დონის განწყობები შეიძლება იცვლებოდეს, მაგრამ ისინი, რომელიც პირველ სამ კატეგორიას მიეკუთვნებიან, ჩვეულებრივ ყველაზე უფრო ადრეა შეძენილი, უფრო ხშირად რჩება ადამიანის გონებაში და ყველაზე უფრო მდგრადია.

პოლიტიკური ღირებულებების ჩამოყალიბების და თაობიდან თაობებზე გადაცემისთვის მეცნიერები სიციალიზაციის ცნებას იყენებენ. მოზარდების უმრავლესობა ელემენტარულ ღირებულებებს შედარებით ადრეული ასაკიდან იძენენ. მათგან ზოგიერთი მათგანი დროთა განმავლობაში ევოლუციონირებს და იცვლება, მაგრამ ზოგიერთი შეიძლება ინდივიდის პოლიტიკურ "მე"-ს ნაწილი გახდეს მთელი ცხოვრების განმავლობაში. ყოველ კონკრეტულ მომენტში ინდივიდის "მე" წარმოადგენს რიგი პოლიტიკური შეხედულებების და განწყობების კომბინაციას. უფრო სიღრმისეულ დონეზეა განთავსებული საერთო იდენტიფიკაციის და განწყობების ისეთი კატეგორიები როგორიცაა, ეროვნული თვითშეგნება, წარმოდგენები ინდივიდის ეთნიკური და კლასობრივი კუთვნილების, რელიგიური და იდეოლოგიური

შეხედულებების, საზოგადოებაში მათი ფუნდამენტური უფლებებისა და მოვალობების შესახებ.

პოლიტიკური სოციალიზაციის და სწავლების განხილვისას სამ ძირითად მომენტზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. უპირველეს ყოვლისა, სოციალიზაცია შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი. სოციალიზაცია პირდაპირია, როდესაც იგი ინფორმაციის, ღირებულებების ან შეხედულებების უშუალო გადაცემას ითვალისწინებს. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სამოქალაქო სწავლება პირდაპირი პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესია ისევე, როგორც ისეთ ქვეყნებში როგორც, მაგ., ირანსა და პაკისტანში ისლამური ფუნდამენტალისტების მიერ მოზარდების ინდოკრინაცია. კომუნისტური პოლიტიკური სისტემებიც აქტიურად იყენებდნენ ინდოკრინციულ პროგრამებს.

პოლიტიკურ სოციალიზაციას არაპირდაპირი ხასიათი აქვს მაშინ, როდესაც პოლიტიკური შეხედულებების ფორმირება არამიზანმიმართულად, საკუთარი გამოცდილების შედეგად ხდება. ასეთი პოლიტიკური სოციალიზაციის შედეგებს განსაკუთრებული როლი ადრეულ ბავშვობაში ეკისრება. მოზარდის ურთიერთობები მშობლებთან, პედაგოგებთან ან მეგობრებთან, გავლენას ახდენს მოწიფულობისას ინდივიდის დამოკიდებულებაზე პოლიტიკურ ლიდერებთან და თანამოქალაქეებთან მიმართებაში.

სოციალიზაცია ინდივიდის მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება. ოჯახის ადრეულმა გავლენამ ადამიანს შესაძლოა ჩამოუყალიბოს საბაზო ღირებულებები, თუმცა შემდგომი ცხოვრებისეული გამოცდილება- ურთიერთობები ახალ სოციალურ ჯგუფებთან, ახალი სოციალური როლები, საცხოვრებელი ადგილის ცვლილება, სოციალურ კიბეზე აღმასვლა, ან ადრეული პოზიციის დაკარგვა, ბავშვების გაჩენა, სამსხურის დაკარგვა ან ახალი სამსახურის შოვნა - ინდივიდის პოლიტიკური შეხედულებების შესაძლო ცვლილებებს იწვევს.

გამოცდილება უფრო დრამატულია მაშინ, როდესაც ადამიანი როდესაც ადამიანი სხვა ქვეყანაში მიდის ემიგრაციაში ან ომს ან დეპრესიულ მდგომარეობას გამოივლის. ამ შემთხვევაში მან შეიძლება რადიკალურად შეიცვალოს თავისი საბაზისო ღირებულებებიც კი. სავარაუდოა, რომ მსგავსი მოვლენები უველაზე უფრო ძლიერ გავლენას ახდენს იმ ახლგაზრდებზე, რომლებიც დიდი ხანია არ არის, რაც პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაერთვნენ, მაგ., მათზე, ვინც პირველად მონაწილეობს არჩენებში. თუმცა ისინი ადამიანების უმრავლესობაზე ახდენენ გავლენას. დაბოლოს, საზოგადოების მიერ მიღებულმა სოციალიზაციის მოდელმა შეიძლება მოგვცეს მისი უნიფიცირების ან გახლეჩვის შედეგი. ზოგიერთმა მოვლენამ, საერთაშორისო კონფლიქტმა, პოპულარული სახელმწიფო მოღვაწის დაკარგვამ ერზე შეიძლება თითქმის ერთნაირად იმოქმედოს. სრულიად სხვაგვარად მოქმედებს საზოგადოებაზე სუბკულტურების არსებობა, რომლებიც სოციალიზაციის განსაკუთრებულ მოდელს იყენებენ. სოციალური ჯგუფები, რომლებიც წევრებს საკუთარი გაზეთებით ამარაგებენ, საკუთარი სკოლებით უზრუნველყოფენ, ხშირად საკუთარი სუბკულტურულ წესებსაც ქმნიან. სოციალიზაციის ასეთმა მოდელმა საზოგადოების გახლეჩვაზე შეიძლება ძლიერი გავლენა იქონიოს.

ნებისმიერ საზოგადოებაში ინდივიდები პოლიტიკური სოციალიზაციის აგენტების - ინსტიტუტების და ორგანიზაციების გავლენას განიცდიან, რომლებიც პოლიტიკური ღირებულებების ფორმირებას უზრუნველყოფენ. ზოგიერთი ამ ინსტიტუტებიდან და ორგანიზაციებიდან, მაგ., სამოქალაქო სწავლების გაკვეთილები სკოლაში, მთელი რიგი საგნები უნივერსიტეტებში პოლიტიკური განათლების პირდაპირი წყაროა და სპეციალურად ამ მიზნის მიღწევას ითვალისწინებს. (მეორე თავში ჩვენ უფრო დეტალურად განვიხილავთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს განათლების სისტემას, რომელიც სოციალიზაციის და კონსენსუსური პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბების ძირითადი

საშუალებაა). მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ აგრეთვე რელიგიურ ინსტიტუციებს, ინტერესთა ჯგუფებს, მასმედიას, მეგობართა წრეს და სხვ.

ეთნიკურ კონტექსტში გამოვლენილმა კულტურულმა განსხვავებულობამ სრულიად განსხვავებული შედეგები შეიძლება მოგვცეს. უპირველეს ყოვლისა, ერის ინტეგრირების და პოლიტიკურ ორგანიზმად ჩამოყალიბების პროცესში - ეს არის პოლიეთნიკური სოციუმის განვითარების მნიშვნელოვანი რესურსი, მაგრამ ამავდროულად, შეიძლება იყოს დესტაბილიზაციის ინსტრუმენტი, დაპირისპირებისა და განხეთქილების საფუძველი, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს მთლიანობას და ეროვნულ თანხმობას.

პირველ შემთხვევაში ეს პოზიტიური პროცესია და საზოგადოებაში სხვადასხვა სოციოკულტურული ღირებულებების, მათ შორის ეთნიკური იდენტობის ადამიანებს შორის არსებული ურთიერთობების მიღებული კულტურული ნორმაა. კულტურული მრავალფეროვნების პირობებში ასეთი ურთიერთობები შეიძლება გამყარებულ იქნას მიზანმიმართული ნაბიჯებით საჯარო პოლიტიკის სფეროში და ინტეგრირებული თემის უფლებების ინსტიტუციონალიზაციის გზით. მეორე შემთხვევაში, როგორც წესი, საუბარია ეთნიკურობის მიზანმიმართულ პოლიტიზებაზე. პოლიტიკური პროცესების მონაწილეების ასეთი ქმედებები "დაჩაგრული" ჯგუფების ინტერესების დაცვის მოტივით, ეთნიკურობის დისკურსის გარშემო კონსოლიდაციას და კონკრეტული პოლიტიკური მიზნების განხორციელებას ემსახურება. შედეგად, ეთნიკურობის ნიადაგზე ყალიბდება პოლიტიკური თანამეგობრობა, რომელსაც შეუძლია გამოვიდეს დამოუკიდებელ პოლიტიკურ სუბიექტად და მატერიალური, და არამატერიალური რესურსების და სახელისუფლო უფლებამოსილების გადანაწილებისთვის იბრძოლოს. თავისი ბუნებით, რთული

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმირების ერთ-ერთი ძირთადი სისტემური ფაქტორია.[17]

როგორი ურთიერთობებიც არ უნდა იყოს ეთნოსთა შორის, ეთნიკურობა საზოგადოების წევრებისათვის სოციალური და კულტურული იდენტობის მნიშვნელოვან ორიენტირად რჩება და ლატენტური კონფლიქტური სიტუაციის დროს მნიშვნელოვნად ამაღლებს პოლიტიკური მობილიზაციის ეფექტურობას, სოციალ-პოლიტიკური ურთიერთობების ყველაზე უფრო მგრძნობიარე საკითხები ადვილად გადაიზრდება ღია დაპირირსპირებაში, თუ საზოგადოება და მისი ელიტა მზად არის სოციალური და კულტურული განსხვავებულობა ეთნიკურ კუთვნილებას დაუკავშირონ და პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენონ. ამასთან, ენოსთაშორისი დაძაბულობის წარმოშობა და შემდგომ კონფლიქტში გადაზრდის მექანიზმები ხშირად პოლიტიკური თეორიის მიღმა რჩება. მაშინაც კი, როდესაც ეს საკითხი თეორიული განსჯის საგანი ხდება, სხვადასხვა ხელოვნურად შექმნილი კონცეპტუალური კონსტრუქციები არ იძლევა ამ პროცესების რანდენადმე ამომწურავი ახსნის წარმოდგენის საშუალებას. სხვაობა ემპირიულ ანალიზსა და თეორიულ მოდელებს შორის ამის ნათელი დასტურია.

პრაქტიკულად ნებისმიერი ეთნიკური კონფლიქტი პოტენციურად შეიძლება გადაიზარდოს პოლიტიკურ კონფლიქტში, რადგანაც მისი დარეგულირებისათვის საჭიროა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება. ეთნიკური კონფლიქტების ავტორიტეტულმა თეორეტიკოსმა დონალდ გოროვიცმა, აღიარა რა, რომ მცდელობები შექმნილიყო ეთნიკური კონფლიქტების გადაჭრის უნივერსალური თეორია, წარუმატებლად დამთავრდა, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ეთნიკური კონფლიქტების

[17] *Политические изменения в глобальном мире: теоретико-методологические проблемы анализа и прогнозирования*. Редколлегия: И.С. Семененко (отв. ред.), В.В. Лапкин, В.И. Пантин. 2014. М.: ИМЭМО РАН. 218 с.; *Этносоциокультурный конфликт: новая реальность современного мира*. 2014. Под ред. Е.Ш. Гонтмахера, Н.В. Загладина, И.С. Семененко. М.: ООО «Русское слово – учебник». 280 с.

სტრუქტურული კომპონენტის ანლიზის და კონფლიქტურობის დარეგულირების მექანიზმების ძიების გზაზე. მან დაასკვნა: "ნათელია, რომ აუცილებელია თეორია, რომლის ჩარჩოშიც შესაძლებელი გახდება სხვადასხვა ეთნიკური კინფლიქტების გამოვლინებების ჰარმონიული ახსნა და ამ ნიადაგზე "ინტეგრალური ცოდნის" შექმნა." ამ სფეროში ყველა კვლევის მთავარი ამოცანა უნდა იყოს "ეთნოსისადმი ერთგულების საფუძველის, ემოციებისა და გათვლების ურთიერთკავშირის, ასევე ინსტიტუციური კონტექსტის შესწავლა".[18] თუმცა ნებისმიერმა თეორიამ, რომელსაც აქვს პრეტენზია გაიაზროს ასეთი დაპირისპირებების ბუნება და დარეგულირების პერსპექტივა, არ შეიძლება არ გაითვალისწინოს მათი ფსიქოლოგიური მდგენელი, რაც არ ხდება რაციონალური არჩევანის თეორიის ჩარჩოში. ფაქტობრივად, საჭიროა ისეთი ანალიტიკური მოდელი, რომელიც "შეიძლება გამოყენებულ იქნას კონკრეტულ კონფლიქტურ სიტუაციებთან მიმართებაში და არ იქნება მიბმული რომელიმე უკვე დაკვიდრებულ თეორიაზე", რომელიც ანალიზის მკაცრ პარამეტრებს გვთავაზობს".[19]

პოლიტიკის ეთნიზაცია ხდება როგორც არადასავლურ ქვეყნებში, ისე აქამდე მშვიდ ევროპაშიც, რაც უფრო იმიგრაციის ტალღით არის გამოწვეული. მაგრამ ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული მიდგომები ამ ახალი უნივერსალური საიდენტიფაკაციო ორიენტირების გამოწვევების[20] საპასუხოდ არ გამოდგება, რადგანაც არ გააჩნიათ ის ემოციური ზემოქმედების უნარი, რომელიც ეთნიკური ჯგუფის ჩარჩოში კონსოლიდირებულ ადამიანებს, საერთო კულტურის და ისტორიული

[18] Горовиц Д. 2007. Структура и стратегия этнического конфликта. – *Власть.* № 2. С. 36-37. См также *Власть.* № 2. С. 29-38. № 4. С. 49-54; № 6. С. 35-41.

[19] Cordell K., Wollf S. 2009. *Ethnic Conflict. Causes – Consequences – Responses.* Cambridge; Malden, MA: Polity Press. P. 2.

[20] იურგენ ჰაბერმასის მიერ შემოთავაზებული "კონსტიტუციური პატრიოტიზმის" მოდელი: Хабермас Ю.. Границы неоисторизма. Беседа с Жаном-Марком Ферри. – Ю. Хабермас. *Политические работы.* 2005, М.: Праксис. С. 31.

მეხსიერების შეგრძნების საპირწონე იდენტიფიცირების განცდას შესთავაზებს.

პოლიტიკურ კონფლიქტოლოგიაში დამკვიდრებულია მიდგომა, რომლის თანახმადაც, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი გააზრებულია, როგორც ეთნიკური განსხვავებულობის პოლიტიკური მობილიზაციის საშუალება. ამ შემთხვევაში ეთნიკური ჯგუფი გამოდის პოლიტიკურ სუბიექტად და კონფლიქტის ერთ-ერთ მხარედ,[21]მაგრამ ამ შემთხვევაში არ არის ახსნილი ეთნიკურობის ბუნების თავისებურებები. ეთნოსს იმპლიციტურად მიკუთვნებული აქვს პოლიტიკური საზოგადოების ატრიბუტები, რომელიც მისთვის არ არის დამახასიათებელი; ამის ნათელი მაგალითია დასავლეთ ევროპის ერების ფორმირების ისტორია, რომლებიც ეთნიკური კონსოლიდაციის საფუძველზე ჩამოყალიბდნენ.

ამ აქტუალური საკითხისადმი არ არსებობს თეორიულად დასაბუთებული მიდგომა. სოციალურ მეცნიერებებში ეთნიკურობის დისციპლინათაშორისი შესწავლის პრობლემის გარშემო, დღემდე ვერ ჩამოყალიბდა ერთიანი მეცნიერული დისკურსი. გავლენას ახდენს პოლიტიკური მოთამაშეების იდეოლოგიური პოზიციებიც, რომლებიც მრავალწილად აყალიბებენ დღის წესრიგს. პოლიტკორექტული მიდგომის შედეგად, როგორც წესი, დაპირისპირებული თემების რომელიმე განმასხვავებელ მახასიათებელზე აქცენტირებით, ეთნიკურობის საკითხი ყურადღების მიღმა რჩება: ყველაზე ხშირად, ასეთ მახასიათებლად ენა გამოიყენება. მაგ., იტალიაში მცხოვრებ გერმანელებს, ლადინებს, სარდებს ან სლოვენებებს იტალიურ საჯარო დისკურსში ტრადიციულად "ენობრივ უმცირესობებად" მოიხსენიებენ (*minoranze linguistiche*).

ეს სირთულეები გასაკვირი არ არის, რადგანაც თვით ცნება ეთნიკურობის შესახე სამეცნიერო საზოგადოებაში განსხვავებული

[21] Аклаев А.Р. 2008. *Этнополитическая конфликтология: Анализ и менеджмент.* Учебное пособие. М.: Издательство «Дело» АНХ. 480 с. С. 25.

შეხედულებები აქვთ. ხშირად მისი განსაზღვრება დამოკიდებულია პოლიტიკურ-ინსტიტუციონალურ და სოციოკულტურულ თავისებურებებზე, რაც დამატებით სირთულეებს ქმნის. ამასთან, საკითხი ეთნოსის არსის, ეთნიკურობის ფენომენის შესახებ თანამედროვე ეთნიკური კონფლიქტოლოგიის ძირითად თეორიულ-მეთოდოლოგიურ პრობლემად რჩება.[22]

კვლევები აჩვენებენ, რომ ეთნოკონფლიქტურობის ქცევის შეფასების კრიტერიუმის "საერთო მახასიათებელს" როგორც პიროვნულ, ისე ჯგუფებს შორის დონეზე, წარმოადგენს იდენტურობის კონცეპტი. მისი საშუალებით ჩნდება მხარეთა მოქმედების მოტივაციის ასახვის საშუალება, რომელიც პოტენციურად კონფლიქტში შეიძლება გადაიზარდოს. ზეინდივიდუალური დონის კონფლიქტებისას, რომლის ერთ-ერთ გამოვლინებასაც ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი წარმოადგენს, მხარეები პოლიტიკური პროცესის სუბიექტები არიან. ისინი დაპირისპირებული ჯგუფების ინტერესებს გამოხატავენ. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი განიხილება, როგორც დაპირისპირება, რომლის დროსაც პოლიტიკური მობილიზაციის რესურსად ეთნიკური იდენტობა და მონაწილეთა კონსოლიდაციისათვის მნიშვნელოვანი პროექციები (ეთნოკონფესიური, ეთნოლინგვისტური, ეთნოტერიტორიული, ეთნოკულტურული) გამოიყენება და რომლებიც ეთნიკური იდენტობის ერთობის განცდას ქმნიან. ეთნიკურობის დისკურსი და მისი რეპრეზენტაციის ფორმები მხარეთა, ან ერთ-ერთი მხარის მიერ, პოლიტიკური მიზნებისათვის - პოლიტიკური სტატუსის და სხვა მაატერიალური და არამატერიალური რესურსების მოსაპოვებლად გამოიყენება. ეთნიკური იდენტობის პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენება ასეთი კონფლიქტების ძირითადი და არსებითი მახასიათებელია, ხოლო ამ რესურსის განახლების შესაძლებლობა და ემოციურობის მაღალი ხარისხი ართულებს მის

[22] Авксентьев В.А. 2001. *Этническая конфликтология: в поисках научной парадигмы.* Ставрополь: изд-во СГУ. 267 с.

სისტემურ და ეფექტურ რეგულირებას და დაპირისპირების სამართლებრივ-კონსტიტუციურ ჩარჩოში ლოკალიზებას.

ეთნიკური თანამეგობრობის კონსოლიდაციის უზრუნველყოფა ხდება პიროვნული კომუნიკაციის საერთო მაიდინტიფიცირებელი საფუძვლების არსებობის ნიადაგზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მისი მთლიანობის, მისი სახის და ისტორიული ყოფის: ტერიტორიის, ენის, კონფესიის, სოციალური ინსტიტუტების, ყოფითი კულტურის და საერთო ისტორიული მეხსიერების განცდას. ტერიტორია, უფრო ვიწრო გაგებით - მოაზრებული ლანდშაფტი, მასში არსებობის ტრადიციულ აღქმასთან ერთად, უზრუნველყოფს ეთნოსის კვლავწარმოებას და ისტორიულ ყოფას. ეთნიკური ჯგუფის ურთიერთობის ენა უზრუნველყოფს ეთოსის სინქრონიზაციას და მთლიანობის განცდას. ყოფითი კულტურა ქმნის ხელსაყრელ გარემოს ეთნიკური ჯგუფის კომუნიკაციის მრავალფეროვნებისთვის, ეთნოსის ერთ მთლიანობაში - ანსამბლში - ინტეგრაციისათვის. ეთნოსის კულტურასა და ტრადიციებში ასახული ისტორიული მეხსიერება, კულტურული ტრამვის პირობებში, მობილიზაციის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საფუძველია. ეს ეთნიკურობის ერთგვარი მატერიალიზებული პროექციაა, რომელიც სხვადსხვა კომბინაციებში ქმნის ერთიანი თანამეგობრობის აესებობის განცდას.

ემოციურად შეფერილ ეთნიკური ჯგუფისადმი კუთვნილების და ეთნიკური ინტერესების ნიადაგზე ყალიბდება ეთნიკური იდენტობა; ის ნარჩუნდება სოციალური კონსტრუირების მექანიზმების საშუალებით, ადამიანის მიერ სოციალიზაციის პროცესში ეთნიკური განსხვავებულობის ათვისების გზით.[23] საზოგადოების წევრების მიერ სუბიექტურად აღქმული კულტურული მახასიათებლების მთლიანობა უზრუნველყოფს საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობას, მისი ცხოვრების ფუნდამენტური

[23] Дробижева Л.М. 2011. Этническая идентичность. – *Политическая идентичность и политика идентичности. Т. 1. Словарь терминов и понятий*. Отв. ред. И.С. Семененко. М.: РОССПЭН. С. 130.

ელემენტების სიცოცხლისუნარიანობას და "სხვების" თვალში ამგვარ საზოგადოებას ანიჭებს სოციალურ სუბიექტურობას.

უფრო მეტიც, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ეთნიკურად კონსოლიდირებული საზოგადოება ავლენს პოლიტიკური მიზნების დასახვის უნარს, ალბათ, ეს ეთნოსის პოლიტიკურ სუბიექტურობას კი არ უნდა ეხებოდეს, არმედ ეთნიკურ საფუძველზე პოლიტიკური ერის ფორმირებასა და სახელმწიფოებრიობის ახალი პროექტის პოპულარიზაციის პერსპექტივას.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის ბუნების შეფასება მრავალწილად განისაზღვრება კვლევის კონკრეტული დონის მეთოდოლოგიური საშუალებებით და მკვლევარის პოზიციით. არ ცხრება სხვადასხვა მიდგომების მომხრეთა დავა, რომლებიც ამგვარი კონფლიქტურობის ფორმირების სხვადასხვა გზებზე მიუთითებენ: .. პირველყოფილზე (ჩამოყალიბდა ეთნოგენეზის თავდაპირველი სპონტანური პროცესებით), კონსტრუქტივისტულზე (ყალიბდება სოციალური დიფერენცირების პროცესებით) და ინსტრუმენტალისტურზე (პოლიტიკურად ყალიბდება რესურსებისთვის ბრძოლის პროცესში). ამ კამათის ფონზე სულ უფრო ხშირად ისმის მოწოდებები სხვადასხვა მიდგომების ელემენტების ინტეგრირების შესახებ, მაგრამ ასეთი სინთეზის დასაბუთებული მოდელი ჯერ კიდევ არ არსებობს.[24] ცხადია, ვერც ერთი ცალკე აღებული ნარატივი ვერ ამოწურავს ეთნიკური ურთიერთქმედების არსებითი მახასიათებლების მრავალფეროვნებას. თავად ეს მახასიათებლები სიტუაციური და ცვალებადია, ისევე როგორც პოლიტიკური კონფლიქტების მიზეზები მრავალგანზომილებიანი და ცვალებადია.[25] სიტუაციურობა, შემთხვევითობა და პროტესტი, თანამედროვე პოლიტიკური პროცესის

[24] Колосов В.А. 1998. «Примордиализм» и современное национально-государственное строительство. – *Полис. Политические исследования*. № 3. С. 95-106.

[25] Глухова А.В. 2010. Политические конфликты: основания, типология, динамика (теоретико-методологический анализ). М.: Эдиториал УРСС. 280 с. Тимофеева Л.Н. 1996. *Политическая конфликтология*. М.: РАГС, 1996. 152 с.

”ზოგად” მახასიათებლად არის მიჩნეული, ამას კი ”კონფლიქტის პოლიტიკა” [26]გადააქვს მოვლენათა იმ კატეგორიაში, რომელიც ძნელად ექვემდებარება თანამედროვე ცოდნის საშუალებით გაკეთებულ პროგნოზირებას. ერთი შეხედვით, მათ არაპროგნოზირებას ადასტურებს ტერორიზმის მზარდი ექსცესები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში, ”ღრმად დაყოფილ” საზოგადოებებში, რომლებსაც აქვთ ფრაგმენტული პოლიტიკური კულტურა. სინამდვილეში, კონფლიქტის ცვალებადობა და სიტუაციური ხასიათი პოლიტიკური თეორიის სისტემურ გამოწვევას წარმოადგენს: ეთნოკონფლიქტური ქცევის ახსნის თეორიული მოდელები კვლავაც არპასუხობს მოთხოვნებს.

მართლაც, "ნებისმიერი ტიპოლოგიზაცია პირობითია": ეთნიკური კონფლიქტის მიღმა დგას სხვადასხვა მოტივაციის, ინტერესების და მათი სიტუაციური კომბინაციების კომპლექსი, ამიტომ შეუძლებელია კონფლიქტების საფუძვლების გაგება და ახსნა "ერთი თეორიის საფუძველზე"[27] ამავდროულად, პოლიტიკური კონფლიქტის სირთულე და მრავალშრიანი ხასიათი არ ნიშნავს, რომ ფუნდამენტურად შეუძლებელია თეორიულ- მეთოდოლოგიური მოდელების აგება მათი პრევენციის, ახსნის და რეგულირების ეფექტური გზების ძიებისათვის. ამიტომ, დაპირისპირების კონკრეტული შემთხვევის შეფასებისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კონფლიქტის დინამიკის ვექტორის დაფიქსირებას. ეს მიდგომა თანამედროვე მსოფლიოს სისტემური სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნების ანალიზის ჭრილში უნდა განვიხილოთ. ამგვარი გარდაქმნების კონტექსტი ბუნებრივად შეესაბამება ძალაუფლების გადანაწილებისათვის, ეთნიკური რესურსების გამოყენებას და სახელმწიფო სტრუქტურისა და მთლიანად მსოფლიო წესრიგის ტერიტორიული და ინსტიტუციური საფუძვლების გადასინჯვას.

---

[26] Tilly Ch., Tarrow S. 2007. *Contentious Politics*. Paradigm Pub.: Boulder Co. 260 p.

[27] Дробижева Л.М. 2003. Проблемы межэтнических отношений. – Психология межэтнической толерантности. Отв. ред. Л.М. Дробижева. М.: Изд-во Института социологии РАН. С. 50-51.

თავი II. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტურობის დარეგულირების მოდელები და მათი ეფექტურობა ევროკავშირის ქვეყნებში

2.1. ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების მოგვარების მექანიზმები და შეფასების ინდექსის გამოყენება

სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ასეთი ტიპის კონფლიქტების წარმოშობის მიზეზების დასადგენად ცალმხრივი, მარტივი კონცეფციები არ მუშაობს. კონფლიქტური ფაქტორები ურთიერთობების რთულ ქსელს ქმნიან, ახალი სისტემური თვისებებით, რომელთა გაანალიზებაც მარტივი მეთოდებით არ შემოიფარგლება. პრობლემის გადაჭრის გზა შეიძლება მოიძებნოს მთელი რიგი მიზეზების კომპლექსური ანალიზის ფარგლებში.

მაგრამ კონვენციონალური თეორიის არარსებობა არ ნიშნავს იმას, რომ არ შეიძლება მიღებულ იქნას პრაქტიკული ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მზარდი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტურობის და დაძაბულობის შენელებას. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეთნოპოლიტიკური კონფლიქტურობის პოტენციალის გაზომვას. აღნიშნული პრობლემა მიზანშეწონილია განვიხილოთ უფრო ფართო - სოციალური განწყობის, სოციალური პროცესების და მოვლენების კონტექსტში. ამ ამოცანის გადაჭრისთვის თანამედროვე მეცნიერებასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ინდექსები და რეიტინგები.

განვიხილოთ სხვადასხვა ინდექსების გამოყენების მართებულობა ისეთი მოვლენის შესაფასებლად, როგორიცაა „დაძაბულობა ეთნოსებს შორის“, რომელიც გარკვეულ პირობებში შეიძლება ეთნოკონფლიქტში გადაიზარდოს. ამოცანა, რომელიც სოციალური განწყობის ინდექსის,

როგორც შესაძლო ეთნო-კონფლიქტურობის პოტენციალის გამოვლენას, გაზომვას და პროგნოზირებას ითვალისწინებს.

ამოცანის გადასაჭრელად, ჩვენ განვიხილეთ ანალიზის პრაქტიკა **ეთნო-პოლიტიკური პრობლემატიკის ინდექსების** გამოყენების გზით. შემოთავაზებულ იქნა ინდექსების კლასიფიკაციის სხვადასხვა ვარიანტები, მათი შინაარსისა და მეთოდოლოგიიდან გამომდინარე. შეფასებულ იქნა სხვადასხვა ინდექსების სუსტი და ძლიერი მხარეები, პოლიტიზების ხარისხი, მათი გამოყენების შესაძლებლობები ლონგიტუდურ კვლევებში; შეფასდა მოცემული ინსტრუმენტარიის პროგნოსტიკული შესაძლებლობები

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებული კონფლიქტები, მათ შორის ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ერთგანზომილებიანი არ არიან. ისინი რთულ და მრავალფაქტორიან ხასიათს ატარებენ. სწორედ ამიტომაც მათი ანალიზისათვის გამოყენებული ინდექსები საშუალებას იძლევა რთული დაპირისპირებისას, რომელშიც ხშირად არცთუ ისე ადვილია კონფლიქტის მხარეების გამოყოფა, გამოვლენილ და შეფასებულ იქნას ეთნიკური შემადგენელი, აგრეთვე ამა თუ იმ ფაქტორის როლი ეთნოპოლიტიკური დაძაბულობის ზრდის პროვოცირებაში.

შინაასობრივი თვალსაზრისით, **ინდექსები კლასიფიცირებულია** იმის მიხედვით, თუ ეთნოსთა შორის დაძაბულობის რომელ ფაქტორს ზომავს. ამ შემთხვევაში გამოყოფილია რამდენიმე ფაქტორი. პირველ რიგში საუბარია სახელმწიფოზე პოლიეთნიკური მოსახლეობით, სადაც, როგორც ე.გელნერი აღნიშნავს, **კულტურული საზღვრები არ შეესაბამება ეროვნულს.**[28] გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვანია შეფასებულ იქნას ერთი სახელმწიფოს ფარგლებში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს (რომლებსაც იდენტობის ერთი ორიენტირი აქვთ) შორის არსებული დაძაბულობის ხარისხი.

[28] Gellner , Nations and Nationalism, Cornell University Press, Ithaca, New-York p. 39

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტურობის პროვოცირების მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია **სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი** - ცალკეული ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ამ პარამეტრის შედარებით უფრო ობიექტურად შეფასების შესაძლებლობა, რაც გარკვეული ალგორითმის შექმნის საშუალებას იძლევა. ამასთან, როდესაც ეთნო-პოლიტიკურ კონფლიქტურობაზე ვლაპარაკობთ, კეთილსინდისიერი კვლევის ჩატარების უცილობელი პირობაა პოლიტიკური მდგენელის, მხარეთა პოლიტიკური ინტერესების გამოვლენა.

მიზანშეწონილია, აგრეთვე სხვადასხვა სახელმწიფოების სამართლებრივი ჩარჩოს და და ჩამოყალიბებული პრაქტიკის ანალიზი, რომელიც ეთნოსების უფლებებს და მათ შორის ურთიერთობებს არეგულირებს. ჩვენი აზრით, მათი შეფასება **ინდექსების საშუალებით მეტად მნიშვნელოვანია.**ასეთი გამოცდილება არსებობს და შეიძლება დადებითად შეფასდეს.

ინდექსების გამოყენება ეთნოპოლიტიკური დაძაბულობის შეფასებისთვის, საფუძვლები და კლასიფიკაცია:

ინდექსების სოციალურ-პოლიტიკურ კვლევებში გამოიყენება, XX საუკუნეში ბიოლოგიური მეცნიერებიდან შემოვიდა, სადაც ბიოლოგიური სისტემის მრავალფეროვნების შესაფასებლად კარგა ხანი გამოიყენებოდა სხვადასხვა მეთოდიკით, მაგ. **სიმფსონის მრავალფეროვნების ინდექსი.**[29] მძლავრი იმპულსი სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების ანალიზისას სხვადასხვა ინდექსების და რეიტინგების გამოყენებაში მისცა 1960-1970-იანი წლების მოძრაობამ **„სოციალური ინდიკატორების მოძრაობა“** *Social*

[29] Simpson E.H. 1949. Measurement of Diversity. – *Nature*. Vol. 163. P. 688. DOI: https://doi.org/10.1038/163688a0)

Indicators Movement) და სოციალურ მეცნიერებებში მათემატიკური მეთოდების გამოყენებამ.

უკანასკნელ ხანებში სამეცნიერო ლიტერატურაში სოციალურ-პოლიტიკური პროცესების დინამიკაში შესაფასებლად სულ უფრო ხშირად ვხვდებით ინდექსების გამოყენების სხვადასხვა მაგალითებს. განვიხილოთ ამ სფეროს ძირითადი პოპულარული ინდექსები და მათ მაგალითზე ამ ინსტრუმენტის გამოყენების განვითარების დინამიკა.

ინდექსები სტატისტკური მონაცემების ბაზაზე

ინდექსების ყველაზე უფრო გავრცელებული სახეობა ემყარება სტატისტიკური მონაცემებს. როგორც წესი, მსგავსი ინდექსები გამოიყენება კვლევებში, რომლებიც შეისწავლიან ეთნიკური ჰეტეროგენობის გავლენას ეკონომიკურ სახელმწიფო მართვის ხარისხზე, საზოგადოებრივი სიკეთეების განაწილებაზე, საზოგადოებაში ნდობის ხარისხზე და სხვ.[30]

ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული საბაზისო ინდექსი, რომელიც საზოგადოებაში კონფლიქტურობის დონეს აფასებს, ეს არის ეთნოლინგვისტური ფრაგმენტირების ინდექსი (ელფი), რომელიც ჩ.ტეილორმა და მ.ჰადსონმა შეიმუშავეს 1964 წლის მსოფლიო ხალხების საბჭოთა ატლასის მასალების მიხედვით.[31] ინდექსის გათვლისას, საკვანძო ცვლადებად ითვლება სახელმწიფოში მცხოვრები თითოეული ეთნიკური ჯგუფის წილი მთლიანი მოსახლეობის რიცხვში და ამ ჯგუფების რაოდენობა. ინდექსი მნიშვნელობას იძენს ინტერვალით ნულიდან ერთამდე (რაც მეტია მნიშვნელობა, მით მეტია საზოგადოების ფრაგმენტირების ხარისხი) და ასახავს ალბათობას - შემთხვევით შერჩევით არჩეული ქვეყნის ორი მოქალაქე სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს

[30] Alesina A., Devleeschauwer A., Easterly W., Kurlat S., Wacziarg R. 2003. Fractionalization. –*Journal of Economic Growth*. Vol. 8. No. 2 P. 155–194. DOI: https://doi.org/10.1023/A:1024471506938; Alesina A., La Ferrera E. 2005. Ethnic Diversity and Economic Performance. – *Journal of Economic Literature*. Vol. 43. P. 762–800. DOI: https://doi.org/10.1257/002205105774431243

[31] Taylor C.L., Hudson M.C. 1972. *The World Handbook of Political and Social Indicators*. 2nd ed. New Haven, CT: Yale University Press. 443 p.

მიეკუთვნება. არსებობს ელფი-ს არაერთი მოდიფიკაცია, რომლის მიზანიც მისი გაუმჯობესებაა, უპირველეს ყოვლისა, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების დისტანცირების დონის შესწავლის შესაძლებლობის მიღწევა. ნაწილობრივ ეს ამოცანა გადაჭრა ჯ.გრინბერგის მრავალფეროვნების ინდექსმა.[32] ისევე როგორც ელფი-ის შემთხვევაში, ეს ინდექსი მნიშვნელობას იძენს ნულიდან (ჰომოგენური საზოგადოება) ერთამდე: რაც უფრო დიდია მნიშვნელობა, მით უფრო მეტი ჯგუფია საზოგადოებაში. ინდექსის საკვანძო ცვლადებად, გარდა მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ეთნიკური ჯგუფის წვლილისა და მათი რაოდენობისა, შემოდის **„კულტურული დისტანცია“** ცალკეულ აღებულ ჯგუფებს შორის, რომელსაც ექსპერტები აფასებენ.

ელფი-ს მორიგი პოპულარული მოდიფიკაციაა პერიფერული ეთნოლინგვისტური მრავალფეროვნება, რომელიც ისეთი ცვლადების საფუძველზე გაითვლება, როგორიცაა დომინირებადი და სხვა ეთნიკური ჯგუფების წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში, აგრეთვე დომონირებად და სხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებული დისტანცია. თუმცა, ისეთი მდგენელების გათვლა, როგორიცაა კულტურული დისტანცია ეთნიკურ ჯგუფებს შორის, მთელ რიგ სუბიექტურობის ელემენტებს შეიცავს, ისევე, როგორც ნებისმიერი მონაცემი, რომელიც მხოლოდ ექსპერტულ შეფასებებს ეყრდნობა.

საბაზო ინდექსების განვითარებასთან ერთად, მათმა ახალმა მოდიფიკაციებმა კონფლიქტურობის სულ უფრო მეტი ფაქტორები ასახეს: ამასთან მეცნიერები ცდილობდნენ უფრო ზუსტად გაეთვალათ ისეთი პრობლემური კვანტიფიცირებული მონაცემი როგორიცაა - დისტანცია საზოგადოების ჯგუფებს შორის. 1976 წელს ბ.მ. ეკელმა შეიმუშავა ეთნიკური მოზაიკურობის ინდექსი, რომელშიც იგი ითვალისწინებდა საზოგადოების კონფესიური ნიშნით დაყოფას.

[32] Greenberg J.H. 1956. The Measurement of Linguistic Diversity. – *Language*. Vol. 32. No. 1. P. 109-115. DOI: https://doi.org/10.2307/410659.

სამეცნიერო ლიტერატირაში პოპულარობა მოიპოვეს პოლარიზების სხვადასხვა ინდექსებმა, რომლის მთავარი მდგენელიც ბიპოლარულისაგან (50/50) ეთნიკური ჯგუფების განაწილებას შორის არსებული გადახრები და ასევე ეთნიკური ფრაქციონალიზაციის ინდექსებია. ერთ-ერთი ასეთი ინდექსის ავტორი ჯ.დ. ფიარონი ეთნიკურ ფრაქციონალიზაციას განსახღვრავს, როგორც იმის ალბათობას, რომ ერთი ქვეყნის ფარგლებში არჩეული ორი შემთხვევითი ინდივიდი შეიძლება სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებოდეს.

სრული ჰომოგენობის შემთხვევაში ინდექსი 0-ის მნიშვნელობას შეიძენს;

თუ ორი ეთნიკური ჯგუფი გვაქვს, რომელთაგანაც ერთ-ერთი მოსახლეობის 95%-ია, ხოლო მეორე 5%, ინდექსი 0,1 შეადგენს;

სამი ჯგუფის შემთხვევაში - თოთოეული მოსახლეობის 33%-ით, ინდექსი 0,67 შეადგენს. და ა.შ.[33]

ასეთი ტიპის ინდექსების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ითვალისწინებენ სახელმწიფოს შემადგენლობაში არა მარტო ეთნიკური ჯგუფების რაოდენობას, არამედ მათ პროპორციას.

უდავოა, ისეთი მრავალწახნაგოვანი ფენომენი როგორიც ეთნოპოლიტიკური კონფლიქტურობაა, შეუძლებელია შესწავლილ იქნას მხოლოდ ეთნიკური ჯგუფების რაოდენობრივი შეფარდების საფუძველზე. ერთგანზომილებიანი მონაცემების სისტემური შეზღუდულობის გაგებამ, ისეთი ინსტრუმენტების შემოტანამდე მიგვიყვანეს როგორიცაა, მაგ., ესტებან რეის კონფლიქტურობის ინდექსი, რომელმაც რამოდენიმე სხვა ინდექსი აირჩია (მაგალითად, ფრაგმენტულობის ინდექსი, პოლარიზაციის ინდექსი და ჯინის კოეფიციენტი).

კომლექსური ინდექსის შემადგენლობაში ინტეგრირებული მაჩვენებლების დონე დამოკიდებული იყო კონფლიქტის მიზეზზე (მაგალითად, რამოდენიმე ტომს შორის არსებული კონფლიქტისას

[33] Fearon J.D. 2003. Ethnic Structure and Cultural Diversity by Country. – *Journal of Economic Growth*. Vol. 8. P. 195–222. DOI: https://doi.org/10.1023/A:1024419522867

მატერიალურ რესურსებზე, მატერიალური კეთილდღეობის ფაქტორს დიდი წონა არა აქვს). როგორც წესი, თანამედროვე კვლევებში ანალიზის რამდენიმე ინსტრუმენტის კომბინირება ხდება. ამასთან გამოიყენება ექსპერტული შეფასებების ისეთი ასპექტები როგორიცაა, ეთნიკური კონფლიქტის ინსტიტუციონალიზაციის დონე (ეთნიკური ნიშნით შექმნილი პარტიები და სხვ. ორგანიზაციები) და ასეთი სახის კონფლიქტებში ძალადობის დონე (მათ შორის აჯანყება, პარტიზანული მოძრაობები და სხვ.)[34]

ასე მაგალითად, ავსტრიელი მეცნიერები მ.ჰალერი, ა.ედერი და ე.შტოლცი შეეცადნენ დაედგინათ შემოსავლების უთანასწორობის მიზეზები თანამედროვე ეთნიკური მრავალფეროვნების და ეთნიკური ექსპლუატაციის (მონობის) ისტორიული ასპექტების ჭრილში.

მათ მიერ ჩატარებულ რეგრესულ ანალიზში ფიგურირებს ჯინის ინდექსი, ეთნიკური ფრაქციონალიზაციის ეთნიკური კონფლიქტურობის დონე, ეთნიკური ექსპლუატაციის ინდექსი (ავტორების მიერ შემუშავებული), აგრეთვე ისეთი მაჩვენებლები როგორიცაა, მშპ ერთ სულ მოსახლზე, სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ტიპი და სხვ.[35]

სოციალურ-ეკონომიკური ინდექსები; ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების კვლევის საბაზო ინდექსებს წარმოადგენს სოციალური სტაბილურობის და მდგრადი განვითარების ინდიკატორების უმრავლესობა, რომლებიც საერთაშირისო ორგანიზაციების მიერ იქნა შემოღებული. ასეთი ინდიკატორების რიცხვს მიეკუთვნება მსოფლიო განვითარების მონაცემები (მსოფლიო ბანკი), მდგრადი განვითარების ინდიკატორი და ადამიანური

[34] Vanhanen T. 1999. Domestic Ethnic Conflict and Ethnic Nepotism: A Comparative Analysis. – *Journal of Peace Research*. Vol. 36. P. 55-73. DOI: https://doi.org/10.1177/0022343399036001004; Vanhanen T. 2012. *Ethnic Conflicts: Their Biological Roots in Ethnic Nepotism*. London: Ulster Institute for Social Research. 326 p

[35] Haller M., Eder A., Stolz E. 2015. Ethnic Stratification and Patterns of Income Inequality Around the World: A Cross-National Comparison of 123 Countries, Based on a New Index of Historic Ethnic Exploitation. – *Social Indicators Research*. Vol. 128. No. 3. P. 1047-1084. DOI: https://doi.org/10.1007/s11205-015-1069-4

განვითარების ინდექსი (გაერო), ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების უმრავლესობა ისეთები, როგორიცაა ჯინის კოეფიციენტი და ატკინსონის ინდექსი (რომელიც ასახავს სოციალური უთანასწორობის დონეს), რობინ ჰუდის ინდექსი (განსაზღვრავს საზოგადოების შემოსავლის წილს, რომლის გადანაწილებაც აუცილებელია თანასწორობის მიღწევისთვის), ფონდების კოეფიციენტი (ზომავს საშუალო შემოსავალს შესადარებელი ჯგუფების შიგნით) და ა.შ.

ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი პირველად გამოთვლილ იქნა 1990 წელს, გაეროს განვითარების პროგრამის ჩარჩოებში მოსახლეობის ქვეყანათშორისი დონის და ხარისხის შედარებისას. პირველად იყო მცდელობა ასეთი ფართო მასშტაბით შეეფასებინათ ქვეყნების კეთილდღეობა არა მარტო ეკონომიკური მაჩვენებლებით. ინდექსი ინტეგრალური ხასიათისაა და ისეთ მდგენელებს შეიცავს როგორიცაა, ჯანმრთელობა და მოსახლეობის განათლების დონე, ასევე მშთ-ს რეალური მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე. მისი მნიშვნელობა ვარირებს 0-დან ერთამდე (ყველაზე მაღალი მაჩვენებელი). მაგალითად, ნორვეგიის, რომელიც ადამიანური განვითარების მიხედვით 2014 წელს პირველ ადგილაზე იყო (უკანასკნელი წელი, რომლის მონაცემებიც არსებობს) ინდექსი შეადგენდა 0,944.[36]

ინდექსის შემმუშავებლები სრულიად სამართლიანად მიიჩნევენ, რომ ქვეყნის ეკონომიკური აყვავება სრულიადაც ავტომატურად არ კონვერტირდება სოციალურ პროგრესში და ინდექსს უნდა გამოევლინა ქვეყნების განვითარების სხვადასხვა ტრაექტორიები. ჟან დრეზმა და ამართეა სენმა ადამიანური განვითარების ინდექსის გაანალიზებისას ქვეყნები შემდეგ ჯგუფებად დაყვეს - ქვეყნებად, სადაც "კეთილდღეობა ზრდის საშუალებით მიიღწევა" (ზრდა ფართო სოციალური მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯზე), ქვეყნები, სადაც "კეთილდღეობა

[36] ანგარიში ადამიანური განვითარების შესახებ *2015.* :http://hdr.undp.org/sites/default/files/hdr15_standalone_overview_ru.pdf, 28.08.2017.

უზრუნველყოფილია მისი მხარდაჭერით“ (ამ ქვეყნებში სოციალურ სფეროში განხორციელებულ ზომებს ზრდის ტემპთან შედარებით უპირატესობა აქვს) და ქვეყნები, სადაც **„გაუმართლებელი სიუხვე“** შეინიშნება (ამ შემთხვევაში პრიორიტრტულია ეკონომიკური ზრდა). [37]

როგორც სოციალური პროგრესის და ადამიანური პოტენციალის განვითარების მაჩვენებელი, აღნიშნული ინდექსი ეყრდნობა მონაცემთა მოპოვების, შეკრების და ანალიზის უნიკალურ მეთოდოლოგიას. გაეროს ყოველწლიურ ანგარიშებში ადამიანური განვითარების შესახებ ყოველმხრივ გაანალიზებულია და გამოცემულია თითქმის 190 ქვეყნის ინდექსი. ადამიანების კეთილდღეობის, განათლების დონის (ადამიანის მიერ ფორმალური განათლების სისტემაში გატარებული წლების რაოდენობა), მოსახლეობის ჯანმრთელობის (სიცოცხლის ხანგრძლიობა) მდგომარეობის ასაღწერად გამოყენებული ინდექსები, მათი პირობითობის და მეთოდოლოგიური არასრულყოფილების მიუხედავად, მაინც იძლევა საშუალებას შეიქმნას ნათელი სურათი ქვეყნის სოციალური კეთილდღეობის შესახებ.

საინტერესოა აღნიშნული ინდექსის გამოყენების შესაძლებლობა ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტის პოტენციალის დონის გამოსავლენად, ვინაიდან არცთუ იშვიათად მისი საწყისი ფაზა სწორედ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობითაა განპირობებული. მაშინ, როდესაც მრავალშრიანი უთანასწორობა ემთხვევა ეთნოსების განსახლების არეალს, ამ ინდექსის გამოყენება სათანადო ეფექტს იძლევა. ეს მითუმეტეს მნიშვნელოვანია, რადგანაც ადამიანური განვითარების ინდექსი გამოითვლება ქვეყნების შესახებ ანგარიშების ფარგლებში, რეგიონების მიხედვით (იმ ქვეყნებში, სადაც რესურსების და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შესაძლებლობაა და წარმოებს მონიტორინგი).[38]

---

[37] Dreze J., Sen A. 1989. Hunger and Public Action. Oxford, UK: Clarendon Press. 373 p

[38] Vanhanen T. 1999. Domestic Ethnic Conflict and Ethnic Nepotism: A Comparative Analysis. – Journal of Peace Research. Vol. 36. P. 55-73. DOI: https://doi.org/10.1177/0022343399036001004; Vanhanen T. 2012.

საუბარია ინდექსებზე, რომლებიც ამა თუ იმ რეგიონსა თუ ქვეყანაში უთანასწორობის დონეს აღწერს. აქ შეიძლება დასახელდეს მაგ., ფონდების კოეფიციენტი, თეილ ბერნულის და სხვა სოციალურ-ეკონომიკური საზომები, რომელიც გამოითვლება მოსახლეობის სხვადასხვა ეთნო-სოციალური ჯგუფებთან მიმართებაში.

ცალკე შეიძლება გამოვყოთ ჯინის და რობინ ჰუდის (ჰუვერის ინდექსი), რომელოც ლორენცოს მრუდისაგან (ასახავს უთანაბრობას შემოსავლების განაწილებაში) არის ნაწარმოები. რობინ ჰუდის ინდექსი გვიჩვენებს, თუ რამდენს მიიღებდა ქვეყნის თითოეული მოქალაქე იმ შეთხვევაში, თუ ყველაზე მდიდარი ადამიანების ქონება მთელ მოსახლეობაზე გადანაწილდებოდა. [39] ეს პრინციპი ფართოდ გამოიყენება, მაგალითად, საერთო პრაქტიკის ექიმების მიერ დასახლებული რაიონების მოსახლეობის უზრუნველყოფის შეფასებისას. ასეთი შეფასებების დროს ლორენცოს მრუდე შეივსება არა შემოსავლებით, არამედ საერთო პრაქტიკის ექიმების ხვედრითი წილით ადგილებზე ან ხალხის ჯგუფზე, იგი გვიჩვენებს ექიმების რა ნაწილი უნდა გადამისამართდეს სხვა რაიონებში, იმისთვის რომ მთლიანი საკვლევი ტერიტორია თანაბრად იქნას უზრუნველყოფილი სამედიცინო პერსონალით.

აღნიშნული ინდექსების გამოყენება, მიზანშეწონილია მათი გამოთვლის სიმარტივის, აგრეთვე სტატისტიკურ მონაცემებზე წვდომის შესაძლებლობის გამო. ამასთან, ეს ინდექსები კარგი დამატებითი ბაზაა სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისთვის ცალკეული ეთნიკური ჯგუფებისა და რეგიონებისთვის როგორც გლობალურ, ისე ქვეყნის მასშტაბში.

ინდექსები, რომლებიც დაფუძნებულია სოციოლოგიურ გამოკითხვებზე.

Ethnic Conflicts: Their Biological Roots in Ethnic Nepotism. London: Ulster Institute for Social Research. p 326.

[39] How Many Billionaires Would It Take to Save the Planet? – Bloomberg. 27.07.2017. URL: https://www.bloomberg.com/news/articles/2017-07-27/how-many-billionaires-would-it-take-tosave-the-planet (accessed 28.08.2017

შემდეგ ჯგუფს წარმოადგენენ იმდექსები, რომლებიც უმეტესწილად სოციოლოგიურ მონაცემებს - მოსახლეობის გამოკითხვას ან ექსპერტულ გამოკითხვებს ეყრდნობა. ამ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ ისეთი ინსტრუმენტები როგორიცაა სახელმწიფოების სისუსტის ინდექსი, რომელიც ამერიკული მშვიდობის ფონდის და ჟურნალ Foreign Policy-ის მიერ არის შემუშავებული. ინდექსი ეყრდნობა 100- ზე მეტი სხვადსხვა პროფილის ექსპერტების შეფასებას და მოწოდებულია ასახოს ხელისუფლების მიერ თავისი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის, აგრეთვე დემოგრაფიული, პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გაკონტროლების უნარი[40].

ექსპერტული შეფასებების ბაზაზე დგება ს. შულმანის ეროვნული იდენტობის საერთო ინდექსი (ანალიზდება იდენტობის სამოქალაქო, კულტურული და ეთნიკური კომპონენტები). ეს არის ჩვენს მიერ განხილული ინსტრუმენტის საშუალებით, ეთნიკურობის ფენომენის კვლევის ყველაზე უფრო კონცეპტუალური მცდელობა.[41] ამ კვლევებში განსაკუთრებული ადგილი უკავია Freedom House-ის ინდექსებს, რომლებიც ხელისუფლების შტოების გავლენის, ადამიანის უფლებების დაცვის და სხვ. ინდიკატორების საფუძველზე დგება,.[42] ზოგიერთი მისი მაჩვენებელი, მაგ., ისეთი, როგორიცაა ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დონე, შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადსხვა ახალი კომპლექსური ინდექსების შემუშავებისას, ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტურობის შესაფასებლად

ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტურობის კვლევის მიზნისათვის აღსანიშნავია ინდექსები, რომლებიც 2009-2013 წლებში შემუშავდა პროექტ „კულტურა განვითარების ინდიკატორებისათვის“ (Culture for Development Indicators, CDIS). ფარგლებში. საზოგადოებრივი აზრის კომპლექსური

[40] Fragile States Index URL: http://fundforpeace.org/fsi/ (accessed 01.06.2017).
[41] Shulman S. 2002. Challenging the Civic/Ethnic and West/East Dichotomies in the Study of Nationalism. – Comparative Political Studies. Vol. 35. No. 5. P. 554-585. DOI: https://doi.org/10.1177/0010414002035005003
[42] Freedom in the World (Freedom in the World 2017. – Freedom House. Official site. URL: https://freedomhouse.org/sites/default/files/FH_FIW_2017_Report_Final.pdf)

გამოკითხვის საფუძველზე, მისი ავტორებისაგან შემოთავაზებულია რიგი ინდიკატორები სოციალურ-კულტურული განვითარების ასპექტების შეფასებისათვის - World Values Survey, Global Barometer Series, Gallup World Poll, International Social Survey Program, Harmonised European Time Use Surveys, European Union Statistics on Income and Living Conditions.

პროექტის ნაწილში, სათაურით **„სოციალური ჩართულობა“** შემოთავაზებულია შემდეგი ინდექსები: საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ღონისძიებებში მონაწილეობის ინდექსი, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის ინდექსი, პიროვნული ურთიერთნდობის ხარისხის ინდექსი, თვითგამოხატვის თავისუფლების დონის ინდექსი და სხვ. [43]

ყურადღებას იმსაურებს, აგრეთვე, ის პუბლიკაციები, რომლებიც მიზნად ისახავენ, შესაბამისი ინდექსების საშუალებით, **სოციალური დარაზმულობის ანალიზს.** ეს მონაცემები ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტურობის ყველა კვლევის განუყოფელი ნაწილია, მისი განზომილება აქტუალურია აგრეთვე პრობლემის სოციალური ასპექტების კვლევისას. 2016 წელს ავტორთა ჯგუფის მიერ, ბელგიიდან და დიდი ბრიტანეთიდან შემუშავებულ იქნა სოციალური დარაზმულობის ინდექსი (Social Cohesion Index, SCI). სოციალურ დარაზმულობას კვლევის ავტორები განსაზღვრავენ, როგორც „საზოგადოების უნარს უზრუნველყოს მისი ყველა წევრის კეთილდღეობა, მოახდინოს უთანხმოების მინიმიზირება და თავი აარიდოს მარგინალიზებას, დაარეგულიროს განსხვავება და გაუცხოება“. გამოყოფილია სოციალური დარაზმულობის სამი ელემენტი: უთანაბრობის დონის აღქმა, სოციალური ნდობის დონე, ეროვნული იდენტობისადმი მიდრეკილების დონე.[44] აღნიშნული ინდექსები აგებულ იქნა 19 აფრიკული ქვეყნისთვის, სოციოლოგიური გამოკითხვების „აფრობარომეტრი“

[43] UNESCO Culture for Development Indicators Methodology Manual. URL: http://en.unesco.org/creativity/sites/creativity/files/cdis_methodology_manual.pdf (accessed 01.06.2017). P. 82

[44] Langer A., Stewart F., Smedts K., Demarest L. 2017. Conceptualising and Measuring Social Cohesion in Africa: Towards a Perceptions-Based Index. – Social Indicators Research. Vol. 131. No. 1. P. 321-343. DOI: https://doi.org/10.1007/s11205-016-1250-4

(Afrobarometer) საფუძველზე, რომელიც 2005, 2008 და 2012 წლებში ჩატარდა. გარდა ამისა, ავტორების მიერ გამოთვლილ იქნა ინდექსის (SCIVA) ვარიანტი, რომელიც ითვალისწინებს შესაძლო განხეთქილებებს ჯგუფებს შიგნით (ჯგუფებს შორის განხეთქილების საპირისპიროდ).

სამეცნიერო ნაშრომებში, რომლებიც ეთნო-პოლიტიკურ კონფლიქტურობას ეხებება, ხშირად გამოიყენება ჰააგის სოციალური კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული სოციალური განვითარების ინდექსების მონაცემები. მათში სოციალური განვითარება დახასიათებულია ექვსი მონაცემის საფუძველზე: სამოქალაქო აქტიურობა, კლუბები და ასოციაციები, ჯგუფთაშორისი დარაზმულობა, პიროვნებათშორისი უსაფრთხოება და ნდობა, გენდერული თანასწორობა, უმცირესობების ჩართულობა. ინდექსები გათვლილია წყაროების ფართო სპექტრის ბაზაზე, როგორც მოსახლეობის გამოკითხვაზე, ისე ანალიტიკურ მოხსენებებზე.[45]

ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტურობის დონის ანალიზისას მეცნიერების მიერ ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფართოდ გამოყენებადი ინსტრუმენტია, აგრეთვე, მიგრანტების ინტეგრაციის ინდექსი (MIPEX), რომელიც ბარსელონის საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრის (CIDOB) და მიგრაციული პოლიტიკის ჯგუფის (MPG) მიერ იქნა შექმნილი. ინდექსისის მიზანია შეაფასოს ინტეგრაციული პოლიტიკის და კანონმდებლობის ეფექტურობა რვა მიმართულებით: მობილურობა შრომის ბაზარზე, ოჯახთან მიერთება, განათლება, პოლიტიკური მონაწილეობა, ყოფნის ხანგრძლივობა, მოქალაქეობის მიღება, ანტიდისკრიმინაციული ზომები და ჯანდაცვა, 167-ზე მეტ ინდიკატორთან მიმართებაში. ექსპერტებს სთავაზობენ შეაფასონ თითოელი მათგანი სამბალიანი შკალით, რომლის შემდეგაც გამოიყვანება ინდექსის საშულო მნიშვნელობა, ჯერ თითოეული მიმართულებისთვის, ხოლო შემდეგ მთლიანად ქვეყნისთვის. შედეგების წარმოჩენა ხდება შკალის ფორმატში „0, 50, 100“, სადაც 100

[45] Indices of Social Development. URL: http://www.indsocdev.org/home.html (accessed 01.06.2017

უმაღლესი მაჩვენებლის ეკვივალენტია. ინდექსი დგება ევროკავშირის ყველა ქვეყნისა და რიგი სხვა ქვეყნებისთვის.

ინდექსი, რომელიც გამოითვლება big data-ს ტექნოლოგიის საფუძველზე.

ბოლო დროს დიდი პოპულარობა მოიპოვა გარკვეული ტიპის ინდექსებმა, რომლებიც ვრცელი მონაცემების (big data) საფუძველზე გამოითვლება. თუმცა, როგორც წესი, ეს მონაცემები, მასობრივი გამოკითხვებისაგან განსხვავებით, კონტექსტიდან არის ხოლმე ამოვარდნილი, მაგრამ მისი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ არჩევანის მრავალფეროვნების და ინფორმაციის ავტომატურად შეკრების გამო, მიუკერძოებულია და შემცირებულია ანგაჟირების ხარისხი. აღნიშნული ანალიზი საშუალებას იძლევა შეფასდეს მაგ., მოსახლეობის განწყობა და დაფიქსირდეს კონფლიქტურობის ჩასახვის კერები

მაიამის უნივერსიტეტის მკვლევრებმა ღია მოხმარებაში არსებული ინდიკატორების საშუალებით (Open Source Indicators, OSI) დადებითი კორელაცია დაადგინეს Google Trends-ის მონაცემებსა და 2012-2013 წლებში არგენტინაში, ჩილეში, მექსიკასა და ვენესუელაში სამოქალაქო პროტესტების აფეთქებას შორის.[46] ანალოგიურად, მონაცემთა წყაროა სოციალური ქსელები, რომელთა კონფლიქტურობის მონიტორინგის მიზნით ჩატარებულ ანალიზს, შრომების საკმაო რაოდენობა მიეძღვნა. [47]

გერმანელი მეცნიერების ჯგუფმა შეიმუშავა და დატესტა ტვიტების ანალიზის საკუთარი სისტემა PoliTwi, რის შედეგადაც მივიდა დასკვნამდე, რომ Twitter-ში ემოციური შეფერილობის შეტყობინებები საშუალებას იძლევა დაფიქსირდეს საზოგადოებრივი განწყობის ტრენდები[48] ავტორები

---

[46] Manrique P., Qi H., Morgenstern A., Velásquez N., Lu T.-C., Johnson N. 2013. Context Matters: Improving the Uses of Big Data for Forecasting Civil Unrest Emerging Phenomena and Big Data. – IEEE International Conference on Intelligence and Security Informatics (ISI). P. 169-172. DOI: https://doi.org/10.1109/ISI.2013.6578812.

[47] Valenzuela S., Arriagada A., Scherman A. 2014. Facebook, Twitter, and Youth Engagement: A Quasi-experimental Study of Social Media Use and Protest Behavior Using Propensity Score Matching. – International Journal of Communication. Vol. 8. P. 299-314

[48] Rill S., Reinel D., Scheidt J., Zicari R.V. 2014. PoliTwi: Early Detection of Emerging Political Topics on Twitter and the Impact on Concept-Level Sentiment Analysis. – Knowledge-Based Systems. Vol. 69. P. 24-33. DOI: https://doi.org/10.1016/j.knosys.2014.05.008

ამტკიცებენ, რომ ფიქსაციის პროცესი გაცილებით უფრო სწრაფია, ვიდრე Google Trends-ის ანალიზისას. თუმცა ნათელია, რომ მიღებული სურათი აუდიტორიის თვალსაზრისით, შეზღუდულია (სოციალური ქსელებით, საძიებო საიტებით და ა.შ.) ამიტომ უმჯობესია შემოტანილ იქნას შედარებითი კომპონენტი და შედარდეს სხვადსხვა წყაროდან მოპოვებული მონაცემები.

ამავდროულად, არსებობს big data-ს კვლევების ცალკე პლასტი, რომელიც არათუ კონტექსტიდან არის ამოვარდნილი, არამედ, პირიქით ორგანულად არის მასთან დაკავშირებული. საქმე ეხება ისეთი სოციალური ქსელების მომხმარებლების მონაცემთა ანალიზს როგორიცაა - Facebook-ი (ინფორმაცია პროფილის შედგენისას, ლაიქები, რეპოსტები, კომენტარები, ონლაინ-ტესტებზე პასაუხები და ა.შ.). რიგი ექსპერტების თვალსაზრისით, მაგ. სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორის მიხეილ კოსინსკის აზრით, ასეთი ანალიზი საშუალებას იძლევა არა მარტო შეიქმნას დაწვრილებითი პროფილი, არამედ საკმაოდ მაღალი ალბათობით გაითვალოს მათი ქმედებები, ხოლო დროთა განმავლობაში ხელოვნური ინტელექტი კიდევ უფრო სრულყოფს აღნიშნულ პრაქტიკასა და ალგორითმებს.[49] ასეთი კვლევების თვალსაჩინო გამოვლინებაა Cambridge Analytica-ს მიერ ტრამპის საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ჩატარებული კვლევა. კომპანია (კოსინსკისთან ერთად) მომხმარებლების მიზანმიმართულ მანიპულირებაში დაადანაშაულეს.[50] როგორც არ უნდა იყოს, მეოთხე სამრეწველო რევოლუციის პირობებში, ინდივიდუალიზაციის ტრენდი მნიშვნელოვნად შეეხო რეკლამის სფეროს და ინტერნეტ-მომხმარებლების მიკროტარგეტირებასაც - მომხმარებლის პროფილის, სოცქსელებში მისი ქცევის ანალიზის შედეგად,

[49] Did Michal Kosinski's Methods Facilitate Donald Trump's Victory? – CeBit. 18.01.2017. URL: http://www.cebit.de/en/news/article/michal-kosinski-38402.xhtml (accessed 01.06.2017.

[50] Did Cambridge Analytica Influence the Brexit Vote and the US Election? – The Guardian. 04.03.2017, URL: https://www.theguardian.com/politics/2017/mar/04/nigel-oakes-cambridge-analyticawhat-role-brexit-trump (accessed 01.06.2017).

ინდივიდუალიზებული განცხადებების შეთავაზება ჩვეულებრივ პრაქტიკად იქცა.

ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტურობის ანალიზთან მიმართებაში ამ ტრენდმა შეიძლება შემდეგი ფორმები მიიღოს. უპირველეს ყოვლისა, ლაპარაკია მომხმარებლების პროფილების შედგენაზე მათი ეთნო-პოლიტიკური საკითხებისადმი აქტიურობის მიხედვით, რათა დაფიქსირდეს შესაბამისი დაძაბულობის კერები, განისაზღვროს ინტერნეტში რადიკალურად განწყობილი მომხმარებლები, მოხდეს კონფლიქტური ტენდენციების მონინოტორინგი და სხვ. მეორე - big data-ს საშუალებით მოპოვებული და გაანალიზებული მონაცემები, დაინტესებული პირების მიერ გაკეთებული კომენტარებით, შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც სასიკეთოდ, ისე კონფლიქტის გასაღვივებლად ან გასამწვავებლად.

პირველი და უმთავრესი, რაც ისეთი კვლევითი ინსტრუმენტის წარმოშობის და განვითარების ანალიზისას უნდა აღინიშნოს, როგორიც ინდექსებია, არის ეთნოსთა შორის დაძაბულობის და ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების კვლევისას, მათი უდავო ევრისტიკული ღირებულება.

ინდექსების სხვადსხვა ჯგუფები საშუალებას იძლევა, სანდოობის ამა თუ იმ ხარისხით, შევაფასოთ ისეთი რთული ფენომენის ცალკეული მდგენელები, როგორიცაა „ეთნოსთაშორისი დაძაბულობის პოტენციალი“. ამასთან ინდექსები საკმაოდ თვალსაჩინოდ ასახავენ რეალობას და აღსაქმელად მარტივია არა მარტო მეცნიერებისთვის; ინდექსები შეიძლება გამოყენებულ იქნას დამატებითი არგუმენტირებისათვის პოლიტიკოსების, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და ფართო საზოგადოებრიობისათვის დასკვნების წარდგენისას, საკმაოდ ეფექტურია ინდექსების ის ვარიანტებიც, რომელთა შედგენის მეთოდოლოგია ეყრდნობა დისციპლინათაშორის მიდგომებს.

მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკური კონფლიქტების შემფასებელი კვლევითი პროექტები, როგორც წესი, რთული და მეცნიერტევადია, არ არის გათვალისწინებული ტირაჟირებისათვის, თითოეული მათგანი უნიკალურ, საინტერესო ქეისს წარმოადგენს.

აქვე უნდა ვაღიაროთ ასეთ ტექნოლოგიებზე დაყრდნობილი ანალიზების სიმწირე, რაც გაცილებით უფრო სერიოზული მიზეზებით არის გამოწვეული, ვიდრე გამოყენებული ტექნოლოგიების ან სტატისტიკური აღრიცხვის არასრულყოფილებაა. ეთნიკურობის ფენომენის ინტერპრეტირება თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებში არაერთმნიშვნელოვნად *ხდება.* ეს კი, ბუნებრივია, ართულებს ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტურობის ფენომენის კონცეპტუალიზაციას.

ეთნიკურობისა და ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტურობის ფენომენის კონცეპტუალიზაციის პრობლემის გარდა, ინდექსების გამოყენებისას ჩნდება, აგრეთვე, ამოცანის ადეკვატური გადაჭრის აუცილებლობასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური ხასიათის სირთულეები, რომლებიც ნებისმიერი ინდექსის შედგენისას ვლინდება.[51]

ისეთი რთული, მრავალშრიანი მოვლენა, როგორიც ეთნოსთაშორისი დაძაბულობაა, არ შეიძლება ადეკვატურად აისახოს და გაანალიზდეს „უბრალო“ ინდიკატორების მეშვეობით და რთული შემადგენლობის ინდექსების აგებას მოითხოვს, რომლებიც ოპერაციონალიზდება მეთოდოლოგიურად კარგად აპრობირებული ცალკეული მაჩვენებლების აგრეგირების გზით. ამ შემთხვევაში, შეჯერებული ინდექსი დგება ცალკეული ინდიკატორების ბაზაზე, შესაბამის თეორიულ-მეთოგოლოგიურ მოდელზე დაყრდნობით, რომლის შედგენის სირთულეზე ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ.

[51] Nardo M., Saisana M., Saltelli A., Tarantola S., Hoffman A., Giovannini E. 2005. Handbook on Constructing Composite Indicators. OECD, European Commission. 162 p. DOI: https://doi.org/10.1787/533411815016; Nardo M., Saisana M., Saltelli A., Tarantola S. 2005. Tools for Composite Indicators Building. European Commission, Institute for the Protection and Security of the Citizen, JRC Ispra, Italy. 134 p.

რამდენადაც ინდექსები მათემატიკური და გამოთვლითი მოდელებია, მათი ხარისხი პირდაპირ არის დამოკიდებული ისეთი პრობლემების წარმატებით გადაჭრაზე, როგორიცაა ამოსავალი მონაცემების ადეკვატურობა, აგრეთვე მათი დამუშავება და შეჯერება. გარდა ამისა, პირველადი მასალების შეგროვება, რომელთა ანალიზის შედეგად იგება ინდიკატორები და მონაცემთა დამუშავება მოითხოვს დროს და შესაბამის ინფრასტრუქტურას, საკმაოდ ხანგრძლივი, შრომატევადი და ძვირადღირებული პროცესია.

პრობლემები ჩნდება გამოკითხვის ორგანიზებასთან დაკავშირებითაც - ისინი არ შეიძლება ხშირად ჩატარდეს და უფრო წარსულის სურათს წარმოადგენს, აგრეთვე შეიცავს შეზღუდული პროგნოზირების პოტენციალს. პუბლიკაცია, პერიოდულობით წელიწადში ერთხელ (საუკეთესო შემთხვევაში) იმაზე მიანიშნებს, რომ მათზე დაყრდნობილი ინდექსები მოვლენების ანალიზს მხოლოდ დაგვიანებით გვაწვდიან.

ინდექსების კიდევ ერთ ნაკლი განპირობებულია გამოკითხვისას გარკვეული სუბიექტურობის გამოვლინებასთან (იქნება ეს ექსპერტების თუ მოსახლეობის გამოკითხვა). გამოკითხვის ინდექსები ყოველთვის არ იძლევა საშუალებას განვახორციელოთ რელევანტური ქვეყანათაშორისი შედარებები და შედეგების ადეკვატური ინტერპრეტირება, რადგანაც აღნიშნული კვლევა ძალიან ფაქიზ ანალიზს და ამა თუ იმ ქვეყნის კულტურული და ისტორიული კონტექსტის და თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის ღრმა ცოდნას მოითხოვს.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ისეთი სუბიექტური ფაქტორების გავლენა როგორიცაა შემდგენელის კომპეტენტურობა, მისი ანგაჟირებულობა: ექსპერტული აზრი დამოკიდებულია მის პოლიტიკურ და სამოქალაქო პოზიციაზე, ეთნიკურ კუთვნილებაზე, ინფორმირებულობაზე, ტენდენციურობაზე და სხვ.

ასეთი ვითარება ინდექსებს "რბილი ძალის' ინსტრუმენტად აქცევს. იდეოლიგიურ სივრცეშო კონკურენტული ბრძოლის გამწვავების პირობებში "ის, ვინც რბილი ზეგავლენის ახალ ტექნოლოგიებს პირველი შეიმუშავებს და გამოიყენებს, მნიშვნელოვან უპირატესობას იღებს. უფრო მეტიც, მოქმედების პირველ ეტაპზე მას ეფექტური წინააღმდეგობა არ ხვდება იმის გამო, რომ ის ჯერ კიდევ უცნობი და შეუსწავლელია.

დღეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების კონტექსტში, როდესაც იზრდება გეოპოლიტიკური დაძაბულობა, რევოლუციური განწყობები, აქტიურდება ერი-სახელმწიფოს საფუძვლების ნგრევისაკენ მიმართული იბიექტური და სუბიექტური ფაქტორები, განსაკუთრებული ინტერესის საგანია არა მარტო ამა თუ იმ რეგიონის ეთნო-პოლიტიკური დაძაბულობის პოტენციალის შეფასება, არამედ პროცესების განვითარების ახლო და შორეული პერსპექტივები.

ეთნოსთა შორის დაძაბულობის გაზომვის და პირობების შეფასებისაგან განსხვავებით, როდესაც ეს დაძაბულობა შეიძლება ღია ეთნო-პოლიტიკურ კონფლიქტში გადაიზარდოს, შეფასების ისეთი ინსტრუმენტის გამოყენება როგორიცაა სოციალური განწყობის ინდექსი, საკმაოდ შეზღუდულია. იმის პროგნოზი, თუ გაყინული კონფლიქტი როდის შეიძლება ღია ფაზაში შევიდეს სხვა ტექნოლოგიებითა და ინსტრუმენტებით ხდება. ისინი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია სოციალური ქსელების მონაცემების გამოყენებასთან, რომელიც სპეციალური სოციალური და კოგნიტური მექანიზმების საშუალებით, დღეს ჯგუფური კავშირების მხარდაჭერის და სოლიდარობის (*groupism*) უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს,[52]

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ ხშირად ეთნოსი ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტის სუბიექტად არ განიხილება. სუბიექტებად გამოდიან შესაბამისი ინტერესთა ჯგუფები და ეთნიკურობის დისკურსი

[52] Брубэйкер Р. 2012. *Этничность без групп.* М.: Изд. дом Высшей школы экономики. გვ. 46.

გამოყენებულია ამ ჯგუფების რეალური დაპირისპირების მიზეზის შესანიღბად. თუმცა თავად ეთნიკურობის ფაქტორი კინფლიქტოგენური არ არის, მაგრამ მობილიზაციის თვალსაზრისით, იგი საკმაოდ ეფექტურია. ამიტომაც პოლიტიკური ძალადობის კვლევისას მეტად მნიშვნელოვანია მოვერიდოთ ეთნიკური ფაქტორის აბსოლუტიზაციას, "კონფლიქტის ან ძალადობის ეთნიკურად კოდირებას მაშინ, როდესაც ისინი სხვაგვარად შეიძლება ყოფილიყო კოდირებული" (რაზეც, კერძოდ, ლაპარაკობდა რ.ბრუბეიკერი).[53]

სხვადასხვა ინდექსების გამოყენება საშუალებას იძლევა ადეკვატურად შეფასდეს რომელ შემთხვევაშია ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტი შექმნილი ხელოვნურად და რომელ შემთხვევაშია ცალკეული ჯგუფების სპონტანური რეაქცია სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ (ხშირ შემთხვევაში გეოპოლიტიკური) სიტუაციის გაუარესებაზე. ასე, რომ ინდექსები შეიძლება იყოს დამატებითი საშუალება უფრო ფართო კვლევებისას, მათ შორის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური (გეოპოლიტიკური) კონტექსტის გათვალისწინებით განვითარებული მოვლენების ფონზე. სრულიად ნათელია, რომ თვით ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტურობის რთული კომპლექსური ფენომენის გამო, მისი ობიექტური სამეცნიერო ანალიზი არ შეიძლება არ ეყრდნობოდეს რთულ ინდექსებს, რომელიც ზემოთ განხილულ ერთ ან რამდენიმე ტიპის ინდექსს ეყრდნობა.

ყველა დადებითი მხარის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი ინდექსების საშუალებით ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტურობის პოტენციის შესწავლის მნიშვნელობას. ეთნიკური კონფლიქტი სოციალური კონფლიქტის ნაირსახეობაა და მკვეთრად გამოხატული სფეციფიკა გააჩნია, მისი შესწავლა ითვალისწინებს ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებას როგორიცაა სოციალური განწყობის ინდექსი, რომელიც თავისთავად მოითხოვს ფილოსიფიის, კულტუროლოგიის,

[53] იქვე, გვ.41

პოლიტიკის მეცნიერების და სხვ დარგების ცოდნას და კვლევებს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ასეთი სახის კვლევები რთულად ექვემდებარება კვანტიფიკაციას და რიცხობრივ განსაზღვრებას (ღირებულებები, წესები, ფსიქოლოგიური თავისებურებები, ტრადიციები), კვლევები საკმაოდ რთული პრიცესია. მნიშვნელოვანია, გვესმოდეს, რომელი ანალიტიკური ან თეორიული ამოცანის გადაჭრისთვის შეიძლება იყოს გამოყენებული ესა თუ ის ინდექსი ან ინდექსთა ჯგუფი და სკურპულოზურად იქნას ინტერპრეტირებული მიღებული შედეგები და დასკვნები.

2.2. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების პრევენციის პრაქტიკა თანამედროვე ევროპაში: ეფექტურობის ფაქტორები

თანამედროვე მსოფლიოში არაერთი მიძინებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტია. ჩრდილოეთ ირლანდიის, სამხრეთ ტიროლის, ტრანსილვანიის, კორსიკის, ჩრდილოეთ კვიპროსის დღევანდელი სტატუსი იმპერიების დანგრევის და სამხედრო კონფლიქტების გრძელვადიანი შედეგია. კონფლიქტები კატალონიაში, ბასკეთში, შოტლანდიაში, კვებეკში, ბელგიაში ტერიტორიული ავტონომიზაციის და სახელმწიფოს ფედერალიზაციის პირობებში გამოვლინდა და განვითარდა. დნეპრისპირეთის, სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის, მთიანი ყარაბაღის

კონფლიქტებმა გამოავლინა საბჭოთა კავშირის ფორსირებული დემონტაჟის და ეროვნული პოლიტიკის ფუნდამენტური, მაგრამ გარკვეულ დრომდე დაფარული დეფექტები და მტკივნეული მხარეები. ამ კონფლიქტებმა პოსტსაბჭოთა სივრცეში მნიშვნელოვნად შეაფერხა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტეგრაცია და სახელმწიფო აღმშენებლობა.

კონფლიქტურობის ტრაექტორია ახლო აღმოსავლეთში და ჩრდილოეთ აფრიკაში, ასევე აფრიკაში საჰარის სამხრეთით, აზია-წყნარი ოკეანიის რეგიონში განპირობებულია კოლონიური წარსულით, საზღვრების პოსტკოლონიური დემარკაციით, არამდგარდი ბალანსით კლანურ-კასტური ურთიერთობების და ტრაიბალიზმის არქაულ-პატრიმონიალურ ინერციასა და პოლიტიკური მოდერნიზაციის მოთხოვნებს შორის.

ზემოთ ჩამოთვლილი დაძაბულობის კერები, რათქმა უნდა სრული არ არის, მაგრამ ყველა შემთხვევაში სახეზე გვაქვს ეთნიკურობის პოლიტიკური მობილიზაციის ფაქტორთან, რომელიც კულტურული განსაკუთრებულობის (ფართო გაგებით) დასაცავად გამოიყენება. კულტურული ავტონომიის მოთხოვნა პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსის ამა თუ იმ დონით შეცვლას და ასიმეტრიულ კონფლიქტში დაპირისპირებული მხარისთვის ცენტრისგან ეკონომიკური პრეფერენციების მიღებას გულისხმობს. პოზიციების შეჯახება ისტორიული მეხსიერების განსხვავებულ ინტერპრეტაციაში გამოიხატება, რაც ტერიტორიული იდენტობების დაპირისპირებას კიდევ უფრო ამყარებს.

რა ფაქტორები განსაზღვრავენ შიდაპოლიტიკური კონფლიქტურობის დარეგულირების მოდელის ეფექტურობას? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად განვიხილოთ რამდენიმე დაპირისპირების შედარებითი ანალიზი, რომელიც რეპრეზენტატულია ეთნიკურობის (ეთნოკულტურული) დისკურსის კრიტერიუმით და გამოიყენება პოლიტიკური მობილიზაციისათვის. ამასთან, ეს არის პოლიტიკური ერის

სახელით მოქმედ სახელმწიფოებსა და „ერებს სახელმწიფოს გარეშე“ შორის ურთიერთობების დარეგულირების სხვადასხვა მოდელები.

ფაქტორები, რომლებიც შიდაპოლიტიკური კონფლიქტურობის რეგულირების მოდელის ეფექტურობას განსაზღვრავენ, გამოვლენილ იქნა კონფლიქტურობის დარეგულირების მექანიზმების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომლის რეპრეზენტატიულობასაც განაპირობებს ეთნიკური (ეთნოკულტურული) იდენტობის დისკურსის პოლიტიკური მობილიზაციისათვის გამოყენება. საინტერესოა ეთნოსებს შორის ურთიერთობების დარეგულირების მაგალითები იტალიურ ბოლცანოს (სამხრეთ ტიროლი) პროვინციაში, ჩრდილოეთ ირლანდიასა (ქვეყანა, რომელიც გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში შედის) და ტრანსილვანიაში (რუმინეთი), სადაც ერთ მხარეს წარმოადგენს პოლიტიკური ერის სახელით მოქმედი სახელმწიფო, ხოლო მეორეს „ერი - სახელმწიფოს გარეშე“.

ბოლცანოს (სამხრეთ ტიროლი, იტალია) - ავტონომიური რეგიონი ტრენტინო-ალდო-ადიჯე/სამხრეთ ტიროლი განსაკუთრებული ადმინისტრაციულ-პოლიტიკური და საგადასახადო სტატუსით (შემოსავლების 90% ადგილობრივ ბიუჯეტში რჩება) - ეს არის დინამიურად განვითარებადი ტერიტორიის მაგალითი: 2016 წლის მონაცემებით, ერთ სულ მოსახლეზე მშპ-თი და ცხოვრების ხარისხით პროვინციას მე-7 ადგილი ეკავა პროვინციების და დიდი ქალაქების საერთოეროვნულ სიაში (სულ 110 პოზიცია) მეურნეობების მაღალი შემოსავლების ხარჯზე, ბიზნესის ინოვაციური განვითარებით, დემოგრაფიული მონაცემებით[54] კი იგი ევროკავშირის წარმატებული ტერიტორიების რიცხვში შედიოდა. სამხრეთ ტიროლზე, რომლის მოსახლეობაც ნახევარ მილიონზე ოდნავ

[54] Cadeo R. 2015. Qualità della vita del Sole 24 Ore: Bolzano prima, Milano seconda a sorpresa. Reggio Calabria ultima. – Il Sole 24 Ore. 21.12. URL: http://www.ilsole24ore.com/art/notizie/2015-12- 20/qualita-vita-sole-24-ore-bolzano-prima-milano-seconda-sorpresa-reggio-calabria-ultima201038.shtml?uuid=ACDibAxB&refresh_ce=1 (accessed 05.06.2016)

მეტია, მთელ იტალიაში გაყიდული ვაშლების ნახევარი მოდის. ტრენტინოს რეგიონი ევროპული ვაშლის ბაზრის 10%-ს ავსებს.

„იტალიზაციის“ სანაცვლოდ, ენის, კულტურის და ეკონომიკის ავტონომიზაციის განვითარებისაკენ მიზანმიმართულმა ცენტრის პოლიტიკამ და ტიროლოს ეკონომიკურმა წარმატებამ კონფლიქტური სიტუაციის დეპოლიტიზაციის პირობები შექმნა. თუმცა პროვინციის ლანდაგში (პარლამენტში) წარმოდგენილი ზოგიერთი პოლიტიკური ძალები ირედენტული პროექტის (1918 წლამდე ეს მიწები ავსტრო-უნგრეთის შემადგენლობაში შედიოდა და მათ განიცადეს ჯერ „მკაცრი“, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, („რბილი“ იტალიანიზაციის პერიოდი) მომხრეებად რჩებიან. დაძაბულობის დონემ გერმნულად (მოსახლეობის 63%) და იტალიურად მოლაპარაკე მოსახლეობას შორის საგრძნობლად იკლო. დღეისათვის ფაქტობრივად კონფლიქტური სიტუაცია არ არსებობს, თუმცა თემებს შორის მაინცდამაინც მჭიდრო ურთიერთობებიც არ არის.[55] შენარჩუნებულია ენობრივი გამიჯვნა, ხოლო პროვინცია ტერიტორიის კულტურული განვითარებით (დასვენების და ტურიზმის ინფრასტრუქტურა) საერთოიტალიური სიის შუაშია.

ჩრდილოეთ ირლანდია რელიგიური თემების დაპირისპირების მაგალითია, რომლის მიღმაც ირედენტული განწყობები და ცენტრისათვის დევოლუციის ეფექტური ფორმულის ძიება დგას. ეს არის პროცესი, რომელიც სხვადასხვა ფორმებსა და მასშტაბებში, გაერთიანებული სამეფოს და ჩრდილოეთ ირლანდიის შემადგენლობაში მყოფ ოთხივე ქვეყანას შეეხო. მის ყველაზე უფრო ეკონომიკურად ჩამორჩენილ ნაწილთან დაკავშირებით, (2017 წლის მონაცემებით, ჩრდილოეთ ირლანდიის მეურნეობების შემოსავალი შეადგენდა 83%-ს საშუალობრიტანულ -15,9 ათას ფუნტ, გაერთიანებული სამეფოს საშუალო 19,1 ათას ფუნტ და

[55] Steininger R. 2009. South Tyrol: A Minority Conflict of the Twentieth Century. New Brunswick, London: Transaction Publishers. 174 p. P. 3.

ინგლისის 19,45 ათას ფუნტთან შედარებით)[56] ლაპარაკია „თანასაზოგადოებრივი დემოკრატიის“ (consociational democracy) ფორმის პოლიტიკური გადაწყვეტილების საფუძველზე მოსახლეობისათვის სხვადასხვა სახის სოციალურ დახმარებებზე.[57] დღეს ქვეყანას ერთობლივად მართავენ ორივე თემის წამყვანი პოლიტიკური ძალები, რომლებიც ორ რელიგიურ თემს წარმოადგენენ - პროტესტანტებს და კათოლიკებს. სამხრეთ ტიროლისაგან განსხვავებით, სადაც კონფლიქტის ესკალაციის დროს ტერაქტები მიმართული იყო ინფრასტრუქტურული ობიექტების გასანადგურებლად, ჩრდილოეთ ირლანდიაში კონფლიქტის თანმდევი, ფიზიკური ძალადობა იყო. „ვნების პარასკევის შეთანხმების“ საფუძველზე მიღწეულმა პოლიტიკურმა დარეგულირებამ განაპირობა სამშვიდობო პროცესის ინსტიტუციონალიზაცია, მაგრამ არა დაპირისპირებულ თემთა დაახლოება. დღეს ინტეგრირებულ სკოლებში ბავშვთა 7%-ზე ნაკლები სწავლობს, ხოლო უფროსების მხოლოდ 1,5%-ს აქვს სასკოლო სოციალიზაციის საერთო გამოცდილება. სეგრეგაცია ყოველდღიურ რეალობად რჩება. კათოლიკური თემისათვის იდენტობის განმსაზღვრელი კონფესიური კუთვნილებაა. მათი სახელით მოქმედი პოლიტიკური ძალები, პირველ რიგში შინ ფეინი (Sinn Féin – „ჩვენ თვითონ“) აქტიურად იქყენებენ ენის ფაქტორს, როგორც ბარიერს „თავისიანებს“ და „სხვებს“ შორის. ენის პრობლემის დეპოლიტიზაციის საკითხი ისტორიული ენის (უკანასკნელი აღწერის მონაცემების თანახმად, ირლანდიური გაელური ენა იცის მოსახლეობის მხოლოდ 10%-მა) პოზიციების განმტკიცების გზით, მწვავედ დგას პოლიტიკურ დღის წესრიგში.[58] ტრადიციულად პროტესტანტებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საჯარო სივრცეში თავიანთი პოლიტიკური იდენტობის სიმბოლურ

[56] Gross disposable household income (GDHI): 1997 – 2015. Statistical Bulletin. См.: URL: https://www.ons.gov.uk/economy/regionalaccounts/grossdisposablehouseholdincome/bulletins/regionalgrossdisposablehouseholdincomegdhi/2015 (дата обращения: 31.10.2017).

[57] Lijphart A. 1977. Democracy in Plural Societies: A Comparative Exploration. New Haven: Yale University Press. 248 p

[58] O'Leary J. 2014. Why is Irish language a divisive issue in Northern Ireland? – BBC news. 17.12.. URL: http://www.bbc.com/news/uk-northern-ireland-30517834 (accessed 05.06.2016)

მანიფესტაციას, ისეთების, როგორიცაა, ორანჟისტების მარში და დროშის დემონსტრირების სხვადასხვა ფორმები. როგორც ირლანდიელ ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, სწორედ ეთნოკულტურული ფაქტორები რჩება პლიტიკური მობილიზაციის საკვანძო საკითხად.[59] „ეთნიკურობის ჰომოგენიზაციის“[60] პოლიტიკამ განაპირობა ცენტრისტული პარტიების გავლენების შემცირება და რადიკალური ძალების პოპულარობის ზრდა. ჩრდილოეთ ირლანდიაში დამკვიდრებული კონფლიქტის დარეგულირების ცენტრის მიერ მხარდაჭერილი პატერნალისტური მოდელი ვერ გადაიზარდა დემოკრატიული პოლიტიკური კონკურენციის მოდელში.

ტრანსილვანია - ეს არის უნიტარულ სახელმწიფოში (რუმინეთის ტერიტორიული მოწყობა უნიტარულია) ეთნოსთა შორის დაძაბულობის ლატენტური წყაროს მაგალითი. ამ ლატენტური კონფლიქტის არსებობას კარგა ხნის მანძილზე ირედენტიზმის, ენის და ისტორიული მეხსიერების ფაქტორი უწყობდა ხელს. აქვე უნდა აღინიშნოს უნგრეთის ზეგავლენის შესახებ, უნგრულ უმცირესობაზე. რეგიონმა ისტორიის განმავლობაში არაერთხელ შეიცვალა თავისი პოლიტიკური სტატუსი. რუმინეთის უნიტატრული სახელმწიფოს შემადგენლობაში მისი დღევანდელი მდგომარეობა ართულებს ურთიერთობებს რუმინულ უმრავლესობას (რეგიონის მოსახლეობის 75%), უნგრულ მოსახლეობას (მოსახლეობის 20%. უნგრულად მოლაპარაკე მოსახლეობის რაოდენობა 2000 წწ.-დე „რუმინიზაციის“ პოლიტიკის ხარჯზე მნიშვნელოვნად იკლებდა) და სხვა უმცირესობებს (საქსონელი გერმანელები, ციგნები და სხვ.) შორის. თავად

[59] Nolan P., Bryan D., Dwyer C., Hayward K., Radford K., Shirlow P. 2014. The Flag Dispute: Anatomy of a Protest. Belfast: Queen‘s University. 145 p. P. 107

[60] ასეთი ჰომოგენიზაციის დისკურში შიდა დინებები ჩნდება. თუ ირლანდიელი კათოლიკეები თავს ირლანდიურ ეთნოსს (ეთნიკურ ჯგუფს) მიაკუთვნებენ, იუნიონისტები-პროტესტანტები ბრიტანული კულტურის და იდენტობის დამცველებად გვევლინებიან. ამასთან, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შოტლანდიური წარმოშობისაა (Ulster Scots), რომლებიც თავის თავს განსაკუთრებულ ეთნიკურ ჯგუფს მიაკუთვნებენ. იხ.: Nolan P. 2006. Northern Ireland: Post-conflict Education Model? – Forced Migration Review Supplement. Education and conflict: Research, Policy and Practice. July. P. 19.

ტრანსილვანიელი მკვლევარების აზრით, ინტეგრაციის პროცესს ხელს უშლის რეგიონში არსებული იდენტობის სტერეოპიპები და დაპირისპირებულ მხარეთა ეთნოპოლიტიკური სტრატეგიები. უნგრული იდენტობის საფუძველს რელიგია და ენა წარმოადგენს, მაგრამ 2000 წლამდე ცენტრი ტერიტორიულ-კულტურული ავტონომიის მოთხოვნებს წმინდა პოლიტიკურ განზომილებაში განიხილავდა, რამაც პოტენციური კონფლიქტურობის ტრენდი შექმნა.[61] ტრანსილვანიის სეკეის მხარეში, უნგრული უმრავლესობით, ისმის ტერიტორიული ავტონომიზაციის მოთხოვნები, სუბსიდირების პრინციპებით. ამ მოთხოვნას არა იმდენად ეთნიკური, არამედ სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების კომპლექსი, აგრეთვე სეკეის ტერიტორიული იდენტობის ფაქტორი უდევს საფუძვლად. რიგი პარამეტრებით პრობლემა შეიძლება სამხრეთ ტიროლის პრობლემას შევადაროთ, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი ინსტიტუციურად ვერ გადაიჭრა, რაც სეპარატისტული განწყობების გაღვივების წყაროს წარმოადგენს. დღეს ადგილობრივ საჯარო სივრცეში, როგორც წესი, კონკრეტული ტერიტორიის უმრავლესობის მოსახლეობის წარმომადგენლები ჭარბობენ. რუმინული და უნგრული სიმბოლოები და გმირები ისტორიის განსხვავებული ინტერპრეტაციის მიუხედავად, ხშირ შემთხვევაში წარმატებით თანაარსებობენ. დაპირისპირების გრადუსის შემცირებას ხელს უწყობს რუმინეთის ევროკავშირში წევრობაც, რაც უნგრულ უმცირესობას აძლევს უფლებას განათლება მიიღოს და საქმის წარმოება განახორციელოს მშობლიურ უნგრულ ენაზე. მრავალწილად ამ გარანტიების და ევროკავშირის ეკონომიკური დახმარების გამო, კონფლიქტი შედარებით მშვიდ ფაზაში გადავიდა.

ევროპის სხვადასხვა რეგიონის განსხვავებული პოლიტიკური კულტურის და სახელმწიფოებრივი მოწყობის კონფლიქტურობის

[61] Strategies of Identity Construction: Ethnic Politics, Minorities, and European Integration in Transylvania. 2007. Bloomington: Indiana University. György Ránki Hungarian Chair Symposium. April 14-15. URL: http://www.indiana.edu/~ceus/events/Hungarian%20Symposium%202007%20flier% 20web%20version.pdf (accessed 12.05.2016).

შიდაპოლიტიკური დარეგულირების სამი „კაზუსის“ შედარებითი ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვყოთ რიგი საერთო ფაქტორები. ამ ფაქტორების შერჩევითი შეჯერება საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ დარეგულირების პრაქტიკის ეფექტურობის ხარისხი. ეს არის პოლიტიკურ-ინსტიტუციონალური ორგანიზაციის პარამეტრების კულტურულ პოლიტიკასთან ერთად განხორციელება, პირველ რიგში განათლების სისტემაში უმცირესობების ენის გამოყენების მხარდაჭერა, (მათ შორის რელიგიური განათლების, როგორც ჩრდილოეთ ირლანდიაში), ცენტრის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც საბიუჯეტო ავტონომიის სხვადასხვა დონეს ითვალისწინებს, ინოვაციური ეკონომიკური პრაქტიკების სტიმულირება და ეფექტური სოციალური პოლიტიკა, სოციალური სახელმწიფოს ინსტიტუტების განვითარება (ყველაზე უფრო თვალსაჩინოა ბოლცანოს შემთხვევა: იტალიის ფარგლებს გარეთ დარეგულირება აღიქმება როგორც ეთნოსთაშორისი დაძაბულობის განმუხტვის მოდელი თანდათანობითი ავტონომიზაციის და ინოვაციური განვითარების სტიმულიების გზით). ეს არის სიმბოლური პოლიტიკა, რომელიც საერთო ეროვნულ კონტექსტში ახდენს ეთნოტერიტორიული თემების კულტურული სიმბოლოების ინტეგრირებას და უნარი შესწევს (ან არ შესწევს უნარი) დაახლოვოს ისტორიის და ისტორიული მეხსიერების წინააღმდეგობრივი ინტერპრეტაცია. (ამ შემთხვევაში, საყურადღებოა ტრანსილვანიის მაგალითი). ძალზედ მგძნობიარეა საკითხი ენის გამოყენებისა და მისი კულტურულ პოლიტიკაში ინტეგრაციის შესახებ. ნებისმიერ სიმბოლურ აქციას შეუძლია კონფლიქტის გაღვივება, თუ საზოგადოებას ფართო თემთაშორისი კულტურის განვითარებისა და კონფესიებს შორის დიალოგის საფუძველზე, არ გააჩნია საერთო მომავლის ხედვა და ინკლუზიური იდენტობის ფორმირების განწყობა.

თვალსაჩინო გავლენა აქვს კონფლიქტის აღქმას კონფლიქტური რეგიონის ფარგლებს გარეთ: ასე, მაგალითად, იტალიელების უმრავლესობას მიაჩნია, რომ სამხრეთ ტიროლის პრობლემა გადაჭრილია,

ხოლო ჩრდილოეთ ირლანდიში პირიქით, როგორც გადაუჭრელი. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ პოტენციური ირედენტიზმის საფრთხეც, რომელიც ძლიერდება მაშინ, როდესაც „მშობლიურ“ ხალხს უფრო მაღალი სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონე აქვს. „ნაციონალური უმცირესობების“ მიმართ ევროკავშირის მიერ განხორციელებული პოლიტიკის პრაქტიკა ცხადყობს რომ მისი პოლიტიკა სტაბილიზაციის ფაქტორს წარმოადგენს (ამ შემთხვევაში გამოდგება ტრანსილვანიის გამოცდილება), თუმცა ევროკავშირიდან ქვეყნის გამოსვლის ნებისმიერმა პრეცედენტმა შეიძლება ეს წონასწორობა დაარღვიოს (ბრექსიტი და კატალონიისა და ესპანეთის მაგალითი). გარკვეული მასტაბილიზირებელი როლი შეუძლიათ შეასრულონ ევრორეგიონების ტრანსსასაზღვრო სტრუქტურებმაც - სტიმული მისცენ სასაზღვრო ზოლის გასწვრივ მცხოვრებ ეთნოკულტუტულ თემებს უფრო მჭიდრო ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობების დასამყარებლად.

ეთნიკური იდენტობის პოლიტიზირების ახალი პრეცედენტები შეიძლება არსებული პოლიტიკური წესრიგის დესტაბილიზაციის მიზეზი გახდეს. უპირველეს ყოვლისა, იმ შემთხვევაში, თუ რეგიონული ან საერთოეროვნული პოლიტიკური ელიტა შეეცდება ფსონი რეგიონის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსის გადახედვაზე დადოს და ამით ეთნიკური თვითშეგრძნების ისეთ მგძნობიარე მარკერებს შეეხოს, როგორიცაა, მაგ., ენობრივი ან მეხსიერებითი პოლიტიკა. მაგრამ, როგორც სამხრეთ ტიროლის მაგალითი გვიჩვენებს, ეთნიკურობის პოლიტიზირების უარყოფითი შედეგი შეიძლება დაძლეულ იქნას ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით და უმცირესობებით დასახლებული ტერიტორიის ინოვაციური განვითარების პერსპექტივით. ამისთვის კი საჭიროა ეკონომიკური და პოლიტიკური ელიტების, ბიზნესის და ცენტრალური ხელისუფლების ეფექტური თანამშრომლობა. ამავდროულად, ეთნოტერიტორიული ავტონომიების და სახელმწიფოს სხვა ტერიტორიების არათანაბარი განვითარება ხელს უწყობს

სეპარატისტული განწყობების ზრდას (როგორც ეს იყო კატალონიის ან ფლანდრიის მაგალითზე). როგორც შოტლანდიის გამოცდილება გვიჩვენებს, სოციალური სახელმწიფოს ინსტიტუტების მაღალი განვითარება და სოციალურ სფეროში სამოქალაქო აქტიობის პოტენციალი, დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის მომზადების პროცესში შეიძლება „გარიგების საგნად“[62] იქცეს.

რეგულირების ყველაზე უფრო პრობლემური სფერო - კულტურული პოლიტიკაა. „უკიდურესად გახლეჩილ“ საზოგადოებებში კონსენსუსის მიღწევა ისტორიული წარსულის ხედვის და ეროვნული იდენტობის განსხვავებული ორიენტირების ირგვლივ საკმაოდ რთულია.[63] „სხვების“ ნეგატიური აღქმის სტერეოტიპები ემოციურად შეფერილ კულტურულ კონტექსტში ყალიბდება და საკმაოდ მყარი და სიცოცხლისუნარიანია. შედეგად ყალიბდება „ეთნოიზოლაციონისტური რწმენები“, რომელთა გადალახვაც „სამოქალაქო და ეთნიკური იდენტობის პოზიტიური შეთავსების“ პრობლემის გადაჭრასთან არის დაკავშირებული.[64] ერთმანეთის მოსმენის ცოდნის დეფიციტის მნიშვნელოვანი ფაქტორია რელიგიური და კონფესიური დიალოგის წარმოება. ასეთი დიალოგის საფუძველი უნდა იყოს ადამიანის მიერ საკუთარი იდენტობის ყოფიერი საფუძვლების და ღრმა სულიერი საწყისების გააზრება.

[62] Перегудов С.П., Семененко И.С. 2015. Референдум о независимости Шотландии и проблемы британской государственности. – МЭиМО. № 3. С. 64-75
[63] Guelke A. 2012. Politics in Deeply Divided Societies. Cambridge: Polity Press. 184 p
[64] Дробижева Л.М. 2008. Национально-гражданская и этническая идентичность: проблемы позитивной совместимости. – Россия реформирующаяся. Ежегодник (отв. ред. М.К. Горшков). М.: Институт социологии РАН. С. 225.

2.3. - განათლების სფერო, როგორც პოლიტიკური სოციალიზაციის ძირითადი წყარო და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების პრევენცოს მნიშვნელოვანი ფაქტორი

თანამედროვე სამყაროში არსებული კონფლიქტები და მათი მზარდი ტენდენცია ადასტურებს მკვლევარების შეშფოთებას იმის თაობაზე, რომ ეთნიკური წარმომავლობა, როგორც სოციალური ცხოვრების ფენომენი, საზოგადოების განვითარებასთან ერთად, არა თუ კარგავს აქტუალობას, არამედ ახალი კონფლიქტების წყაროდ იქცა. ეს პრობლემა პოლიტიკურ სივრცეშია და მისი გადაჭრა ჰერმენევტიკულ მიდგომას მოითხოვს.

ამ მხრივ მსოფლიოში უკვე დაგროვდა მნიშვნელოვანი გამოცდილება, მათ შორის წარუმატებელიც. მაგრამ ეს კარგ შესაძლებლობებს ქმნის ასეთი კონფლიქტების შესწავლის, კონცეპტუალიზაციის, პრაქტიკული დასკვნების გამოტანის და შესაბამისი ზომების გატარებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საგანმანათლებლო პოლიტიკას. მისი საშუალებით ადამიანებში ხდება იდეების და მნიშვნელოვანი თვისებების, კულტურული კოდის და აუცილებელი ღირებულებითი სისტემების ფორმირება და გადაცემა. განათლების კერები მნიშვნელოვანი გავლენის აგენტებია, რომლებიც, შესაბამისი პოლიტიკის გატრების შემთხვევაში, ქვეყნის ერთიანი კულტურული და პოლიტიკური სივრცის ფორმირების საფუძვლს ქმნიან.

განათლება ასევე გულისხმობს გარკვეული ცოდნის გადაცემას, რაც აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდების ზრდასრულ ასაკთან ადაპტაციის, გამოიყენებითი უნარების ჩამოყალიბების, პროფესიის შეძენისა და სამუშაოთი უზრუნველყოფისათვის. მას შეუძლია ეფექტური გავლენა მოახდინოს სოციალური უთანასწორობის დონის შემცირებაზე, რაც ეთნოპოლიტიკური დაძაბულობის ზრდის საფუძველს წარმოადგენს.

ამრიგად, განათლებამ შეიძლება შეასრულოს სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფის ფუნქცია, გამოასწოროს სტრუქტურული დისბალანსი, ეთნოკულტურული კომპონენტის ჩათვლით და, ამავე დროს, ეროვნული სახელმწიფოს ფარგლებში შექმნას საზოგადოების კონსოლიდაციის პირობები.

შემთხვევითი არ არის, რომ დღეს განათლების პოლიტიკას იდენტობის პოლიტიკის მნიშვნელოვან ელემენტად განიხილავენ, იმის გათვალისწინებით, რომ ეს უკანასკნელი მოიცავს მეხსიერების, სიმბოლური და ენობრივი პოლიტიკის ელემენტებს, განათლების როლი სრულიად გასაგები ხდება. უაღრესად მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ რამდენად წარმატებული შეიძლება იყოს ეთნოპოლიტიკური ურთიერთობების მოწესრიგების გამოცდილება სწორედ განათლების სფეროში სახელმწიფოს მიერ პოლიტიკური ინსტიტუტებისა და ინსტრუმენტების მეშვეობით გატარებული სწორი პოლიტიკა. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ, სხვადასხვა თვალსაზრისით, შეგვიძლია ვისაუბროთ ამ მექანიზმის მნიშვნელოვან პოტენციალზე.

რა თქმა უნდა, საგანმანათლებლო პოლიტიკა არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ეთნოკულტურული წინააღმდეგობების დაძლევის დამოუკიდებელი ინსტრუმენტი. უფრო მეტიც, ეროვნული სახელმწიფოს საზღვრებში, ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნული პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი და გრძელვადიანი პერსპექტივით გათვლილი, პოლიტიკური ერის ფორმირების გზა. განათლების სფეროში დასახული მიზნების რეალიზების შესაძლებლობების შეფასებისას, აშკარად იკვეთება სოციალური წინააღმდეგობები, რომელთაგან ბევრი საგანმანათლებლო პოლიტიკის ჩარჩოებში არ ჯდება.

პირველ რიგში, გასათვალისწინებელია, რომ არსებული სამართლებრივი ჩარჩო (როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო აქტები),

რომელიც არეგულირებს ეთნიკურ ურთიერთობებს განათლების სფეროში, მიგვითითებს ისეთ ცნებაზე, როგორცაა ”უმცირესობათა უფლებები” (*minority rights*). ამასთან, ამჟამად საერთაშორისო დონეზე არ არსებობს მკაფიოდ ჩამოყალიბებული იურიდიული დგანმარტება ”ეთნიკური უმცირესობების” ცნების შესახებ. უფრო მეტიც, ეს არის გაეროს პრინციპული პოზიცია. მკაფიო იურიდიული განმარტება არ არსებობს არა იმდენად ეთნიკურობის კრიტერიუმების გამოყოფის სირთულის გამო, არამედ კონფლიქტურობის სერიოზული პოტენციალთან დაკავშირებით, რომელიც თან ახლავს ამ განმარტების, მკაფიო საერთაშორისო სამართლებრივი ნორმით ჩამოყალიბებას. ეს პოტენციალი განპირობებულია ”კოლიზიით ეთნიკურობასა და მოქალაქეობრივობას" - თვითგამორკვევის პრინციპს შორის.

მსოფლიო თანამეგობრობისათვის "ეთნიკური უმცირესობების" ცნების მკაფიო იურიდიული განმარტების არარსებობა მნიშვნელოვნად აფერხებს მათი უფლებების უზრუნველყოფისათვის ერთიანი ან თუნდაც დაახლოებული მიდგომის შემუშავების პროცესს, მათ შორის განათლების სფეროში და მასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგებას თუმცა ცალკეული სახელმწიფოებისათვის პოლიტიკის განხორციელების ფართო მანევრირების სივრცეს ტოვებს.

განათლების სფეროში ეთნოპოლიტიკური ურთიერთობების დარეგულირების პრაქტიკის შესწავლა ითვალისწინებს მთელი რიგი სამეცნიერო ამოცანების გადაჭრას და, პირველ რიგში, უმცირესობათა უფლებების განხორციელების კუთხით საერთაშორისო და ევროპული კანონმდებლობის შესწავლას, მათ შორის განათლების სფეროში, აგრეთვე ამ ნორმატიული სამართლებრივი აქტების იმპლემენტაციის პრაქტიკის გათვალისწინებას, რაც შეიძლება მეტი ქვეყნის მაგალითზე. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იმ პრობლემების აღწერა, რომელთაც პოლიეთნიკური ქვეყნები აწყდებიან, საერთოევროპული საკანონმდებლო აქტების

სპეციფიურ ეროვნულ დონეზე განხორციელებისას. ჩვენ შემოგვთავაზეთ საგანმანათლებლო პოლიტიკის სფეროში, ქვეყნების პრაქტიკას და შევეცდებით გავაანალიზოთ ცალკეულ ქვეყნებში დანერგილი მოდელების ძლიერი და სუსტი მხარეები.

ანალიზი არ არის ყოვლისმომცველი, ცალკეული ევროპული ქვეყნების მაგალითზე განიხილება პოლიტიკის განხორციელების ვარიანტები და შემოთავაზებულია მათი კლასიფიკაციის ზოგიერთი მეთოდოლოგიური მიდგომა. ალბათ გასაგებია, თუ რატომ ავირჩიეთ ჩვენი შესწავლის ობიექტად განათლების პოლიტიკა ევროკავშირის ქვეყნებში. გაერთიანებულმა ევროპამ ნამდვილად, სხვებზე მეტ წარმატებას მიაღწია გაერთიანებული სოციალური და პოლიტიკური სივრცის ფორმირების საქმეში და შექმნა ზესახელმწიფოებრივი მართვის ინსტიტუტები და მექანიზმები. შედეგად გაჩნდა საერთო ევროპული ზესახელმწიფოებრივი იდენტობა. საინტერესოა შეუძლიათ თუ არა ამ სტრუქტურაში თანაბრად თანაარსებობა განსახვავებული ეროვნული და ეთნიკური იდენტობის მქონე ჯგუფებს? უდავოდ მნიშვნელოვანია ეროვნული სახელმწიფოებისა და ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურების ფარგლებში ეროვნებათაშორისი ურთიერთობების რეგულირების პრაქტიკის ეფექტურობის შესწავლა.

2010-2017 წლების სოციოლოგიური კვლევების მონაცემებით, გაიზარდა იმ ადამიანთა რაოდენობა, ვინც სხვავდსხვა ხარისხით თავს ევროკავშირის მოქალაქედ მიიჩევს. 21%-დან 27%-დე გაიზარდა ადამიანთა რიცხვი, ვინც თავს ევროკავშირის სრულყოფილ მოქალაქედ თვლის, ამასთან მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა იმ ადამიანების რაოდენობაში, ვინც გარკვეულწილად თავს ევროკავშირის მოქალაქედ თვლის (40%-დე). სტაბილური რჩება ადამიანების რიცხვი, ვინც კატეგორიულად არ უარყოფს ევროკავშირის მოქალაქეობას (დაახლოებით 11%). [65] რადგანაც ახალგაზრდები უფრო პოზიტიურად არიან განწყობილნი

[65] *Standard Eurobarometer 83 Spring 2015. European citizenship. Report. European Union*, 2017. P. 15.

ევროკავშირის მიმართ, ვიდრე ძველი თაობების წარმომადგენლები, გათვალისწინებულია ევროოპტიმისტების რაოდენობის ზრდა,[66] თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, ეს დინამიკა დამოკიდებულია ინტეგრაციის პროცესების განვითარების დინამიკაზე და გაერთიანებული ევროპის დღევანდელ გამოწვევებზე ეფექტურ საპასუხო მოქმედებებზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევროპული იდენტობა, კვლევების თანახმად, ხშირად ეროვნული იდენტურობის ნაწილს წარმოადგენს, ან, ყოველ შემთხვევაში, არ ეწინააღმდეგება მას. გამოკითხულთა 50% -ზე მეტმა საკუთარ თავს ევროპელები და ამა თუ იმ ეროვნული იდენტობის წარმომადგენლები უწოდა. ამავდროულად, რესპონდენტები პირველ რიგში, თავს კონკრეტულ ერს მიაკუთვნებენ, შემდეგ კი ევროპულ მოქალაქეობას აღიარებენ. ეს ორი კუთვნილება ავსებს მას და ახასიათებს, როგორც ევროპული ცივილიზაციის (ან საზოგადოების) წარმომადგენელს.[67]

ძნელია ზუსტად შეაფასო საგანმანათლებლო პოლიტიკის წვლილი თანამედროვე ევროპელის იდენტობის ამ რთული სიმბიოზის ფორმირებაში, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი საკმაოდ მაღალია. ამავდროულად, აშკარაა, რომ ეროვნული იდენტობა და ეთნიკური წარმომავლობა, გაერთიანებულ ევროპაშიც კი, გარკვეულ პირობებში, პოტენციურად პოლიტიკური მობილიზაციის ფაქტორებად რჩება. ამგვარი მდგომარეობა სხვა ფაქტორებთან ერთად, დამოკიდებულია, კონკრეტული ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკის თავისებურებებზე.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ევროკავშირის ფარგლებშიც კი განათლების სფეროში ეთნიკური უმცირესობების მიმართ პოლიტიკის შემუშავების მხრივ.არსებითად განსხვავებული მიდგომებია. ამის გამო ყოველთვის არსებობს ალტერნატივა - შეეცადო რაც შეიძლება ინტენსიურად მოახდინო

[66] Ibid., P. 19.
[67] Ibid., P. 21.

ამ უმცირესობების ინტეგრირება ერთიან პოლიტიკურ ერში, ან, პირიქით, ისინი გამოყო კულტურული მრავალფეროვნების პოლიტიკის გატარებით, სხვადასხვა ბარიერების აღმოფხვრის, მათი უფლებების რეალიზაციის და პოზიტიური დისკრიმინაციის უზრუნველყოფით.

განათლების სფეროში უმცირესობათა უფლებების დაცვის პოლიტიკის განსახორციელებლად, ქვეყანები სხვადასხვა პოლიტიკას ირჩევენ, როგორც წესი, ეს არის ძალიან გრძელვადიანი, სტრატეგიული არჩევანი, რომელიც არ არის დამოკიდებული პოლიტიკური ძალების განლაგებაზე ქვეყნის შიგნით.

გვინდა შევჩერდეთ საგანმანათლებლო პოლიტიკის მნიშვნელოვან ასპექტზე - ენის სწავლებაზე. ამ შემთხვევაში ერთმანეთს ეჯახება პოლიტიკური ინტერესები–, აქტიურად იძებნება პრობლემების გადაჭრის გზები და ხორციელდება ახალი საგანმანათლებლო პრაქტიკა, რომელიც მიზნად ისახავს თანამედროვე საზოგადოებებში "მრავალფეროვნების ერთიანობის" შენარჩუნებას.

ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულირება

საერთაშორისო ორგანიზაციებმა არაერთი დოკუმენტი, მიიღეს რომლებიც, ამა თუ იმ ხარისხით, ეხება ეთნიკური ურთიერთობების მოწესრიგებას, მათ შორის საგანმანათლებლო პოლიტიკის სფეროში.

1965 წლის რასობრივი უთანასწორობის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენცია გულისხმობს მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულებას უზრუნველყონ მოქალაქეების თანაბარი უფლებები განათლების სფეროში, მათი რასობრივი და ეთნიკური წარმოშობის მიუხედავად.[68] ეს მიდგომა უფრო დაწვრილებით არის ასახული 1966 წლის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა

[68] რასობრივი უთანასწორობის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენცია: http://hrlibrary.umn.edu/russian/instree/Rd1cerd.html (23.04.2017).

საერთაშორისო პაქტში.[69] განათლება, პაქტის თანახმად, არის ეთნიკური დაძაბულობის დარეგულირების ერთ-ერთი გზა, მან ხელი უნდა შეუწყოს კულტურათშორისი დიალოგის განვითარებას.

ბავშვთა უფლებების კონვენციაში, გარდა პუნქტებისა, რომ ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობები მიიღოს ხარისხიანი და უფასო სასკოლო განათლება, ასევე აღნიშნულია, რომ სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ბავშვებს "არ შეიძლება ეთქვათ უარი გუფის სხვა წევრებთან ერთად გამოიყენონ თავიანთი კულტურა, გამოიყენონ თავიანთი რელიგია და შეასრულონ მისი რიტუალები, ასევე გამოიყენონ მშობლიური ენა "[70]

იუნესკოს 2005 წლის კონვენცია კულტურული გამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და პოპულარიზაციის შესახებ ადგენს, რომ მისი მონაწილეები "ხელს უწყობენ კულტურული გამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და პოპულარიზაციის მნიშვნელობას, უკეთესად და ღრმად გააზრებას, განსაკუთრებით განათლებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროგრამების მეშვეობით. [71]

საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტებს შორის აღსანიშნავია კონვენცია მკვიდრი და ტომობრივი ხალხების შესახებ (1989). კონვენციაში გაცხადებულია სახელმწიფოს მოვალეობა, ხელი შეუწყოს მკვიდრი მოსახლეობის კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნებას და ხაზს უსვამს განათლების როლს ამ პროცესში. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ამ უმცირესობათა თემებისათვის საკუთარი საგანმანათლებლო სისტემების შექმნის შესაძლებლობა. საგანმანათლებლო პროგრამებში ჩარტთლი უნფა იქნას მკვიდრი ხალხების ისტორია,

---

[69] ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტში:http://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/pactecon.shtml (23.04.2017).

[70] კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ: http://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/childcon.shtml (18.04.2017).

[71] იუნესკოს 2005 წლის კონვენცია კულტურული გამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და პოპულარიზაციის შესახებ: http://unesdoc.unesco.org/images/0014/001429/142919r.pdf (21.04.2017).

კულტურა და ტრადიციები. მიღებული ცოდნა შექმნილია იმისთვის, რომ დაეხმაროს ამ ხალხებს დარწმუნებულნი იყვნენ როგორც თავიანთ თემებში, ასევე პოლიტიკური ერის ჩარჩოში. [72] იმ ექვსი ქვეყნისგან, რომელიც არჩეულ იქნა ანალიზისათვის, აღნიშნული კონვენცია მხოლოდ ესპანეთის მიერ იქნა რატიფიცირებული.

ამრიგად, ჩამოთვლილ დოკუმენტებში დეკლარირების დონეზე აღიარებულია, რომ განათლება არის ეთნიკური ურთიერთობების მოწესრიგების ერთ-ერთი გზა, თუმცა მათში არ არის გაწერილი დასახული მიზნების მისაღწევი მექანიზმები, აგრეთვე განმარტებები "ეთნიკური უმცირესობა" ან "ძირძველი ხალხი" არ არის მოცემული. ეს რჩება ამა თუ იმ სახელმწიფოს იურისდიქციაში და მთავრობის ორგანოები ფართოდ იყენებენ თავიანთ პრეროგატივას განათლების სფეროში ეროვნული პოლიტიკის განსახორციელებლად.

ევროკავშირში ეროვნებათაშორისი ურთიერთობების სამართლებრივ რეგულირებაზე საუბრისას, აღსანიშნავია ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ, რომელიც ერთ-ერთი ფუნდამენტური ნორმატიული დოკუმენტია ხელშეკრულების მეორე მუხლი ხაზს უსვამს, რომ ”კავშირი ემყარება ადამიანის ღირსების, თავისუფლების, დემოკრატიის, თანასწორობის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემის ღირებულებებს, მათ შორის უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებებს”. და შემდეგ: ”ის (ევროკავშირი - დაახლ. ES, VK) პატივს სცემს მისი კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნების სიმდიდრეს და ზრუნავს ევროპული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარების შესახებ” (მუხ. 3). ამ დებულებებს ავსებს ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის მე -6 და 22-ე მუხლები, რომლებიც კრძალავს დისკრიმინაციას სქესის, რასის, ფერის, ეთნიკური ან სოციალური წარმოშობის, გენეტიკური ნიშნის, ენის, რელიგიის ან რწმენის საფუძველზე

[72] კონვენცია მკვიდრი და ტომობრივი ხალხების შესახებ: http://www.humanrights.se/wp-content/uploads/2012/01/C169-Indigenous-and-Tribal-Peoples-Convention.pdf (accessed: 20.04.05).

და აცხადებს პატივისცემას კულტურული, რელიგიური და ენობრივი მრავალფეროვნებისთვის.

კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების თანახმად, ”მისი პოლიტიკისა და საქმიანობის განსაზღვრისა და განხორციელებისას, კავშირი ცდილობს ებრძოლოს სქესის, რასის ან ეთნიკური წარმოშობის, რელიგიის საფუძველზე დისკრიმინაციას”. ხელშეკრულების მე -19 და მე -20 მუხლები უკვე აღწერს დისკრიმინაციასთან ბრძოლის ინსტრუმენტულ პრაქტიკას და ამის უფლება აქვს ევროკავშირის საბჭოს.

რაც შეეხება საგანმანათლებლო პოლიტიკას, ხელშეკრულების 165-ე მუხლში ნათქვამია, რომ ”კავშირი ხელს უწყობს ხარისხიანი განათლების განვითარებას წევრ სახელმწიფოთა თანამშრომლობის წახალისებით, მათი საქმიანობის მხარდაჭერით და შევსებით, ამასთან პატივს სცემს წევრ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობას სწავლების პროცესის შინაარსისა და განათლების სისტემის ორგანიზების, აგრეთვე მათი კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნების მიმართ".

1995 წლის ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენცია კრძალავს ასიმილაციისა და დისკრიმინაციის პოლიტიკას, მათ შორის საგანმანათლებლო პოლიტიკის სფეროში. სახელმწიფოები, რომლებმაც მოახდინეს კონვენციის რატიფიცირება, პასუხისმგებელნი არიან კონკრეტული ზომების მიღებაზე მის განსახორციელებლად.[73] მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დოკუმენტი აღიარებს უმცირესობათა უფლებას ისწავლონ ან მიიღონ განათლება მშობლიურ ენაზე (მუხ. 14.2). ასევე, კონვენცია ადგენს, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეროვნული უმცირესობების სახელმძღვანელოები და პედაგოგები განათლების უფლების უზრუნველყოფის ფარგლებში.

[73] ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენცია: https://www.coe.int/ru/web/conventions/full-list/-/conventions/rms/090000168007cddc: 17.04.2017).

ამასთან, სანქციების რეალური მექანიზმების არარსებობა იმ მონაწილე სახელმწიფოთა მიმართ, რომლებიც არღვევენ ან არ ასრულებენ კონვენციის პირობებს, მას უფრო კეთილი განზრახვების შესახებ დეკლარაციად აქცევს. მიუხედავად იმისა, რომ დარღვევები ფიქსირდება მრჩეველთა კომიტეტში წარდგენილ მოხსენებებში, რომლებიც შექმნილია დოკუმენტის პრინციპების შესრულებაზე ზედამხედველობისთვის, ამ ზედამხედველ ორგანოს არ აქვს უნარი მოახდინოს რეალური გავლენა მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკაზე.

სხვა დოკუმენტებთან ერთად, აღსანიშნავია რეგიონული და უმცირესობათა ენების ქარტია, რომელიც აღიარებს უმცირესობათა ენების დაცვას, როგორც ევროპული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების მნიშვნელოვან პირობას, ერთიანი ევროპის მშენებლობის პროცესში.[74] იგი ხაზს უსვამს იმას, რომ უმცირესობათა ენების შესწავლა ხელს არ შეუშლის სახელმწიფოს ოფიციალური ენების შესწავლას, აღიარებულია, რომ ეთნიკური უმცირესობები ვერ იქცევიან იზოლირებულ თემებად და ისინი ქვეყნის პოლიტიკურ ორგანიზმს უნდა შეურთდნენ. ამ პრინციპის განხორციელების მექანიზმს ეწოდება ბილინგვიზმისა და კულტურათშორისი დიალოგის პოლიტიკა.

ქარტიაში მოცემულია "მკვიდრი უმცირესობების" კონცეფციის გაფართოებული განმარტება. ამ კატეგორიად აღიარებენ მათ, ვინც არიან გარკვეული ჯგუფის წარმომადგენლები საკუთარი ენით, (დიალექტები არ არის აღიარებული ცალკეულ ენებად), და რიცხობრივად უფრო მცირე შემადგენლობით, ვიდრე სახელმწიფოს დანარჩენი მოსახლეობაა. ქარტიით არ რეგულირდება "ზეტერიტორიული" და იმიგრანტების ენები.

რაც შეეხება საგანმანათლებლო პრაქტიკის დანერგვას, ქარტიის პრინციპების შესაბამისად, თითოეულ წევრ სახელმწიფოს შეუძლია

[74] რეგიონული და უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია, : https://www.coe.int/ru/web/conventions/full-list/-/conventions/rms/090000168007c098 (21.04.2017).

განათლების შესახებ სტატიაში მოცემული სამი შესაძლო ვარიანტიდან, აირჩიოს მისთვის მისაღები კონკრეტული შინაარსით დატვირთული ვარიანტი.

ეს ვარიანტები ერთმანეთისგან განსხვავდება ეთნიკური უმცირესობების ენების სწავლების ინტენსივობით: დაწყებული ოფიციალური ენის სავალდებულო შესწავლით, რეგიონულ ენაზე სწავლებით, დამთვრებული მშობლების მოთხოვნით, ბავშვებისთვის "მცირე" ენის სწავლის შესაძლებლობით. თუ მოკლედ შევეხებით ეთნიკური უმცირესობების ძირითადი უფლებების განხორციელების პროგრამების დაფინანსებას განათლების სფეროში, მაშინ უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის ძალიან ძვირი პოლიტიკა.[75]

მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ ერთიან ევროპულ სტრუქტურებს ჯერ არ შეუქმნიათ გავლენის რეალური მექანიზმები წევრი ქვეყნების პოლიტიკაზე ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში, მათი მიდგომების დაახლოების მიზნით. ეს კი წევრ სახელმწიფოებს საკმაოდ ფართო მანევრის საშუალებას აძლევს. შედეგად, თითოეული ქვეყანა, თავისი ისტორიული, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების საფუძველზე, ახორციელებს საკუთარ ეროვნულ საგანმანათლებლო პოლიტიკას, მათ შორის ეროვნულ (ეთნიკურ, ენობრივ) უმცირესობებთან მიმართებაში.

საფრანგეთში, სადაც მთელი რიგი ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ (ელზასელები, ლოტარინგელები, ბრეტონელები,

[75]ამ მიზნით პირველი ფონდი შეიქმნა 1983 წელს, იტალიელი პოლიტიკოსის, ისტორიკოსისა და ჟურნალისტის, გაეტანო არფის ინიციატივით.ფონდს უნდა დაეფინანსებინა პროექტები, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების ენების მხარდაჭერას ისახავდა მიზნად. 1982 წელს შეიქმნა ნაკლებად გამოყენებული ენების ევროპული ბიურო, რომელიც 2010 წლამდე არსებობდა. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ გასული საუკუნის 90 – იანი წლების ბოლომდე ძირითადი საქმიანობა ეთნიკური უმცირესობების ენებთან დაკავშირებით ხორციელდებოდა პროექტებისა და სპეციალური პროგრამების ფარგლებში. განათლების განვითარებაში პროგრამამ სოკრატე -1 დიდი როლი ითამაშა იგი ხელს უწყობდა აკადემიურ მობილობას და ენის სწავლას, ასევე Lingua პროექტის განხორციელებას, რომელიც შეიქმნა ენის მასწავლებლების მომზადების მიზნით.

ფლამანდელები, ბასკები, კატალონიელები, ებრაელები, სომხები, კორსიკელები), რომელთა საერთო რაოდენობა რამდენიმე მილიონი ადამიანია,[76] განათლების სისტემა მიზნად ისახავს მათ მიერ ფრანგული ენის მაქსიმალურად ათვისებას.

ამ პოლიტიკას სათავე საფრანგეთის რევოლუციამ დაუდო და ემყარება საფრანგეთის ნაციონალიზმის პრინციპებს, რომელიც თავისი არსით სამოქალაქო ხასიათისაა. საფრანგეთის ერის წარმომადგენელი შეიძლება იყოს ფრანგული ენის მატარებელი, რომელიც იზიარებს მის პოლიტიკურ და კულტურულ ღირებულებებს.

თანამედროვე საფრანგეთის კანონმდებლობა შეესაბამება რასობრივი თანასწორობის შესახებ დირექტივას, რომელიც მოცემულია კონსტიტუციის 1-ლ მუხლში: ”საფრანგეთი არის განუყოფელი, საერო, სოციალური, დემოკრატიული რესპუბლიკა. ის უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის თანასწორობას კანონის წინაშე, განუხრელად წარმოშობის, რასისა და რელიგიისა".

ქვეყანაში განათლება აღიარებულია, როგორც საზოგადოებრივი სიკეთე, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა მოქალაქისთვის (განათლების კოდექსის 111-1 მუხლი). თითქმის 30 წლის განმავლობაში (1970-იანი წლებიდან) საფრანგეთმა გამოაცხადა კულტურათშორისი განათლების პოლიტიკა, რაც გულისხმობდა მიგრანტებისა და ეთნიკური უმცირესობებისთვის მშობლიური ენების სწავლის შესაძლებლობას. თუმცა, 1990-იანი წლების ბოლოდან საფრანგეთის მთავრობა, რეგიონალური ენების ქარტიის რატიფიცირებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით (ჟაკ შირაკის, რომელიც მაშინ რესპუბლიკის პრეზიდენტი იყო და საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს აზრით), აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა რესპუბლიკის ფუნდამენტურ პრინციპებს) ამ პოლიტიკის თანდათანობით

[76] იმის გათვალისწინებით, რომ საფრანგეთში სოციოლოგიურ სამსახურებს ეკრძალებათ რესპონდენტთა ეთნიკური წარმომავლობის მოთხოვნა, საკმაოდ რთულია ქვეყანაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობის დადგენა,

გაუქმებას შეუდგა. საფრანგეთს ჯერ კიდევ არ მოუხდენია ევროპული ქარტიის რატიფიცირება, ხოლო ოფიციალური რიტორიკიდან თანდათან ქრება "ინტერკულტურული განათლების" ცნება.

საფრანგეთში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისათვის, სპეციალური უფლებების მინიჭება, მათ შორის განათლების სფეროში, აკრძალულია, როგორც ფაქტობრივ, ასევე ნორმატიულ-სამართლებრივ დონეზე. აღნიშნულიი დაფიქსირებულია No2008-496 კანონში, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის 2000/43 დირექტივის დებულებებს. ამ კანონის თანახმად, საფრანგეთში აკრძალულია პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაცია რასობრივი და ეთნიკური წარმოშობის საფუძველზე. განათლების მიღების შესაძლებლობების თანასწორობის პრინციპის დარღვევამ შეიძლება სამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოიწვიოს. შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთის გამოცდილება გარკვეული გაგებით ეწინააღმდეგება ზესახელმწიფოებრივ კანონმდებლობას. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ საფრანგეთმა არ მოახდინა არა მხოლოდ რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის რატიფიცირება, არამედ ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციაც. ოფიციალურ ჩანაწერებში მხედველობაში არ მიიღება სტუდენტების ეთნიკური კუთვნილება, რაც ართულებს ამ თემაზე კვლევის ჩატარებას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საფრანგეთის საგანმანათლებლო კოდექსი ცნობს ენებისა და რეგიონული კულტურების ისტორიულ მნიშვნელობას, რაც იძლევა რეგიონული ენების შესწავლის შესაძლებლობას, მათი გავრცელების რეგიონებში. ამასთან, ადგილობრივი კულტურისა და ენის სწავლება არ შედის სკოლის მთავარ სასწავლო გეგმაში.[77]. სწავლება რეგიონულ ენაზე მხოლოდ საბავშვო ბაღსა და დაწყებით

[77] *საფრანგეთის განათლების კოდექსი.*: http://www.lexed.ru/zakonodatelstvo-ob-obrazovanii/kodifikatsiya-zakonodatelstva-ob-obrazovanii/kodeks-obrazovaniya-frantsii/216.php (ნახულია: 21.04.2017).

სკოლაში წარმოებს, ისიც იმ პირობით, რომ ეს საშუალებას მისცემს მოსწავლეებს უფრო სწრაფად აითვისონ ფრანგული. "L. 121-3 მუხლის დებულებების დარღვევის გარეშე, დაწყებითი და საშუალო სკოლის პედაგოგებს აქვთ უფლება გამოიყენონ რეგიონული ენა, თუ ისინი ამაში სწავლებისათვის რაიმე სარგებელს ხედავენ. მათ ასევე შეუძლიათ გამოიყენონ რეგიონული კულტურის ელემენტები, რათა ხელი შეუწყონ ცოდნის საერთო ბირთვის, უნარების, კულტურის და სასწავლო პროგრამების ათვისებას." [78] გამონაკლისია კორსიკა, სადაც ადგილობრივი კულტურისა და ენის სწავლება შედის სასკოლო სასწავლო პროგრამაში.[79]

ამ მიდგომის დანერგვას იქამდე მივყავართ, რომ ეთნიკურ უმცირესობებს პრაქტიკულად არ აქვთ შესაძლებლობა ისწავლონ სკოლებში იმ ენაზე, რომელიც მათი იდენტობის მნიშვნელოვანი ელემენტია. შედეგად, მათი წარმომადგენლები თავიანთი ენის შესასწავლად სხვა შესაძლებლობებს ეძებენ, (მაგალითად, ბრეტანში, შეიქმნა "იდენტობის ბანაკების" ქსელი, სადაც სხვადასხვა ასაკის ადამიანებს შეეძლებათ ბრეტონული ენის სწავლა, ასევე კურსების გავლა ბრეტონული ეთნიკურობის შესახებ.)[80] რიგ შემთხვევებში, ასეთი პოლიტიკა უკმაყოფილებას იწვევს და მომავალში შეიძლება ეთნიკური დაძაბულობის ზრდას შეუწყოს ხელი, რაც ირიბ მტკიცებულებებში შეინიშნება.[81]

ცნობილია, რომ **იტალიამ** ეროვნული ერთიანობის მიღწევა მხოლოდ მე -19 საუკუნის ბოლოს შეძლო. დიდი ხნის განმავლობაში ქვეყანა დანაწევრებული იყო და გაერთიანებულ იტალიაზე ოცნებები მხოლოდ "რისორჯიმენტოს" იტალიელი მიმდევრების რომანებსა და ლექსებში

[78] იქვე
[79] იქვე
[80] *Camp identitaire en Bretagne, en avant les Chouans!* URL: https://www.youtube.com/watch?v=uIeI2tE36bw (accessed: 17.04.2017).
[81] *Diwan. La langue bretonne en danger?* URL: http://www.breizh-info.com/2017/02/17/62359/langue-bretonne-danger (accessed: 17.04.2017); *La langue basque dans l'enseignement*. URL: https://trema.revues.org/935 (accessed: 21.04.2017); *Aude – L'enseignement de l'occitan est-il en danger?* URL: http://www.ladepeche.fr/article/2005/10/13/370995-aude-l-enseignement-de-l-occitan-est-il-en-danger.html (accessed: 21.04.2017).

იკითხებოდა. ქვეყნის ტერიტორიული გაერთიანების შემდეგ (1861 წ.) პოლიტიკოსების წინაშე მთელი სიმწვავით დადგა ერთიანი სამოქალაქო ერის შექმნისა და ერთიანი იტალიური იდენტობის ფორმირების აუცილებლობა. ეს ამოცანა ძალიან ნათლად და ხატოვნად გამოხატა იმ დროის ერთ-ერთმა ყველაზე კაშკაშა პოლიტიკოსმა, ცნობილმა მწერელმა მასიმო დ'აძელომ: "ჩვენ შევქმენით იტალია, ახლა რჩება ის, რომ შევქმნათ იტალიელები".

ერთიანი ერის შექმნის მცდელობამ უკიდურესი სახე მიიღო ბენიტო მუსოლინის ავტორიტარული მმართველობის დროს; ამ დროს ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები (სამხრეთ ტიროლის გერმანულენოვანი მოსახლეობა და ა.შ.) მკაცრი იტალიზაციის პოლიტიკის ობიექტი გახდა. ფაშისტური რეჟიმის დაცემამ ხელი შეუწყო იდენტობის პოლიტიკის ინსტრუმენტების გადასინჯვას. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ იტალიამ დაიწყო რეგიონული პოლიტიკის გატარება, რომლის მიზანი რეგიონების პოლიტიკური მონაწილეობის გაფართოება იყო. 1947 წლის კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ "რესპუბლიკა ... ახორციელებს ფართო ადმინისტრაციულ დეცენტრალიზაციას სახელმწიფოზე დამოკიდებულ სამსახურებში; ახორციელებს მისი კანონმდებლობის პრინციპებისა და მეთოდების ადაპტირებას ავტონომიისა და დეცენტრალიზაციის ამოცანებზე "(მუხ. 5) და" შესაბამისი ზომების მეშვეობით, რესპუბლიკა იცავს ენობრივ უმცირესობებს" (მუხ. 6)[82] 1970-იან წლებში დეცენტრალიზაციის პროცესები ამოქმედდება, რის შედეგადაც ავტონომიური სტატუსის მქონე რეგიონებმა უფრო მეტი უფლებამოსილება მიიღეს საგადასახადო პოლიტიკასა და სოციალური სფეროს რეგულირებაში.

საგანმანათლებლო პოლიტიკაში, იტალია კულტურათშორისი განათლების კონცეფციით ხელმძღვანელობს. ფორმალურად, ეს პრინციპი

[82] იტალიის კონსტიტუცია URL: http://worldconstitutions.ru/?p=148 (accessed: 20.04.2017).

ქვეყანაში 1994 წლიდან დაინერგა, მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა მინისტრთა მემორანდუმი No73 ”კულტურათშორისი დიალოგი და დემოკრატიული თანაცხოვრება: სკოლის მონაწილეობის დაგეგმვა”. მემორანდუმის თანახმად, კულტურათშორისი საგანმანათლებლო მიდგომა იყო პასუხი კულტურების იმ პლურალიზმზე, რომელიც საზოგადოებაში არსებობდა. რეგიონულ მთავრობებს აქვთ უფლებამოსილება მთელ რიგ, მათ შორის საგანმანათლებლო და კულტურული პოლიტიკის სფეროებში (იტალიის კონსტიტუციის 117-ე მუხლი).

ხუთ რეგიონს აქვს ფართო უფლებამოსილება საგანმანათლებლო პოლიტიკის სფეროში, მათი ავტონომიური სტატუსი რეგულირდება სპეციალური კანონით. გადასახადების მნიშვნელოვანი ნაწილი (60 – დან 100% –მდე დამოკიდებულია რეგიონზე) რეგიონის განკარგულებაში რჩება. ესენი არიან კუნძულოვანი რეგიონები (სიცილია და სარდინია) გამოხატული იდენტობით და სამი რეგიონი, სადაც საკმაოდ მრავალრიცხოვანი კულტურული და ენობრივი უმცირესობები ცხოვრობენ (ტრენტინო-ალტო ადიჯე, ვალე დ 'აოსტა, ფრიული - ვენეცია ჯულია).[83] მთელი ოფიციალურად აღიარებული ეთნიკური ავტოქტონური უმცირესობები (გერმანელები, ლადინები, სლოვენები, ხორვატები, ბერძნები, ალბანელები, კატალონიელები, სარდინიელები, ფრანგები), აგრეთვე ოქსიტანურ ენაზე მოსაუბრეები ფართო უფლებებით სარგებლობენ. 1999 წლის კანონი # 48482-ის თანახმად, სახელმწიფო იცავს ამ ეთნიკური ჯგუფების ენასა და კულტურას.[84] აღნიშნული კანონით შეიქმნა სპეციალური სახელმწიფო ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს ენების სწავლებას და ზემოთ დასახელებული თემების კულტურის შენარჩუნებას. შესაბამისად, ამ უმცირესობებს აქვთ უფლება შეისწავლონ საკუთარი ენა და კულტურა.

---

[83] იტალიაში საჯარო დისკურსში არ გამოიყენება "ეთნიკური უმცირესობის" ცნება, უმცირესობებს "ენობრივ" (minoranze linguistiche) უწოდებენ

[84] *Italy/ 4.2 Specific policy issues and recent debates*. URL: http://www.culturalpolicies.net/web/italy.php?aid=424&cid=1250&curl=833 (accessed: 20.04.2017).

უმცირესობების ენებზე განათლების მიღება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური სტატუსის მქონე რეგიონებში. დანარჩენ რეგიონებში ზოგადი განათლების სტანდარტების დაუფლების მიზნით, სწავლების პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია უმცირესობათა ენებზე ნაწილობრივი სწავლება.[85] ბილინგვიზმი შესაძლებელია მხოლოდ საბავშვო ბაღებში. 2000 წლიდან სკოლებს მიენიჭათ ავტონომიის უფლება, რაც საშუალებას აძლევს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეადგინონ ცხრილი, რომელიც მოიცავს უმცირესობების მშობლიური ენების სწავლებას. თუმცა, ასეთი პოლიტიკაც კი სრულად არ აკმაყოფილებს ცალკეული ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს.

მაგალითად, ვენეციაში არსებობს პოპულარული იდეა სკოლების შექმნის შესახებ, სადაც სწავლება ადგილობრივ ენაზე იწარმოებს. 2007 წელს ადგილობრივმა ე.წ. რეგიონალისტებმა მოახერხეს, რომ რეგიონულ მთავრობას მიეღო კანონი ვენეციური ენის ადმინისტრაციული რეგიონის ოფიციალურ ენად დამტკიცების შესახებ. 2016 წელს, ადგილობრივმა მთავრობამ ისარგებლა 1997 წელს იტალიის მიერ ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის რატიფიცირებით, რის შედეგადაც მიღებულ იქნა კანონი, რომელიც ვენეციელებს ეთნიკურ უმცირესობად ცნობს.[86]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს აგრეთვე ეთნიკური დაძაბულობის დარეგულირების წარმატებული მაგალითები, მათ შორის, საგანმანათლებლო პოლიტიკის საშუალებით. იტალიის საგანმანათლებლო პოლიტიკამ ავტოქტონურ უმცირესობებთან მიმართებაში ეთნიკური დაძაბულობის შემცირება გამოიწვია. ამის არაპირდაპირი მტკიცებულებაა ის, რომ რომ შემცირდა სამხრეთ ტიროლისა და სარდინიის რადიკალური

[85] *Italy – Act on Protection of Minorities*. URL: http://www.usenglishfoundation.org/view/336 (accessed: 21.05.2017).
[86] *Venetians call for recognition as a 'minority'*. URL: https://www.thelocal.it/20161207/veneto-calls-for-official-recognition-of-its-language-minority-status (accessed: 21.04.2020

სეპარატისტული ჯგუფების წევრთა რაოდენობა, თუმცა რადიკალური ეთნიკური შეტაკებები დღესაც ხდება, მაგ., ფეხბურთის ხულიგნებს შორის, რომლებიც რეგიონულ სეპარატისტულ მოძრაობებს წარმოადგენენ. თუმცა, პოზიტიური დისკრიმინაციის სამოქმედო პოლიტიკის შედეგები ცალსახა არ იყო. მაგალითად, ფრიულის სწავლება ზოგიერთ კომუნაში მშობლების უკმაყოფილებას იწვევს, რადგანაც ამ ენის სწავლება ინგლისურის სწავლის ხარჯზე ხდება, რაც, მათი აზრით, უფრო მნიშვნელოვანია.[87]

2000-იანი წლების დასაწყისისთვის შესაძლებელი გახდა მოგვარებულიყო 482-ე კანონით გათვალისწინებული ავტოქტონური უმცირესობების უფლებების ირგვლივ არსებული ბევრი წინააღმდეგობა, მათ შორის ხუთივე რეგიონის სპეციალური სტატუსის ავტონომიური დებულების განხორციელება. განსაკუთრებით აღსანიშნავია წარმატებები ბოლცანო-ბოცენ-სამხრეთ ტიროლის სამენოვან ავტონომიურ პროვინციაში (ისინი ავტონომიური სტატუსით შედიან ტრენტინო-ალტო ადიჯეს რეგიონში), დღეს რეგიონი როგორც პოლიტიკურ, ასევე საექსპერტო წრეებში განიხილება, როგორც კულტურული, საგანმანათლებლო (უპირველეს ყოვლისა, ენობრივი) და ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტურ კომბინაციაზე დაფუძნებული ეთნიკური წინააღმდეგობების წარმატებული რეგულირების მოდელი.[88] ცხოვრების დონით, სამხრეთ ტიროლიიტალიის ლიდერად გვევლინება. ამასთან, ფარული კონფლიქტის პოტენციალი მაინც არსებობს: რჩება ისტორიის, განსაკუთრებით ფაშისტური პერიოდის, გადასინჯვის პრობლემები. პოლიტიკური ინტერესების შეჯახების ექო სიმბოლურ პოლიტიკაშიც აისახება.[89] თუმცა, ეს ქვეყნის ერთიანი პოლიტიკური და კულტურული სივრცის შენარჩუნებისა და სამოქალაქო

[87] *Friulano in classe? No grazie.* URL: http://messaggeroveneto.gelocal.it/pordenone/cronaca/2015/01/17/news/friulano-in-classe-genitori-non-chiedetelo-1.10686553 (accessed: 21.04.2020).
[88] Pföstl E. *Tolerance Established by Law: The Autonomy of South Tyrol in Italy*. Mahanirban Calcutta Research Group. URL: http://www.mcrg.ac.in/EURAC_RP2.pdf. P. 3. (accessed: 21.04.2020).
[89] Сорвина М.Ю. 2015. Южный Тироль: проблема длиною в век. – *Италия в начале XXI века (сборник статей по итогам конференции; отв. ред. А.В. Авилова, Ю.Д. Квашнин)*. М.: ИМЭМО РАН. С. 93.

იდენტობის განმტკიცების პროცესში არსეული საერთო პრობლემაა: ”დღევანდელი იტალია ევროსკეპტიკური განწყობების შესამჩნევი ზრდის ფონზე” სამოქალაქო და ეროვნული კონსოლიდაციის გამოწვევების წინაშე დგას და ”რჩება ერად გამაერთიანებელი სამოქალაქო იდენტობის გარეშე ".[90]

დღევანდელ იტალიაში, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, წინააღმდეგობები უფრო მეტად განპირობებულია ქვეყნის სამხრეთის და ჩრდილოეთის რეგიონების განვითარების სოციალურ-ეკონომიკური დისბალანსით, რასაც მოწმობს რეგიონული პარტიის - ჩრდილოეთის ლიგის წარმატებები და ასევე სულ უფრო მზარდი სეპარატისტული განწყობები ვენეციაში.

ესპანეთი განსაკუთრებით საინტერესოა ეთნიკური კონფლიქტების დარეგულირების პრაქტიკის შესწავლის კონტექსტში, ვინაიდან ამ ქვეყანაში, ფრანკისტული ავტორიტარული რეჟიმის დანგრევისა და 1978 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ, ხორციელდება ფედერალიზმის საკუთარი სპეციალური მოდელის დანერგვა. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სტრუქტურის ახალი მოდელის - ავტონომიების სახელმწიფოს და ქვეყნის მმართველობის ახალი სისტემის ფორმირება, ავტორიტარული დიქტატურიდან დემოკრატიაზე გადასვლის დომინანტური პროცესი გახდა. ფრანკოს შემდგომ პერიოდში რეგიონებისთვის ავტონომიის გარანტიების უზრუნველყოფა ესპანეთის დემოკრატიზაციის პროცესების განუყოფელი ნაწილი იყო.

ბასკების ქვეყანაში, გალისიაში, კატალონიაში, ნავარაში, ბალეარის კუნძულებზე, ვალენსიაში სპეციალური ავტონომიური სტატუტები მოქმედებს, რაც მათ ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს, მათ შორის საგანმანათლებლო პოლიტიკის სფეროში. მაგალითად, ფრანკოს რეჟიმის დაცემამ ბასკეთში შესაძლებელი გახადა სკოლების სისტემის აღდგენა,

[90] Семененко И.С. 2015. Дискурсы идентичности и общественные настроения в Италии 2010-х годов – *Италия в начале XXI века (сборник статей по итогам конференции; отв. ред. А.В. Авилова, Ю.Д. Квашнин).* М.: ИМЭМО РАН. С. 51.

სადაც სწავლება ადგილობრივ ენაზე მიმდინარეობდა. ხუთივე რეგიონში რამდენიმე ოფიციალური ენა თანაარსებობს. ამასთან, რეგიონები თავად განაგრძობენ ბრძოლას საკუთარი უფლებების გაფართოების მიზნით, მათ შორის განათლების სფეროში. კერძოდ, ასე მოხდა კატალონიაში სტატუტის ახალი ვერსიის მიღებისას.

ესპანეთის 1978 წლის კონსტიტუცია ადგენს, რომ ესპანეთის ეთნიკური უმცირესობების ენებს თითოეულ ავტონომიურ რეგიონში მათი სტატუტის შესაბამისად, აქვთ ოფიციალური სტატუსი. ასევე, კონსტიტუცია აღიარებს იმ ფაქტს, რომ ენობრივი პლურალიზმი არის ესპანეთის მონაპოვარი და სახელმწიფოს მიზნობრივ პოლიტიკის ობიექტს წარმოადგენს: "ესპანეთის სხვადასხვა ენობრივი მახასიათებლების სიმდიდრე კულტურული მემკვიდრეობაა, რომელსაც განსაკუთრებული პატივისცემა და დაცულობა აქვს". კონსტიტუცია ასევე ადგენს, რომ საკითხები, რომლებიც არ არის სახელმწიფოს კომპეტენციაში, შეიძლება გადავიდეს ავტონომიური თემების იურისდიქციაში (მუხ. 149.3). ამ საკითხების რიცხვს მიეკუთვნება საგანმანათლებლო პოლიტიკის არსებითი ნაწილი.

განათლების ხარისხის გაუმჯობესების ორგანული კანონის შესაბამისად, ცენტრალური ხელისუფლება პასუხისმგებელია განათლების სტანდარტებზე. ავტონომიურ მთავრობებს შეუძლიათ შეავსონ საგნების ძირითადი ნაწილი, პასუხისმგებელნი არიან იმ საგნების დამტკიცებაზე, რომლებიც მნიშვნელოვნად არის მიჩნეული კონკრეტული ავტონომიური ერთეულისთვის. ამის მაგალითია ბასკების ქვეყნის ავტონომიის წესდება. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ "კონსტიტუციის პირველი დამატებითი დებულების შესაბამისად, ბასკების ქვეყნის რეგიონული ავტონომიური ასოციაციის კომპეტენცია მოიცავს განათლების სისტემის მთლიანად ყველა დონეზე, ეტაპზე და ყველა სპეციალობაში რეგულირებას".[91]

[91] ესპანეთის კონსტიტუცია. URL: http://worldconstitutions.ru/?p=280 (accessed: 19.04.2019).

საინტერესოა, რომ ბასკების ქვეყანაში სამი ტიპის სკოლაა: ა - სწავლების ძირითადი ენაა ესპანური, ბასკური ენა ისწავლება კვირაში რამდენიმე საათი, ბ - შერეული ორენოვანი სისტემა, ძირითადია ბასკური, ხოლო ესპანურს კვირაში რამდენიმე საათს ასწავლიან.

ავტონომიის წესდება აღიარებს ბილინგვიზმს, მათ შორის საგანმანათლებლო დონეზე: "El euskera ბასკების ქვეყნის საკუთარი ენაა, კასტილიურთან ერთად, ოფიციალურია Euskadi და მის ყველა მაცხოვრებელს აქვს უფლება ისწავლოს და გამოიყენოს ორივე ენა".[92] საინტერესო ვითარება შეიქმნა ნავარის ავტონომიურ რეგიონში, რომელიც დაყოფილია სამ ენობრივ ზონად: ბასკური, შერეული და ესპანური. პირველ და მეორე ზონებში ბასკურ ენას აქვს ოფიციალური სტატუსი, ესპანურენოვანში ასეთი სტატუსი აქვს მხოლოდ ესპანურს.

ამრიგად, ესპანეთში განვითარდა დეცენტრალიზებული საგანმანათლებლო სისტემა, რომელშიც სრულად არის დანერგილი კულტურათშორისი განათლების პრინციპი. თუმცა, ეროვნებათაშორისი წინააღმდეგობები კვლავ არსებობს, მათ შორის განათლების სფეროში. ასეთი კონფლიქტის თვალსაჩინო მაგალითია კატალონიის მიერ ახალი დებულების მიღების პროცესი, რომელმაც კატალონიური ენა საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასურველ ენად აღიარა. წესდებამ დე იურე დაადგინა ფაქტობრივი მდგომარეობა კატალონიის სკოლებში, სადაც სწავლება მიმდინარეობს კატალონიურად, ხოლო ესპანური ცალკე საგნად ისწავლება.[93] ეს იყო საპასუხო რეაქცია სახალხო პარტიის მთავრობის მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო რეფორმებზე, რომლის ერთ-ერთი პრინციპი იყო კასტილიურთან ერთად ესპანური ენისთვის "ძირითადი" დისციპლინის სტატუსის უზრუნველყოფა, თუნდაც

[92] იქვე
[93] *Catalan language revival fuels backlash in Spain*. URL: http://www.reuters.com/article/us-spain-catalan-idUSKBN0FJ2E920140714 (accessed: 18.04.2020).

ავტონომიურ ტერიტორიებზე.[94] მოგვიანებით დებულების პრინციპები გასაჩივრებულ იქნა ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოში. საკონსტიტუციო სასამართლოს ეს პოზიცია შეიძლება აიხსნას მადრიდიდან მომდინარე ცენტრალიზაციის ტენდენციებით. სინამდვილეში, ეს გახდა კონფლიქტის გამწვავების ერთ-ერთი მიზეზი, რამაც გავლენა იქონია სხვა ავტონომიებზეც (საგანმანათლებლო რეფორმამ უკმაყოფილება გამოიწვია როგორც ბასკების ქვეყანაში, ისე ასტურიაში).

იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მკვეთრად იცვლება საგანმანათლებლო პოლიტიკის აქცენტები ცენტრალური მთავრობის მმართველი პარტიის შეცვლისასთან ერთად, ლოგიკურად ჩანს ავტონომიების სურვილი დაიცვან და გააძლიერონ თავიანთი საგანმანათლებლო პოლიტიკა. ამ სიტუაციიდან გამოსავალი შეიძლება იყოს განათლების შესახებ საზოგადოებრივი პაქტის დადება, რომელიც ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და, შესაბამისად, სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბებას. ამის გარეშე, ესპანეთში სეპარატისტული განწყობები გართულდება, ვინაიდან ადგილობრივი იდენტობა უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე საერთო სამოქალაქო იდენტობა (რასაც მოწმობს რეფერენდუმი კატალონიის სტატუსის შესახებ). არსებულ ვითარებაში, საგანმანათლებლო პოლიტიკა სხვადასხვა პოლიტიკური ძალების შეჯახების ასპარეზად გადაიქცა, რომლებიც მას თავიანთი დღის წესრიგის განუყოფელ ნაწილად იყენებენ და საკუთარი იდენტობას აყალიბებენ.

უნგრეთი ეკუთვნის ე.წ. "ახალი დემოკრატიებს". ამ ქვეყანას აქვს ათზე მეტი ოფიციალურად აღიარებული უმცირესობათა ენა და ადგილობრივი თვითმმართველობის კარგად განვითარებული სისტემა, რაც ეთნიკურ უმცირესობებს საშუალებას აძლევს სკოლებში განათლება მშობლიურ ენაზე

[94] Ермольева Э.Г. 2014. Реформа образования в фокусе политических дебатов и общественного противостояния. – *Глобальный мир: к новым моделям национального и регионального развития. Т.2. (отв. ред. И.С. Семененко.).* М.: ИМЭМО РАН. С. 268.

წარმოებდეს (კონსტიტუციის 115-ე მუხლი). უნგრეთი იყენებს პოზიტიური დისკრიმინაციის და ეთნიკური უმცირესობების სეგრეგაციის მოდელს, რომელიც განათლების ეროვნულ პროგრამაში ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოქალაქეების, განსაკუთრებით ბოშების განათლების გაუმჯობესებას.[95] კანონმდებლობაში მკაფიოდ არის განსაზღვრული ავტოქტონური ეთნიკური უმცირესობები, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე მინიმუმ ასი წელია ცხოვრობენ და აქვთ განსაკუთრებული კულტურა და ენა.[96]

შესაბამისად, ქვეყნის კანონმდებლობა არეგულირებს განათლების სისტემას და ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობების არსებობის ფაქტს. 1995 წელს უნგრეთმა ხელი მოაწერა რეგიონული ენების ევროპულ ქარტიას, რომელსაც უნგრეთის მთავრობამ მიაკუთვნა ხორვატული, გერმანული, თანამედროვე ბერძნული, რუმინული, სერბული, სლოვაკური, სლოვენური, გარდა ბოშების ენისა (რუმინეთისგან განსხვავებით).[97]

2011 წელს უნგრეთმა მიიღო კანონი „ეროვნებათა უფლებების შესახებ“, რომელმაც გააფართოვა 1993 წლის კანონის „ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების უფლებების შესახებ“ დებულებები. ეროვნებათა აქტის 1 დანართში აღიარებულია 13 ეროვნება: სომხები, ბულგარელები, ხორვატები, გერმანელები, ბერძნები, პოლონელები, ბოშები, რუმინელები, რუსები, სერბები, სლოვაკები, სლოვენები და უკრაინელები. მათ აქვთ უფლება ჩამოაყალიბონ თავიანთი ადგილობრივი, რეგიონული მთავრობები, რაც საშუალებას მისცემს ეთნიკური მახასიათებლების შენარჩუნების მიზნით, გაატარონ შესაბამისი პოლიტიკა. აღსანიშნავია, რომ აქტში ხაზგასმულია, რომ ოფიციალურ ენაზე უნდა იქნას გამოყენებული ცნება "ეროვნება" და არა "ეთნიკური და ეროვნული უმცირესობები".

---

[95] Kádár A.A. 2016. *Country report .Non-discrimination: Hungary. European commission*. P. 66
[96] Inkel P., Vaspal V. 2016. *Country profile: hungary. Council of Europe / ERICarts*. P. 19-20.
[97] Inkel P., Vaspal V. 2016. *Country profile: Hungary. Council of Europe / ERICarts*. P. 19.

160-ე მუხლში აღნიშნულია: ”სახელმწიფო ცნობს ეროვნებათა მშობლიურ ენებს უნგრეთში, როგორც სოციალური თანხმობის ფაქტორს ... სახელმწიფო მხარს უჭერს ენების გამოყენებას, რომლებსაც ეროვნებები იყენებენ საზოგადოებრივ განათლებაში. " სახელმწიფო თავის თავზე იღებს ბავშვების მშობლიურ ენაზე სწავლის ხარჯებს (მუხლი 161). 2011 წლის ეროვნული უფლებების აქტში CLXXIX ნათქვამია, რომ ბავშვების მშობლებს შეუძლიათ გადაწყვიტონ მიიღებენ თუ არა მათი შვილები განათლებას მშობლიურ ენაზე, ორენოვან განათლებას, უნგრულ ენაზე განათლებას თუ სპეციალურ განათლებას ბოშებისთვის. სტატისტიკის თანახმად, 2012/13 სასწავლო წელს 50 ათასზე მეტმა ბოშამ, 49 ათასმა ეთნიკურმა გერმანელმა, 1 ათასმა რუმინელმა და 4,5 ათასმა სლოვაკმა მიიღო დაწყებითი განათლება მშობლიურ ენებზე.[98]

უნგრეთის მაგალითი განსხვავდება საფრანგეთისა და იტალიის გამოცდილებისგან ეთნიკური უმცირესობებისთვის განათლების ორგანიზების თვალსაზრისით. ეს გარკვეულწილად შეგვახსენებს ესპანეთის გამოცდილებას, იმ განსხვავებით, რომ უნგრეთში უმცირესობების წარმომადგენლებს შეუძლიათ სრულად მიიღონ განათლება მშობლიურ ენაზე, ხოლო ესპანეთში ასეთი მიდგომები მხოლოდ გარკვეულ ტერიტორიებზე ხორციელდება.

რუმინეთი ასევე არის "ახალი დემოკრატია". ქვეყანაში არაერთი ეთნიკური უმცირესობაა, რომელთაგან ყველაზე მრავალრიცხოვანია უნგრელები და ბოშები (ამ ორი ეთნიკური ჯგუფის უმეტესობა ტრანსილვანიაში ცხოვრობს), გერმანელები, უკრაინელები, თურქები, ბულგარელები, სერბები და სხვები. ოფიციალურ დონეზე აღიარებულია 18 ავტოქტონური ეროვნება.[99] ამასთან, ეთნიკური წინააღმდეგობები.უნგრულ-რუმინულ-რომაულ სამკუთხედში წარმოიქმნება

[98] Kádár A.A. 2016. *Country report .Non-discrimination: Hungary. European commission*. P. 40.
[99] Andreescu G. *Report on minority education in Romania*. P. 17.

აქვე აღსანიშნავია, რომ უნგრელთა უმეტესობა რუმინეთის მოქალაქე გახდა ვერსალი-ვაშინგტონის პროცესის შედეგად, როდესაც ტრანსილვანია რუმინეთში გადასცეს. უნგრელებს ჰქონდათ საკუთარი ეროვნული სკოლები (სხვა ეთნიკურმა ჯგუფებმა ასეთი უფლების მიღება შეძლეს მხოლოდ 1948 წელს "ეროვნებათა სტატუსის" თანახმად) და უნივერსიტეტები, მაგრამ რუმინეთში, ნ.ჩაუშესკუს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ქვეყანაში უნგრელების "რუმანიზაციის" მიზნით, მთელი რიგი მცდელობები განხორციელდა, რამაც ამ უკანასკნელებს სერიოზული კულტურული ტრავმა მიაყენა. 1989 წლის მოვლენების შემდეგ, ამან ხელი შეუწყო უნგრელების უფლებების დასაცავად პოლიტიკური აქტიობის ზრდას. სახელმწიფოს ევროკავშირში გაწევრიანებისათვის მზადებამ და ზემოთ აღნიშნულმა მოვლენებმა ხელი შეუწყო იმას, რომ დღეს უნგრულ უმცირესობას (ისევე როგორც გერმანულს) აქვთ სრული საგანმანათლებლო ვერტიკალი (უნივერსიტეტების ჩათვლით), სადაც სწავლება უნგრულ ენაზე მიმდინარეობს.[100]

რუმინეთის კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ ქვეყნის ყველა მოქალაქე რუმინელი ერის ნაწილია: "რუმინეთი არის მისი ყველა მოქალაქის საერთო და განუყოფელი სამშობლო, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური წარმომავლობის, ენის, რელიგიის, სქესის, შეხედულების, პოლიტიკური კუთვნილების, საკუთრების ან სოციალური წარმოშობის მიუხედავად "(მუხლი 4.2). მასში ასევე ნათქვამია: "სახელმწიფო ცნობს და აძლევს გარანტიებს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს უფლებაზე შეინარჩუნონ, განავითარონ და გამოხატონ თავიანთი ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური იდენტობა" (მუხლი 6.1). ამასთან, ეს პოლიტიკა უნდა "შეესაბამებოდეს თანასწორობისა და დისკრიმინაციის თავიდან აცილების პრინციპებს რუმინეთის სხვა მოქალაქეებთან მიმართებაში" (მუხ. 6.2).

[100] Law of national education. P. 73.

რაც შეეხება საგანმანათლებლო პოლიტიკას, რუმინეთის კონსტიტუციაში გათვალიწინებულია დებულება იმის შესახებ, რომ ”განათლება ყველა დონეზე ხორციელდება რუმინულ ენაზე. კანონით დადგენილი პირობების თანახმად, განათლება შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე საერთაშორისო კომუნიკაციის დროს გამოყენებულ ენაზე “(მუხ. 32.2). ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებით: ”გარანტირებულია ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიური ენის სწავლის და ამ ენაზე განათლების მიღების უფლება; ამ უფლებების გამოყენების გზები დადგენილია კანონით ”(მუხლი 32.3).

ეს დებულებები უფრო დეტალურად არის ნაჩვენები განათლების შესახებ ეროვნულ კანონში, რომელიც ადგენს, რომ რუმინეთში ზოგადი და უმაღლესი განათლების ერთ-ერთი პრინციპია რუმინეთის ყველა მოქალაქისთვის კულტურული იდენტობის შენარჩუნების უზრუნველყოფა, აგრეთვე კულტურათშორისი დიალოგი. აქვე ჩამოთვლილია მათი უფლებები, ვინც ეროვნულ უმცირესობებს ეკუთვნის, განავითარონ და გამოხატონ თავიანთი ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური მრავალფეროვნება.[101] განათლების მიღება რუმინულ ენაზე სავალდებულოა რუმინეთის ყველა მოქალაქისათვის, მიუხედავად, მათი ეროვნებისა. ამასთან, ამ ფორმულირებას კომპრომისული ხასიათი აქვს: ”სკოლის გეგმები უნდა შეიცავდეს საათების გარკვეულ რაოდენობას, რუმინული ენის აუცილებელი და წარმატებული შესწავლისთვის” .[102]

გარდა ამისა, კანონში ნათლად არის ასახული ეთნიკური უმცირესობების უფლებები. მათ უფლება აქვთ მიიღონ განათლება მშობლიურ ენაზე. სკოლები, სადაც სწავლებს შესაბამის ენებზე იწარმოებს შეიძლება დაარსდეს ამ თემების საჭიროებების შესაბამისად, მშობლების ან იურიდიული წარმომადგენლების თხოვნის საფუძველზე.

[101] Ibid. P. 4.
[102] Ibid. P. 6.

მოსწავლეებს, რომლებსაც არ აქვთ შესაძლებლობა მიიღონ განათლება მშობლიურ ენაზე, უნდა გაეწიოთ ფინანსური დახმარება, უახლოეს სკოლაში მოგზაურობის ხარჯების ანაზღაურებით და შეექმნათ პირობები ენის შესწავლისათვის. ასევე შესაძლებელია მათი უფასო კვება და განსახლება საგანმანათლებლო დაწესებულების პანსიონში, სადაც ისწავლება შესაბამისი უმცირესობის ენა.[103] ეროვნულ უმცირესობებს აქვთ საგანმანათლებლო დაწესებულებების მმართველ ორგანოებში პროპორციული წარმომადგენლობის უფლება. კანონი ასევე განსაზღვრავს ამგვარი სკოლების საგანმანათლებლო მასალების ფორმირების პრინციპებს, მათ შორის რუმინული ენისა და რუმინული ლიტერატურის სპეციალურ სახელმძღვანელოებს.

შეიძლება ითქვას, რომ ეს კანონი სრულად გამოიყენება მხოლოდ უნგრელების, გერმანელების, უკრაინელების, სერბების, სლოვაკების, ბოშებისათვის (დათქმებით, რადგან მათი უმეტესობა შერეულ სკოლებში სწავლობს რუმინეთის განათლების ერთ-ერთი პრობლემაა ბოშებისთვის ე.წ. სპეციალური ცალკეული კლასები, სადაც სწავლება რუმინულ ენაზეა და განათლების ხარისხი დაბალია ვიდრე შერეულ კლასებში).[104] სხვა ავტოქტონური ეროვნებები იღებენ განათლებას საკუთარ ენაზე, მიღების მხოლოდ ნაწილობრივ უფლებას ან აქვთ შესაძლებლობა შეისწავლონ მხოლოდ საკუთარი ენა.[105]

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ რუმინეთის შემთხვევა ბევრ რამეში ჰგავს უნგრულს. ეს არის პოზიტიური დისკრიმინაციის მექანიზმების შექმნის მაგალითი და ხელს უწყობს დახურული ეთნიკური თემების ჩამოყალიბებას (კერძოდ, ეს ეხება ტრანსილვანიის უნგრელებს მათი განვითარებული პოლიტიკური ცნობიერებით და გამოხატული ეთნიკური

[103] *Law of national education*. P. 12.
[104] Andreescu G. *Report on minority education in Romania*. P. 13.
[105] Ibid. P. 18.

იდენტიფიკაციით).ასეთმა ვითარებამ კი საეჭვოა ხელი შეუწყოს საერთო სამოქალაქო იდენტურობის ჩამოყალიბებას.

ბულგარეთში, რომელიც შედარებით ცოტა ხნის წინ (2007 წელს) გახდა ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი, მთელი რიგი ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ: თურქები, ბოშები, რუსები და უკრაინელები. იმის გავითვალისწინებით, რომ ქვეყანაში თურქები და ბოშები ცხოვრობენ, ძირითადი წინააღმდეგობები ეთნოკულტურული ხასიათისაა. ეს წინააღმდეგობები ასახულია ქვეყნის კონსტიტუციაში: ”რელიგიური თემები და ინსტიტუტები, ისევე როგორც რელიგიური მრწამსი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს პოლიტიკური მიზნებისთვის” (მუხ. 13.4), ”დაუშვებელია პოლიტიკური პარტიების შექმნა ეთნიკურ, რასობრივ თუ რელიგიურ საფუძველზე, ისევე როგორც პარტიები, რომლებიც მიზნად ისახავენ ძალადობრივი გზით ჩაიგდონ ხელში სახელმწიფო ხელისუფლება” (მუხ. 11.4). შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით, სოფიის გამაერთიანებელი პოლიტიკა გარკვეულწილად საფრანგეთის მაგალითს მოგვაგონებს.

რაც შეეხება საგანმანათლებლო პოლიტიკას, ქვეყნის კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ ”ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ეროვნული და უნივერსალური კულტურული ფასეულობებით, აგრეთვე განავითაროს თავისი კულტურა მათი ეთნიკური ნიშნით, რაც კანონით არის აღიარებული და გარანტირებული” (მუხლი 54.1). ამ პრინციპის განხორციელების მექანიზმები გაწერილია 1991 წლის აქტში „სახელმწიფო განათლების შესახებ“, რომელიც ხაზს უსვამს იმას, რომ საგანმანათლებლო სფეროში არ შეიქმნება შეზღუდვები ან პრივილეგიები რასობრივი, ეროვნული, გენდერული, ეთნიკური, რელიგიური და სოციალური განსხვავებების საფუძველზე (მუხლი 4). აქტის მე -8 მუხლში ნათქვამია, რომ მოსწავლეებმა, რომელთა მშობლიური ენა არ არის ბულგარული, ეს უკანასკნელი უნდა ისწავლონ სკოლებში, მაგრამ მათ აქვთ უფლება

შეისწავლონ მშობლიური ენა ფაკულტატურულად. ამასთან, თუ იტალიაში, მაგალითად, ნათლად არის ნათქვამი, რომ 482-ე კანონით განსაზღვრულ ეთნიკურ უმცირესობებს უფლება აქვთ თავიანთი მშობლიური ენა შეიტანონ სკოლის რეგულარულ სასწავლო გეგმაში, ბულგარეთში ასე არ ხდება. ეს ფორმულირება არ ეწინააღმდეგება ჩარჩო კონვენციას ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ, რომლის რატიფიცირებაც ბულგარეთმა მოახდინა, მაგრამ სინამდვილეში ქვეყანა ატარებს საკმაოდ უნივერსალისტურ პოლიტიკას, რაც განათლების სფეროშიც აისახება. ბულგარეთის სასკოლო განათლება ინერციით სლავურ უმრავლესობაზეა ორიენტირებული; ალტერნატიული საგანმანათლებლო პროგრამები ცუდად არის შემუშავებული. ბულგარულ ენაზე სწავლა 16 წლამდე მკაცრად სავალდებულოა. მხოლოდ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ხდება შესაძლებელი განათლების მიღება ინგლისურ, ფრანგულ ან გერმანულ ენებზე.

სოფიის ასეთი ცენტრალიზმის პოლიტიკა მრავალი თვალსაზრისით ასიმილაციური პოლიტიკის გაგრძელებაა თურქული უმცირესობების მიმართ "რეალური სოციალიზმის" პირობებში. თურქული ენა ამოღებულ იქნა ბულგარეთის სკოლებიდან და მედიიდან. [106] მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში აღარ გამოიყენება ასიმილაციური პოლიტიკის ასეთი მკაცრი ვერსია, თურქები და სხვა უმცირესობები კვლავ განიცდიან სირთულეებს მშობლიურ ენაზე განათლების მისაღებად. სიტუაციას ამძიმებს ის ფაქტი, რომ უმცირესობების წარმომადგენლები, რომლებიც სახელმწიფო ენას ცუდად ფლობენ, ბულგარეთის შრომის ბაზარზე სამსახურს რთულად შოულობენ.

ქვეყანაში ბოშებთან მიმართებაში, ფაქტობრივად ხორციელდება სეგრეგაციის პოლიტიკა, ვინაიდან ისინი გარკვეულ ტერიტორიებზე

[106] Bulgarian Turks: From Imperial Rulers To Marginalized Minority. – *International Business Times.* 01.23.2013. URL: http://www.ibtimes.com/bulgarian-turks-imperial-rulers-marginalized-minority-1028200 (accessed: 21.04.2020).

კომპაქტურ თემებად ცხოვრობენ, სადაც ზოგად განათლებას იღებენ. ბოშები სინამდვილეში განცალკევებულნი არიან ბულგარეთის საზოგადოებისგან, მათ არ შეუძლიათ მიიღონ მაღალი ხარისხის საშუალო განათლება, თუმცა ოფიციალურად ბულგარეთის მთავრობა არ ატარებს სეგრეგაციის პოლიტიკას, რომელიც ევროკავშირის სამართლებრივი ნორმებით არის გათვალისწინებული[107].

ეთნიკური უმცირესობების მიმართ ასეთი უნიფიცირებული პოლიტიკა იწვევს ამ თემების მარგინალიზაციას. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ბოშებს, რომლებიც გარკვეულად დისკრიმინირებულები არიან მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების ან სასკოლო სასწავლო განრიგის მიხედვით სწავლის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. ეს ნაკლებად ეხება ბულგარელ თურქებს. აღნიშნული ვითარება ბოშათა შორის იწვევს ეთნიკური ნაციონალიზმის ზრდას და ადგილობრივი თურქების რადიკალური ჯგუფების წარმოქმნას, რომლებიც თანაუგრძნობენ თურქი ჩინოვნიკების კვაზიიმპერიულ რიტორიკას. ეს კი ხელს არ უწყობს მათ ბულგარულ საზოგადოებაში ინტეგრაციას და საერთო სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბებას. მომავალში ასეთმა პოლიტიკამ შეიძლება ეთნიკური დაძაბულობის ზრდა გამოიწვიოს.

შეჯამების სახით, შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ ევროკავშირის დონეზე, განათლების პოლიტიკის სფეროში არ არსებობს ერთიანი მიდგომა, ეთნიკური ურთიერთობების და უმცირესობების უფლებების რეგულირების საკითხში. ზოგიერთი საერთო მარეგულირებელი ნორმების არსებობის მიუხედავად, რომლებიც წევრმა სახელმწიფოებმა ოფიციალურად უნდა დაიცვან, მათ აქვთ უფლება აირჩიონ ინდივიდუალური პოლიტიკა ერების თვითგამორკვევის უფლებისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის კონკრეტული პოლიტიკის

[107] Ilieva M. 2016. *Report on Measures to Combat Discrimination*. URL: http://www.equalitylaw.eu/downloads/4317-bulgaria-country-report-non-discrimination-2014-1-27-mb (accessed: 21.04.2020). P. 52.

შემუშავებისას. მნიშვნელოვანი განსხვავებები შეინიშნება სამართალებრივი პრაქტიკის სფეროშიც. ჩვენ მიერ შერჩეული ქვეყნის პრაქტიკის მაგალითები ნათლად ასახავს ამ სურათს. ამიტომაც, ამა თუ იმ სახელმწიფოს ისტორიული და კულტურული სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს არის სრულიად ბუნებრივი მოვლენა. შეუძლებელია მივიჩნიოთ, რომ ასეთი რთული პრობლემის მოგვარება (ეროვნებათაშორისი ურთიერთობების მოწესრიგება ეროვნული სახელმწიფოების ფარგლებში) მხოლოდ ერთი უნივერსალური რეცეპტის გამოყენებით შეიძლება მოგვარდეს. ევროკავშირის ფარგლებში არსებობს სხვადასხვა მიდგომები, რომლებიც ხორციელდება ზესახელმწიფოებრივ, სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე. ხშირად ისინი ფუნდამენტურად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, არ არსებობს გადაწყვეტილებების მიღების და წარმატებული გამოცდილების გაზიარების ეფექტური მექანიზმები.

ამა თუ იმ დათქმით, განათლების სფეროში ევროპის ქვეყნები ახორციელებენ ეთნიკური უმცირესობების უფლებების რეგულირების ორ მთავარ სტრატეგიას: ასიმილაციას და პოზიტიური დისკრიმინაციას. პირობითად შეიძლება გამოვყოთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, კერძოდ, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, რომლებიც ახლა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებია, გამოყენებული სხვა მიდგომა, რომელთაგან ზოგიერთი მათგანი სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბების მიზნით, განათლების სფეროში, ატარებს ნეგატიური დისკრიმინაციის პოლიტიკას მათ შორის, ენისთან მიმართებაში. ეს გამოცდილება მოითხოვს შესწავლას და საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ განათლების პოლიტიკას ისტორიული სტანდარტებით იმ ქვეყნების ელიტები, რომლებმაც მხოლოდ ახლახანს მოიპოვეს დამოუკიდებლობა და ქვეყნის მშენებლობის პრიორიტეტებს აყალიბებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ასიმილაციის სტრატეგიის მომხრე ქვეყნებს ხელი არ აქვთ მოწერილი (ან აქვთ ხელმოწერილი, მაგრამ არ აქვთ

რატიფიცირებული) რეგიონალური ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიაზე. ამ ქვეყნებში შედიან საფრანგეთი, იტალია და ბულგარეთი. უნგრეთმა, რუმინეთმა და ესპანეთმა ხელი მოაწერეს და მოახდინეს აღნიშნული ქარტიის რატიფიციება და ეროვნულ კანონმდებლობაში შეიტანეს ეთნიკური უმცირესობების ენების ჩამონათვალი, რომლებზეც ამ უმცირესობებს აქვთ უფლება ისწავლონ და ასწავლონ.

თითოეულ ამ სტრატეგიას აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. მაგალითად, ასიმილაციის პოლიტიკამ, ერთის მხრივ, შეიძლება ხელი შეუწყოს სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების ერ-სახელმწიფოში ინტეგრაციას და ერთიანი პოლიტიკური ორგანიზმის ჩამოყალიბებას. მეორე მხრივ, რეგიონალისტური ტენდენციების ზრდა თანამედროვე პოლიტიკურ პროცესში „იდენტობისათვის ბრძოლის“ პრიორიტეტულ მნიშვნელობაზე მიუთითებს. რეგიონები, სადაც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი დონეა, თავის უფლებებს იცავენ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან მეტნაკლებად ურთიერთობების გამწვავებაზე მიდიან.

პოზიტიური დისკრიმინაციის პოლიტიკის გამოყენება, თავის მხრივ, ხელს უწყობს უმცირესობების ეთნიკური ჯგუფების კულტურის შენარჩუნებას, ქმნის პირობებს სრულფასოვანი კულტურათშორისი დიალოგისათვის და ამდიდრებს ქვეყნის მოსახლეობის ერთიან კულტურას. მეორეს მხრივ, ამგვარმა პოლიტიკამ შეიძლება შექმნას სიტუაცია, რომლის დროსაც პირობითად პრივილეგირებული ეთნიკური ჯგუფები გამოჩნდნენ და ეთნიკური დაძაბულობის ზრდისთვის ახალი წინაპირობები შეიქმნას. ასე, მაგალითად, იტალიის მიერ გარკვეული რეგიონებისა და ეთნიკური თემების მიმართ პოზიტიური დისკრიმინაციის პოლიტიკის წარმატებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ მიგრანტები ცდილობენ ისეთივე უფლებები მოიპოვონ, რაც ”დაცულ” უმცირესობებს აქვთ და მათზე გავრცელდეს ზემოხსენებული კანონი No. 482-ის დებულებები. ამრიგად, იტალიაში კულტურათშორისი განათლების სისტემამ უნდა

უპასუხოს მიგრანტების იტალიურ საზოგადოებაში ინტეგრაციის პრობლემასაც.

ზოგადად, კონკრეტული სახელმწიფოს არამკვიდრი უმცირესობების და მათი უფლებების საკითხი, მკვლევარების და პოლიტიკოსების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. მსოფლიოში მიგრაციული პროცესების გააქტიურება უპირველეს ყოვლისა განვითარებულ ქვეყნებს შეეხო და არაერთ არასასურველი სოციალურ შედეგი მოიტანა. მათ შორის, მასპინძელი სახელმწიფოების ბიუჯეტებზე ფინანსური ტვირთის ზრდა და განათლების ზოგადი დონის ვარდნა ინკლუზიური განათლების ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელების გამო. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ დეტალურად შესწავლილ იქნას ის პირობები, რომლის დროსაც ქვეყნებმა განათლების პოლიტიკის მექანიზმების საშუალებით (ენის სწავლების ჩათვლით) მოახერხეს ეთნიკური წინააღმდეგობების მოგვარება, პრობლემების წარმატებით გადაჭრა და უმცირესობათა ჯგუფების გაერთიანება ერთ პოლიტიკურ ერში.

თავი III. ეთნოპოლიტიკური კინფლიქტები საქართველოში და მათი თავისებურებები

3.1 პოსტსაბჭოთა პოლიეთნიკური საზოგადოებების ეროვნული კონსოლიდაციის პრობლემები

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურაში ითვლებოდა, რომ შექმნილია საზოგადოების განვითარების უკონფლიქტო მოდელი, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების შესწავლა კი ძირითადად ისტორიული მასალების ანდა დასავლეთის ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკური პროცესების მაგალითზე ხორციელდებოდა. ამავდროულად დასავლეთში მკვლევარებმა საკმაოდ საფუძვლიანი სამეცნიერო-პრაქტიკული გამოცდილების დააგროვება შეძლეს, რამაც საფუძველი ჩაუყარა კონფლიქტოლოგიის სოლიდური სკოლის ჩამოყალიბებას.[108]

სსრკ-ს დაშლის შემდეგ, თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანა პოლიეთნიკურ საზოგადოებებად ჩამოყალიბდა.[109] საბჭოთა პერიოდში ეს პოლიეთნიკურობა მხოლოდ მიგრაციული პროცესებით არ იყო გამოწვეული. მისი საფუძველი გაცილებით უფრო ღრმად უნდა ვეძიოთ. მთლიანობაში, ერთიანი საბჭოთა სახელმწიფოს მიერ დანატოვარი, რესპუბლიკებს შორის ფორმალურად არსებული საზღვრები, ამ რესპუბლიკების ეროვნული აღმშენებლობის რეალიზაციის პროცესში

---

[108] პიპინაშვილი დ. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები, თბ. 2009 , გვ. 7

[109] 2005 წლის მონაცემებით (Географический атлас офицера. 2008. М.: УНИИНТЕХ. 424 с. С. 240-262), პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში „სახელმწიფოს წარმომშობი ერები“ შემდეგნაირად იყვნენ წარმოდგენილები: ყაზახეთი (53,4%), ლატვია (57,7%), მოლდოვა (64,5%), ყირგიზეთი (64,8%), ესტონეთი (65,3%), საქართველო (70,1%), უკრაინა (77,8%), რუსეთი (79,8%), ტაჯიკეთი (79,9%), უზბეკეთი (80,0%), თურქმენეთი (81,0%), ბელორუსი (81,2%), ლიტვა (83,4%), აზერბაიჯანი (90,6%), სომხეთი (95,6%). ამასთან, ამ რესპუბლიკებში რუსების რაოდენობა შეადგენდა: ყაზახეთში – 30%, ლატვიაში – 29,6%, ესტონეთში – 28,1%, უკრაინაში – 17,3%, მოლდოვაში – 13,0%, ყირგიზეთში – 12,5%, ბელოუსში – 11,4%.

პროკრუსტეს სარეცელად იქცა.[110] ზოგიერთ ამ სახელმწიფოში გამოვლინდა გადაულახავი წინააღმდეგობა ეროვნული აღმშენებლობის ყველაზე უფრო რადიკალურ პოლიტიკასა და ეთნოსთა შორის მშვიდობის და სამოქალაქო ნორმატიულ-სამართლებრივი წესრიგის იმპერატიულ შენარჩუნებას შორის, აგრეთვე იზოლირებულ სივრცეებში საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ არაღიარებული პოლიტიკური რეჟიმების, სხვადასხვა სეპარატისტული მოძრაობების, და „გაყინული კონფლიქტების“ არსებობა. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც შედარებით კონსოლიდირებულმა პოლიტიკურმა რეჟიმებმა მეტნაკლებად შეძლეს ამგვარი პრობლემების თავიდან აცილება, ჩამოყალიბდა, თავისი არსით, საკმაოდ უჩვეულო პრაქტიკა, (მაგ., არამოქალაქე მოსახლეობის ინსტიტუტი ბალტიისპირა ქვეყნებში), რომელიც ითვალისწინებს ერი-სახელმწიფოს აღმშენებლობას და ეთნოკულტურული ერთგვარობის მიღწევას. მაგრამ მაინც ყველაზე უფრო დრამატული მოვლენები დაკავშირებულია სამოქალაქო ომთან, როდესაც ყოფილი თანამოქალაქეების დაპირისპირების მიზეზი არა სოციალური და კლასობრივი წინააღმდეგობები, არამედ ეთნიკური ფაქტორის პოლიტიზაცია, პოლიეთნიკური საზოგადოების კულტურული, ენობრივი, ქცევითი ნორმების განსხვავებულობა, ანტაგონიზმი და სასიცოცხლო შეუთავსებლობაა. ამასთან განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ შეიარაღებული დაპირისპირება სწორედ სამოქალაქო და არა ეთნიკურ ხასიათს ატარებს, რადგანაც მისი განმსაზღვრელი არა მონაწილეების ეთნიკური კუთვნილება, არამედ სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრინციპულად განსხვავებული ხედვაა: ერთ შემთხვევაში ეს არის ეთნო-ეროვნული ჰომოგენურობას პრინციპი, ხოლო მეორე შემთხვევაში კი სამოქალაქო კონსოლიდაციის პრონციპი, რომელიც სხვადასხვა ეთნოსების

[110] მსგავსი პრობლემებით ხასიათდებოდა კოლონიური იმპერიების დაშლის და ევროპული სახელმწიფოების მანდატქვეშ მყოფი ტერიტორიების ტრანსფორმაციის პროცესი, რომელმაც ეთნონაციონალური დაპირისპირებების, ტრანსნაციონალური კონფლიქტურობის და გახლეჩილი თემების Colomer J.V. 2007. Great Empire, Small Nations: The Uncertain Future of the Sovereign State. L.; N.Y.: Routledge. 128 p.

და ეროვნების წარმომადგენლობის სამოქალაქო კონსოლიდაციის ნიადაგზე გაერთიანებას გულისხმობს.

1990-იანი წლების პოსტსაბჭოთა ქვეყნების განვითარებას ეგზისტენციური შემობრუნება და ეროვნული სახელმწიფოებრივი მშენებლობის თვითმყობადი მოდელირების საყოველთაო ექსპერიმენტირება ახასიათებდა. ამ პროცესების გაანალიზებისას ყურადღება უნდა მივაქციოთ ტრაექტორიის ფაქტობრივ გაორებას. ოცდამეერთე საუკუნეში ყოფილი იმპერიული მეტროპოლია ახალი „ძალაუფრებრივი ვერტიკალის“ და ახალი ტიპის ელიტის შექმნის აუცილებლობამდე მივიდა. მაგრამ ეს პოლიტიკა დაკავშირებული იყო ეთნოპოლიტიკური რესურსების უარყოფაზე (უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების ყველაზე უფრო ეფექტურ მაკონსოლიდირებელ და მობილიზაციურ-პრაქტიკულ და იდეოლოგიურ ასპექტებზე). ეს კი ხელისუფლებას სახელმწიფოებრივი მშენებლობის მხოლოდ სამოქალაქო პერსპექტივას აძლევდა, რომელიც ხანგრძლივ და მუხლჩაუხრელ მცდელობას მოითხოვს. პრონციპულად განსხვავებული სტრატეგია იყო დამახასიათებელი იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის, რომლებიც პოლიტიკური კონსოლიდაციისა და სახელმწიფოებრივი მშენებლობისათვის უპირატესად ეთნონაციონალურ რესურსებს იყენებდნენ და ეთნიკურობის მიზანმიმართულ პოლიტიზაციას ეწეოდნენ. ასეთი პოლიტიკა სხვადასხვა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში განსხვავებული თავისებურებებით ხასიათდებოდა: მაგ., პრობლემები, რისკები და ეთნიკური ერის ჩამოყალიბება თითქმის მონოეთნიკურ სომხეთში და ეთნიკურად გაყოფლი ლატვიასა და ყაზახეთში პრინციპულად განსხვავდება.

ამასთან ყოფილი მეტროპოლიის მდგომარეობა გართულებულ იქნა მთელი რიგი, როგორც საშინაო (ჩეჩნეთის ომი), ისე საგარეო პოლიტიკური კონფლიქტებით, რომლებიც დასავლეთსა და რუსეთს შორის

რამდენიმე ეტაპიან მწვავე კონფლიქტებში გადაიზარდა - განსაკუთრებით კი 2008 და 2014 წლებში გამწვავდა.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეროვნული პოლიტიკის განხორციელების თავისებურებები და ნაკლოვანებები, რესურსული უზრუნველყოფის, პირობების და სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, პრაქტიკული გამოცდილების დეფიციტით შეიძლება აიხსნას. ეროვნული საკითხების გადაჭრა სახელმწიფო აღმშენებლობის პარალელურად უნდა მოხდეს და მას უმეტეს შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თუ ამ აღმშენებლობით პროცესში განვითარების ორიენტაციის არჩევისას, ეთნიკურ და მოქალაქეობრივ იდენტობას შორის, განმსაზღვრელი მოქალაქეობრივი იდენტობაა, მაშინ ეთნიკური რესურსი პოლიტიკური რეჟიმის ლეგიტიმაციისა და მიზნების მისაღწევად, არცთუ ისეთი მნიშვნელოვანია და ზოგჯერ კონტრპროდუქტიულიცაა. საპირისპირო შემთხვევაში ეთნიკური სოლიდარობა სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციისათვის ყველაზე უფრო სასურველი და მნიშვნელოვანი რესურსია.

კულტურულ-ცივილიზაციურ და ეთნოკულტურული რესურსი სახელმწიფოს აღმშენებლობის მნიშვნელოვანი პირობაა, რომელსაც ახალი სახელმწიფოსთვის მდგრადი საფუძვლის ფორმირება შეუძლია, მაგრამ მენტალური ინერციის და ეთნიკური ნაციონალიზმის გავლენის გამო, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ეთნონაციის კონცეპტიდან მოქალაქეობრივი ერის კონცეპტამდე სვლა ნელი ტემპებით ხორციელდება ... ერის/ნაციის მოქალაქეობრივი გაგება მოკრძალებულად, ძირითადად გარე სამყაროს დასანახად ხორციელდება.[111]

[111] Тишков В.А. 2016. Усложняющее разнообразие: как его понимать и упорядочить. – Культурная сложность современных наций. Отв. ред. В.А. Тишков, Е.И. Филиппова. М.: Политическая энциклопедия. С. 18.

"ნაციონალიზებული სახელმწიფოს" კონცეპტი, რომელიც ორი ათეული წლის წინ რ. ბრუბეიკერის მიერ იქნა შემოთავაზებული[112], პოსტსაბჭოთა სივრცეზე პოლიტიკურ-ინსტიტუციური დინამიკის გააზრების საკამათო ცნებად იქცა. არცთუ იშვიათად კითხვის ნიშნის ქცეშ დგება მისი თეორიული ღირებულებაც: ნათელია, რომ მსგავსი პროცესები არა მარტო პოსტსოციალისტურ სამყაროში მიმდინარეობს, ხოლო იმპლიციტური დაყოფა დასავლურ სამოქალაქო ("ნიშნით პლუსი") და აღმოსავლურ ეთნიკურ ნაციონალიზმად ("ნიშნით მინუსი") მათი ინტერპრეტაციისას ნორმატიულ ჩარჩოს ქმნის.[113] ეს დაყოფა, ალბათ, შემდგომ განსაზღვრას მოითხოვს. კერძოდ, დასავლური ნაციონალიზმის სრულყოფილი მოქალაქეობრიობის შესახებ შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ დასავლეთის მიერ XX საუკუნის ორი მსოფლიო ომის მწარე გამოცდილების ღრმა გააზრების ჭრილში, მაგრამ ამ დათქმის შემთხვევაშიც, მნიშვნელოვანია მხედველობაში მივიღოთ, რომ სწორედ ამ ომების შედეგების გათვალისწინებით, XX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა ნაციონალიზმის ორი პრინციპულად განსხვავებული ვერსია: ერთი - დასავლური და მეორე - დანარჩენი მსოფლიოსი. ამასთან, უკანასკნელი ფორმირდებოდა იმ მრავალი "ტიპური" პრაქტიკის შესაბამისად, რომელიც ევროპული ერების ადრეული - მათი ჩასახვის პერიოდისათვის, იყო დამახასიათებელი. ეს კი არის მკვეთრი ეთნიკური და კონფესიური უნიფიკაციის პრაქტიკა და სახელმწიფოს მზადყოფნა კრიტიკულად არაერთგვაროვანი, ეთნიკურად და კონფესიურად განსხვავებული ელემენტების წინააღმდეგ გამოიყენოს კარგად გააზრებული და მეცნიერულად და პრაქტიკულად გააზრებული ზომები.

[112] Brubaker R. 1996. Nationalizing States in the Old "New Europe‖ and the New. – Ethnic and Racial Studies. Vol. 19. P. 411-437. DOI: https://doi.org/10.1080/01419870.1996.9993918

[113] Kuzio T. 2001. _Nationalising States' or Nation-Building? A Critical Review of the Theoretical Literature and Empirical Evidence. – Nations and Nationalism. Vol. 7. No. 2. P. 135-154. DOI: http://dx.doi.org/10.1111/1469-8219.00009

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სოციალურ-პოლიტიკური პროცესების გააზრებისას, ანალიტიკური მიდგომები ძირითადად აგებული იყო ერი-სახელმწიფოს მშენებლობის პარადიგმასა და მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში სოციალურ მეცნიერებებში აპრობირებული. "მეთოდოლოგიური ნაციონალიზმის" ჩარჩოში, რაც სახელმწიფო საზღვრებში მოქცეული ეროვნული სახელმწიფოს არსებობას გულისხმობდა. [114] პოსტსაბჭოთა საზოგადოებებში ცვლილებების ანალიზისა და პროგნოზირების დღის წესრიგი განისაზღვრა ევროპაში სახელმწიფოებრიობის ისტორიულად დამკვიდრებული მოდელის მიხედვით, მაგრამ მსოფლიო წესრიგის "გლობალური რესტრუქტურიზაციის" ფონზე, ახალი შესაძლებლობები და ახალი რისკები გაჩნდა. შესაბამისად, თანამედროვე "ინფორმაციულმა" საზოგადოებამ ასეთი ვექტორით გავითარება კითხვის ქვეშ დააყენა.

ამ არსებითი წინააღმდეგობისას ვლინდება, ერთი შეხედვით, მჭიდროდ დაკავშირებული, მაგრამ არსებითად განსხვავებული პოლიტიკური მიზნის ორი სტრატეგიის კონფლიქტი, რომელთა გადაჭრაც პოსტსაბჭოთა პერიოდში ცალსახად და მარტივად არ ხერხდება. პოლიტიკურ დღის წესრიგში ორი მნიშვნელოვანი საკითხია: ან თანამედროვე ერის ფორმირება საზოგადოების ტერიტორიული კონსოლიდაცის გზით ან სახელმწიფოს გაძლიერება. ამ დავაში პირველყოფილი ან კონსტრუქტივისტული აქცენტები, როგორც წესი, აპრიორი, იმ ელიტარული ჯგუფების ინტერესების გათვალისწინებით იქნა განთავსებულია, რომლებიც პოლიტიკური დროის გარკვეულ პერიოდში

[114] მეთოდოლოგიური ნაციონალიზმი ნიშნავს, რომ კვლევის უმეტესი ნაწილი სახელმწიფოს განსაზღვრავს (პირდაპირ ან არაპირდაპირ) ეროვნულ , როგორც სოციალური პროცესების კონტეინერს. შედეგად,, სახელმწიფო ერთეული ერის სახით , წარმოადგენს მნიშვნელოვანი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების შესწავლის მთავარ ობიექტს. ამ შეხედულების ერთ-ერთი მთავარი კრიტიკოსი, ულრიხ ბეკი, ამტკიცებს, რომ ასეთი ხედვა არასწორად ემყარება დაშვებებს პოლიტიკური, კულტურული და სოციალური საზღვრების დამთხვევის თაობაზე. სახელმწიფო პერსპექტივა არ გულისხმობს ტრანსნაციონალურ კავშირებს, სტრუქტურებს ან პირადობებს. [Zajak S. 2013. Cosmopolitan Sociology or Why the Global Is Local. – Governance Across Borders. Transnational Fields and Transversal Themes (ed. by L. Dobusch, Ph. Mader, S. Quack). Berlin: Epubli GmbH. P. 24. URL: http| www.mpifg.de/pu/mpifg_book/governance_across_borders_final.pdf

ხელისუფლებაში იმყოფებოდნენ ან იბრძოდნენ ქვეყნის სათვეში მოსასვლელად.

ბოლო წლებში პოსტსაბჭოთა სივრცეში ნაციონალიზმისა და ერი-სახელმწიფოს მშენებლობის პრობლემების შესახებ ლიტერატურაში გაჩნდა რამდენიმე მიმართულება, რომლებიც პრიორიტეტებისა და მათი განხორციელების მექანიზმების განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობენ. პოსტსაბჭოთა პერიოდის პირველ ათწლეულში ყურადღება გამახვილდა კონფლიქტური დაპირისპირების სიტუაციების ანალიზსა და მათ კონცეპტუალიზაციაზე.[115] იგი თანდათან შეიცვალა ნაციონალიზმის და ეთნიკური დაძაბულობის დარეგულირების სტრატეგიების, იდენტობის პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და მექანიზმების შესწავლითა და კვლევებით.[116] ტრადიციული ყურადღების სფეროებთან - საგანმანათლებლო პოლიტიკა, ენობრივი პოლიტიკა, კულტურული პოლიტიკა ერთად - კვლევითი ინტერესის ფოკუსში აღმოჩნდა სიმბოლური პოლიტიკის კონტექსტში, წარსულის გამოცდილებზე აპელირების ფორმები. [117] ისტორიული და მემორიალური დისკურსი გახდა ეფექტური იარაღი, მათ შორის სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობისთვის ბრძოლაში, ხოლო "მეხსიერების ომები" ეროვნული, თვითმყოფადობის შექმნის საერთო, ყოველდღიური პოლიტიკური იარაღი, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა ახალი სახელმწიფოების პოლიტიკური ელიტების

[115] Ethnic Conflict in Post-Soviet States. 1996. Ed. by L. Drobizheva, R. Gottemoeller, C. McArdle Kelleher, L. Walker. New York: M.E. Sharpe. 365 p.; Tishkov V. 1997. Ethnicity, Nationalism and Conflict in and After the Soviet Union: The Mind Aflame. London: Sage. 352 p. DOI: https://doi.org/10.4135/9781446279427; Coppieters B., Emerson M., Huysseune M., Kovziridze T., Noutcheva G., Tocci N., Vahl M. 2004. Europeanization and Conflict Resolution. Case Studies from the European Periphery. Gent: Academia Press. 258 p.

[116] Soviet and Post-Soviet Identities. 2012. Ed. by Bassin M., Kelly C. Cambridge MA: Cambridge University Press. 386 p. DOI: https://doi.org/10.1017/CBO9780511894732; Летняков Д.Э. 2016. Создавая нацию: политика идентичности в постсоветских государствах. – Мир России. № 2. С. 144-167.

[117] Шнирельман В.А. 2003. Войны памяти: мифы, идентичность и политика в Закавказье. М.: Академкнига. 245 с.; Символическая политика. Сборник научных трудов. Отв. ред. О.Ю. Малинова. Вып. 1. Конструирование представлений о прошлом как властный ресурс. 2012. М.: ИНИОН РАН. 334 с.; Маркедонов С.М. 2015. Праздники и памятные даты постсоветского Закавказья: история и политика. – Неприкосновенный запас. № 3 (101). С. 273-285.

მიერ. მეხსიერების პოლიტიკისადმი განხორციელებული ინტერესის ტალღები აყალიბებდა წარსულის გადააზრების შესახებ .საზოგადოების მოთხოვნას.[118]

პოსტსაბჭოთა რეალობის უცხოელი მკვლევარების აზრით, ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის მექანიზმებისა და ტრაექტორიების შესწავლის ფოკუსი მიკრო დონეზე გადადის და იდენტურობის ფორმირების ზოგჯერ უცნაური, ტრადიციული და არატრადიციული ინსტრუმენტების შეფასებაზე ამახვილებს ყურადღებას.[119] ამ მიდგომების ანალიზიდაას ჩანს, რომ კონსტრუქციულია ის მიდგომა, სადაც შემოთავაზებულია ერი-სახელმწიფოს აღმშენებლობა, როგორც "პოლიტიკური აქტორის (ან აქტორების) საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს ამ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (სახელმწიფოში) მცხოვრები ხალხის დარწმუნებას, რომ ისინი ერთსა და იმავე საზოგადოებას მიეკუთვნებიან". იმისთვის, რომ მივიღოთ ობიექტური წარმოდგენა ასეთი პოლიტიკის შედეგის შესახებ, განხილვის საგანი უნდა იყოს არა მხოლოდ ეროვნულ დონეზე არსებული პოლიტიკური პრაქტიკა, არამედ მოქალაქეების რეაქცია ამ პოლიტიკაზე.[120] ამასთან, საქმე ეხება „დარწმუნების" უნარს ან შესაძლებლობას: ინფორმაციული საზოგადოების ეპოქაში "დარწმუნების" მეთოდები საკმაოდ ფართო ინტერპრეტაციით ხასიათდება (მაგალითად, „ინფორმაციული ომების" პრაქტიკა)). უფრო ზუსტი იქნებოდა თანამედროვე ერი-სახელმწიფოების მშენებლობის სტრატეგიები შედარებით ფართო გაგებით განგვესაზღრა, - როგორც "ერთ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის" ერთიანი პოლიტიკური საზოგადოების ინსტიტუციურ ფორმებში.კონსოლიდაციის პოლიტიკა.

---

[118] Isaacs R., Polese A. 2016. Nation-Building and Identity in the Post-Soviet Space. New Tools and Approaches. London, New York: Routledge. P. 2-3.
[119] Isaacs R., Polese A. 2016. Nation-Building and Identity in the Post-Soviet Space. New Tools and Approaches. London, New York: Routledge. P. 4.
[120] Polese A. 2011. Language and Identity in Ukraine: Was it Really Nation-Building. – Studies of Transition States and Societies. Vol. 3. No. 3. P. 40.

3.2. კონფლიქტები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში და სახელმწიფოებრიობის მშენებლობის განსხვავებული ხედვა

სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკები, რომლებიც პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესში იმყოფებიან, უკვე სამი ათეული წელია, აქ განვითარებული ეთნოკონფლიქტების გამო საერთაშორისო საზოგადების ყურადღების ცენტრშია. რეგიონის გეოსტრატეგიული მნიშვნელობის გამო, კონფლიქტების თემა საერთაშორისო ორგანიზაციების და საექსპერტო ჯგუფების მუდმივი განხილვის საგანს წარმოადგენს. სამწუხაროდ, აქ განვითარებული სამი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტიდან, ორი მათგანი საქართველოში განვითარდა და ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის გზაზე უდიდეს ხელისშემშლელ პრობლემას წარმოადგენს. იმისთვის, რომ უკეთესად იქნას გააზრებული პრობლემის მოგვარების პერსპექტივები, მნიშვნელოვანია დავუბრუნდეთ მისი წარმოშობის საფუძვლებს. და განვიხილოთ, თუ რა პერსპექტივებია მათი მოგვარებისათვის.

საბჭოთა კავშირში 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში სოციალური სიტუაციის გაუმჯობესებასთან ერთად მკვეთრად გაიზარდა სხვადასხვა ხალხების მოთხოვნები და მოლოდინები, რამაც მოდერნიზაციის პროცესში ახალი გარღვევა მოითხოვა. ამასთან, დაიწყო დესტრუქციული პროცესებიც: ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება და პოლიტიკური არასტაბილურობის ზრდა. უკმაყოფილება იზრდებოდა მრავალეროვნულ საზოგადოებებში, ხოლო ის ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც ტრადიციულიდან თანამედროვე საზოგადოებაზე

გადასვლის ეტაპებს გადიოდნენ, უკმაყოფილების მიზეზებად პოლიტიკურ ცენტრს მიიჩნევდნენ.[121]

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სახელმწიფოს სწრაფი დაშლა კიდევ ერთ პრობლემად იქცა. უკონტროლო და სწრაფმა დემოკრატიულმა პროცესებმა უარყოფითი შედეგი მოიტანა. როგორც მაიკლ მანი აღნიშნავდა, სუვერენიტეტისა და სახალხო მმართველობის ლიბერალურ ღირებულებებმა შეიძლება მიგვიყვანოს ნაციონალიზმის ყველაზე დამანგრეველ შედეგებამდე.[122] მით უმეტეს, როდესაც სეპარატისტული განწყობები ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე შეინიშნებოდა. ადგილობრივი ელიტების მიერ დაიწყო ეთნიკურად აფხაზი და ოსი მოსახლეობის მობილიზება და გააქტიურება. ისინი აგრესიულ რიტორიკას მიმართავდნენ და თავს "ჩაგრულ უმცირესობებად" აცხადებდნენ, თავიანთი პოზიციების გასამყარებლად კი თბილისის ნაციონალისტურ განწყობებს, შოვინისტურ განცხადებებს და რუსეთის მხარდაჭერას იყენებდნენ.

მართლაც, ადგილობრივმა ელიტებმა ენერგიულად დაიწყეს ეთნიკურად აფხაზი და ოსი მოსახლეობის მობილიზება და თვითვიქტიმიზაცია „ჩაგრულ უმცირესობად“ ყოფნაზე აპელირებით, ნახევრად გასამხედროებული აფხაზი და ოსი ლიდერები ამ პროცესებს რეიტინგის გასაზრდელად და ფინანსური რესურსების დასაგროვებელ საშუალებად განიხილავდნენ. ისინი პოზიციების გასამყარებლად აგრესიულ რიტორიკას, რუსეთის მხარდაჭერასა და თბილისის შოვინისტურ განცხადებებს იყენებდნენ. შესაბამისად, მათი სამოქმედო ტაქტიკა, როგორც საკუთარი ნაციონალისტური ნარატივის გაძლიერებას,

[121] აბრამიშვილი ი. ქოიავა რ. საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის 25 წელი, კავკასიური სახლი,2018 .გვ11

[122] Mann, M., “The Dark Side of Democracy: Explaining Ethnic Cleansing”, Cambridge: Cambridge University Press; 2004

ასევე ქართულ ნაციონალიზმზე საპასუხო სტრატეგიის გამოყენებას მოიცავდა.

ისტორიული თვალსაზრისით, კონფლიქტებს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში განსხვავებული წინაპირობები გააჩნია. აფხაზები, ოსებისაგან განსხვავებით, დღევანდელი განსახლების ტერიტორიაზე აბორიგენი მოსახლეობაა. ნიშანდობლივია ქართველი და აფხაზი ერების ერთიანი თანაცხოვრების ისტორიაც. გაერთიანებული საქართველოს მეფეთა ტიტული (IX-XIV საუკუნეებში) ასე იწერებოდა: მეფე ქართველთა, აფხაზთა და ა.შ. საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ აფხაზეთის სამთავრო (XIV-XVIII საუკუნეებში) პირდაპირ პოლიტიკურ დამოკიდებულებაში იყო დასავლეთ საქართველოს იმერეთის სამეფოსთან.[123]

XIX საუკუნის დასაწყისში ცარისტულმა რუსეთმა საქართველოს ანექსია მოახდინა, გააუქმა სამეფო მმართველობა, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში და ერთმანეთის მიყოლებით შემოიერთა პოლიტიკურად დაქსაქსული საქართველოს სამთავროები, მათ შორის აფხაზეთი (1810 წ.) ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული სახალხო მღელვარებები, რომლებიც არაერთხელ გადაიზარდა აჯანყებაში (1804, 1811, 1817 წ.წ.) რუსეთის ადმინისტრაციამ ჩაახშო. საპასუხოდ რუსეთის ადმინისტრაცია იყენებდა სტრატეგიას, რომლის ძირითადი პრინციპიც კავკასიელი ეთნოსების ერთმანეთთან დაპირისპირებაში და საქართველოს ტერიტორიაზე "სანდო" ეთნოსების ჩამოსახლებაში მდგომარეობდა.[124]

აფზაზეთში პოზიციების გასამყარებლად, რუსეთს ორი მიმართულებით უნდა ემოქმედა. პირველი - თურქული პოლიტიკის გავლენის მოსპობა და მეორე - ქართული კულტურისა და იდეოლოგიის გავლენის ამოძირკვა. პირველი პრობლემის გადაჭრის მიზნით, რუსეთმა

[123] http://eu-nato.gov.ge/index.php?que=geo/NATO_W_I_N/Geo_N_P).
[124] იქვე

მოახდინა მუსლიმი აფხაზების ნაწილი თურქეთში ძალადობრივი გადასახლება (XIX საუკუნის 60-70-იან წლეში). ეს ფაქტი ისტორიაში შევიდა მუჰაჯირობის სახელთ. ბევრი აფხაზი ფიზიკურად იქნა განადგურებული, ბევრმა მთებს შეაფარა თავი. მათი ადგილი ჩამოსახლებულმა რუსებმა, სომხებმა და იმპერიისათვის "სანდო" ეთნოსებმა დაიკავეს.[125]

მეორე პრობლემის მოგვარების პროცესში, რუსეთის ადმინისტრაციამ აფხაზეთში არსებულ ეკლესიებში აღკვეთა ტრადიციულად ქართულ ენაზე მოქმედი წირვა და სკოლებში რუსულად სწავლება შემოიღო, აფხაზეთის ახალგაზრდობას კი მასობრივად აგზავნიდა რუსეთში სასწავლებლად. მიუხედავად აფხაზი და ქართველი არისტოკრატიის მცდელობებისა, ორი ერის კულტურულმა, იდეოლოგიურ-ფსიქოლოგიურმა და პოლიტიკური გაუცხოების პროცესმა შეუქცევად ხასიათი მიიღო.

1917 წლის ოქტობრის ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებამ (1918 წ.) აფხაზეთს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიანიჭა. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპის შეფასება ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებში რადიკალურად განსხვავებულად ხდება. აფხაზური საზოგადოება თბილისის სუვერენიტეტს აფხაზური საზოგადოება კოლონიურ რეჟიმად აღიქვამდა. არაერთხელ იფეთქა აჯანყაებამაც. ეს აჯანყებები რუსეთის ბოლშევიკების ან პროთურქული ძალების მიერ იყო ინსპირირებული.[126]

საქართველოი დემოკრატიული რეჟიმის ძალადობრივი დამხობისა და კომუნისტური წეს-წყობილების დამყარების შემდგომ (1921 წლის 25 თებერვალი), ადგილი ჰქონდა "დამოუკიდებელი აფხაზეთის" გამოცხადების მცდელობას (1921 წლის 30 მარტი)[127], 1921 წელს, სსრკ-ს მიერ საქართცელოს ანექსიის შემდეგ შეიქმნა ამიერკავკასიის საბჭოთა

[125] იქვე
[126] ისინი აქტიურად თანამშრომლობდნენ კავკასიაში გავლენის სფეროების გადანაწილებაში
[127] ნადარეიშვილი თ.შეთქმულება საქართველოს წინაამდეგ, თბილისი, 2000, გვ.22

სოციალისტური ფედერაციული რეპუბლიკა. ამ გაერთიანებაში საქართველოსთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად აფხაზეთი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსით შევიდა. ამ სტატუსით აფხაზეთმა 8 თვე იარსება. ფედერაციამ სამი საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობით იარსება ათი წელი. მოგვიანებით 40-იან წლებში რეგიონის ძირძველ აფხაზ და ქართველ მოსახლეობას დაემატა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსახლებული გლეხობა. რუსეთის იმპერიისა და შემდგომ საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებული პოლიტიკის შედეგად აფხაზები უმცირესობაში აღმოჩნდნენ. ფაქტია, რომ აფხაზების მასიური ეთნიკური წმენდა განსაკუთრებული სისასტიკით სწორედ რუსეთის იმპერიისას განხორციელდა, მიუხედავად ამისა აფხაზური პროპაგანდა შევიწროების მთავარ მიზეზად სსრკ-ს ქართველი ეროვნების ხელმძღვანელების ი. სტალინისა და ლ. ბერიას პოლიტიკას წარმოადგენდა. ამ მიდგომის კულტივირება სსრკ-ს სათავეში ნ. ხრუშჩოვის ანტისტალინური ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ, გასული საუკუნის 50-60-იან წლებში დაიწყო. აფხაზ მოსახლეობაზე მოსკოვის იდეოლოგიურ ზემოქმედებას სისტემური ხასიათი ჰქონდა. დამუშავების ობიექტს აფხაზეთის შემოქმედებითი და კულტურული ინტელიგენცია წარმოადგენდა. ნიშანდობლივია, რომ ადგილობრივი ქართველების მიმართ (მოსახლეობის 46%) აფხაზებს (მოსახლეობის 17%) განსაკუთრებული აგრესია არ ჰქონდათ, ბუნებრივად ვითარდებოდა ადამიანური თუ ნათესაური ურთიერთობები. აფხაზეთისთვის "მტრის ხატი" თბილისი იყო. [128]

აფხაზეთის ასეთ განწყობას ხელს უწყობდა ოფიციალური თბილისის შეცდომებიც.. მაგალითისათვის, 40-45-იან წლებში რამდენიმეჯერ შეიცვალა სასწავლო სისტემა აფხაზურ სკოლებში. აფხაზურ ენას ხან ქართული ანბანის საფუძველზე ასწავლიდნენ, ხან კირილიცის და ხან ისევ პირიქით.. გაიზარდა თაობა, რომლის დიდმა ნაწილმა მშობლიურ ენაზე

[128] http://eu-nato.gov.ge/index.php?que=geo/NATO_W_I_N/Geo_N_P).

წერა-კითხვა ფაქტიურად არ იცოდა და, როგორც წესი, რუსულად საუბრობდა.[129]

პერესტროიკის პერიოდში აშკარა წახალისებით, ინტენსიურად იკრებდა ძალას აფხაზური სეპარატიზმი. საბჭოთა კავშირის რღვევისა და საქართველოს ანტიმოსკოვურ პოზიციას, 1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის ცალმხრივად გაუქმებითა და აფხაზეთის საბჭოთა სიციალისტური რესპუბლიკის გამოცხადებით უპასუხა, რასაც თბილისში შესაბამისი რეაქცია მოჰყვა. იმავე წლის დეკემბერში ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ თავმჯდომარედ აფხაზური ეროვნული მოძრაობის ლიდერი ვ. არძინბა აირჩია, რომელიც 18 წლის სამეცნიერო კარიერის შემდეგ დაბრუნდა აფხაზეთში სამუშაოდ. [130]

საქართველოს ახალი ხელისუფლება ზ. გამსახურდიას მეთაურობით მოერიდა აფხაზეთში ვითარების გამწვავებას და უაღრესად დისკრიმინაციული საარჩევნო კანონის მიღებას და კვოტური პრინციპით აგებულ უზენაესი საბჭოს შექმნას დათანხმდა.

ასეთმა შეთანხმებამ ვითარება უკეთესობისაკენ ვერ შეცვალა. საკანონმდებლო ცვლილებების მეშვეობით აფხაზეთის საკანონმდებლო ცვლილებების მეშცეობით აფხაზეთის სასამართლო, საბაჟო, საფინანსო და ზოგიერთი სხვა სისტემა ცენტრისაგან სულ უფრო მეტად დამოუკიდებელი ხდებოდა.

აღსანიშნავია, რომ აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებში წარმოშობილი ეროვნული იდეების დაპირისპირება ქართულ ეროვნულ იდეასთან არ შეიძლება განვიხიოთ, როგორც მხოლოდ მოსკოვის სტრატეგიისა და დასავლეთის ინერტულობის პროდუქტი.

---

[129] იქვე

[130] http://eu-nato.gov.ge/index.php?que=geo/NATO_W_I_N/Geo_N_P).

კონფლიქტების პროვოცირების დაგეგმვისას, მოსკოვში კარგად ერკვეოდნენ ერებს შორის ანტაგონიზმის გენეზისში, მაშინ როდესაც საქართველოს მაშინდელმა პოლიტიკურმა ელიტამ იგნორირება გაუკეთა ამ ეთნოსებთან ურთიერთობის ისტორიის პოზიტიური მხარეების რეალიზაციის შესაძლებას; ეროვნულ განმანთავისუფლებელი მოძრაობის ტალღაზე ამაღლებულმა ადგილობრივმა ლიდერებმა ვერ გაუძლეს პოპულიზმის ცდუნებას, ადვილად წამოეგენენ პროვოკაციებზე, უფრო მეტიც თავად ჩაუდგნენ სათავეში რადიკალური ნაციონალიზმით გამსჭვალულ პროცესებს. ეკონომიკურ სტაგნაციასთან ერთად, საქართველო და მისი რეგიონები პოლიტიკურმა ისტერიამ და მოიცვა. [131]

ცენტრისა და ავტონომიის დაპირისპირების ფორმალური მიზეზი გახდა 1988 წლის დასაწყისში აფხაზური საზოგადოების ერთი ნაწილის წერილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი, რომელშიც ისინი აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფას და რუსეთთან მიერთებას მოითხოვდნენ. აფხაზეთის პოზიციას მხარი დაუჭირა სამხრეთ ოსურმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა გაერთიანება `ადამონ-ნიხასმა~.

ამ წერილს ქართული საზოგადოების აღშფოთება მოჰყვა. 1989 წლის 4 აპრილს დაიწყო ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებების მიტინგი ავტონომიებში სეპარატისტული განწყობის აღკვეთის მოთხოვნით, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნის ლოზუნგით შეიცვალა. საბოლოოდ ყველაფერი 9 აპრილს, მომიტენგეებისა და საბჭოთა ჯარის ნაწილების შეჯახებით დამთავრდა, რასაც მნიშვნელოვანი მსხვერპლი მოჰყვა. ეს დღე გარდამტეხი აღმოჩნდა საქართველოს უახლეს ისტორიაში. ამის შემდეგ ქართული, აფხაზური და ოსური საზოგადოებების ურთიერთგაუცხოების და უნდობლობის ხარისხმა პიკს მიაღწია.

[131] იქვე

ქართული, აფხაზური და ოსური საზოგადოების ის წარმომადგენლები, რომლებიც ცდილობდნენ დაპირისპირება დიალოგის გზით გაენეიტრალებინათ მარგინალიზებულები აღმოჩდნენ.

1989 წლის 26 მაისს ცხინვალისა და მიმდებარე სოფლების ქართული მოსახლეობის მიერ ჩატარდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის (1917-1921 წ.) დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მიტინგი. მიტინგზე შეკრებილებს ოსური მოსახლეობის ნაწილი დაუპირისპირდა, რაც ფიზიკურ ძალადობაში გადაიზარდა. აშკარად გამოჩნდა საზოგადოებების პოლიტიკური ორიენტაციის კონტურები. მომიტინგე ქართველებს დამოუკიდებელი საქართველოს დროშა ეჭირათ ხელში, დაპირისპირებულ მხარეს საბჭოთა კავშირისა. მიუხედავად იმისა, რომ შეჯახება ადგილობრივ პრო-მოსკოვურ ხელისუფლებასთან დაახლოებული რადიკალების მიერ იყო პროვოცირებული, თბილისში ეს აღქმულ იქნა, როგორც ოსების თავდასხმა ქართველებზე.

იგივე ხდებოდა აფხაზეთში. საერთო ისტერიის ფონზე საქართველოს კომუნისტურმა მთავრობამ მიიღო "პოპულისტური" გადაწყვეტილება სოხუმის უნივერსიტეტიდან ქართული სექტორის გამოყოფისა და ქართული უნივერსიტეტის შექმნის შესახებ. 1989 წლის ივლისში ამ უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების დროს მოხდა აფხაზების თავდასმა აბიტურიენტებზე, დაიღუპა რამოდენიმე ახალგაზრდა, ამას შეტაკებები მოჰყვა, რომლის აღკვეთა მხოლოდ შსს-ს ჯარების ჩარევის შემდეგ მოხერხდა. აქაც ერთ მხარეს ქართული დროშები იყო, მეორე მხარეს სსრკ-სი. დაიღუპა 15 ქართველი და 7 აფხაზი.

უკიდურესად უარყოფითად უნდა შეფასდეს მედიის როლი საზოგადოებათა განწყობების ჩამოყალიბებაში. მედია პრიორიტეტულად სწორედ აგრესიული პოზიციის მქონე ლიდერთა ტრიბუნად იქცა. ქართული, ოსური, აფხაზური ძირითადი მედია საშუალებების ფუნქცია წარსულის რევიზია გახდა. ზემოდან დაშვებული "გლასნოსტის"

ლოზუნგით კრიტიკული მსჯელობის საგანად იქცა ყველა ის პრობლემა, რომელიც სსრკ-ში და მათ შორის საქართველოში იყო დაგროვილი. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა თემები, რომელიც ეთნიკურ, რელიგიურ, ტერიტორიულ თუ იდეოლოგიურ დავებს ეხებოდა. პოლიტიკურ ლიდერთა აგრესიული განწყობილებების გავლენის ქვეშ მოქცეული მედია საშუალებების დიდი ნაწილი, მოკლე დროის განმავლობაში თავადვე იქცნენ საზოგადოებრივი აგრესიის წარმმართველად.

ომს აფხაზთა მხრიდან შეეწირა 3 000 ადამიანი, ქართველთა მხრიდან 20 000-ზე მეტი _ ძირითადად მშვიდობიანი მოქალაქეები. მსხვერპლის რაოდენობა რუსეთის მოქალაქეებს და აფხაზეთის მკვიდრ არააფხაზ მოქალაქეებს შორის, დღემდე უცნობია. ომის შემდეგ, სეპარატისტების გავლენის ქვეშ მოექცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უდიდესი ნაწილი (ძირითადად ქართველებით დასახლებული გალის რაიონის ჩათვლით), საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში მხოლოდ კოდორის ხეობა დარჩა.

სრულიად არაადეკვატური და უნიათო იყო მოსკოვის მორჩილებას ჩვეული საქართველოს ცენტრალური და რეგიონალური საბჭოთა ლიდერების მოქმედებები. ეროვნული მოძრაობების აღმავლობის ფონზე, მათ სრულიად დაკარგეს მართვის ბერკეტები და თავის გადარჩენას ფსევდო-პატრიოტული გამოვლინებებით ცდილობდნენ. თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს, მომიტინგეებისა და საბჭოთა ჯარის ნაწილის შეტაკების შემდეგ, ეფექტური გადაწყვეტილებების უშედეგო ძიებაში, მოსკოვმა გადააყენა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ.პატიაშვილი და მის მაგივრად ქართული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (სუკ) ხელმძღვანელი, გ.გუმბარიძე დანიშნა.

ცდილობდა რა “ეროვნული პოზიციის” დემონსტრირებას, 1989 წლის ბოლოს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქმის წარმოების ქართულ ენაზე წარმმართვის თაობაზე (აფხაზეთში აფხაზურ ენას პარალელური ფუნქცია მიენიჭა). ამას ცეცხლზე ნავთის დასხმის ეფექტი ჰქონდა. საპასუხოდ 1989 წლის 10 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დეპუტატთა საბჭომ მიიღო დადგენილება ოლქის სტატუსის შეცვლისა და სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის თაობაზე (საქართველოს შემადგენლობაში). საქართველოს უზენაესმა საბჭომ მოლაპარაკებებს თავი აარიდა და ეს გადაწყვეტილება, როგორც ანტი-კონსტიტუციური გააუქმა.

ახალი ხელისუფლების საქმიანობის "ეფექტურობის" მაჩვენებელია გ.გუმბარიძის მოქმედება, როდესაც მან ცხინვალში წასასვლელად და მრავალათასიანი მიტინგის ჩასატარებლად ავტობუსები და გამცილებლები გამოუყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების ჯგუფს, დისიდენტ ზ.გამსახურდიას მეთაურობით. ცხინვალის მისადგომებთან ხალხის მასას გზა საბჭოთა შინაგანმა ჯარმა გადაუკეტა. ოსურ საზოგადოებაში კიდევ უფრო დამკვიდრდა აზრი ქართველების მხრიდან აგრესიის გარდუვალობისა და მათგან თავდაცვისათვის მოსკოვის მფარველობის უალტერნატივობის შესახებ. წამოიწია საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიერ 20-იან წლებში აჯანყების ჩასახშობად განხორციელებული ოპერაციის თემამ, რომელიც ქართველების მიერ ოსების გენოციდად შეფასდა

1989 წლის ნოემბერ-დეკემბერში მოხდა შეტაკებები სამხრეთ ოსეთის ქართველი და ოსი ეროვნების მოსახლეობას შორის, რომელიც მსხვერპლით დასრულდა. საბჭოთა ჯარის ქვედანაყოფი ორივე მხარეს აწვდიდა იარაღს.

1990 წლის 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭომ ოლქს სტატუსი შეუცვალა და სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა.

როგორც მოსალოდნელი იყო საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების მიერ “დაშვებულ” მრავალპარტიულ უზენაესი საბჭოს არჩევნებში (1990 წლის ნოემბერი) უმრავლესობა ეროვნული მოძრაობიდან აღმოცენებულმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ “მრგვალი მაგიდა-თავისუფალ საქართველო”-მ მოიპოვა ხოლო საბჭოს თავმჯდომარედ ამ გაერთიანების ლიდერი ზ.გამსახურდია იქნა არჩეული.

ოსი ეროვნების მოსახლეობის მიმართ მის მიერ განხორციელებული პოლიტიკა, შეცდომებისა და უკანონობის ერთობლიობას წარმოადგენდა. ახლო წარსულის მტკივნეული მაგალითებიდან გამომდინარე, სამხრეთ ოსეთის რეგიონის ადგილობრივ ხელისუფლებასთან დიალოგი შეუძლებელი აღმოჩნდა. საქართველოს სხვა რაიონებში, განსაკუთრებით მიმდებარე შიდა ქართლის რაიონში დაფიქსირდა ოსი ეროვნების ოჯახების ჩრდილო ოსეთში, ვითომდა ნებაყოფლობით გასახლების არა-ერთი ფაქტი. ანალოგიური იყო დამოკიდებულება ქართველი მოსახლეობის მიმართ სამხრეთ ოსეთში.

1990 წლის 28 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭომ ამჯერად საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა (სუვერენული რესპუბლიკის სტატუსით).

1990 წლის 10 დეკემბერს საქართველოს უზენაეს საბჭო `დაეთანხმა~ სამხრეთ ოსეთის დეპუტატთა საბჭოს ავტონომიური ოლქის გაუქმების ნაწილში, პარალელურად კი არ სცნო ახლად შექმნილი საბჭოთა რესპუბლიკა, ანუ ოლქი ფაქტიურად საერთოდ გააუქმა.

როგორც კომუნისტური ასევე ახალი ხელისუფლების პირობებში, მთელი ამ საკანონმდებლო დავებისა აგრესიული რიტორიკის ფონზე 1989_1990 წლების განმავლობაში, სამხრეთ ოსეთში პერმანენტულად მიმდინარებდა საომარი მოქმედებები. Mმიუხედავად იმისა, რომ ომს ფრონტალური ხასიათი არ ჰქონდა, იგი ორივე მხრიდან ჩადენილი

სისასტიკით გამოირჩეოდა. იყო მოლაპარაკების მცდელობებიც, მაგრამ მოსკოვმა ორგანიზება გაუკეთა და რეგიონში გამოაგზავნა ჩრდილო ოსეთის მოხალისეთა რაზმი ბ.ვატაევის მეთაურობით, რომელიც არავითარ კომპრომისს არ ცნობდა. მოგვიანებით მოსკოვიდან იქნა მივლინებული საბჭოთა არმიის გენერალი, ავღანეთის კამპანიის გმირი, ეროვნებით ოსი კ.ცაგოლოვი, რომელიც `სამშვიდობო პროცესის~ იმიტაციას ქმნიდა.

1991 წლის იანვრის დასაწყისში გამსახურდიას ხელისუფლებამ ცხინვალში, წესრიგის დასამყარებლად მილიციის ნაწილები შეიყვანა, რომლებიც ასეთი ოპერაციებისათვის მოუმზადებლები აღმოჩნდნენ. ერთ კვირაში, ისინი იძულებულნი გახდნენ ცხინვალიდან გამოსულიყვნენ, რასაც ქალაქის 10 000-ზე მეტი ქართველი მაცხოვრებელის სახლებიდან გამოძევება მოჰყვა. შეტაკებები შემთხვევები არც ამის შემდეგ შეწყვეტილა.

ქართულ-ოსური შეიარაღებული კონფლიქტის განმავლობაში დაღუპულთა რიცხვმა ორივე მხრიდან 2 000 კაცს მიაღწია. უგზო-უკვლოდ დაიკარგა _ 200-ზე მეტი ადამიანი, ხოლო 11 000 მეტი ქართველი და 8 000 მეტი ოსი (ძირითადად საქართველოს სხვა რეგიონებიდან) ლტოლვილებად იქცნენ. სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ანკლავთა უმრავლესობა (ტერიტორიის დაახლოებით 3/5) ოსური ადმინისტრაციის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა, ქართველებით დასახლებული ანკლავები საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარა.

იმავე წლის მარტის ბოლოს ზ.გამსახურდია საერთო სახალხო არჩევნების გზით გახდა საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო 9 აპრილს ხელისუფლებამ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

1991 წლის აგვისტოში სსრკ-ს გადარჩენის კიდევ ერთი მცდელობა იქნა გაკეთებული. ამჯერად უმაღლესი სახელისუფლო სტრუქტურების ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს გორბაჩოვის იზოლირება და სამხედრო

დისციპლინის დამყარება. ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. მსოფლიოს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა ახალი ფიგურა – საერთო სახალხო არჩენებით რუსეთის პრეზიდენტად არჩეული ყოფილი პარტიული ფუნქციონერი ბ.ელცინმა. მან ხელში ჩაიგდო ფაქტიური ძალაუფლება და სსრკ-ს დემონტაჟს შეუდგა. მისი ამოცანა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ახალი ერთობის (დსთ) შექმნა იყო. შესაბამის შეთანხმებაზე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების პრეზიდენტთა ხელმოწერა 1991წ. 21 დეკემბერს შედგა ალმა-ატაში (ყაზახეთი). საქართველოს ხელისუფლებამ დსთ-ში გაერთიანებაზე უარი განაცხადა, რასაც 22 დეკემბერს თბილისში ანტისამთავრობო პუტჩი მოჰყვა. 1992 წლის იანვარში ზ.გამსახურდიას ხელისუფლება ძალადობრივად იქნა დამხობილი, მან თავი მოსკოვის წინააღმდეგ ამხედრებულ ჩეჩნეთს შეაფარა. იმავე წლის მარტში სახელმწიფოს მეთაური მოსკოვიდან დაბრუნებული ე.შევარდნაძე გახდა.

3.3. კონფლიქტის პრევენციის მცდელობები სამშვიდობო პროცესების გამოუყენებელი შესაძლებლობები და რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის წინაპირობები

ქართული საზოგადოების პოლარიზაციისა და ეთნიკურ ნიადაგზე მზარდი დაძაბულობის ფონზე, საქართველოში მართლაც არსებობდა რამდენიმე ობიექტური და სუბიექტური წინაპირობა, რომელსაც შეეძლო მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში კონფლიქტების თავიდან აცილებაში. საუბედუროდ, ამ წინაპირობებსა და

ინიციატივებს ყველა მხრიდან პოლიტიკური ნების არქონა, ეჭვი, შიში და უკომპრომისობა გაეცა პასუხად.[132]

მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკური მობილიზაციის კერა ჯერ აფხაზეთში გაჩნდა, სამხრეთ ოსეთი აღმოჩნდა ის ადგილი, სადაც პირველი მსხვილმასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირება მოხდა. დღემდე ბევრი ადამიანისთვის გაურკვეველი რჩება, თუ რამ გამოიწვია სისხლიანი შეტაკებები იმ ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის, რომელთაც მშვიდობიანი თანაცხოვრების დიდი გამოცდილება ჰქონდათ. 1989 წლისთვის სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე 65 000, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე თითქმის ორჯერ მეტი ეთნიკურად ოსი ცხოვრობდა.[133] შესაბამისად, ამგვარი ინტეგრაციის მაღალი ხარისხი შეიძლება კონფლიქტის პრევენციის ერთგვარ ობიექტურ წინაპირობად ჩაითვალოს, რაც სამწუხაროდ, საკმარისი არ აღმოჩნდა იმ პროვოკაციული ნაბიჯების შესაკავებლად, რომლებიც 1989-1990 წლებში იდგმებოდა თბილისისა და ცხინვალის მიერ. ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ მხარეს არ ჰქონდა საკმარისი ნება შეენარჩუნებინა მშვიდობა, თუ არ ჩავთვლით 1989 წლის 21 ივლისს, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა“ და ოსური სეპარატისტული გაერთიანების „ადამონ ნიხასის“ ლიდერების – ზურაბ ჭავჭავაძისა და ალან ჩოჩიევის ერთობლივ მოწოდებას ქართველი და ოსი ხალხის მიმართ სიმშვიდისა და დიალოგის შესანარჩუნებლად.[134] სამწუხაროდ, ამგვარი ერთეული შემთხვევები ვერ ცვლიდა იმ მძიმე დაპირისპირების სურათს, რომელიც 1991 წლის

[132] აბრამიშვილი ი. ქოიავა რ. საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის 25 წელი, კავკასიური სახლი,2018 .გვ13

[133] გვახარია გიორგი, არაღიარებული “რესპუბლიკის” დამოუკიდებლობა და საქართველოს უახლესი ისტორია, რადიო თავისუფლება, 20.09.2005 ix. https://www.radiotavisupleba.ge/a/1543363.html

[134] იქვე

დასაწყისში, ცხინვალის რეგიონში შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა.[135]

მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო სიტუაციის განმუხტვის მიზნით, „მრგვალი მაგიდა – დამოუკიდებელი საქართველოს“ ბლოკის მიერ გადადგმული ნაბიჯი აფხაზეთის სტატუსისა და პოლიტიკური ძალაუფლების გადანაწილების თაობაზე კონსულტაციების დაწყება. მოლაპარაკების მთავარ საგნად იქცა აფხაზეთის საარჩევნო სისტემისა და საკანონმდებლო ორგანოს რეფორმა. აფხაზები, 1991 წლის სექტემბრის ადგილობრივი არჩევნებისთვის, მოითხოვდნენ ბიკამერული პარლამენტის შექმნას, რომლის პირველი პალატა – „რესპუბლიკური საბჭო“ - დაეფუძნებოდა ტერიტორიულ დაყოფას, ხოლო მეორე პალატა – „ეროვნული საბჭო“ – ეთნიკურს.[136] გამომდინარე იქიდან, რომ ეს შეთავაზება სოხუმს „ეროვნულ საბჭოში“ ვეტოს უფლებას აძლევდა, იგი ზვიად გამსახურდიასთვის მიუღებელი აღმოჩნდა.[137] სანაცვლოდ იგი ემხრობოდა 28-26-11 კვოტის სისტემას, რომლის მიხედვით ახალ საკანონმდებლო ორგანოში ეთნიკურ აფხაზებს (აფხაზეთის მოსახლეობის 18%-ს) 28 ადგილი უნდა მიეღოთ, ქართველებს (აფხაზეთის მოსახლეობის 46%-ს) 26 ხოლო სხვა დანარჩენი ეთნოსის წარმომადგენლებს ჯამში 11.21 ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ 1991 წლის აგვისტოში მიღებული „აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მიერ ორგანოებისა და თანამდებობის პირების არჩევისა და დანიშვნის წესის შესახებ დროებითი კანონის“ მიხედვით, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო ეროვნებით აფხაზი, მისი პირველი მოადგილე კი ქართველი.[138]

---

[135] აბრამიშვილი ი. ქოიავა რ. საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის 25 წელი, კავკასიური სახლი,2018 .გვ13

[136] Hewitt George B., Abkhazia: a problem of identity and ownership, Central Asia Survey, 12(3), 1993.

[137] ,საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში (ქართულ ენაზე), ტომი II, გვ. 94

[138] აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო, დროებითი კანონი აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მიერ ორგანოებისა და თანამდებობის პირების არჩევისა და დანიშვნის წესის შესახებ, 27.08.1991.

ორივე მხარემ - ქართულმა და აფხაზურმა ძალაუფლების შემოთავაზებულ ძალთა გადააწილების სისტემას მხარი ერთხმად დაუჭირეს. ორივე მხარე მომგებიან სიტუაციაში აღმოჩნდებოდა: ერთი მხრივ აფხაზები იღებდნენ მათთვის ხელსაყრელ ჯერიმანდერინგს,[139] მეორე მხრივ კი, გარანტირებულ კვოტას უმაღლეს საბჭოში, ხოლო ქართველებს შეეძლოთ მშვიდად ყოფილიყვნენ, რომ მათ გარეშე კონსტიტუციური და საკანონმდებლო ცვლილებები არ განხორციელდებოდა. ქართველების პოზიციას ზურგს უმაგრებდა ისიც, რომ 1991 წლის აგვისტოში, აფხაზეთისასსრ-ის კონსტიტუციაში შესული შესწორების მიხედვით, ავტონომიის სამართლებრივი სტატუსის თაობაზე ნებისმიერი საკანონმდებლო აქტის მისაღებად საჭირო იყო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების 2/3-ის თანხმობა, რაც რომელიმე მხარის თვითნებურ გადაწყვეტილებას იმთავითვე გამორიცხავდა.[140]

მიუხედავად მიღწეული შეთანხმებისა, თბილისსა და სოხუმს შორის ურთიერთობები არ გაუმჯობესებულა. აღნიშნული რამდენიმე ფაქტორით იყო გამოწვეული პირველ რიგში, ეს იყო 1991 წლის დეკემბერში, თბილისში მომხდარი სამხედრო გადატრიალება და ზვიად გამსახურდიას მთავრობის გადაყენება,რის გამოც დაწყებული სამშვიდობო პროცესი აღარ გაგრძელებულა . ამას ისიც დაემატა, რომ სამხედრო საბჭომ, 1992 წლის თებერვალში, 1978 წლის საბჭოთა კონსტიტუცია ძალადაკრგულად გამოაცხადა და მის ნაცვლად 1921 წლის კონსტიტუცია აამოქმედა, რომელიც მოძველებული იყო და იმდროინდელ გამოწვევებთან შეუთავსებლობის გამო, სრულიად ახალ სამართლებრივ ვაკუუმს ქმნიდა

[139] **Gerrymandering** – საარჩევნო ტექნოლოგია, რომელიც დაფუძნებულია საარჩევნო ოლქის საზღვრების ფორმირებაზე რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ. სახელწოდება მომდინარეობს მასაჩუსეტსის შტატის გუბერნატორ ელბრიჯ ჯერისაგან, რომელმაც პირველმა გამოიყენა ეს ტექნოლოგია 1812 წელს, როდესაც საზღვრები რესპუბლიკური პარტიის სასარგებლოდ დადგინდა. შექმნილი ოლქი წააგავდა სალამანდრას, რის გამოც ამ საარჩევნო ტექნოლოგიას ჟურნალისტებმა "Gerrymander'ს Mანდერ" შეარქვეს. საარჩევნო ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი. საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი. აღებულია საიტიდან: ჰტტპ: //ელეცტიონრეფორმს.გე

[140] Haindrava Ivlian, Conflict resolution policies before August 2008. In Transformation of the Georgian-Abkhaz conflict: rethinking the paradigm, 2011, p. 10.

აფხაზეთთან მიმართებაში.[141] მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში არჩეული ქართველი დეპუტატების სულ უფრო მზარდი უკმაყოფილება იმის გამო, რომ მათ ახალი საარჩევნო სისტემა არასამართლიანად და აპარტეიდულად მიაჩნდათ[142]. ამას ისიც დაემატა, რომ მათ ვერ შეძლეს მოეპოვებინათ დანარჩენი 11 დეპუტატის მხარდაჭერა, რომელთა უმეტესობაც პრო-აფხაზურად იყო განწყობილი. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართველმა წევრებმა 1992 წლის მაისში, საკუთარი პოსტები დატოვეს, ამან კი პოლიტიკური კრიზისი კიდევ უფრო გააღრმავა.

ამავდროულად მიმდინარეობდა ინტენსიური მოლაპარაკებები აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ. 1992 წლის თებერვალში, სოხუმში გაიმართა შეხვედრა, საქართველოს საკონსულტაციო საბჭოსა და „აიდგილარას“ ეროვნული ფორუმის წევრებს შორის. ფედერაციული მოწყობის შემთხვევაში, აფხაზური მხარე მზაობას აცხადებდა დარჩენილიყო საქართველოს შემადგენლობაში და თანხმდებოდა ქვეყნის საგარეო, თავდაცვისა და ეკონომიკური საკითხები თბილისში გადაწყვეტილიყო, ხოლო მისი ექსკლუზიური უფლებების განსაზღვრისთვის უნდა შექმნილიყო სპეციალური კომისია.[143] თბილისმა ამ წინადადების მიღებაზე უარი განაცხადა. პოლიტიკური ელიტა მხოლოდ უნიტარული სახელმწიფოს იდეას უჭერდა მხარს

აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხი კიდევ ერთხელ 1992 წლის ივნისში დადგა დღის წესრიგში, როდესაც აფხაზმა იურისტმა, ტარას შამბამ, გაზეთ „აფხაზეთში“ გამოაქვეყნა ხელშეკრულების პროექტის მონახაზი „აფხაზეთის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას

[141] Gamakharia J. & Beradze T. & Gventsadze T. (Eds), Assays from the History of Georgia:Abkhazia from ancient times till the present days, Ministry of Education and Culture of Abkhazia & Iv.Javakhishvili Institute of History and Ethnology, Tbilisi, 2011.
[142] Francis Céline, Conflict Resolution and Status: The Case of Georgia and Abkhazia (1989-2008), VUBPRESS, Brussels, 2011, p. 118.
[143] იქვე

შორის ურთიერთობების საფუძვლების შესახებ“.[144] აღნიშნული პროექტი თებერვალში განხილული პროექტისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. ამჯერად, იგი ითვალისწინებდა კონფედერაციის ჩამოყალიბებას ორ თანასწორუფლებიან, სუვერენულ სახელმწიფოს შორის ტექსტში ნათქვამი იყო, რომ აფხაზეთი საქართველოსთან საკუთარი სურვილით ერთიანდებოდა; მხარეები არ უნდა ჩარეულიყვნენ ერთმანეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში. აფხაზეთს უნდა ჰქონოდა საკუთარი მოქალაქეობა და დიპლომატიური წარმომადგენლობა თბილისში. ტექსტში ამასთანაავე აღნიშნული იყო, რომ მხარეებს ტერიტორიასა და სტატუსთან დაკავშირებული საკითხები უნდა გადაეწყვიტათ შეთანხმებულად, აღმასრულებელი ორგანოების გადაწყვეტილებით ან რეფერენდუმის საშუალებით. აფხაზეთს უნდა ჰქონოდა უფლება ჰყოლოდა არმია, რომელიც თავდასხმის შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდოდა. თბილისმა ამ შეთავაზებაზეც უარი განაცხადა, ვინაიდან მათი შეფასებით ეს იქნებოდა ძალიან მყიფე კონფედერაცია, საიდანაც აფხაზებს მარტივად შეეძლებოდათ გასვლა. [145]

1992 წლის ივლისში დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია, როდესაც ხმათა სავალდებულო 2/3-ის არქონის მიუხედავად, აფხაზმა პარლამენტარებმა, მარტივი უმრავლესობით,1978 წლის კონსტიტუცია 1925 წლის კონსტიტუციის პროექტით ჩაანაცვლეს და პრეზიდიუმს „საქართველოსა და აფხაზეთს შორის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების აღდგენით“ მიმართეს.[146] რამდენიმე კვირაში, აფხაზეთში პირველი ქართული სამხედრო ნაწილებიც გამოჩნდნენ. დაიწყო ომი, რომელმაც ათასობითსიცოცხლე შეიწირა, ასობით ათასი ადამიანი კი დევნილად აქცია.

---

[144] Hewitt George, The Abkhazians: A Handbook, Routledge, Abingdon, UK, 2013, pp. 264-266.
[145] ბენდელიანი კობა, ინტერვიუ ლევან ალექსიძესთან, Timer.ge, 14.08.2015. ix. https://goo.gl/CEDHfV
[146] Francis Celine.. pp. 118-122.

1992 წლის 24 ივნისი ქართულ-ოსურ სამშვიდობო პროცესის ოფიციალურ საწყის წერტილად ითვლება. სოჭში, ედუარდ შევარდნაძემ და ბორის ელცინმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას „ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპების შესახებ".[147] ამ ხელშეკრულების მიხედვით დაპირისპირებული მხარეები ვალდებულებას იღებდნენ 1992 წლის 28 ივნისისთვის ცეცხლის სრულ შეწყვეტზე და მოლაპარაკებების დაუყოვნებლივ დაწყებაზე, კონფლიქტის ზონის რაიონებისათვის ეკონომიკური აღორძინებისა და ლტოლვილების დაბრუნებისთვის პირობების შექმნაზე. გარდა ამისა, შეთანხმების საფუძველზე, რუსეთის, საქართველოსა და სამხრეთ ოსური მხარის მონაწილეობით, იქმნებოდა „შერეული საკონტროლო კომისია“, რომლის დაქვემდებარებაში მყოფ „შერეულ სამშვიდობო ძალებს“ ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგი უნდა განეხორციელებინათ და დაემყარებინათ წესრიგი.

შეთანხმება საკმაოდ იმედიანად გამოიყურებოდა. იგი ერთგვარ სამშვიდობო მექანიზმს აყალიბებდა, სადაც რუსეთი უშუალოდ, როგორც შუამავალი იყო ჩართული,. ამას დაემატებოდა საქართველოს წარმატება საერთაშორისო ასპარეზზე. 1992 წლის ივლისში, საქართველო გარეოს 179-ე წევრი-ქვეყანა გახდა, რასაც ქვეყანისთვის დამატებითი პოლიტიკური წონა და სტაბილურობა უნდა მოეტანა.

სოჭის შეთანხმების ხელმოწერიდან რამდენიმე დღეში შერეულმა საკონტროლო კომისიამ ენერგიულად დაიწყო მუშაობა. 1992 წლის ივლისის პირველ ორ კვირაში, კომისიას უკვე სამი სხდომა ჰქონდა გამართული, თუმცა აფხაზეთში სიტუაციის დაძაბვამ და 14 აგვისტოს

[147] ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ 1992 წლის 24 ივნისის შეთანხმება, სივილ ჯორჯია, იხ..: http://www.civil.ge/geo/_print.php?id=19346

სამხედრო დაპირისპირების დაწყებამ, ოსეთის მიმართულებით ინიცირებული სამშვიდობო პროცესი ერთი წლით მთლიანად გააჩერა.[148]

1993 წლის სექტემბერში მოლაპარაკებები განახლდა. რუსეთსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის დაზარალებულ რაიონებში ეკონომიკის აღდგენის შეთანხმებას. ამავე პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა ევროპის უშიშროებისა დათანამშრომლობის კონფერენცია (ეუთკ)36, რომლის ეგიდით, 1994 წელს, განახლდა შერეული საკონტროლო კომისიის შეხვედრები. აღდგენილ ფორმატში რამდენიმე ცვლილება შევიდა: კომისია ხდებოდა ოთხმხრივი და მას ემატებოდა ჩრდილოეთ ოსეთი; იქმნებოდა ოთხი სამუშაო ჯგუფი, რომლებიც იმუშავებდნენ პოლიტიკურ საკითხებზე, მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვაზე, კონფლიქტის ზონის ეკონომიკურ რეაბილიტაციასა და იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნებაზე. [149]

ეუთოს აქტიურობამ და ადგილზე მშვიდობის არსებობამ არაერთი შესაძლებლობების ფანჯარა გახსნა ქართულ და ოსურ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის დასაწყებად. პარალელურად, ჩეჩნეთში დაწყებული ომის ფონზე, რუსეთის ხელისუფლება თავს იკავებდა კავკასიაში დაძაბულობის ახალი კერების გაჩენისგან და ცდილობდა ხელი არ შეეშალა სამშვიდობო პროცესისთვის. გარდა ამისა, საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, ირაკლი მენაღარიშვილის თქმით, იმ პერიოდში, სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის დარეგულირება თავად ბორის ელცინსაც სჭირდებოდა, რათა დასავლეთისთვის ერთგვარი „წარმატების ისტორია“ ჰქონოდა და ეჩვენებინა, რომ რუსეთი რეგიონში მშვიდობის დამცველი იყო.38 შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ნიადაგი, იმისთვის, რომ

[148] თურმანიძე თორნიკე, „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტის დარეგულირების მექანიზმის მოკლე ისტორია: 1992-2008 წწ, ბთკკ – პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, 2009, გვ. 2-3.
[149] თურმანიძე თორნიკე, „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტის დარეგულირების მექანიზმის მოკლე ისტორია: 1992-2008 წწ, ბთკკ – პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, 2009, გვ. 4

მშვიდობის შენარჩუნება თანდათან მშვიდობის მშენებლობაში გადაზრდილიყო, თანდათან მზადდებოდა.[150]

ამ პროცესის ნათელი გამოვლინება იყო 1996 წლის დასაწყისში, ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების შესახებ ცხინვალის ირედენტისტული მისრაფების განელება და სანაცვლოდ თბილისთან მოლაპარაკებების დაწყება იყო.[151]

1996 წლის 16 მაისს, მხარეებს შორის მოსკოვში ხელი მოეწერა მემორანდუმს „უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ურთიერთნდობის განმტკიცებისთვის საჭირო ზომების შესახებ.“ ამ დოკუმენტით მხარეები კიდევ ერთხელ უარს ამბობდნენ ძალისა და ზეწოლის გამოყენებაზე და მზადყოფნას აცხადებდნენ სამოქალაქო საზოგადოებებს შორის კავშირების გაძლიერებას, კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციასა, და მოლაპარაკებების გაგრძელებაზე. კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური დარეგულირების შესახებ. მემორანდუმმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პოლიტიკური ნდობის განმტკიცებაში.

მემორანდუმის ხელის მოწერის შემდეგ, სამი შეხვედრა შედგა ედუარდ შევარდნაძესა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ლიდერ ლუდვიგ ჩიბიროვს შორის. ეს შეხვედრები საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა. დაიწყო კონფლიქტის მოგვარების პროცესი. 1998 წლის 20 ივნისს, ბორჯომი გაიმართა შეხვედრა, რომელზედაც სიტყვიერი შეთანხმებაც კი იქნა მიღწეული სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის აღდგენის შესახებ.

1999 წლის თებერვალში ვლადიკავკაზში ქართული და ოსური მხარეების სრულუფლებიანი დელეგაციების პირველი სამუშაო შეხვედრა

---

[150] აბრამიშვილი ი. ქოიავა რ. საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის 25 წელი, კავკასიური სახლი,2018 .გვ13

[151] Birch Julian, Ossetia – land of uncertain frontiers and manipulative elites, Central Asian Survey, 18:4, 1999, p.509

გაიმართა. სამხრეთ ოსეთის პოლიტიკურ სტატუსზე მუშაობას უკვე ინსტიტუციური სახე მიეცა. 1999-2003 წლებში ამ ჯგუფის ათი შეხვედრა ჩატარდა, [152] მათგან გამოსარჩევია 2000 წლის ივლისში, ავსტრიის საკურორტო ქალაქ ბადენში გამართული მოლაპარაკებები, რომელზედაც ცხინვალმა და თბილისმა „ქართულ-ოსური კონფლიქტის მხარეებს შორის პოლიტიკური და სამართლებრივი ურთიერთობების საფუძვლების შესახებ“ შუალედურ შეთანხმებას მოაწერეს ხელი. შეთანხმება შემდეგ საკითხებს ითვალისწინებდა: საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სამხრეთ ოსეთის ავტონომიასა და თვითგამორკვევის უფლებას და კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციასა და ამ ტერიორიაზე უსაფრთხოების გარანტიებზე.[153] სადავო საკითხებად რჩებოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიის კონკრეტული ფორმა საქართველოს შემადგენლობაში და რუსეთის, როგორც ხელშეკრულების გარანტორი მხარის როლი.46 სამწუხაროდ, „ბადენის დოკუმენტს“ მოსალოდნელი პოლიტიკური პროგრესი არ მოჰყოლია. იყო განცდა, რომ მხარეები 2001 წელს ლუდვიგ ჩიბიროვის მეორე ვადით არჩევას ელოდებოდნენ ურთიერთობების საბოლოოდ დასალაგებლად, რამაც პროცესის ერთგვარი გაწელვა გამოიწვია.[154]

1990-იანი წლების ბოლოს დასადგურებულმა მშვიდობამ და პოლიტიკური ნდობის აღდგენამ დევნილების სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მასობრივ დაბრუნებას მისცა სტიმული. თბილისში, რუსეთსა და საქართველოს შორის 2000 წლის 23 დეკემბერს, ხელი მოეწერა შეთანხმებას „ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღდგენისა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხებში თანამშრომლობის შესახებ“, შეთანხმება მხარეებს კონფლიქტის ზონის სოციალურ-

[152] საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში (ქართულ ენაზე), ტომი II, გვ. 119.
[153] Eiff Hansjörg, The OSCE Mission to Georgia and the Status of South Ossetia, OSCE Yearbook, 2008, p. 41.
[154] De Waal Thomas, The Caucasus: An Introduction, Oxford University Press, 2010, p. 145.

ეკონომიკურ რეაბილიტაციას ავალდებულებდა, აქვე იყო გათვალისწინებული დევნილების დაბრუნება და რეინტეგრაცია. ამ პერიოდში აღდგა სატრანსპორტო და სავაჭრო კავშირები ქართველ და ოს მოსახლოებას შორის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერგნეთის ბაზრობის როლი, რომელიც ქართულ-ოსური ჰდობის აღდგენის ერერთი მექანიზმი იყო. თუმცა სააკაშვილის ხელისუფლების მიერ იგი შეფასდა, როგორც კონტრაბანდისტული სქემების რეალიზების წყარო და სამშვიდობო პროცესის დამაზიანებელი. ფაქტორი

2000-2003 წლებში ქართულ-ოსურ პოლიტიკურ ურთიერთობებში სრულ სტაგნაციის პერიოდი დადგა. ვითარება მას შემდეგ გართულდა, რაც ცხინვალის რეგიონში არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემების ფონზე, ლუდვიგ ჩიბიროვის პოპულარობა თანდათან ეცემოდა, 2001 წლის არჩევნებში კი ლუდვიგ ჩიბიროვის სანაცვლოდ, ედუარდ კოკოითი იქნა არჩეული.

შეიარაღებული კონფლიქტების დასრულეების შემდეგ საქართველო უდიდესი გამოწვევის წინაშე დადგა. კლანური დაპირისპირების, ხელისუფლების ლეგიტიმურობის პრობლემის და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, ქვეყანას უნდა ეზრუნა მშვიდობის აღდგენისა და ტერიტორიული გამთლიანეებისათვის. სამშვიდობო მოლაპარაკების პროცესი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში თითქმის ერთდროულად დაიწყო. სამხრეთ ოსეთის მიმართულებით 1992-2003 წლებში მნიშვნელოვანი პროგრესი იქმა მიღწეული. აფხაზეთის მიმართულებით მდგომარეობა უფრო რთულად იყო, რაც გამოწვეული იყო პოლიტიკური ელიტების ამბიციებით, განსხვავებული კოლექტიური მეხსიერებით და პერიოდული გარედან დაგეგმილი პროვოკაციებით.

სსრკ-ს სამართალმემკვიდრე რუსეთის მიერ საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთავარ კრიტერიუმად განიხილებოდა სტრატეგიული გავლენის შენარჩუნება საბჭოთა კავშირის ყოფილ

რესპუბლიკებში. აფხაზეთში რუსეთის პოზიცია კიდევ უფრო განამტკიცა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ დსთ-ს სამშვიდობო ოპერაციის მხარდაჭერამ (1994 წლის 30 ივნისის 934 რეზოლუცია). ამ ძალების სამხედრო შემადგენლობის საფუძველს წარმოადგენდა რუსეთის საჯარისო ნაწილები, დსთ-ს სხვა ქვეყნები ამ ოპერაციაში არ ჩართულა.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ჩამოყალიბების ინიცირება წარმოადგენდა მოსკოვის პასუხს დასავლეთის სტრატეგიაზე, რომელიც რუსეთის გარშემო "დემოკრატიული სარტყელის" შექმნის საჭიროებაზე ალაპარაკდა. მკვეთრად გაიზარდა საქართველოსადმი დასავლეთის მატერიალური დახმარება და პოლიტიკური ურთიერთობების ინტენსივობა. მიუხედავად ამისა, რუსეთი კვლავ ინარჩუნებდა საქართველოზე გავლენის მნიშვნელოვან ბერკეტებს.

დასავლეთმა ინტენსიურად დაიწყო საქართველოში თავისი პოზიციების განმტკიცებისათვის ზრუნვა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე საერთაშორისო შეთანხმების შემდეგ (1999 წ. სტამბოლი, თურქეთი). საფუძველი ჩაეყარა საქართველოს გავლით ბაქო-ერზერუმის გაზსადენის მშენებლობას. ეუთოს სტამბოლის სამიტზე (1999) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ. გაფართოვდა საქართველოს თანამშრომლობა ნატოსთან "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ფარგლებში. დაიძაბა ქართულ-რუსული ურთიერთობები. გახშირდა მოსკოვის ბრალდებები საქართველოს მხრიდან ჩეჩენი აჯანყებულების დახმარების თაობაზე. რუსულმა ავიაციამ რამოდენიმეჯერ დაბომბა საქართველოს სასაზღვრო რაიონები. დაძაბულობა განმუხტა რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე ეუთოს სამხედრო მეთვალყურეების განლაგებამ (2000 წ.).

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით (13.09.2002) საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას დაევალა საქართველოს პარლამენტის შესაბამის სტრუქტურებთან ერთად ნატო-ში გაწევრიანების პროცესის დაწყება;

პრაღაში გამართულ ნატო-ს სამიტზე (22.11.2002) საქართველომ გააკეთა განცხადება ნატო-ში გაწევრიანებისკენ სწრაფვის შესახებ და ახალ პროგრამაში - «ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმაში» მონაწილეობის სურვილი გამოთქვა. ეროვნული უშიშროების საბჭომ დაამტკიცა «საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამა». [155]

კონფლიქტურ რეგიონებში მიმდინარე პროცესებში საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართვა იმ ეტაპზე მოხდა, როდესაც რუსეთს უკვე სრული ძალით ჰქონდა ამოქმედებული ვითარებაზე კონტროლის მექანიზმები. სამხრეთ ოსეთში ეუთო-ს სამხედრო მისიის მანდატი (დამტკიცდა მუდმივი საბჭოს 1992 წლის 13 დეკემბრის 18-ე სხდომის გადაწყვეტილებით), ისევე როგორც გაეროს სამეთვალყურეო მისიის მანდატი აფხაზეთში (დამტკიცდა უშიშრეობის 1994 წლის 21 ივლისის 937 რეზოლუციით) ითვალისწინებდა სამშვიდობო ოპერაციებისა და დადებული ხელსეკრულებების შესრულების მონიტორინგის განხორციელებას, თუმცა პოლიტიკურ პროცესებზე გავლენას ვერ ახდენდა.

თანდათან მოხერხდა მოლაპარაკებების ფორმატების შექმნა და არსებული ვითარებისადმი ობიქტური საერთაშორისო მიდგომების ჩამოყალიბება. საქართველოში 2003 წლის მაისში "ვარდების რევოლუციით" Mმოსულ ხელისუფლებას დახვდა სამშვიდობო პროცესების განვითარებისათვის საჭირო საკმაოდ ხელსაყრელი ბაზა.

[155] http://eu-nato.gov.ge/index.php?que=geo/NATO_W_I_N/Geo_N_P).

გაეროს სამეთვალყურეო მისიისათვის პერსონალის მიწოდებაში მუდმივად მონაწილეობდა ოცზე მეტი ქვეყანა; უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში დამკვიდრდა უცვლელი ფორმულირებები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დევნილთა დაბრუნების უპირობო მხარდაჭერის შესახებ. საბჭო აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრას მოითხოვდა საქართველოს შემადგენლობაში, ხაზს უსვავდა კონფლიქტის შედეგად დემოგრაფიული ცვლილებების მიუღებლობას, მიუთითებდა ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის შესახებ ეუთოს ბუდაპეშტისა და ლისაბონის სამიტების გადაწყვეტილებებზე.

გაეროს უშიშროების საბჭოს 2001 წლის 31 იანვრის 1339 რეზოლუციით, საფუძველი ჩაეყარა მოთხოვნებს გალის რაიონში ადამიანის უფლებების დაცვის ოფისის გახსნის და სამეთვალყურეო მისიაში სამოქალაქო პოლიციის კომპონენტის ჩართვის თაობაზე. 2002 წლის 31 იანვრის 1393 რეზოლუციით საბჭომ მხარი დაუჭირა რუსეთის მონაწილეობით მეგობრების ჯგუფში შეთანხმებულ დოკუმენტს "თბილისსა და სოხუმს შორის საკონსტიტუციო უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპების შესახებ" და ამ დოკუმენტის წარსადგენ ერთობლივ წერილს. 2003 წლის 30 ივლისის 1494 რეზოლუციით საბჭომ დასაბამი დაუდო სამეთვალყურეო მისიის ახალი კომპონენტის - სამოქალაქო პოლიციის დაარსებას და მისი გაშლის საკითხის განხილვას. ჩამოყალიბებული იყო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებაზე მოლაპარაკებათა ფორმატები: 1. ჟენევის მაღალი დონის თათბირი და მისი სამუშაო ჯგუფები (დევნილთა დაბრუნება, ეკონომიკური თანამშრომლობა, პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხები); 2. რუსეთ-საქართველოს უმაღლესი დონის მოლაპარაკებათა (სოჭი, 2003, მარტი) შედეგად შექმნილი დამატებითი სამუშაო ჯგუფები; 3. ჟენევის ფორმატის ანალოგიური, გაეროს ეგიდით ადგილზე მოქმედი საკოორდინაციო საბჭო.

აფხაზეთში რუსეთის პოზიცია კიდევ უფრო განამტკიცა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ დსთ-ს სამშვიდობო ოპერაციის მხარდაჭერამ (1994 წლის 30 ივნისის 934 რეზოლუცია). ამ ძალების სამხედრო შემადგენლობის საფუძველს წარმოადგენდა რუსეთის საჯარისო ნაწილები, დსთ-ს სხვა ქვეყნები ამ ოპერაციაში არ ჩართულა.

მაგრამ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა ისედაც პრობლემური ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები გეოპოლიტიკური პროცესის მძევალი გახადა და ისეთ მარწუხებში მოაქცია, რომ ერთიორად გაართულა გათიშულ საზოგადოებებს შორის ჩატეხილი ხიდების აღდგენა. შედეგად, სახეზე გვაქვს ვითარება, როდესაც ხსენებული ურთიერთობები უპრეცედენტოდ დაბალ ნიშნულზეა დასული. ამ ურთიერთობებს ზოგი კონფლიქტურს, ზოგი კონფრონტაციულს და ზოგიც კრიზისულს უწოდებს. არსი ერთია -დავიწყებას მიეცა თუკი რამ დადებითი აკავშირებდა ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს მრავალსაუკუნოვანი სოციალური ისტორიის მანძილზე. ამავდროულად, პრაქტიკულად გამქრალია ნდობა, მტკიცედ ნარჩუნდება ქართველის როგორც მტრის ხატი, გამყოფი ხაზების ორივე მხარეს კი ერთმანეთისადმი გაუცხოებული თაობები იზრდება. ასეთ ფონზე, უნაყოფო ჩანს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების მრავალწლიანი ძალისხმევა, რომელიც მედიაციასა და ნდობის აღდგენაზეა ორიენტირებული. ასევე, შედეგს ვერ აღწევს საქართველოს მთავრობის ძვირადღირებული სამშვიდობო ინიციატივები.[156]

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ კოალიციის გამარჯვება, საქართველოს უამრავი მიმართულებით პოლიტიკის გადახედვის შანსს აძლევდა, მათ შორის კონფლიქტების დარეგულირების კუთხით. მიუხედავად ამისა, ჩანდა, რომ „ქართული ოცნება“ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე აცნობიერებდა, რომ 2008

[156] ნ. ჭანკოტაძე, კონფლიქტების ტრანსფორმაცია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონტექსტში: იდეიდან ქმედებამსე, თბ.2020

წლის ომის შემდგომი ვითარებამარტივად ვერ შეიცვლებოდა. ამაზე უმთავრესად კოალიციის წინასაარჩევნო პროგრამა მიანიშნებდა, სადაც მომავალი მმართველი ძალის სამშვიდობო ხედვები მისი წინამორბედისგან ნაკლებად ამბიციურად, თუმცა უფრო პრაგმატულად გამოიყურება.[157]

დღეს საქართველოში არსებული კვლევების უმეტესობა, რომლებიც პოსტსაბჭოთა საქართველოში განვითარებული კონფლიქტების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას ეხება, მთელ რიგ პრობლემებთან არის დაკავშირებული. ხშირ შემთხვევაში ისინი არ ითვალისწინებენ ამ კონფლიქტების გამომწვევი ფაქტორების მრავალფეროვნებასა და კომპლექსურობას. ძირითადად აქცენტი კეთდება უმცირესობების უფლებების დაცვაზე, პოლიტიკურ ასპექტებსა და ისტორიულ ნარატივებზე. ის სპეციალისტები კი, რომლებიც საკითხს საერთაშორისო პერსპექტივიდან უყურებენ, ამ პრობლემის ფართო კონტექსტზე საუბრობენ და რეგიონის პოსტსაბჭოთა გეოპოლიტიკაზე ამახვილებენ ყურადღებას.[158]მათ ყურადღების მიღმა რჩებათ პრობლემის ისტორიული ჭრილი.

როგორც გ. კრაუფორდი შენიშნავდა, რომ "იქ, სადაც კულტურა ისტორიულად პოლიტიზირებული იყო, სოციალურმა დაყოფამ პოლიტიკური მეტოქეობის გაჩენას მისცა ბიძგი. თანამედროვე სახელმწიფოს ინსტიტუტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კულტურის და იდენტობის პოლიტიკის გამყარებაში, შექმნასა და გამოფიტვაში, რაც წარსულში ისტორიულად ძალაუფლებისთვის ბრძოლაში ჩამოყალიბდა"

---

[157] 2010-2012 წლებში არაღიარების პოლიტიკის ფარგლებში საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობები 46 ახალ ქვეყანასთან დაამყარა. იხ. ჰტტპს://წწწ.რადიოტავისუპლება.გე/ა/დიპლომატიც_რელატიონს/24558388.ჰტმლ
2010-2012 wlebSi araRiarebis politikis farglebSi saqarTvelom diplomatiuri urTierTobebi 46 axal qveyanasTan daamyara. ix. https://www.radiotavisupleba.ge/a/diplomatic_relations/24558388.html

[158] Cornell, S.E. (2002b). *Autonomy and Conflict: Ethnoterritoriality and Separatism in the South Caucasus – Cases in Georgia*. Sweden: Upsala University.

კვლევა აჩვენებს, რომ პოსტსაბჭოთა კონფლიქტები საქართველოში ეთნიკური უკმაყოფილების და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ნაციონალიზმების დაპირისპირების პირდაპირ შედეგს არ წარმოადგენდა; კონფლიქტი იყო იდენტობის, წარსული ისტორიის პოლიტიკური მანიპულირების შედეგი, რაც საბჭოთა პერიოდის ინსტიტუტების მშენებლობის პოლიტიკის (კონფლიქტური იდენტობების კონსტრუირება თუ მათი ინსტიტუციური განშტოებებით აპელირება) პოსტსაბჭოთა მანიპულაციის მეშვეობით გახდა შესაძლებელი.[159]

[159] მაცაბერიძე დ. .კონფლიქტი აფხაზეთის რეგიონში: ქართული და აფხაზური ნაციონალიზმების დაპირისპირება 1989-2012 წლებში (ინსტიტუტების და ინსტიტუციური აქტორების ანალიზი), სადოქტორო დისერტაცია, თსუ, 2014

დასკვნა

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტებისადმი ყურადღება განსაკუთრებით გაიზარდა ცივი ომის შემდეგ, რაც თავისთავად მათი რიცხვის მკვეთრი ზრდით იქნა განპირობებული. ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოების გამოუცდელმა, წინდაუხედავმა და ხშირ შემთხვევაში საკუთარი ამბიციებით შეპყრობილმა პოლიტიკურმა ლიდერება ვერ მოახერხეს შიდა პოლიტიკური დაპირისპირებების პროგნოზირება ან გადაჭარბუბულად შეაფასეს მათი აღკვეთის რესურსი, ცალკეულ შემთხვევებში კი თავად განაპირობეს ასეთი კონფლიქტები და ადვილად აღმოჩნდნენ გარე, დაინტერესებულ ძალაზე დამოკიდებულნი.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი განიხილება, როგორც სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც გამოწვეულია ერთი მხრივ, ცალკეული ეთნიკური ჯგუფის ინტერესებისა და მიზნების, ხოლო მეორე მხრივ, ამ ეთიკური ჯგუფის სახელმწიფოს და სხვა ეთნიკურ ჯფფუის ინტერესებთან შეუსაბამობაში.

ასეთი სახის კონფლიქტები მიეკუთვნება განსაკუთრებულად რთულ, ხანგრძლივსა და ძნელად გადასაჭრელ კონფლიქტთა რიცხვს. როგორც ისტორია ცხადყოფს, ბევრ პოლიეთნიკურ ქვეყანაში კონფლიქტები თავისი მასშტაბით, ხანგრძლიობითა და ინტენსიობით გაცილებით სჭარბობს სხვა სახის კონფლიქტებს. მათ ღრმა ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და პოლიტიკური საფუძვლები აქვს და თანამედროვეობის უმწვავეს გამოწვევას წარმოადგენს.

კვლევა გვიჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირებების წინაპირობას კონკრეტული გარე თუ შიდა პოლიტიკური ინტერესები წარმოადგენს, ხოლო ეკონომიკური, სოციალური, ისტორიული ფაქტორები, თუნდაც ადამიანური ემოციები ამ ინტერესებისათვის ნოყიერი ნიადაგია.

სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ასეთი ტიპის კონფლიქტების წარმოშობის მიზეზების დასადგენად ცალმხრივი, მარტივი კონცეფციები არ მუშაობს. კონფლიქტური ფაქტორები ურთიერთობების რთულ ქსელს ქმნიან, ახალი სისტემური თვისებებით, რომელთა გაანალიზებაც მარტივი მეთოდებით არ შემოიფარგლება. პრობლემის გადაჭრის გზა შეიძლება მოიძებნოს მთელი რიგი მიზეზების კომპლექსური ანალიზის ფარგლებში.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, კონფლიქტების ინიციატორები ეთნიკური თემების ლიდერები არიან. აღსანიშნავია, რომ მათი ინიციატივა და დაპირისპირებაზე ორიენტირება მხოლოდ უარყოფითად არ შეიძლება იქნას ინტერპრეტირებული და შეფასებული, ვინაიდან მათი სურვილი ეთნიკური ჯგუფის სტატუსის ან პოზიციის შეცვლის შესახებ, ზოგ შემთხვევაში, ამ ეთნიკური ჯგუფის ინტერესების რეალური შელახვის გამო, გამართლებულია.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე საბჭოთა სამეცნიერო საზოგადოებაში თვლიდნენ, რომ შექმნილი იყო საზოგადოების არსებობის უკონფლიქტო მოდელი. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების შესწავლა ძირითადად ხორციელდებოდა ისტორიული მასალის ან დასავლეთის ქვეყნების სოციალურ--პოლიტიკური პროცესების ბაზაზე. ამავდროულად დასავლეთის სამეცნიერო საზოგადოეის წარმომადგენლებმა ამ მიმართულებით შეძლეს საკმაოდ მნიშვნელოვანი და საფუძვლიანი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების დაგროვება. საფუძველი ჩაეყარა კონფლიქტოლოგიის სერიოზულ მიმართულებასა და სამეცნიერო სკოლებს. სამეცნიერო შრომების ანალიზი იმის საფუძველს იძლევა, რომ დავასკვნათ: ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები ზოგადსაკაცობრიო პრობლემას წარმოადენს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სახეზე ორი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი გვაქვს, სამწუხაროდ ნაკლებია სამეცნიერო ნაშრომები, რომლებშიც აისახება დასავლეთში ამ სფეროში არსებული სერიოზული სამეცნიერო მიგნებები.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეროვნული პოლიტიკის განხორციელების თავისებურებები და ნაკლოვანებები, პირობების და სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, პრაქტიკული გამოცდილების დეფიციტით შეიძლება აიხსნას. ეროვნული საკითხების გადაჭრა სახელმწიფო აღმშენებლობის პარალელურად უნდა ხდებოდეს და მას, უმეტეს შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თუ ამ აღმშენებლობით პროცესში განვითარების ორიენტაციის არჩევისას, ეთნიკურ და მოქალაქეობრივ იდენტობას შორის, განმსაზღვრელი მოქალაქეობრივი იდენტობაა, მაშინ ეთნიკური რესურსი პოლიტიკური რეჟიმის ლეგიტიმაციისა და მიზნების მისაღწევად, არცთუ ისეთი მნიშვნელოვანია და ზოგჯერ კონტრპროდუქტიულიცაა. საპირისპირო შემთხვევაში ეთნიკური სოლიდარობა სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციისათვის ყველაზე უფრო სასურველი და მნიშვნელოვანი რესურსია.

კულტურულ-ცივილიზაციურ და ეთნოკულტურული რესურსი სახელმწიფოს აღმშენებლობის მნიშვნელოვანი პირობაა, რომელსაც ახალი სახელმწიფოსთვის მდგრადი საფუძვლის ფორმირება შეუძლია, მაგრამ მენტალური ინერციის და ეთნიკური ნაციონალიზმის გავლენის გამო, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ეთნონაციის კონცეპტიდან მოქალაქეობრივი ერის კონცეპტამდე სვლა ნელი ტემპებით ხორციელდება ... ერის/ნაციის მოქალაქეობრივი გაგება მოკრძალებულად, ძირითადად გარე სამყაროს დასანახად ხორციელდება.

აშკარად იგრძნობა ისეთი თეორიის არარსებობა, რომელიც ადეკვატურად ასახავდა ამ რთული ფენომენის არსს და სათანადო გზებს დასახავდა მის გადასაჭრელად.

მაგრამ კონვენციონალური თეორიის არარსებობა არ ნიშნავს იმას, რომ არ შეიძლება მიღებულ იქნას პრაქტიკული ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მზარდი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტურობის და

დაძაბულობის შენელებას. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეთნოპოლიტიკური კონფლიქტურობის პოტენციალის გაზომვას. აღნიშნული პრობლემა მიზანშეწონილია განვიხილოთ უფრო ფართო - სოციალური განწყობის, სოციალური პროცესების და მოვლენების კონტექსტში. ამ ამოცანის გადაჭრისთვის თანამედროვე მეცნიერებასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ინდექსები და რეიტინგები.

ევროპის სხვადასხვა რეგიონის განსხვავებული პოლიტიკური კულტურის და სახელმწიფოებრივი მოწყობის კონფლიქტურობის შიდაპოლიტიკური დარეგულირების სამი „კაზუსის“ შედარებითი ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვყოთ რიგი საერთო ფაქტორები. ამ ფაქტორების შერჩევითი შეჯერება საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ დარეგულირების პრაქტიკის ეფექტურობის ხარისხი. ეს არის პოლიტიკურ-ინსტიტუციონალური ორგანიზაციის პარამეტრების კულტურულ პოლიტიკასთან ერთად განხორციელება, პირველ რიგში განათლების სისტემაში უმცირესობების ენის გამოყენების მხარდაჭერა, ცენტრის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც საბიუჯეტო ავტონომიის სხვადასხვა დონეს ითვალისწინებს, ინოვაციური ეკონომიკური პრაქტიკების სტიმულირება და ეფექტური სოციალური პოლიტიკა, სოციალური სახელმწიფოს ინსტიტუტების განვითარება (ყველაზე უფრო თვალსაჩინოა ბოლცანოს შემთხვევა: იტალიის ფარგლებს გარეთ დარეგულირება აღიქმება როგორც ეთნოსთაშორისი დაძაბულობის განმუხტვის მოდელი თანდათანობითი ავტონომიზაციის და ინოვაციური განვითარების სტიმულიების გზით). ეს არის სიმბოლური პოლიტიკა, რომელიც საერთო ეროვნულ კონტექსტში ახდენს ეთნოტერიტორიული თემების კულტურული სიმბოლოების ინტეგრირებას და უნარი შესწევს (ან არ შესწევს უნარი) დაახლოვოს ისტორიის და ისტორიული მეხსიერების წინააღმდეგობრივი ინტერპრეტაცია. ძალზედ მგძნობიარეა საკითხი ენის გამოყენებისა და მისი კულტურულ პოლიტიკაში ინტეგრაციის შესახებ.

ნებისმიერ სიმბოლურ აქციას შეუძლია კონფლიქტის გაღვივება, თუ საზოგადოებას ფართო თემთაშორისი კულტურის განვითარებისა და კონფესიებს შორის დიალოგის საფუძველზე, არ გააჩნია საერთო მომავლის ხედვა და ინკლუზიური იდენტობის ფორმირების განწყობა.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სოციალურ-პოლიტიკური პროცესების გააზრებისას, ანალიტიკური მიდგომები ძირითადად აგებული იყო ერი-სახელმწიფოს მშენებლობის პარადიგმასა და მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში სოციალურ მეცნიერებებში აპრობირებული. "მეთოდოლოგიური ნაციონალიზმის" ჩარჩოში, რაც სახელმწიფო საზღვრებში მოქცეული ეროვნული სახელმწიფოს არსებობას გულისხმობდა. პოსტსაბჭოთა საზოგადოებებში ცვლილებების ანალიზისა და პროგნოზირების დღის წესრიგი განისაზღვრა ევროპაში სახელმწიფოებრიობის ისტორიულად დამკვიდრებული მოდელის მიხედვით, მაგრამ მსოფლიო წესრიგის "გლობალური რესტრუქტურიზაციის" ფონზე, ახალი შესაძლებლობები და ახალი რისკები გაჩნდა. შესაბამისად, თანამედროვე "ინფორმაციულმა" საზოგადოებამ ასეთი ვექტორით გავითარება კითხვის ქვეშ დააყენა.

თავის მხრივ, დაბალ დონეზეა ანალიტიკური ინსტიტუტები, სადაც უნდა კეთდებოდეს მსოფლიო გამოცდილების და მიმდინარე პროცესების ანალიზი, მოკლე და შორეული პერიოდის პროგნოზები, სადაც იქმნება აზრთა გაზიარების პლატფორმა, პოლიტიკური, სამეცნიერო დონის მასალა. ზოგადად, პოლიტიკური მეცნიერება მოწყვეტილია პრაქტიკულ სფეროს და მის სტრუქტურებს. შესაბამისი რესურსი (ანალიტიკა) სუსტია სახელისუფლო სტრუქტურებში, განსაკუთრებით საპროგნოზო მიმართულებით და მოქმედების სტრატეგია მეტწილად სპონტანური ხასიათისაა,

ფაქტია, რომ, როდესაც ეთნო ჯგუფებთან დაკავშირებული ვითარება სამეცნიერო თვალსაზრისით, რაციონალური განსჯის მიღმა რჩება, იქვე

ჩნდება არამართებული, მიკერძოებული გადაწყვეტილებების მიღების საშიშროება ან მნიშვნელოვანი გარემოებების იგნორირების წინაპირობა.

სწორედ ამ სახის ფაქტორებს აღმოვაჩენთ, თუ გავაანალიზებთ და შევადარებთ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, კერძოდ საქართველოში, წარმოშობილ და განვითარებულ კონფლიქტებს.

როგორც სამწუხარო პრაქტიკა გვიჩვენებს, პოლიტიკოსები, ექსპერტ-ანალიტიკოსების გათვლებს არ ითვალისწინებენ, იდეოლოგიური, ხშირად პოპულისტური მოსაზრებებით ან არსებული მოკლევადიანი გათვლებით ხელმძღვანელობენ.

სიტუაციური ფაქტორებიდან კრიზისის წინაპირობის წარმოშობაზე ყველაზე უფრო დიდი გავლენა აქვს მხარეთა მიერ ისტორიული და ტერიტორიული საკითხების ინტერპრეტაციას, რაც, ხელსაყრელ გარემოში, მყარ ნიადაგს უქმნის პოლემიკის კონფლიქტში გადაზრდას და მის შემდგომ ინტენსიფიკაციას. ამის შემდეგ მოდის სამეურნეო შინაარსის პარამეტრები: ძირითადი წარმოების განლაგების ხასიათი, მატერიალური შემოსავლის ბალანსი, კეთილდღეობის განაწილების სამართლიანობა, სხვადასხვა ჯგუფებს შორის მკვეთრი სტრატიფიკაცია და სხვ.

ამრიგად, კვლევამ დაადასტურა ჩვენი დისერტაციის ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ყველა სოციალურ ჯგუფსა და ცალკეულ ინდივიდს გააჩნია საბაზისო მოთხოვნილებები, რომელთა შორის არის მოთხოვნილებები იდენტობის, უსაფრთხოების, ავტონომიისა და თვითრეალიზაციის შესახებ. როგორც ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, კონფლიქტების პრევენციისთვის, ასეთ სიტუციებში საჭიროა იმ ადამიანურ ქცევათა და სოციალურ ურთიერთობათა ღრმა ანალიზი, რომლებიც კონფლიქტში მონაწილე მხარეების საბაზისო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული. ამასთან ერთად, საჭიროა შემუშავდეს და განხორციელდეს კარგად გააზრებული, მეცნიერულად

დასაბუთებული პოლიტიკური სოციალიზაციის მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ამაღლებას და სამოქალაქო ნიადაგზე მის სახელმწიფოებრივ კონსოლიდაციას. თუ ვერ ხერხდება საბაზისო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება უკვე არსებული ინსტიტუტებისა და ნორმების ფარგლებში, ეს სოციალური ჯგუფები და ინდივიდები აუცილებლად დაიწყებენ თავიანთი მოთხოვნილების რეალიზაციისათვის, ახალი ფორმების ძიებას. მათი ჩახშობის ნებისმიერი მცდელობა კი სამომავლო დესტრუქციული გამოვლინებების პერსპექტივას ბადებს.

ჩვენი კვლევის სედეგად, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ რიგი რეკომენდაციები, რომლის გათვალისწინებაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კონფლიქტების პრევენციის საქმეში

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ანალიზისთვის საჭიროა დადგენილ იქნას რიგი ფაქტორები:

- თუ რა წინაპირობით იქნა წარმოშობილი კონფლიქტი. არსებობს ამის ობიექტური მიზეზი, ანუ არავის ნებაზე არ არის დამოკიდებული. თუ ამით რომელიმე გარეშე ძალაა დაინტერესებული? რას წარმოადგენს დაპირისპირების მაპროვოცირებელი ფაქტორი, ესაა უცხო სახელმწიფოს გეოპოლიტიკური ინტერესები, რომელიმე ექსტრემისტული რელიგიური მიმდინარეობის ინტერესები, ბიზნესკორპორაციის მისწრაფებები, ან იქნებ გარკვეული იდეით გაერთიანებული გავლენიანი ადამიანების ინტერესები? ბანალური ჭეშმარიტებაა, რომ პროცესის კონტროლის ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დროულად და სიღმისეულად მოხდება მისი საწყისი ფაზის შეფასება.

- შესაძლოა ეთნოკოფლიქტის წარმოშობის სხვა, შედარებით ბანალური მიზეზები არსებობს, მისი არსებობით და გაღვივებით უკვე შემდგომ

სარგებლობენ გარე ძალები, ანუ კონფლიქტი შემდგომ იძენს პოლიტიკურ ხასიათს.

- როგორია იმ მხარის ინტერესის მთავარი მახასიათებლები და მათი გატარების რესურსი, რომელიც ცდილობს კონფლიქტზე ნეგატიური კონტროლის განხორციელებას.

- როგორია იმ მხარის მთავარი მახასიათებლები, რომელიც ცდილობს კონფლიქტის პროცესის შეჩერებას და მშვიდობიანი მოლაპარაკებების სტრატეგიის განვითარებას.

- ვინ არიან როგორც პროცესებზე ნეგატიური გავლენის, ასევე პრობლემის მოგვარებაში დაინტერესებული მხარეების მოკავშირეები, რა კონკრეტული ინტერესი გააჩნიათ და რა რესურს ფლობენ მათი რეალიზაციისათვის.

- რამდენად გააჩნია მოგვარების მსურველ მთავარ მხარეს, მმართველ გუნდს, თვითკრიტიკის, შეცდომების გაანალიზების, სტრუქტურული და სტრატეგიული ცვლილებების განხორციელების უნარი და ამავე დროს, რამდენად მისაღებია მისი პოზიცია ოპონენტებისათვის და მათი მხარდამჭერი საზოგადოებისათვის.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორების ანალიზის გარეშე შეუძლებელია ძალთა ბალანსის სწორად გათვლა და პროცესების კონტროლის სტრატეგიის შემუშავება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანგარიში ადამიანური განვითარების შესახებ *2015.* :http://hdr.undp.org/sites/default/files/hdr15_standalone_overview_ru.pdf, 28.08.2017.
2. აბრამიშვილი ი. ქოიავა რ. საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის 25 წელი, კავკასიური სახლი,2018 .
3. ალექსიძე ლ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 1994, გვ. 43;
4. არტი რობერტ, ჯერვისი რობერტ, საერთაშორისო პოლიტიკა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011, გვ. 448;
5. აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო, დროებითი კანონი აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მიერ ორგანოებისა და თანამდებობის პირების არჩევისა და დანიშვნის წესის შესახებ, 27.08.1991.
6. ბენდელიანი კობა, ინტერვიუ ლევან ალექსიძესთან, Timer.ge, 14.08.2015. ix. https://goo.gl/CEDHfV
7. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტში:http://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/pactecon.shtml (23.04.2017).
8. ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენცია: https://www.coe.int/ru/web/conventions/full-list/-/conventions/rms/090000168007cddc: 17.04.2020).
9. ესპანეთის კონსტიტუცია. URL: http://worldconstitutions.ru/?p=280 (accessed: 19.04.2019).
10. ვოლსკი გ. კიკნაძე თ. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები და მათი გადაჭრის პერსპექტივები, ჟ. პოლიტილოგოსი, ტომი 1, თბ.2018
11. ვოლსკი გ. კიკნაძე თ. გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პარაგრაფი;
12. გახოკიძე ჯ., ს. მიდელაშვილი, ძიებანი საქართველოს განდგომილი რეგიონების შემორიგებისათვის, გამომც. "მერიდიანი", თბილისი, 2017

13. გახოკიძე ჯ., ს. მიდელაშვილი, ბოსნია და ჰერცოგოვინა 1995, გამომც. "მერიდიანი", თბილისი, 2020
14. გვახარია გიორგი, არაღიარებული “რესპუბლიკის” დამოუკიდებლობა და საქართველოს უახლესი ისტორია, რადიო თავისუფლება, 20.09.2005 ix. https://www.radiotavisupleba.ge/a/1543363.html
15. თურმანიძე თორნიკე, „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტის დარეგულირების მექანიზმის მოკლე ისტორია: 1992-2008 წწ, ბთკკ – პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, 2009, გვ. 2-3.
16. იუნესკოს 2005 წლის კონვენცია კულტურული გამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და პოპულარიზაციის შესახებ: http://unesdoc.unesco.org/images/0014/001429/142919r.pdf (21.04.2017).
17. კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ: http://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/childcon.shtml (18.04.2017).
18. იტალიის კონსტიტუცია URL: http://worldconstitutions.ru/?p=148 (accessed: 20.04.2017).
19. კონვენცია მკვიდრი და ტომობრივი ხალხების შესახებ: http://www.humanrights.se/wp-content/uploads/2012/01/C169-Indigenous-and-Tribal-Peoples-Convention.pdf (accessed: 20.04.05).
20. მაცაბერიძე დ. .კონფლიქტი აფხაზეთის რეგიონში: ქართული და აფხაზური ნაციონალიზმების დაპირისპირება 1989-2012 წლებში (ინსტიტუტების და ინსტიტუციური აქტორების ანალიზი), სადოქტორო დისერტაცია, თსუ, 2014
21. მიდელაშვილი ს. ტერიტორიული მთლიანობისა და სეპარატიზმის პრობლემები საქართველოში, გამომც. "ტექნიკური უნივერსიტეტი", თბ. 2014
22. ნადარეიშვილი თ.შეთქმულება საქართველოს წინაამდეგ, თბილისი, 2000, გვ.22

23. რასობრივი უთანასწორობის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენცია: http://hrlibrary.umn.edu/russian/instree/Rd1cerd.html (23.04.2017).
24. რეგიონული და უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია, : https://www.coe.int/ru/web/conventions/full-list/-/conventions/rms/090000168007c098 (21.04.2017).
25. პიპინაშვილი დ. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები, თბ. 2009 , გვ. 7
26. საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში (ქართულ ენაზე), ტომი II, გვ. 94
27. *საფრანგეთის განათლების კოდექსი.*: http://www.lexed.ru/zakonodatelstvo-ob-obrazovanii/kodifikatsiya-zakonodatelstva-ob-obrazovanii/kodeks-obrazovaniya-frantsii/216.php (ნახულია: 21.04.2017).
28. ცოტნიაშვილი ზაზა. საინფორმაციო ომის ტექნოლოგიების ზოგიერთი ასპექტი // Tsotniashvili Zaza. SOME ASPECTS OF INFORMATION WARFARE TECHNOLOGY, შრომები, მართვის ავტომატიზებული სისტემები, # 1(32), ტ.2
29. ჭანკოტაძე ნ., კონფლიქტების ტრანსფორმაცია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონტექსტში: იდეიდან ქმედებამსე, თბ.2020
30. ხოჯევანიშვილი გ. გაყინული კონფლიქტების და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია, თბ.2016
31. Alesina A., Devleeschauwer A., Easterly W., Kurlat S., Wacziarg R. 2003. Fractionalization. –*Journal of Economic Growth*. Vol. 8. No. 2 P. 155–194. DOI: https://doi.org/10.1023/A:1024471506938;
32. Alesina A., La Ferrera E. 2005. Ethnic Diversity and Economic Performance. – *Journal of Economic Literature*. Vol. 43. P. 762–800. DOI: https://doi.org/10.1257/002205105774431243
33. Almond G.A , Bingham G. , Strom K., Dalton J. Comparative Politics Today. A World View. Longman, 2012.

34. Almond G.A., Verba C. The Civic Culture: Political Attitudes and Democracy in Fiv Nations. Princeton, 1963
35. Andreescu G. *Report on minority education in Romania*. P. 17.
36. Birch Julian, Ossetia – land of uncertain frontiers and manipulative elites, Central Asian Survey, 18:4, 1999, p.509
37. Brubaker R. 1996. Nationalizing States in the Old "New Europe|| and the New. – Ethnic and Racial Studies. Vol. 19. P. 411-437. DOI: https://doi.org/10.1080/01419870.1996.9993918
38. Bulgarian Turks: From Imperial Rulers To Marginalized Minority. – *International Business Times.* 01.23.2013. URL: http://www.ibtimes.com/bulgarian-turks-imperial-rulers-marginalized-minority-1028200 (accessed: 21.04.2020).
39. Cadeo R. 2015. Qualità della vita del Sole 24 Ore: Bolzano prima, Milano seconda a sorpresa. Reggio Calabria ultima. – Il Sole 24 Ore. 21.12. URL: http://www.ilsole24ore.com/art/notizie/2015-12- 20/qualita-vita-sole-24-ore-bolzano-prima-milano-seconda-sorpresa-reggio-calabria-ultima201038.shtml?uuid=ACDibAxB&refresh_ce=1 (accessed 05.06.2016)
40. *Camp identitaire en Bretagne, en avant les Chouans!* URL: https://www.youtube.com/watch?v=uIeI2tE36bw (accessed: 17.04.2017).
41. *Catalan language revival fuels backlash in Spain*. URL: http://www.reuters.com/article/us-spain-catalan-idUSKBN0FJ2E920140714 (accessed: 18.04.2020).
42. Colomer J.V. 2007. Great Empire, Small Nations: The Uncertain Future of the Sovereign State. L.; N.Y.: Routledge. 128 p.
43. Conway W. Henderson. International Relations: Conflict and Cooperation at the Turn of the 21st Century;
44. Cordell K., Wollf S. 2009. *Ethnic Conflict. Causes – Consequences – Responses*. Cambridge; Malden, MA: Polity Press. P. 2.

45. Cornell, S.E. (2002b). *Autonomy and Conflict: Ethnoterritoriality and Separatism in the South*
46. *Caucasus – Cases in Georgia*. Sweden: Upsala University.
47. *Diwan. La langue bretonne en danger?* URL: http://www.breizh-info.com/2017/02/17/62359/langue-bretonne-danger (accessed: 17.04.2017); *La langue basque dans l'enseignement*. URL: https://trema.revues.org/935 (accessed: 21.04.2017); *Aude – L'enseignement de l'occitan est-il en danger?* URL: http://www.ladepeche.fr/article/2005/10/13/370995-aude-l-enseignement-de-l-occitan-est-il-en-danger.html (accessed: 21.04.2017).
48. Dreze J., Sen A. 1989. Hunger and Public Action. Oxford, UK: Clarendon Press. 373 p
49. Did Cambridge Analytica Influence the Brexit Vote and the US Election? – The Guardian. 04.03.2017, URL: https://www.theguardian.com/politics/2017/mar/04/nigel-oakes-cambridge-analyticawhat-role-brexit-trump (accessed 01.06.2017).
50. Did Michal Kosinski's Methods Facilitate Donald Trump's Victory? – CeBit. 18.01.2017. URL: http://www.cebit.de/en/news/article/michal-kosinski-38402.xhtml (accessed 01.06.2017.
51. Ethnic Conflict in Post-Soviet States. 1996. Ed. by L. Drobizheva, R. Gottemoeller, C. McArdle Kelleher, L. Walker. New York: M.E. Sharpe. 365 p.; Tishkov V. 1997. Ethnicity, Nationalism and Conflict in and After the Soviet Union: The Mind Aflame. London: Sage. 352 p. DOI: https://doi.org/10.4135/9781446279427; Coppieters B., Emerson M., Huysseune M., Kovziridze T., Noutcheva G., Tocci N., Vahl M. 2004. Europeanization and Conflict Resolution. Case Studies from the European Periphery. Gent: Academia Press. 258 p.
52. Esteban J. et al. Ethnicity and Conflict: Theory and Facts // Science. 2012. Vol.336. P.858–869.)
53. Fearon J., Laitin D. Explaining Interethnic Cooperation // The American Political Science Review. 1996. Vol.90, N 4. P.715–727.

54. Fearon J.D. 2003. Ethnic Structure and Cultural Diversity by Country. – *Journal of Economic Growth*. Vol. 8. P. 195–222. DOI: https://doi.org/10.1023/A:1024419522867
55. Francis Céline, Conflict Resolution and Status: The Case of Georgia and Abkhazia (1989-2008), VUBPRESS, Brussels, 2011, p. 118.
56. Fragile States Index URL: http://fundforpeace.org/fsi/ (accessed 01.06.2020).
57. Freedom in the World (Freedom in the World 2017. – Freedom House. Official site. URL: https://freedomhouse.org/sites/default/files/FH_FIW_2017_Report_Final.pdf)
58. *Friulano in classe? No grazie.* URL: http://messaggeroveneto.gelocal.it/pordenone/cronaca/ 2015/01/17/news/friulano-in-classe-genitori-non-chiedetelo-1.10686553 (accessed: 21.04.2020).
59. Gamakharia J. & Beradze T. & Gventsadze T. (Eds), Assays from the History of Georgia:Abkhazia from ancient times till the present days, Ministry of Education and Culture of Abkhazia & Iv.Javakhishvili Institute of History and Ethnology, Tbilisi, 2011.
60. Greenberg J.H. 1956. The Measurement of Linguistic Diversity. – *Language*. Vol. 32. No. 1. P. 109-115. DOI: https://doi.org/10.2307/410659
61. Gross disposable household income (GDHI): 1997 – 2015. Statistical Bulletin. См.: URL: https://www.ons.gov.uk/economy/regionalaccounts/grossdisposablehouseholdincome/bulletins/region algrossdisposablehouseholdincomegdhi/2015 (дата обращения: 31.10.2017).
62. Guelke A. 2012. Politics in Deeply Divided Societies. Cambridge: Polity Press. 184 p

63. Gurr T.R. 1993. *Minorities at Risk: A Global View of Ethnopolitical Conflicts.* Washington: USIP Press. 448 p.

64. Habermas J. 2001. The Post-National Constellation and the Future of Democracy. – Habermas J. *The Post-National Constellation: Political Essays (ed. by M. Pensky*). Cambridge MA: MIT Press. P. 58–112.

65. Haller M., Eder A., Stolz E. 2015. Ethnic Stratification and Patterns of Income Inequality Around the World: A Cross-National Comparison of 123 Countries, Based on a New Index of Historic Ethnic Exploitation. – *Social Indicators Research*. Vol. 128. No. 3. P. 1047-1084. DOI: https://doi.org/10.1007/s11205-015-1069-4
66. Hewitt George, The Abkhazians: A Handbook, Routledge, Abingdon, UK, 2013, pp. 264-266.
67. How Many Billionaires Would It Take to Save the Planet? – Bloomberg. 27.07.2017. URL: https://www.bloomberg.com/news/articles/2017-07-27/how-many-billionaires-would-it-take-tosave-the-planet (accessed 28.08.2017
68. Ilieva M. 2016. *Report on Measures to Combat Discrimination*. URL: http://www.equalitylaw.eu/downloads/4317-bulgaria-country-report-non-discrimination-2014-1-27-mb (accessed: 21.04.2020). P. 52.

69. Inkel P., Vaspal V. 2016. *Country profile: hungary. Council of Europe / ERICarts*. P. 19-20.
70. Indices of Social Development. URL: http://www.indsocdev.org/home.html (accessed 01.06.2017
71. *Italy/ 4.2 Specific policy issues and recent debates*. URL: http://www.culturalpolicies.net/web/italy.php?aid=424&cid=1250&curl=833 (accessed: 20.04.2017).
72. *Italy – Act on Protection of Minorities*. URL: http://www.usenglishfoundation.org/view/336 (accessed: 21.05.2017).
73. Isaacs R., Polese A. 2016. Nation-Building and Identity in the Post-Soviet Space. New Tools and Approaches. London, New York: Routledge. P. 2-3.

74. Kádár A.A. 2016. *Country report .Non-discrimination: Hungary. European commission*. P. 66
75. Kuzio T. 2001. _Nationalising States' or Nation-Building? A Critical Review of the Theoretical Literature and Empirical Evidence. – Nations and Nationalism. Vol. 7. No. 2. P. 135-154. DOI: http://dx.doi.org/10.1111/1469-8219.00009

76. Kymlicka W. 1995. *Multicultural Citizenship. A Liberal Theory of Minority Rights.* Oxford: Clarendon Press. 296 p. DOI: http://dx.doi.org/10.1093/0198290918.001.0001
77. Law of national education. P. 73.
78. Lederach, J.P. (1997). *Building peace : sustainable reconciliation in divided societies*. Washington, D.C: United States Institute of Peace Press. pp. 23-25
79. Miall, H. (2004). Conflict Transformation: a multi-dimensional task. In: Austin, A., Fischer, M. and Ropers, N. eds. *Transforming Ethnopolitical Conflict: The Berghof Handbook*. Berlin, Germany: VS Verlag für Sozialwissenschaften, pp. 67-90.
80. Manrique P., Qi H., Morgenstern A., Velásquez N., Lu T.-C., Johnson N. 2013. Context Matters: Improving the Uses of Big Data for Forecasting Civil Unrest Emerging Phenomena and Big Data. – IEEE International Conference on Intelligence and Security Informatics (ISI). P. 169-172. DOI: https://doi.org/10.1109/ISI.2013.6578812.
81. Merton R. K. 1968. *Social Theory and Social Structure*. New York: Free Press. 702 p.
82. Nardo M., Saisana M., Saltelli A., Tarantola S., Hoffman A., Giovannini E. 2005. Handbook on Constructing Composite Indicators. OECD, European Commission. 162 p. DOI: https://doi.org/10.1787/533411815016; Nardo M., Saisana M., Saltelli A., Tarantola S. 2005. Tools for Composite Indicators Building. European Commission, Institute for the Protection and Security of the Citizen, JRC Ispra, Italy. 134 p.
83. Nolan P., Bryan D., Dwyer C., Hayward K., Radford K., Shirlow P. 2014. The Flag Dispute: Anatomy of a Protest. Belfast: Queen‘s University. 145 p. P. 107
84. Langer A., Stewart F., Smedts K., Demarest L. 2017. Conceptualising and Measuring Social Cohesion in Africa: Towards a Perceptions-Based Index. – Social Indicators Research. Vol. 131. No. 1. P. 321-343. DOI: https://doi.org/10.1007/s11205-016-1250-4

85. Lijphart A. 1977. Democracy in Plural Societies: A Comparative Exploration. New Haven: Yale University Press. 248 p

86. O'Leary J. 2014. Why is Irish language a divisive issue in Northern Ireland? – BBC news. 17.12.. URL: http://www.bbc.com/news/uk-northern-ireland-30517834 (accessed 05.06.2016)

87. Polese A. 2011. Language and Identity in Ukraine: Was it Really Nation-Building. – Studies of Transition States and Societies. Vol. 3. No. 3. P. 40.

88. Rill S., Reinel D., Scheidt J., Zicari R.V. 2014. PoliTwi: Early Detection of Emerging Political Topics on Twitter and the Impact on Concept-Level Sentiment Analysis. – Knowledge-Based Systems. Vol. 69. P. 24-33. DOI: https://doi.org/10.1016/j.knosys.2014.05.008

89. Rothman J., Alberstein M. Individuals, Groups and Intergroups: Understanding the Role of Identity in Conflict and its Creative Engagement // Ohio State Journal on Dispute Resolution. 2013. N 28(3). P.631–658.

90. Pföstl E. *Tolerance Established by Law: The Autonomy of South Tyrol in Italy*. Mahanirban Calcutta Research Group. URL: http://www.mcrg.ac.in/EURAC_RP2.pdf. P. 3. (accessed: 21.04.2020).

91. Tilly Ch., Tarrow S. 2007. *Contentious Politics*. Paradigm Pub.: Boulder Co. 260 p.

92. Shulman S. 2002. Challenging the Civic/Ethnic and West/East Dichotomies in the Study of Nationalism. – Comparative Political Studies. Vol. 35. No. 5. P. 554-585. DOI: https://doi.org/10.1177/0010414002035005003

93. Simpson E.H. 1949. Measurement of Diversity. – *Nature*. Vol. 163. P. 688. DOI: https://doi.org/10.1038/163688a0)

94. Soviet and Post-Soviet Identities. 2012. Ed. by Bassin M., Kelly C. Cambridge MA: Cambridge University Press. 386 p. DOI: https://doi.org/10.1017/CBO9780511894732; Летняков Д.Э. 2016. Создавая нацию: политика идентичности в постсоветских государствах. – Мир России. № 2. С. 144-167.

95. Steininger R. 2009. South Tyrol: A Minority Conflict of the Twentieth Century. New Brunswick, London: Transaction Publishers. 174 p. P. 3.

96. Strategies of Identity Construction: Ethnic Politics, Minorities, and European Integration in Transylvania. 2007. Bloomington: Indiana University. György Ránki Hungarian Chair Symposium. April 14-15. URL: http://www.indiana.edu/~ceus/events/Hungarian%20Symposium%202007%20flier% 20web%20version. pdf (accessed 12.05.2016).

97. *Standard Eurobarometer 83 Spring 2015. European citizenship. Report. European Union*, 2017. P. 15.

98. Taylor C.L., Hudson M.C. 1972. *The World Handbook of Political and Social Indicators*. 2nd ed. New Haven, CT: Yale University Press. 443 p.

99. UNESCO Culture for Development Indicators Methodology Manual. URL: http://en.unesco.org/creativity/sites/creativity/files/cdis_methodology_manual.pdf (accessed 01.06.2017). P. 82

100. Vanhanen T. 1999. Domestic Ethnic Conflict and Ethnic Nepotism: A Comparative Analysis. – *Journal of Peace Research*. Vol. 36. P. 55-73. DOI: https://doi.org/10.1177/0022343399036001004; Vanhanen T. 2012. *Ethnic Conflicts: Their Biological Roots in Ethnic Nepotism*. London: Ulster Institute for Social Research. 326 p

101. Valenzuela S., Arriagada A., Scherman A. 2014. Facebook, Twitter, and Youth Engagement: A Quasi-experimental Study of Social Media Use and Protest Behavior Using Propensity Score Matching. – International Journal of Communication. Vol. 8. P. 299-314

102. *Venetians call for recognition as a 'minority'*. URL: https://www.thelocal.it/20161207/veneto-calls-for-official-recognition-of-its-language-minority-status (accessed: 21.04.2020

103. Авксентьев В.А. 2001. *Этническая конфликтология: в поисках научной парадигмы.* Ставрополь: изд-во СГУ. 267 с.

104. Аклаев А.Р. 2008. *Этнополитическая конфликтология: Анализ и менеджмент*. Учебное пособие. М.: Издательство «Дело» АНХ. 480 с. С. 25.

105. Ахиезер А.С. 2001. Архаизация в обществе как методологическая проблема. – *Общественные науки и современность.* № 2. С. 89–100. С. 100.

106. Брубэйкер Р. 2012. *Этничность без групп*. М.: Изд. дом Высшей школы экономики. ȣ3. 46.

107. Глухова А.В. 2010. Политические конфликты: основания, типология, динамика (теоретико-методологический анализ). М.: Эдиториал УРСС. 280 с. Тимофеева Л.Н. 1996. *Политическая конфликтология*. М.: РАГС, 1996. 152 с

108. Горовиц Д. 2007. Структура и стратегия этнического конфликта. – *Власть.* № 2. С. 36-37. См также *Власть.* № 2. С. 29-38. № 4. С. 49-54; № 6. С. 35-41.

109. Дробижева Л.М. 2011. Этническая идентичность. – *Политическая идентичность и политика идентичности. Т. 1. Словарь терминов и понятий*. Отв. ред. И.С. Семененко. М.: РОССПЭН. С. 130.

110. Дробижева Л.М. 2003. Проблемы межэтнических отношений. – Психология межэтнической толерантности. Отв. ред. Л.М. Дробижева. М.: Изд-во Института социологии РАН. С. 50-51.

111. Дробижева Л.М. 2008. Национально-гражданская и этническая идентичность: проблемы позитивной совместимости. – Россия реформирующаяся. Ежегодник (отв. ред. М.К. Горшков). М.: Институт социологии РАН. С. 225.

112. Ермольева Э.Г. 2014. Реформа образования в фокусе политических дебатов и общественного противостояния. – *Глобальный мир: к новым моделям национального и регионального развития. Т.2. (отв. ред. И.С. Семененко.).* М.: ИМЭМО РАН. С. 268.

113. Иванов В.Г. 2016. *«Рейтинговая сила» («Charts Power») как инструмент политического и экономического влияния: концептуальный анализ, стратегии использования и модели противодействия*. Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора политических наук. Специальность 23.00.01 – Теория и

философия политики, история и методология политической науки. Москва. ȣ3. 3.
114. Колосов В.А. 1998. «Примордиализм» и современное национально-государственное строительство. – *Полис. Политические исследования*. № 3. С. 95-106.
115. Линц Х. Опасности президентства // Пределы власти. ȣ3.. 3—25